



სამაგიდო წიგნი  
თვითმმართველი ერთეულის  
აღმასრულებელი ორგანოს  
თანამშრომლებისათვის

● მეორე გამოცემა



ალექსანდრე სვანიშვილი

სამაგიდო წიგნი  
თვითმმართველი ერთეულის  
აღმასრულებელი ორგანოს  
თანამშრომლებისათვის

(გამოცემულია 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით)

თბილისი 2016

ნიგნის მიზანია დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებსა და თანამდებობის პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელებაში

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ლალი შალვაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი: იოსებ სიმონიშვილი

გამოცემა მომზადებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. მასში განხილული საკითხების შესახებ მოსაზრებები შეიძლება არ დაემთხვეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ შეხედულებებს.

ISBN 978-9941-0-9321-0



# სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	9
<b>პარი I</b>	
<b>თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო</b> .....	11
თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს გამგებლის/მერის სტატუსი .....	11
თავი II. აღმასრულებელი ორგანოს დაწესებულების – გამგებობის/მერიის სტატუსი .....	11
თავი III. აღმასრულებელი ინსტიტუციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები .....	12
თავი IV. აღმასრულებელი ინსტიტუციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები .....	16
1. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ინსტიტუციის, როგორც თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები .....	16
2. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ინსტიტუციის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები .....	18
3. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ინსტიტუციის, როგორც საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები .....	20
<b>პარი II</b>	
<b>მუნიციპალური მმართველობა. მუნიციპალური მმართველობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები</b> .....	23
თავი I. მუნიციპალური მმართველობის არსი .....	23
თავი II. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი დაწესებულების საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები .....	27
თავი III. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები და პრინციპები .....	30
1. დაგეგმვის დოკუმენტები .....	30
2. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის პრინციპები .....	31
თავი IV. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის პროცესი .....	34
1. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის ეტაპები .....	34
2. საორგანიზაციო-მოსამზადებელი ეტაპი .....	34
3. დოკუმენტის პროექტის შედგენის ეტაპი .....	36
4. ექსპერტიზის, შეთანხმებისა და დამტკიცების ეტაპები .....	46
5. შესრულებისა და კორექტირების ეტაპები .....	47
6. შესრულების ანგარიშგებისა და შეფასების ეტაპი .....	47
<b>პარი III</b>	
<b>მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი დაწესებულების საქმიანობის მიმართულებები სწავროების მიხედვით</b> .....	48

თავი I. საქმიანობის მიმართულებათა კლასიფიკაცია .....	48
თავი II. მუნიციპალური მართვა .....	48
თავი III. მუნიციპალური მართვის უზრუნველყოფა .....	49

**პარი IV**

<b>მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განვითარება .....</b>	<b>51</b>
თავი I. სივრცით-ტერიტორიული მონყობა და ქალაქთმშენებლობა .....	51
თავი II. დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მომზადება, დამტკიცების პროცედურები და საჯაროობა .....	60
თავი III. კეთილმონყობა .....	64
1. კეთილმონყობის არსი .....	64
2. დასახლების კეთილმონყობის ობიექტები .....	66
3. კეთილმონყობის ორგანიზაცია .....	66
4. ტერიტორიის დასუფთავება .....	67
5. შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა .....	67
6. გარე რეკლამა და საინფორმაციო ობიექტები .....	67
7. მშენებარე ობიექტებისადმი მოთხოვნები .....	68
8. გარე განათება .....	69
9. გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების ფუნქციონირებისას კეთილმონყობისა და სანიტარიული ნორმების დაცვა .....	69
10. გამწვანება .....	69
თავი IV. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ინფრასტრუქტურა .....	70
თავი V. მშენებლობათა რეგულირება .....	77
1. მშენებლობის ნებართვის გაცემა .....	77
2. მშენებლობაზე ზედამხედველობა .....	86
თავი VI. დასახლებებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება .....	91

**პარი V**

<b>მუნიციპალური მომსახურება .....</b>	<b>94</b>
თავი I. მუნიციპალური მომსახურების ცნება და კლასიფიკაცია .....	94
თავი II. მუნიციპალური მომსახურების განხორციელების ფორმები .....	96
თავი III. კომუნალური მომსახურება .....	97
1. წყალმომარაგება .....	98
2. წყალარინება (სანიაღვრე სისტემები და კანალიზაცია) .....	102
3. ნარჩენების მართვა .....	104
4. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა .....	112
თავი IV. ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა .....	112
1. ტრანსპორტით მომსახურების დაგეგმა .....	112
2. რეგულარული სამგზავრო გადაყვანა .....	113
3. ავტომაქსის პარკირების რეგულირება .....	115
თავი V. სამომხმარებლო ბაზარი. გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება .....	117

1. გარე ვაჭრობა .....	118
2. ბაზრები და ბაზრობები .....	121
<b>თავი VI. მუნიციპალური მომსახურება უსაფრთხოების სფეროში .....</b>	<b>125</b>
1. სახანძრო უსაფრთხოება და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა .....	125
2. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვა .....	130
3. შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტა .....	131
4. უსაფრთხოება შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარების დროს ....	134

**პარი VI**

<b>მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა .....</b>	<b>137</b>
--	------------

<b>თავი I. მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები .....</b>	<b>137</b>
--	------------

<b>თავი II. დასაქმება .....</b>	<b>138</b>
---------------------------------	------------

<b>თავი III. განათლება .....</b>	<b>141</b>
----------------------------------	------------

1. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა .....	141
2. სკოლამდელი აღზრდა .....	141
3. ზოგადი განათლება .....	147
4. სკოლისგარეშე დანესებულებები .....	149

<b>თავი IV. კულტურა .....</b>	<b>150</b>
-------------------------------	------------

1. კულტურის განვითარება .....	150
2. ბიბლიოთეკები .....	152
3. მუზეუმები .....	154
4. თეატრები .....	155
5. კულტურული მემკვიდრეობა .....	156

<b>თავი V. ჯანმრთელობის დაცვა .....</b>	<b>159</b>
---	------------

<b>თავი VI. სპორტი და ახალგაზრდობის საკითხები .....</b>	<b>161</b>
---	------------

1. სპორტი .....	161
2. ახალგაზრდობის საკითხები .....	163

<b>თავი VII. სოციალური დახმარება .....</b>	<b>165</b>
--	------------

**პარი VII**

<b>თვითმმართველი ერთეულისთვის დელეგირებადი უფლებავაზი .....</b>	<b>167</b>
---	------------

<b>თავი I. უფლებების დელეგირების ფორმები და პრინციპები .....</b>	<b>167</b>
--	------------

1. დელეგირების ფორმები .....	167
2. უფლებამოსილების დელეგირების პრინციპები .....	168

<b>თავი II. თვითმმართველი ერთეულისთვის დელეგირებადი უფლებამოსილება .....</b>	<b>170</b>
--	------------

**პარი VIII**

<b>თვითმმართველი ერთეულის მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფა ..</b>	<b>177</b>
---	------------

<b>თავი I. მუნიციპალური ქონება .....</b>	<b>177</b>
--	------------

1. მუნიციპალიტეტის ქონების ცნება და კატეგორიები .....	177
2. მუნიციპალიტეტის ქონების ფორმირება .....	179

3. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიქცევის პროცედურები .....	179
4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა .....	182
5. მიწისა და ბუნებრივი რესურსების მართვა .....	191
<b>თავი II. მუნიციპალური შესყიდვა .....</b>	<b>198</b>
1. მუნიციპალური შესყიდვის ცნება .....	198
2. შესყიდვის სახეები .....	200
3. შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები .....	203
4. შესყიდვის დაგეგმვა .....	203
5. შესყიდვების ორგანიზება .....	205
<b>თავი III. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები .....</b>	<b>209</b>
<b>თავი IV. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები .....</b>	<b>212</b>
1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის სახეები .....	212
2. საკუთარი შემოსულობები .....	212
3. არასაკუთარი შემოსულობები .....	227
4. თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო ფონდები .....	230
5. პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები .....	230
6. საგანგებო ბიუჯეტი .....	233
7. საბიუჯეტო კლასიფიკაცია .....	234
8. სესხისა და გრანტის აღება .....	234
<b>თავი V. საბიუჯეტო პროცესი .....</b>	<b>235</b>
1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა .....	235
2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება .....	236
3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულება .....	236
<b>თავი VI. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიში და აუდიტი .....</b>	<b>238</b>
<b>თავი VII. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტი .....</b>	<b>242</b>
<b>პარი IX</b>	
<b>მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა .....</b>	<b>243</b>
<b>თავი I. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა .....</b>	<b>243</b>
<b>თავი II. გამგეობის/მერიის ორგანიზაციული სტრუქტურის აგება .....</b>	<b>244</b>
1. სტრუქტურის მიზნების განსაზღვრა .....	245
2. ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ამ მიმართულებების მიხედვით ფუნქციებისა და ამოცანების დაჯგუფება .....	246
3. ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და სტრუქტურის ძირითადი რგოლების განსაზღვრა .....	247
4. ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ძირითადი პრინციპები .....	248
5. სტრუქტურაში თითოეული დანაყოფის ადგილის, მისი შიდა სტრუქტურის	

და საშტატო ოდენობის განსაზღვრა .....	251
6. ორგანიზაციული სტრუქტურის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სამუშაო გეგმები და ა.შ.) მომზადება .....	252
<b>თავი III. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები) და მათი ფუნქციები .....</b>	<b>253</b>
1. დარგობრივი სამსახურები .....	253
2. ფუნქციური სამსახურები .....	255
3. თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის უზრუნველმყოფი სამსახურები (აპარატი) .....	257
<b>თავი IV. გამგეობის/მერიის მუშაობის ორგანიზება .....</b>	<b>261</b>
1. ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001:2008 .....	262
2. მუნიციპალური მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები ....	264
3. მართვის ორგანიზაციის ეფექტიანობა .....	265
4. სამუშაოთა აღწერილობა .....	267
5. მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა .....	269
<b>პარი X</b>	
<b>გამგეობის/მერიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები .....</b>	<b>270</b>
<b>თავი I. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები და მათი საერთო ფუნქციები .....</b>	<b>270</b>
<b>თავი II. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - გამგებელი/მერი .....</b>	<b>270</b>
1. გამგებლის/მერის არჩევის და უნდობლობის გამოცხადების წესი .....	270
2. გამგებლის/მერის ანგარიში .....	273
<b>თავი III. გამგებლის/მერის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები .....</b>	<b>274</b>
1. გამგებლის/მერის, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები .....	274
2. გამგებლის/მერის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები .....	275
<b>თავი IV. გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის სტატუსი და უფლებამოსილება .....</b>	<b>279</b>
<b>თავი V. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სტატუსი და უფლებამოსილება .....</b>	<b>280</b>
<b>თავი VI. გამგებლის/მერის წარმომადგენელი .....</b>	<b>282</b>
<b>პარი XI</b>	
<b>ადგილობრივი თვითმმართველობის საკადრო უზრუნველყოფა .....</b>	<b>286</b>
<b>თავი I. საჯარო სამსახურის ცნება და საჯარო მოსამსახურეთა სახეები .....</b>	<b>286</b>
<b>თავი II. პროფესიული მოხელის სამსახურში მიღების წესი .....</b>	<b>289</b>
1. პროფესიული მოხელის ძირითადი, სპეციალური და დამატებითი	



საკვალიფიკაციო მოთხოვნები .....	289
2. კონკურსის სახეები და ჩატარების წესი .....	291
3. საკონკურსო კომისია და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე .....	291
4. მოხელეთა თანამდებობების რანგირება და მოხელის კლასი .....	293
5. მოხელის კარიერის მართვა .....	293
<b>თავი III. საჯარო მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები .....</b>	<b>296</b>
1. მოხელის უფლებები და გარანტიები .....	296
2. მოხელის მოვალეობები .....	299
<b>თავი IV. საჯარო მოსამსახურის წახალისებისა და დისციპლინური</b>	
<b>პასუხისმგებლობის ფორმები .....</b>	<b>301</b>
1. წახალისება და მისი ფორმები .....	301
2. დისციპლინური პასუხისმგებლობა .....	302
<b>თავი V. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა .....</b>	<b>303</b>
1. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება .....	303
2. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება .....	304
3. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მოხელის გაფრთხილება და განთავისუფლების შეზღუდვები .....	306
<b>თავი VI. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე</b>	
<b>განსახორციელებელი ღონისძიებები .....</b>	<b>307</b>

# შესავალი

თვითმმართველობის განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს გამართულ მუშაობაზე. აღმასრულებელი ორგანო არა მხოლოდ აღასრულებს საკრებულოს გადანიშნულებებს, არამედ მოვალეა, გააკეთოს თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების ანალიზი და მათ გადასაჭრელად მოამზადოს საკრებულოს გადანიშნულებათა პროექტები. აღმასრულებელ ორგანოს, საქმიანობის სპეციფიკის გამო, ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მოსახლეობასთან და, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა თვითმმართველობის საქმიანობას სწორედ აღმასრულებელი ორგანოსა და მის თანამდებობის პირთა მუშაობით აფასებს.

საკრებულოსაგან განსხვავებით, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, ძირითადად, შედგება განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელეებისაგან, რომელთა პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული საქმიანობის ეფექტიანობა და ოპერატიულობა. მაგრამ, მოხელეთა კვალიფიციურობასთან ერთად, აღმასრულებელი ორგანოს გამართული მუშაობისათვის, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მმართველობითი რგოლების სწორ ორგანიზაციას, სტრუქტურულ ერთეულებსა და უშუალოდ მოხელეებს შორის ფუნქციების განაწილებას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კოდექსის მიღებითა და ამოქმედებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქამდე არსებული ინსტიტუციური სტრუქტურა. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხო თვითმმართველობის აღმასრულებელ რგოლს. კოდექსით აღმასრულებელ ორგანოდ განისაზღვრა არა გარკვეული სტრუქტურა, არამედ უშუალოდ გამგებელი/მერი, ხოლო გამგეობა/მერია ხდება გამგებლის/მერის დაქვემდებარებაში არსებული დანესებულება, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელებას. გამგებლის/მერის მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყრით არჩევამ, ასევე რადიკალურად შეცვალა გამგებლის/მერის სტატუსი. არჩევის შედეგად, გამგებელი/მერი გახდა არა დაქირავებული საჯარო მოხელე, არამედ პოლიტიკური თანამდებობის პირი, შესაბამისად კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირად აღიარებული იქნა გამგებელი/მერი (აქამდე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელად ითვლებოდა საკრებულოს თავმჯდომარე). მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ კოდექსით დეტალურად გაიწერა გამგებლის/მერის ძირითადი უფლებამოსილება. მანამდე მოქმედი ორგანული კანონი აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების განსაზღვრისას შემოიფარგლებოდა ერთი წინადადებით, რომ აღმასრულებელი ორგანო აღასრულებს საკრებულოს მიერ მიღებულ გადანიშნულებებს. შესაბამისად, საკრებულო განსაზღვრავდა თუ რა უფლებამოსილება უნდა ჰქონოდა გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს. კოდექსის თანახმად, აღმასრულებელ ორგანოს – გამგებელს/მერს უკვე აქვს კანონით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილება, რომელიც ვერ შეიზღუდება საკრებულოს მიერ (თუმცა შეიძლება გამგებელს/მერს საკრებულოს მიერ დამტკიცებული გამგეობის/მერიის დებულებით მიეცეს დამატებითი უფლებები და მოვალეობები). ამ ცვლილებებით, თვითმმართველობის ცენტრალური ფიგურა ხდება გამგებელი/მერი, რომელიც არის მუნიციპალიტეტის ლიდერი, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირი და

ამავდროულად წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, ანუ მუნიციპალიტეტის მთავარ მმართველს (მენეჯერს). ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ამგვარი განაწილება გამგებელს/მერს აკისრებს უაღრესად დიდ პასუხისმგებლობას. ძირითადად მის საქმიანობაზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების გადაწყვეტაც და თვითმმართველი ერთეულის განვითარებაც.

გამგებლის/მერის ინსტიტუტის გაძლიერებასთან ერთად იზრდება თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ინსტიტუტის დატვირთვა, რადგან, სწორედ მის საქმიანობაზეა დამოკიდებული თვითმმართველობის პრაქტიკული განხორციელება. 100-ზე მეტი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არეგულირებს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების აღსრულებას. თვითმმართველობის მოხელეებს ევალებათ არა მხოლოდ ამ აქტების ცოდნა, არამედ მათი სრულყოფილი გამოყენებაც.

თვითმმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება კანონმდებლობის იმპლემენტაცია. ფაქტია, რომ მუნიციპალიტეტების მიერ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა დიდი ნაწილი ვერ ხორციელდება. ამის მიზეზია არა მხოლოდ ფინანსების სიმწირე, არამედ აღმასრულებელი დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანობის დაბალი დონე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს ამა თუ იმ ფუნქციის განხორციელების მეთოდოლოგიური ბაზა. ყოველივე ეს ართულებს კანონმდებლობის აღსრულებას და თვითმმართველობის რეალურ განხორციელებას.

თვითმმართველობა ეფუძნება ინიციატივას და დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას. აღმასრულებელი ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაც ესაა – სწორად გაანალიზოს თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემები, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მონახოს მათი დაძლევის გზები და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოს პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა. ყოველივე ეს განაპირობებს თვითმმართველობის აღმასრულებელი დაწესებულების თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების მუშაობის სირთულეს და დიდ პასუხისმგებლობას. მათი პროფესიონალიზმი და მუშაობის სწორი ორგანიზება არის ის უმთავრესი წინაპირობა, რამაც უნდა უზრუნველყოს საკითხების ოპტიმალური და ოპერატიული გადაწყვეტა. სამწუხაროდ, ძალზედ მცირეა პრაქტიკული ხასიათის სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები თუ სხვა მეთოდოლოგიური მასალა, რომლებიც დახმარებას გაუწევს თვითმმართველობის მოხელეებს კანონით დაკისრებულ ფუნქციათა განხორციელებაში.

წინამდებარე წიგნში ჩვენ შევეცადეთ კომპლექსურად მოგვეცვა თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ინსტიტუტის საქმიანობის ყველა ძირითადი სფერო და მათი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. ვფიქრობთ, იგი დახმარებას გაუწევს თვითმმართველობის აღმასრულებელი დაწესებულების თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს კოდექსით დადგენილი უფლებამოსილების ოპტიმალურ გადაწარმოებასა და განხორციელებაში.

# ქარი I

## თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო

### თავი I. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს გამგებლის/მერის სტატუსი

გამგებელი/მერი არის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრით. ამ სტატუსის გამო, გამგებელი/მერი უპირველესად არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და მოქმედებს მუნიციპალიტეტის სახელით.

გამგებელი/მერი არის მუნიციპალიტეტის უმთავრესი ფიგურა, რომელსაც აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი „უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებას“. ცხადია, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებაში უდიდესი როლი ენიჭება როგორც საკრებულოს, ასევე გამგეობის/მერიის სამსახურებს, მაგრამ მთავარი პასუხისმგებლობა, როგორც მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირზე, სწორედ გამგებელზე/მერზე გადადის. ამიტომაც, გამგებელი/მერი უნდა იყოს არა მხოლოდ კარგი მენეჯერი, რომელიც მოახერხებს უხელმძღვანელოს და მართოს თვითმმართველობის მოხელეთა კორპუსი, არამედ უპირატესად უნდა იყოს კარგი პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებს პოლიტიკური პროცესების სწორად წარმართვას და როგორც მოსახლეობის, ასევე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის ნდობის შენარჩუნებას. გამგებლის/მერის ამგვარი სტატუსი განაპირობებს მისი საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრის სპეციფიკას: ერთი მხრივ მისი საქმიანობა მიმართულია პოლიტიკური პროცესების მართვაზე, მოსახლეობისა და საკრებულოს უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინებასა და მიღებული ნდობის შენარჩუნებაზე („გამგებელი/მერი ანგარიშვალდებულია საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე“), ხოლო, მეორე მხრივ, მმართველობითი ფუნქციების განხორციელებაზე („უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებას“).

### თავი II. აღმასრულებელი ორგანოს დანახაზულების – გამგეობის/მერიის სტატუსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად „გამგეობა/მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დანახაზულება, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელებას“. ამდენად, გამგეობა/მერია წარმოადგენს არა ორგანოს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი კომპეტენციები, არამედ ორგანოს დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ორგანიზაციას, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს აღმასრულებელი ორგანოს –

გამგებლის/მერის უფლებამოსილებათა განხორციელება. შესაბამისად, ტერმინი „გამგეობა/მერია“ გამოხატავს გამგებლის/მერის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების ერთობას და არა ორგანოს. ამაზე მიუთითებს კოდექსის 50-ე მუხლის ჩანაწერიც, რომ „გამგეობა/მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან“. თუმცა, კოდექსის 52-ე მუხლი უფრო აფართოებს ამ ტერმინს და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების გარდა გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებად მიიჩნევს გამგებელს/მერს და გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს (მოადგილეებს). მიუხედავად ასეთი ჩანაწერისა, ეს მაინც არ ცვლის გამგეობის/მერიის სტატუსს და იგი წარმოადგენს გამგებლის/მერის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებას.

### **თავი III. აღმასრულებელი ინსტიტუციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ინსტიტუციის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს ქმნის:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
3. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
6. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
8. საქართველოს „დარგობრივი“ კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები;
9. საკრებულოს რეგლამენტი;
10. გამგეობის/მერიის დებულება;
11. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

**ა) საქართველოს კონსტიტუცია.** საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წლის 15 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკითხთა ის წრე, რომელიც შეეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის და მათ შორის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციონირების საკითხებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „4. თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას“. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანამდე მხოლოდ ეს ერთი პუნქტი ეხებოდა თვითმმართველობის საკითხს და მოცემული იყო, რომ: „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისა-

ზღვრება ორგანული კანონით“. შეტანილი ცვლილებით მოხდა თვითმმართველობის განხორციელების მიზმა თვითმმართველ ერთეულთან. საქართველოს მოქალაქემ თვითმმართველობის უფლება შეიძლება განახორციელოს მხოლოდ იმ თვითმმართველ ერთეულში, სადაც ის არის რეგისტრირებული. აქვე გაჩნდა მნიშვნელოვანი ჩანაწერი, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ თვითმმართველობის განვითარებას.

ცვლილება შეეხო კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს, რომლის მიხედვით გარანტირებულია თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან. ცვლილების შეტანამდე ანაზღაურება ხდებოდა მხოლოდ სახელმწიფო სახსრებიდან. ეს ჩანაწერი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა თვითმმართველობის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპს.

მნიშვნელოვანია ცვლილება, რომელიც შევიდა კონსტიტუციის 89-ე მუხლში. ამ ცვლილებით საკრებულოს უფლება მიეცა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხზე კონსტიტუციის VIII<sup>1</sup> თავთან შესაბამისობის თაობაზე.

კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის VIII<sup>1</sup> თავის დამატება, რომელიც მთლიანად ეხება ადგილობრივ თვითმმართველობას. კონსტიტუციის 101<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“. აქვეა დადგენილი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების იერარქია: „ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდებული არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე“.

კონსტიტუციის 101<sup>2</sup>-ე მუხლი ეძღვნება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების საკითხს. ამ მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობათა გამიჯვნა, მოცემულია თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების კლასიფიკაცია (უფლებამოსილების დაყოფა საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებად) და დადგენილია, რომ მხოლოდ ორგანული კანონით შეიძლება განისაზღვროს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების ძირითადი პრინციპები და უფლება-მოვალეობები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი აღიარებს თვითმმართველი ერთეულის კანონით განსაზღვრულ საკუთარ უფლებამოსილებათა ექსკლუზიურობას და ადგენს ამ უფლებამოსილებათა განხორციელების პრინციპებს. საქართველოს თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილებებს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

კონსტიტუციის 101<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი აღიარებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ თვითმმართველობის უფლებამოსილების განსაზღვრის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლის თანახმად, „თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით“. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტი ეხება უფლებამოსილებათა დელეგირების წესს და დელეგირების ე.წ.

კომპენსაციის პრინციპს, რომლის თანახმად, უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება „მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, რომელთა ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება კანონით“.

კონსტიტუციის 101<sup>3</sup>-ე მუხლით აღიარებულია თვითმმართველი ერთეულის უფლება ჰქონდეს საკუთარი ქონება და ფინანსები, კონსტიტუციურად უზრუნველყოფილია თვითმმართველი ერთეულის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, დადგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მიზანი.

**ბ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.** ქარტია განსაზღვრავს თვითმმართველობის განხორციელების ძირითად პრინციპებს. იგი რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 26 ოქტომბერს, რის შემდეგ ქარტია გახდა საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილი და მასში მოცემული პრინციპების დაცვა სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

**გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.** ორგანული კანონი არის ის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის პრინციპების შესაბამისად განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ამიტომ, ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი კანონია, რომელიც ქმნის თვითმმართველობის, როგორც წარმომადგენლობით, ასევე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს.

**დ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“.** კოდექსი ადგენს, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრისა და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

**ე) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.** ეს კანონი განსაზღვრავს ნორმატიული აქტის მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესებს.

**ვ) საქართველოს კანონები: „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“.** ეს კანონები ადგენს მუნიციპალიტეტის და მისი ორგანოების, მათ შორის აღმასრულებელი ორგანოს – გამგებლის/მერის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს თვითმმართველი ერთეულის ფინანსებისა და ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში.

**ზ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.** ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობაში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. გარდა ზემო აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, თვითმმართველობის

აღმსრულებელი ორგანოს ფუნქციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამის სფეროებში და შესაბამისი საკითხების გადწყვეტისას, ქმნის საქართველოს 100-ზე მეტი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები, მინისტრთა ბრძანებები).

აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის მნიშვნელოვან საფუძველს, აგრეთვე ქმნის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები: გამგეობის/მერიის დებულება, საკრებულოს რეგლამენტი და გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებები. თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საქმიანობის საფუძვლებს ასევე ქმნის საკრებულოს დადგენილებები თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება თვითმმართველობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების განაკვეთები, და გამგებლის/მერის ბრძანება გამგეობის/მერიის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.

**ა) გამგეობის/მერიის დებულება.** გამგეობის/მერიის დებულებით განისაზღვრება როგორც გამგეობის/მერიის სტრუქტურა, ასევე თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს – გამგებლის/მერის და მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების – გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების: გამგებლის/მერის პირველი მოადგილის და მოადგილეების უფლებამოსილებები, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები და მის ხელმძღვანელთა უფლებამოსილება.

**ბ) გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებები.** ამ დებულებებით განისაზღვრება გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების: მართვის ფუნქციური თუ დარგობრივი სამსახურების დეტალური უფლებამოსილება, სტრუქტურა, თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების უფლება-მოვალეობები.

**გ) საკრებულოს რეგლამენტი.** საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვრება გამგებლის/მერის, როგორც საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს საკრებულოსთან ურთიერთობის პროცედურული საკითხები.

აღმასრულებელი ორგანოს დაწესებულების თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების საქმიანობის სამართლებრივ რეგლამენტაციას განსაზღვრავს ასევე გამგებლის/მერის ბრძანებები, რომლითაც მტკიცდება:

**ა) გამგეობის/მერიის შინაგანანესი.** შინაგანანესით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის შესაბამისად განისაზღვრება სამუშაოს დაწყების დრო და დასასრული; შესვენების დრო და სადღესასწაულო დღეები, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაოს დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი; სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა მოსამსახურეებამდე დაყვანისა და ხელფასის გაცემის წესები, შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები, სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი.

**ბ) გამგეობის/მერიის საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოთა აღწერილობები (თანამდებობრივი ინსტრუქციები).** ამ დოკუმენტებით განისაზღვრება გამგეობის/მერიის თითოეული საჯარო მოხელის თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფეროები, თანამდებობრივი დაქვემდებარება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.



## თავი IV. ალმასრულებელი ინსტიტუციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

მუნიციპალიტეტის ალმასრულებელი ინსტიტუციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები სამართლებრივი ხასიათის ის უმთავრესი იდეებია, რომლებიც ქმნის ალმასრულებელ ორგანოსა და მისადმი დაქვემდებარებული დაწესებულების მიზნობრივი ორიენტირის განსაზღვრისა და მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების ობიექტურად და ოპტიმალურად გადაწყვეტის საფუძველს. გამგეობის/მერიის საქმიანობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ იგი (გამგეობა/მერია) ერთდროულად არის თვითმმართველობის ორგანო, ადმინისტრაციული ორგანო და საჯარო დაწესებულება, სადაც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ალმასრულებელი ორგანო და მისადმი დაქვემდებარებული დაწესებულება უნდა ხელმძღვანელობდეს თვითმმართველობის განხორციელებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოსა და საჯარო სამსახურისათვის დადგენილი პრინციპებით. ცალკეულ შემთხვევებში ეს პრინციპები ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, კანონიერების პრინციპები საერთოა, როგორც თვითმმართველობის, ისე – ყველა ადმინისტრაციული ორგანოსა და საჯარო დაწესებულებისათვის. ამასთან, ცხადია, არის სპეციფიკური პრინციპები, რომლებიც მხოლოდ ერთი ტიპის ორგანოსათვის არის დამახასიათებელი.

### 1. მუნიციპალიტეტის ალმასრულებელი ინსტიტუციის, როგორც თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

**ა) კანონიერების პრინციპი.** ამ პრინციპის თანახმად ალმასრულებელი საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს კანონის საფუძველზე, კანონის შესაბამისად და კანონით დადგენილ ფარგლებში. თვითმმართველი ერთეულის ალმასრულებელი ინსტიტუციის მუშაობის ორგანიზაცია და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები უნდა გამომდინარეობდეს ნორმატიული აქტებიდან და მიღებულ უნდა იქნეს მათ აღსასრულებლად. ეს პრინციპი საერთოა, როგორც თვითმმართველობის, ისე – ადმინისტრაციული ორგანოებისათვის. ამ პრინციპის თანახმად, „ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“. რადგან „უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს“ („საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5 მუხლი).

**ბ) საჯაროობის პრინციპი.** ეს პრინციპი მოითხოვს თვითმმართველი ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობას, ადგილობრივი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებას, გადაწყვეტილების შემუშავებაზე, მიღებასა და აღსრულებაზე კონტროლის პროცესში მოქალაქეთა მიერ საჯარო ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობას.

ამ პრინციპის მნიშვნელობა, გამომდინარეობს თვითმმართველობის არსიდან, რომლის თანახმად, თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება. შესაბამისად, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა აუცილებელი პირობაა მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციით გარანტირებული უფლების განხორციელებისათვის. ამასთან, თვითმმართველი ერთეულის

აღმასრულებელი ინსტიტუცია ადმინისტრაციული ორგანოა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-10 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას“.

**გ) საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პრინციპი.** თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნა, რომ „მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადანყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის“. ეს მოთხოვნა ავალდებულებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ინსტიტუციას უზრუნველყოს მოქალაქეთა მონაწილეობა გადანყვეტილების მომზადების, განხილვის, მიღების, აღსრულებისა და აღსრულებაზე კონტროლის პროცესში.

**დ) ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი.** ეს პრინციპი გულისხმობს თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ორგანიზება გულისხმობს თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების დაგეგმვის, გადანყვეტილების მომზადების, მიღების, განხორციელებისა და შესრულებაზე კონტროლის ფუნქციების განაწილებას სხვადასხვა ორგანოს შორის. ფუნქციათა ასეთი განაწილება და ადგილობრივი ხელისუფლების ორი ძირითადი – წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ინსტიტუციების ერთდროული არსებობა თვითმმართველ ტერიტორიაზე ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტორებია.

**ე) მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპი.** ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით თვითმმართველობის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე. ამ პრინციპის განხორციელების ზოგადი ფორმა მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის პირველ პუნქტში: „მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში განეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს“.

მაგრამ, გამგებელი/მერი ანგარიშვალდებულია არა მხოლოდ მოსახლეობის წინაშე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „გამგებელი/მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე“. ხოლო კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით დადგენილია გამგებლის/მერის საკრებულოს წინაშე ანგარიშის ჩაბარების წესი, რომლის თანახმად, გამგებელი/მერი „საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს განუვლი მუშაობის შესახებ, აგრეთვე საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს“. გარდა საერთო ანგარიშისა, თვითმმართველობის კოდექსი ასევე ითვალისწინებს გამგებლის/მერის სპეციალურ ანგარიშებს მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულებისა და შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ.

გარდა გამგებლის/მერის ანგარიშვალდებულებისა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ასევე ადგენს გამგებლის/მერიის თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების ანგარიშგებას, როგორც იერარქიული წესით (მოხელე ანგარიშვალდებულია მისი უშუალო ხელმძღვანელის – გამგებლის/მერიის თანამდებობის პირის წინაშე, ხოლო გამგებლის/მერიის თანამდებობის პირი – გამგებლის/მერის წინაშე), ისე – ანგარიშვალდებულებას საკრებულოს წინაშეც. კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება „მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება“. ხოლო კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით საკრებულოს ბიუროს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა.

## 2. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ინსტიტუციის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ადმინისტრაციული ორგანო არის „ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. ამიტომ, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო – გამგებელი/მერი და მისადმი დაქვემდებარებული დაწესებულება – გამგებანი/მერია, ვალდებულია საქმიანობისას იხელმძღვანელოს ადმინისტრაციული ორგანოსათვის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი შემდეგი პრინციპებით:

**ა) კანონის წინაშე თანასწორობა.** „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-4 მუხლის თანახმად: „1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. 2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. 3. საქმის გარემოებათა ერთგვარობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადანყვეტილების მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ეს პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი თანასწორობის პრინციპიდან, რომლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის

ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

**ბ) დისკრეციულობა. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა.** ეს პრინციპი „ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება“. ამ პრინციპს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი დაწესებულების საქმიანობაში. უფლებამოსილებების ფართო წრე და აღმასრულებელი საქმიანობის სპეციფიკა და გადანყვეტილების აღსრულებისას სამართლებრივი ნორმის შეფარდება კონკრეტულ შემთხვევასთან, განაპირობებს აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების მოქმედების თავისუფლების აუცილებლობას, მაგრამ მოქმედების თავისუფლება არ არის აბსოლუტური. დისკრეციულობა შეზღუდულია, როგორც კანონის ჩარჩოებით და მიზნით („ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება“), ისე – საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვით. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-7 მუხლის თანახმად, „1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. 2. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა“. ამასთან ერთად, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადანყვეტილება აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წერილობით, რომელშიც მითითებულ იქნეს ყველა არსებითი ფაქტობრივი გარემოება, გადანყვეტილების ამ სახით მისაღებად.

**გ) მიუკერძოებლობა და სისრულე.** ეს პრინციპი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის სრულყოფილ შესწავლას და მის საფუძველზე ობიექტური და მიუკერძოებელი გადანყვეტილების გამოტანას. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება, მიიღოს გადანყვეტილება ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“. საკითხის შესწავლისა და გადანყვეტილების მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „2. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადანყვეტაზე“.

**დ) საიდუმლოების დაცვა და კონფიდენციალობა.** „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-11 მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღე-

ბული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია“. თუ რას წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაცია, ამის შესახებ მიუთითებს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 27<sup>1</sup>-ე, 27<sup>2</sup>-ე, 27<sup>3</sup>-ე და 27<sup>4</sup>-ე მუხლები, რომლითაც განისაზღვრება პირადი, კომერციული, პროფესიული და სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის ცნებები. ამავდროულად, კოდექსი განმარტავს საჯარო ინფორმაციის ცნებასაც. საჯარო ინფორმაცია არის „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი, ან გაგზავნილი ინფორმაცია“. საყურადღებოა, რომ კოდექსი საჯაროდ მიიჩნევს დამუშავებულ და შექმნილ ინფორმაციას და არა დამუშავების ან შექმნის პროცესში არსებულ მასალას. საჯარო მოხელის მიერ მუშაობის პროცესში არსებული მასალები (დოკუმენტის სამუშაო ვერსიები) არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. ეს მასალა საჯარო ინფორმაციად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადო წესით დარეგისტრირდება. საჯარო მოხელე დაცული უნდა იქნეს არა მხოლოდ მუშაობის პროცესში, არამედ ამ პროცესის დასრულების შემდეგაც. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 29-ე მუხლის თანახმად, „თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით“.

### 3. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ინსტიტუციის, როგორც საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. ამიტომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ინსტიტუციაში საქმიანობის სახელმძღვანელო დებულებებია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე თავით დადგენილი საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები:

**ა) კანონიერება.** საჯარო მოსამსახურე უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. საჯარო მოსამსახურის ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა საჯარო მოსამსახურის საქმიანობის საფუძველია. კონსტიტუცია არის უმაღლესი კანონი, რომელშიც ასახულია საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება – დაამკვიდრონ დემოკრატიული წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. სახელმწიფოსა და მოსახლეობის საჯარო ინტერესების უზენაესობის დაცვა საჯარო სამსახურისა და საჯარო მოსამსახურის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა.

**ბ) ერთგულება.** საჯარო მოსამსახურე ვალდებულია თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ურყევად დაიცვას საჯარო სამსახურის პრინციპები და საჯარო ინტერესები.

**გ) კანონის წინაშე თანასწორობა.** ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე. დაუმეგობელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების

მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებებისათვის ხელის შეშლა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

**დ) ეკონომიურობა და ეფექტიანობა.** საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

**ე) დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახური.** მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილება და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

**ვ) მიუკერძოებლობა.** საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიუკერძოებელი უნდა იყოს და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა.

**ზ) საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა.** საქართველოს ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჯარო სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობა, მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად. საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა კონსტიტუციით აღიარებული ნორმაა. ამ ნორმის განხორციელება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს საჯარო სამსახურის ღიაობაზე. საჯარო სამსახური არ არის რომელიმე პარტიის, ან საზოგადოებრივი ჯგუფის განსაკუთრებული პრივილეგია. საჯარო სამსახური იმიტომაც არის საჯარო, რომ იგი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამასთან, ეს პრინციპი მიუთითებს იმაზეც, რომ საჯარო სამსახურში პირი მხოლოდ მისი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად უნდა იკავებდეს ადგილს.

**თ) ანგარიშვალდებულება.** საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისთვის პირადად აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ი) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.** პოლიტიკისა და საჯარო სამსახურის გამიჯვნა არის უმთავრესი პირობა საზოგადო ინტერესების დასაცავად. საჯარო ინტერესი არის საზოგადოების საერთო ნება და შესაბამისად არ არის ნაკარნახევი რომელიმე პარტიის, რელიგიური ჯგუფის, თუ სხვა კერძო პირის შეხედულებით. საჯარო მოსამსახურის ქმედება უნდა ემსახურებოდეს საერთო, საჯარო ინტერესებს და არ უნდა იყოს შეზღუდული პარტიული ან რაიმე კერძო ინტერესით. ამიტომ, საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/და ინ-

ტერესებისათვის გამოიყენოს. საჯარო მოსამსახურეს ასევე უფლება არა აქვს, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერი ან სანინალმდებლო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

**კ) კარიერული განვითარება.** საჯარო სამსახურში კარიერული განვითარება ემყარება შეფასების სამართლიან სისტემას და სხვა მექანიზმებზე დაფუძნებულ პროფესიულ განვითარებას. ეს პრინციპი დაკავშირებულია საჯარო სამსახურის კადრების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან. საჯარო მოხელეთა კორუფციის ჩამოყალიბება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. იგი ეფუძნება საუკუნოვან ტრადიციებს, დაგროვილ გამოცდილებასა და მემკვიდრეობითობას. ყველაფერი ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კადრების სტაბილურობის შემთხვევაში. ახლად მიღებულ მოხელეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეიძინოს გამოცდილება და აიმაღლოს პროფესიული კომპეტენცია უფროს კოლეგებთან ურთიერთობით. საჯარო სამსახური სხვებისაგან განსხვავებით, ყველაზე უფრო „ტრადიციული“ და „კონსერვატორულია“. სწორედ ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა კადრების სტაბილურობას, რადგან კადრების დენადობა ყველაზე მეტ უარყოფით ზეგავლენას ახდენს საჯარო სამსახურის მუშაობაზე.

**ლ) გამჭვირვალობა და ღიაობა.** საჯარო სამსახური ხორციელდება გამჭვირვალედ და ღიად. საქმიანობის გამჭვირვალობა არის საჯარო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. საჯარო სამსახური მიმართულია საზოგადოებისა და ყოველი მოქალაქის ინტერესების დასაცავად. საჯარო ინტერესების ფორმირება და მათი დაცვა დამოკიდებულია საჯარო დაწესებულებისა და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთობაზე. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ როგორ ხდება მათი ინტერესების გამოხატვა და დაცვა. ამ ურთიერთობაში, სწორედ საზოგადოებაა წამყვანი და არა – საჯარო სამსახური, სწორედ საზოგადოებაა დამკვეთი, ხოლო საჯარო მოსამსახურე ამ დაკვეთის შემსრულებელი.

**მ) მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვა.** ხალხისა და სახელმწიფოს ერთგულების პრინციპის დაცვის ხელშესაწყობად საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები. საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა არის საჯარო ინტერესების აღიარებისა და პატივისცემის გამოხატულება და არა – ამ სამსახურის „პრესტიჟულობის“ მაჩვენებელი. საჯარო მოსამსახურის სოციალური მდგომარეობისა და მისი ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის ზრუნვა არის იმ საქმიანობის დაფასება, რომელსაც იგი ემსახურება. ამიტომ მიეკუთვნება ეს, ერთი შეხედვით, ყოფითი საკითხი საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპს.

## პარტი II

### მუნიციპალური მმართველობა. მუნიციპალური მმართველობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

#### თავი I. მუნიციპალური მმართველობის არსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „გამგებელი/მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად“. ეს ჩანანერი, ცხადია, არ ნიშნავს, რომ გამგებელი/მერი ერთპიროვნულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებას. გამგებელი/მერი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას ახორციელებს წარმომადგენლობით ორგანოსთან ერთად და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი დანქნებულების – გამგეობის/მერიის დახმარებით. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციის განსაზღვრა ვინრო გაგებით, როგორც კონკრეტული მოქმედების შესრულება არ არის სწორი, რადგან ფუნქცია არის მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთო მიზნის მიღწევისათვის კონკრეტული ამოცანების შესრულებას. ამგვარად, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია იმ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომელიც ემსახურება თვითმმართველი ერთეულის განვითარებას და, ზოგადად, თვითმმართველობის განხორციელებას, ანუ თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საჯარო ინტერესებისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ეს არის ის სპეციფიკა, რომლითაც თვითმმართველობის ორგანოების მმართველობითი ფუნქციები პრინციპულად განსხვავდება სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციის მართვის ფუნქციებისგან. თვითმმართველობის ორგანოები ეწევიან განსაკუთრებული ტიპის მმართველობით საქმიანობას, რომელიც განისაზღვრება როგორც მუნიციპალური მმართველობა. ტერმინი „მუნიციპალური მმართველობა“ ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად დამკვიდრებული საქართველოს კანონმდებლობაში. ამ ტერმინის შემოღებას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგან სხვა შემთხვევაში ძნელია თავი დავაღწიოთ მართვის გაგების საბჭოურ სტერეოტიპს. საბჭოური გაგება გამოირიცხავს თვითმმართველობას და მართვას განიხილავს მხოლოდ ორ ძირითად ასპექტში: პირველი გულისხმობს მატერიალური სიკეთის წარმოებასა და მომსახურებას (მეურნეობის მართვა), ხოლო მეორე – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას (სახელმწიფო მმართველობა). შესაბამისად, ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის (სოფელი, თემი, ქალაქი) განვითარების მართვა მოქცეული იყო, ერთი მხრივ, სახელმწიფო მართვის (სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან ვერტიკალში შემავალი საბჭოების), ხოლო, მეორე მხრივ, სამეურნეო მართვის (დარგობრივი სამინისტროები და უწყებები) სისტემაში. თვითმმართველობის შემოღება და თვითმმართველი ერთეულების არსებობა მოითხოვს მართვის ახალი ფორმის – მუნიციპალური



მართვის დამკვიდრებას. მუნიციპალური მმართველობის დამახასიათებელი ნიშნებია ის, რომ:

- მუნიციპალური მმართველობა ეფუძნება თვითმმართველობის პრინციპებს;
- მუნიციპალური მმართველის სისტემაში მართვის ობიექტს წარმოადგენს ლოკალური ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური პროცესები;
- მუნიციპალური მართვის სისტემაში არსებობს მართვის ორი სუბიექტი: თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობა და ამ მოსახლეობის სახელით მოქმედი თვითმმართველობის ორგანოები.

მუნიციპალური მართვის სპეციფიკურობა განაპირობებს თვით მართვის პროცესის განსხვავებულ ხასიათსაც და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესების გათვალისწინებას;
- მუნიციპალური მართვის საკითხებზე სტრატეგიული და ნორმატიული ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებას მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ურთიერთთანამშრომლობასა და მათი საქმიანობის ერთიან სისტემაში მოქცევას;
- მართვის პროცესის ყველა სტადიაზე მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფას;
- პროფესიულ კონტროლთან ერთად, კონტროლის სპეციალური სახის – საზოგადოებრივი კონტროლის გამოყენებას;
- თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულებას მოსახლეობის წინაშე.

ამ პრინციპების დაცვა, რა თქმა უნდა, ართულებს მმართველობით პროცესს, თუმცა ამავედროულად უზრუნველყოფს როგორც გადაწყვეტილების ხარისხს, ისე – კონტროლის ეფექტურობას. თვითმმართველობის განხორციელების უმთავრესი მიზანია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფით. პროცესის ხისტი და მექანიკური გამიჯვნა გადაწყვეტილების მიღებად და გადაწყვეტილების აღსრულებად, არასწორია. გადაწყვეტილების მიღებაც და აღსრულებაც ერთიანი პროცესია, რომელიც შედგება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული სტადიებისაგან:

- **ინფორმაციის შეგროვება და პერიოდული განახლება** მოიცავს როგორც თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროს, ისე – თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების, თემების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და პერიოდულ განახლებას;
- **პრობლემების გამოვლენა.** მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება არსებული (დარგში თუ ადმინისტრაციულ ერთეულში) პრობლემების გამოვლენა, მათი სისტემატიზაცია და ურთიერთკავშირის დადგენა;
- **პრობლემების ანალიზი და მათი გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შეფასება.** ამ ეტაპზე დაზუსტდება პრობლემის არსი, შეფასდება მის გადა-

საწყვეტად საჭირო რესურსები, გამოიკვეთება პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზები, დგინდება თითოეული გზის რისკ-ფაქტორები და ფასდება კანონიერების, ეფექტიანობის, რაციონალობის, ეკონომიურობისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით;

- **პრიორიტეტების განსაზღვრა.** განისაზღვრება განვითარების ძირითადი მიმართულებები და ჯგუფდება ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროა მიზნის მისაღწევად;
- **მისაღწევი მდგომარეობის მოდელირება.** მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენით განისაზღვრება თუ რა შედეგები უნდა იქნას მიღწეული;
- **არსებული მდგომარეობის შედარება მისაღწევი მდგომარეობასთან.** ვლინდება არსებული მდგომარეობიდან რა უნდა შენარჩუნდეს, განვითარდეს და რა უნდა გაუქმდეს;
- **პროცესის უზრუნველყოფის აღწერა.** განისაზღვრება ის რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და ა.შ.), რომლებიც საჭიროა მიზნის მისაღწევად, ასევე მიზნის მიღწევის მეთოდები და მათი თანამიმდევრობა;
- **მისაღწევი გადაწყვეტილების ფორმულირება.** მზადდება სამართლებრივი აქტის პროექტი;
- **გადაწყვეტილების მიღება და გაფორმება.** მიიღება შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი;
- **გადაწყვეტილების შესრულების დაგეგმვა.** განისაზღვრება გადაწყვეტილების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა თანამიმდევრობა და შესრულების ვადები;
- **შესრულების მიმდინარეობის კონტროლი.** განისაზღვრება კონტროლის განხორციელების მეთოდები და კონტროლის ჩატარების პერიოდულობა;
- **შესრულების შესახებ ანგარიშგება და შეფასება.** განისაზღვრება საჭირო კრიტერიუმები განხორციელებული ღონისძიების ეფექტიანობის შეფასებისათვის და ანგარიშგების პერიოდულობა, რომლის მიზანია არა მხოლოდ პროცესის მონაწილეების პასუხისმგებლობათა გამოკვეთა, არამედ დაგეგმვის ახალი ციკლის მომზადება;

ყოველი ამ სტადიის წარმატებით გავლა დამოკიდებულია არა მხოლოდ გამგეობის/მერიის მოხელეთა პროფესიონალიზმზე, არამედ ყოველ სტადიაში საკრებულოსა და მოსახლეობის მონაწილეობასა და აქტიურობაზე. სწორედ, მათი მონაწილეობა და აქტიურობა არის მუნიციპალური პოლიტიკის განმსაზღვრელი.

თვითმმართველობის განხორციელება და მუნიციპალური მართვა ეყრდნობა ორ საფუძველს: კანონიერებას და ეფექტიანობას. პირველი გულისხმობს იმას, რომ თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს კანონმდებლობის ჩარჩოებში. ეს საფუძველი ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის ერთნაირია. კანონი ყველას თანაბრად ეხება. კანონით ყველა თვითმმართველ ერთეულს თანაბარი უფლებამოსილება აქვს. მაგრამ, მუნიციპალური მმართველობისათვის განმსაზღვრელია არა მხოლოდ კანონიერება, არამედ – მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობაც. უფლებამოსილების გამოყენების ფორმები, თანამიმდევრულობა და თვითმმართველობის პრინციპების დაცვის ხარისხი განსაზღვრავს და განაპირობებს მუნიციპალურ პოლიტიკას, როგორც ურთიერთდაკავშირებული მიზნებისა და მისი განხორციელების მექანიზმების ერთიან სისტემას.

კანონი იძლევა პასუხს, რა ეკრძალება და რისი უფლება აქვს თვითმმართველ ერთეულს, ხოლო როგორ და რისი გაკეთებაა მიზანშეწონილი, ამაზე პასუხს იძლევა მუნიციპალური პოლიტიკა. სტრატეგიული მიზნის დასახვა, გადასაწყვეტი ამოცანების განსაზღვრა, შესრულების გზების, განხორციელების ფორმებისა და მეთოდების შერჩევა არის ის საკითხები, რომლითაც დგება მუნიციპალური პოლიტიკა და რომლითაც თვითმმართველი ერთეულები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამდენად, თვითმმართველობის განხორციელების ეფექტურობა მუნიციპალური პოლიტიკის განსაზღვრაზე დამოკიდებული. მაგრამ, მუნიციპალური პოლიტიკა შეუძლებელია განსაზღვროს განვითარების სტრატეგიის გარეშე. მუნიციპალური მმართველობის სპეციფიკურობაც და სირთულეც მდგომარეობს რესურსების სიმწირის ფონზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის, მაგრამ გადაუდებელი პრობლემების სიმრავლეში. ეს მდგომარეობა განაპირობებს თვითმმართველი ერთეულის ხელთ არსებული რესურსების მიმართვას ამ გადაუდებელი მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტაზე და პრაქტიკულად არ ხდება სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა. ამგვარი მიდგომა წარმოშობს ქრონიკულ კრიზისულ მდგომარეობას. თითქოსდა, მოგვარებული პრობლემები პერიოდულად ხელახლა მწვავდება იგივე ან განსხვავებული სახით. შესაბამისად, მათ გადასაწყვეტად მიმართული რესურსებიც ფუჭია. გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ სტრატეგიულ მართვასა და დაგეგმვაში, რომელიც გულისხმობს 4 ურთიერთდაკავშირებული ბლოკის არსებობას:

- 1. განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას** – მოიცავს თვითმმართველი ერთეულის მთავარი მიზნისა და მისგან გამომდინარე კონკრეტული მიზნების ჩამოყალიბებას, თვითმმართველი ერთეულის განვითარების კონცეფციის შემუშავებას, გრძელვადიანი მიზნებისა და განვითარების ორიენტირებისა და მათგან გამომდინარე კონკრეტული მუნიციპალური პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრას;
- 2. დაგეგმვას** – მოიცავს განვითარების სტრატეგიისა და მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელების მიზნით შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებას, შესრულების ეტაპებისა და შესრულების სამოქმედო გეგმის განსაზღვრას;
- 3. სამართლებრივ-მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას** – გულისხმობს სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო ნორმატიულ-სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნას;
- 4. ორგანიზაციულ უზრუნველყოფას** – მოიცავს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი დანესებულების ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას, სტრუქტურულ ერთეულებში ფუნქციების სწორად განაწილებას, მოხელეთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

## თავი II. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი დანასჯულების საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

თვითმმართველი ერთეულის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა და სწორი დაგეგმვა თვითმმართველობის ეფექტური განხორციელების უმთავრესი საწინდარია. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს თვითმმართველი ერთეულის განვითარების გრძელვადიანი ხედვისა და მუნიციპალური პოლიტიკის სტრატეგიის პროექტის შემუშავება და მიღებული სტრატეგიის შესრულება. სტრატეგიული დაგეგმვის გარეშე აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის შემოფარგვლა მხოლოდ ოპერატიული ღონისძიებებით ვერ იქნება რეალური შედეგის მომტანი და გამოიწვევს რესურსების მხოლოდ ფუჭ ხარჯვას.

განვითარების დაგეგმვა ნიშნავს მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობისა და რესურსების ობიექტურ აღწერასა და შეფასებას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, იმ პოტენციალის განსაზღვრას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილური პოზიტიური ცვლილება და განვითარება, მუნიციპალიტეტის პოტენციალის გათვალისწინებით პრიორიტეტების განსაზღვრა, პრიორიტეტულ მიმართულებათა განხორციელების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმის შედგენა და მათი შესრულება.

განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მდგრად განვითარებას, ეხმარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მიიღონ ყოველ მიმდინარე საკითხზე სწორი გადაწყვეტილებები. ამავდროულად განვითარების დაგეგმვა და განხორციელება წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის თანამშრომლობის უზრუნველყოფის საუკეთესო ინსტრუმენტს. განვითარების დაგეგმვა იძლევა ყველასათვის გასაგებ პასუხს უმთავრეს აქტუალურ კითხვებზე – რა, სად, როდის და რატომ უნდა განხორციელდეს. ეს არის ის კითხვები, რომელშიც ვლინდება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. ამ კითხვებზე პასუხების ძიება არის ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობის ჩამოყალიბების საფუძველი. ეს არის ერთგვარი შეთანხმება მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის, რომ ერთობლივად იზრუნონ საერთო პრობლემების გადაწყვეტაზე. ასეთ ვითარებაში მოსახლეობაც და თვითმმართველობის ორგანოებიც დგებიან ერთ მხარეზე და თანაბრად ხდებიან დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის სუბიექტები. ეს არის შესაძლებლობა აღმოიფხვრას მოსახლეობის ინდიფერენტიზმი და უნდობლობა მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ასე, რომ, ეს არის გზა როგორც მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ისე – პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა, ერთი მხრივ, ამაღლებს მოქალაქეთა ცნობიერებას „ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხის უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთინის და ავარჯიშებს“ (ილია ჭავჭავაძე), ხოლო, მეორე მხრივ, აძლიერებს თვითმმართველობის ორგანოთა პასუხისმგებლობას, რეალურ შინაარსს სძენს

მოსახლეობის წინაშე მათ ანგარიშვალდებულებას და იძლევა იმის გარანტიას, რომ განვითარების დაგეგმვის მიზნით მიღებული დოკუმენტები ქალაქში არ დარჩება.

განვითარების დაგეგმვის საკანონმდებლო ბაზისი შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა. რომლის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას და განხორციელებას“. მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიით უნდა განისაზღვროს განვითარების მიზნები, მიმართულებები და პრიორიტეტები. სამწუხაროდ, გარდა ამ ჩანაწერისა, საქართველოს კანონმდებლობით გრძელვადიანი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების სტატუსი, მისი ვადა, მათი მომზადების, მიღებისა და განხორციელების წესი არ არის დადგენილი. ამიტომაც, ჯერ-ჯერობით ასეთი გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება და მიღება არ ხდება. ერთადერთი შედარებით უფრო გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლის არსებობასაც ითვალისწინებს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე მუხლი. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ“. კოდექსის 76-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:


- გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;
- დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებსა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს. აგრეთვე, მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

როგორც ვხედავთ, საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მოქმედების ვადა უნდა მოიცავდეს 4 წელს (დასაგეგმი საბიუჯეტო წელი და დასაგეგმის შემდგომი 3 საბიუჯეტო წელი). გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის, როცა მოვლენები საკმაოდ სწრაფად და დინამიკურად ვითარდება, ძნელია უფრო ხანგრძლივი პროგნოზების გაკეთება, მეორე მხრივ, რაც უფრო გრძელვადიანია პროგრამა, მით უფრო შესაძლებელია სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, განვითარების პროგრამა საშუალოვადიანია იგი, თუ – გრძელვადიანი, უნდა ემსახუროდეს განსაზღვრული მიზნის მიღწევას და ეფუძნებოდეს შესაბამის

პრინციპებს.

თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიისა, თუ პრიორიტეტების დოკუმენტის მიზანი გამომდინარეობს თვითმმართველობის დანიშნულებიდან. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის თანახმად, თვითმმართველობა ნიშნავს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას. ამ დებულების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ თვითმმართველობისა და მუნიციპალური მმართველობის მთავარი მიზანი – თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელება და თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს ამ მიზანს მოსახლეობის ინტერესების დასაცავად.

მთავარი მიზანი – მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად მიმართულებად: 1) მოსახლეობის ცხოვრებისათვის სასიკეთო გარემოს შექმნა და 2) მოქალაქის შესაძლებლობების განვითარება (სოციალური პოლიტიკა). პირველი მიმართულების მიზანია შექმნას ისეთი გარემო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მეორე მიმართულება კი მიზნად ისახავს უშუალოდ ადამიანის შესაძლებლობების გაძლიერებას. ამ ქვემიზნების მიხედვით ყოველ მიმართულებაში შეიძლება გამოვყოთ კონკრეტული სფეროები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ქვემიზნის მიღწევა.



მოცემული სქემა ასახავს მუნიციპალური მმართველობის მიზნებს და ასევე – თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებსაც და ნათლად მიუთითებს საქმიანობის ყველა სფეროს კომპლექსურად განვითარების აუცილებლობაზე.

მუნიციპალიტეტის უფლება-მოვალეობები წარმოადგენს ერთიან კომპლექსს, რომელიც ემსახურება მთავარ მიზანს. ამ უფლება-მოვალეობებისა და საქმიანობის მიმართულებების ფრაგმენტულად, ურთიერთმონეცვლად განხილვა, კონკრეტული საქმიანობის შესრულება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებაში შემავალი სხვა საკითხებისა და სფეროების გათვალისწინებლად რეალურ შედეგს ვერ მოიტანს. ამიტომ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრისას უმთავრესი მნიშ-

ვნელობა ენიჭება სტრატეგიული დოკუმენტის (თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგია, თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი) შემუშავებასა და განხორციელებას. სწორედ ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ამ თუ იმ თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სფეროების მიხედვით გასატარებელ მუნიციპალურ პოლიტიკას და თავად აღმასრულებელი დანესებულების სტრუქტურასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- 1) თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვა: საშუალოვადიანი პერიოდისათვის განვითარების პრობლემების, მათი დაძლევის გზების, მისაღწევი მიზნებისა და ამოცანების, საჭირო რესურსების ზოგადი განსაზღვრა (მუნიციპალური პოლიტიკა);
- 2) მუნიციპალური პოლიტიკის მიხედვით შესაბამისი დარგებისა და ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- 3) თვითმმართველი ერთეულის განვითარების პროგრამების უზრუნველყოფა შესაბამისი მატერიალური რესურსებით (მუნიციპალური ქონების გამოყენების დაგეგმვა, პროგრამული მიზნების შესაბამისად ამ ქონებით სარგებლობა, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტირება პროგრამული მიზნების მიხედვით ფინანსური გეგმების შედგენა და განხორციელება);
- 4) მუნიციპალიტეტის განვითარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- 5) შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, შეფასება, დაგეგმვისა და დაგეგმილი პროგრამების კორექტირება, ანგარიშგება და მიღწეული შედეგების მიხედვით დაგეგმვის ახალი ციკლის დაწყება.

### **თავი III. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტები და პრინციპები**

#### **1. დაგეგმვის დოკუმენტები**

მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვა არის კომპლექსური და თანამიმდევრული პროცესი, რომლის დროსაც შემუშავდება დაგეგმვის დოკუმენტები. დაგეგმვის დოკუმენტები ფორმისა და მოქმედების ვადის მიხედვით, შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ტიპად:

- ა) **კონცეფცია** – როგორც წესი, მოცემულია განვითარების კონცეპტუალური საკითხები, ძირითადი მიზნები და პრინციპები. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის განვითარების იდეოლოგია, ფილოსოფია, ზოგადი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც კონკრეტული ვადით არ არის შემოსაზღვრული;
- ბ) **სტრატეგია** – როგორც წესი, წარმოადგენს საშუალო (5-10 წწ.) ან გრძელვადიან (10-15 წწ.) დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება განვითარების პრიორიტეტები, ამოცანები, მათი შესრულების გზები და ეტაპები;
- გ) **პროგრამა (პრიორიტეტების დოკუმენტი)** – არის მოკლევადიანი (3-5 წწ.) დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს განვითარების სტრატეგიის რეალიზაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და პროექტების ერთობლიობას;

**დ) სამოქმედო გეგმა** – არის მოკლევადიანი (1-2 წწ.) დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება პროგრამებში აღნიშნული ღონისძიებებისა და პროექტების თანმიმდევრობა, შესრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო, შესრულების ვადები, დაფინანსების მოცულობა და წყაროები.

დაგეგმვის დოკუმენტების ეს კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, პირობითია და დამოკიდებულია ქვეყანასა თუ თვითმმართველ ერთეულში მიმდინარე პროცესებზე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც არ დასრულებულა რადიკალური რეფორმების პროცესი, როგორც წესი, ძირითადი აქცენტი კეთდება საშუალო და მოკლევადიან გეგმებზე. ამ დოკუმენტებში ნაკლებადაა წარმოდგენილი კონკრეტულად საკითხები და ძირითადად განისაზღვრება:

- მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სურათი, თვითმმართველი ერთეულის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;
- მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემები;
- განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები;
- პრიორიტეტული მიზნები და ამოცანები;
- პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად და ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო რესურსები;
- სამოქმედო გეზი, სამოქმედო პროგრამები და მათი განხორციელების შეფასების კრიტერიუმები;
- შემოსავლებისა და ხარჯების ფინანსური გეგმა (წლის ბიუჯეტი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვისათვის ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა:

- ა) სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტები – დასახლებისა და თვითმმართველი ერთეულის განაშენიანების გენერალური გეგმები და სხვ.;
- გ) დარგობრივი და დასახლების განვითარების კომპლექსური პროგრამები და საინვესტიციო პროექტები.

## 2. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის პრინციპები

მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვა უნდა დაეფუძნოს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

**1. კანონიერება** – ეს პრინციპი გულისხმობს დაგეგმვის პროცესის წარმართვას მოქმედი კანონმდებლობისა და თვითმმართველი ერთეულის სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ წესრიგდება პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამების, საინვესტიციო პროგრამებისა და პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის შინაარსი, მათი შედგენის ძირითადი ეტაპები და ურთიერთმიმართება. რაც შეეხება დაგეგმვის დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგიას და დაგეგმვის პროცესის ორგანიზების წესებს, ეს საკითხები უნდა მოწესრიგდეს მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით.

**2. ინფორმაციის ობიექტურობა და სანდოობა** – მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვა ობიექტურ და სანდო ინფორმაციას უნდა ემყარებოდეს. ამისათვის სავალდებულოა:

- ა) საინფორმაციო პროცესების (ინფორმაციის მოპოვება, სელექცია, და-



მუშავება, ანალიზი, ახალი ინფორმაციის შექმნა და განაწილება) რაციონალური მართვა, გამართული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის აწყობა;

ბ) დაგეგმვის პროცესში ოფიციალური სტატისტიკის გამოყენება და ადგილობრივი სამსახურების მიერ ოფიციალური სტატისტიკის სწორად, ზუსტად და თანამიმდევრულად წარმოება, სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დაცვა.

**3. რაციონალური გათვლა** – მუნიციპალიტეტის განვითარება რაციონალურად და თანამიმდევრულად უნდა დაიგეგმოს. საჭირო ინფორმაციის გაანალიზება მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა მოხდეს, სწორედ ლოგიკური კავშირების შესაბამისად უნდა განისაზღვროს განვითარების მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტები. ამასთან, დასახული პრიორიტეტები და გეგმები უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის ხელთარსებულ რესურსებს და ამ რესურსების რაციონალურად გამოყენებას. პრიორიტეტების მიხედვით უნდა დაიგეგმოს მუნიციპალური პროგრამები და საინვესტიციო პროექტები, რომელთა შესაფასებლადაც უნდა შეირჩეს ობიექტურად გაზომვადი კრიტერიუმები.

**4. უწყვეტობა** – მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვა უწყვეტი ციკლის ხასიათს ატარებდეს. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად, პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება ყოველწლიურად, შემდგომი დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და მომდევნო სამწლიანი პერიოდისათვის (საშუალოვადიანი დაგეგმვა). ამრიგად, ყოველ მომდევნო წელს, მიღწეული შედეგებისა და არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე, უნდა ხდებოდეს უკვე დამტკიცებული პრიორიტეტების დაზუსტება და კორექტირება.

**5. კომპლექსური დაგეგმვა** – მუნიციპალიტეტის განვითარება კომპლექსურად უნდა დაიგეგმოს და ერთდროულად მოიცავდეს როგორც დარგობრივ, ისე – ტერიტორიულ დაგეგმვას. პრიორიტეტების გამოკვეთა უნდა წარმოებდეს ცალკეული დარგებისა და მუნიციპალიტეტის დასახლებების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა როგორც შინაარსით, ასევე პროცედურულადაც უკავშირდებოდეს სივრცით-ტერიტორიულ გეგმარებას. განვითარების მიზნები და ამოცანები უნდა აისახოს ქალაქგეგმარებით დოკუმენტებში. ასევე, ქალაქგეგმარების ლოგიკა, თავის მხრივ, გავლენას უნდა ახდენდეს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრაზე. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავება და მიღება წარმოადგენს საბიუჯეტო დაგეგმვის განუყოფელ ნაწილს და ცხადია, რომ ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვა უშუალოდ არის დამოკიდებული პრიორიტეტების განსაზღვრაზე, პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების შემუშავებაზე. ამავდროულად, თავისთავად ცხადია, პრიორიტეტების და პროგრამების დაგეგმვა დამოკიდებულია საბიუჯეტო შემოსავლებზე.

**6. პასუხისმგებლობათა ზუსტი და მკაფიო განაწილება** – დაგეგმვის დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების პროცესში ზუსტად და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თვითმმართველობის თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

**7. ეროვნულ და რეგიონულ განვითარებასთან თავსებადობა** – მუნიციპალური განვითარების დაგეგმვა თავსებადი უნდა იყოს ქვეყნის ეროვნულ და რეგიონულ განვითარებასთან. მუნიციპალური დაგეგმვის დოკუმენტები უნდა

შეესაბამებოდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს, რეგიონული განვითარების ეროვნულ სტრატეგიას, რეგიონის განვითარების სტრატეგიასა და გეგმას. ამ მიზნით, პროცედურულად უნდა იყოს გარანტირებული პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისას, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მეშვეობით კონსულტაციების ჩატარება სახელმწიფო რწმუნებულთან/გუბერნატორთან.

**8. სამართლიანობა** – გულისხმობს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ყველა მოქალაქისათვის ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ღირებულებებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

**9. მდგრადობა** – გულისხმობს რეგიონული განვითარების მიზნით განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების ხანგრძლივობას ტექნიკური, ინსტიტუციური და ფინანსური კუთხით.

**10. სოციალური ორიენტაცია** – მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვა სოციალურად უნდა იყოს ორიენტირებული. მის უმთავრეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლება.

**11. პარტნიორობა** – მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო სექტორებთან პარტნიორობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას, და, რაც მთავარია, მუნიციპალური პროგრამებისა და საინვესტიციო პროექტების შემუშავებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ბიზნესსექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებასა და მათ თანამონაწილეობაზე.

**12. მოქალაქეთა თანამონაწილეობა და ტრანსფარენტულობა** – მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის პროცესში გარანტირებული უნდა იყოს მოქალაქეთა თანამონაწილეობა, თავად პროცესი კი საჯარო, ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს. დაგეგმვის დოკუმენტების შესახებ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დაგეგმვის ყოველ სტადიაზე უნდა ჰქონდეს სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების პროცესში უნდა ნახალისდეს მოქალაქეთა მონაწილეობა, ორგანიზებული უნდა იქნას დაგეგმვის დოკუმენტების საჯარო განხილვები და მოსახლეობის გამოკითხვები. განვითარების მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას რესურსების გამოყოფის, განაწილებისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

## თავი IV. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის პროცესი

### 1. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის ეტაპები

მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვა არის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. სწორი დაგეგმვა განაპირობებს არსებული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენებას და რეალური შედეგების მიღწევას. გამგეობა/მერია ძირითადად წარმოადგენს პროფესიული ნიშნით შექმნილ მოხელეთა გუნდს და მათ კომპეტენტურობაზე დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად დაიგეგმება მომავალში მის მიერ განსახორციელებელი საქმიანობა. განვითარების სტრატეგიის პროექტის მომზადებისას, რა თქმა უნდა, შეიძლება ექსპერტების მოწვევა, მაგრამ მათი საქმიანობა მხოლოდ კონსულტაციებითა და მომზადებული პროექტის ექსპერტიზით უნდა შემოიფარგლოს. თავად დოკუმენტი უნდა შედგეს უშუალოდ გამგეობის/მერიის მოხელეების მიერ. ეს არის მათი სამსახურებრივი მოვალეობაც და გარკვეულწილად იმის გარანტიაც, რომ მიღებული დოკუმენტი რეალურად შესრულდება. განვითარების სტრატეგია უნდა შეიმუშაოს უშუალოდ გამგეობის/მერიის სამსახურებმა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის/მერის წარმომადგენლის, საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა და მოსახლეობის მსახიობური მონაწილეობით. მხოლოდ ასეთი სახის დოკუმენტი იქნება ადგილობრივი პირობებისა და ინტერესების გამომხატველი და გასაგები როგორც მოსახლეობისათვის, ასევე ამ დოკუმენტის განმახორციელებელი ორგანოებისათვის.

მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტის შემუშავების თავისებურებაა ის, რომ ამ დოკუმენტის მომზადება არ არის ერთჯერადი აქტი. განვითარების დაგეგმვა არის უწყვეტი და თანამიმდევრული პროცესი, რომელიც მოითხოვს ურთიერთდაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტასა და მოიცავს საორგანიზაციო-მოსამზადებელ, დოკუმენტის პროექტის შედგენის, დოკუმენტის პროექტის ექსპერტიზისა და შეთანხმების, დამტკიცების, შესრულებისა და კორექტირების, შეფასებისა და ანგარიშგების ეტაპებს.


### 2. საორგანიზაციო-მოსამზადებელი ეტაპი

დოკუმენტზე მუშაობა იწყება საორგანიზაციო-მოსამზადებელი ეტაპით. ამ ეტაპზე ხდება:

- დოკუმენტის სტრუქტურის შემუშავება და დამტკიცება;
- აუცილებელი სამართლებრივი აქტებისა და მეთოდოლოგიური მასალების მომზადება;
- სამუშაო ჯგუფის შექმნა, სამუშაოს შემსრულებელ პირთა განსაზღვრა და მათ შორის ფუნქციების განაწილება;
- საჭიროების შემთხვევაში, დამატებით სპეციალისტებისა და ექსპერტების მოწვევა ან მოხელეთა გადამზადება;
- დოკუმენტის შედგენის გრაფიკის შედგენა და დამტკიცება.

დოკუმენტის სტრუქტურა დამოკიდებულია დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების სისტემაზე. ზოგადად, განვითარების სტრატეგიის სტრუქტურა შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

### მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის სტრუქტურა



სტრატეგიის **პირველ განყოფილებაში** – „მუნიციპალიტეტის არსებული სასტატო მდგომარეობის აღწერა და შეფასება“, საინფორმაციო ბაზაში მოცემული მონაცემების საფუძველზე უნდა აისახოს და გაანალიზდეს მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, შედარდეს წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან და გამოიკვეთოს არსებული ტენდენციები.

**მეორე განყოფილებაში** – „სტრატეგიული მიზნები“, საერთო სიტუაციის ანალიზის საფუძველზე და თვითმმართველობის ძირითადი მიზნების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს განვითარების სტრატეგიული მიზანი (მიზნები), განისაზღვროს ინერციული და ინოვაციური სტრატეგიების თანაფარდობა.

**მესამე განყოფილებაში** – „პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნების განხორციელების ძირითადი მიმართულებები“, სტრატეგიული მიზნის მიხედვით განისაზღვრება, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები და ის ამოცანები, რომელთა შესრულებამ უნდა უზრუნველყოს მიზნის რეალიზაცია.

**მეოთხე განყოფილებაში**, ანუ სტრატეგიის ძირითად ნაწილში – „განვითარების პროგნოზები“, თანამიმდევრულად უნდა აისახოს ყველა ის მთავარი საკითხი და პრობლემა, რომლის დამუშავებაც განსაზღვრულია დოკუმენტის ფორმირებისას. ეს განყოფილება იყოფა ქვეგანყოფილებებად, რომლებშიც აისახება საპროგნოზო პარამეტრები ცალკეული სფეროების, სექტორებისა და დარგების მიხედვით.

**მეხუთე განყოფილება**, „რეალიზაციის ღონისძიებები – მუნიციპალური პროგრამები“, უნდა მოიცავდეს მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად

გათვალისწინებულ კონკრეტულ ღონისძიებებსა და შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებს. მათში განსაზღვრული უნდა იყოს განსახორციელებელი საქმიანობის შინაარსი, მოცულობა, რესურსტევადობა, შემსრულებელი, შესრულების ეტაპები და ვადები.

**მეექვსე განყოფილება**, „რესურსული უზრუნველყოფა“ მოიცავს მოსალოდნელი დანახარჯების გაანგარიშებას რესურსების წყაროების მითითებით.

**მეშვიდე განყოფილებაში** – „მოსალოდნელი შედეგები, ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები“ მოცემულ უნდა იქნეს შედეგების მიღწევის განრიგისა და ვადების გეგმა. ასევე, უნდა განისაზღვროს ის კრიტერიუმები და ეფექტიანობის გაანგარიშების წესი, რომლითაც მიღებული შედეგები შეფასდება.


**მერვე განყოფილება** – „მართვის ორგანიზაცია, ფორმები და მეთოდები“ უნდა მოიცავდეს სტრატეგიის განხორციელების პროცესის მართვის ორგანიზაციულ-ფუნქციურ სისტემას, კონტროლის განხორციელებისა და ანგარიშების მექანიზმებს.

სტრატეგიის ყოველი განყოფილება უნდა შეიცავდეს აუცილებელ დასაბუთებებს და განმარტებებს. განხილული უნდა იყოს შესაძლო ალტერნატივები და მოხდეს მათი შეფასება.

### 3. დოკუმენტის პროექტის შედგენის ეტაპი

საორგანიზაციო-მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ იწყება დაგეგმვის დოკუმენტის შედგენა. ამ ეტაპზე ხდება:

- ინფორმაციის მოგროვება და საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- ინფორმაციის ანალიზი;
- განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა;
- განვითარების პრიორიტეტების მიხედვით მიზნობრივი მუნიციპალური პროგრამების განსაზღვრა;
- დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მექანიზმების შემუშავება.



### 3.1. საინფორმაციო ბაზის შექმნა

თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვის უპირველესი საკითხია ინფორმაციის შეგროვება და საინფორმაციო ბაზის შექმნა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი პროცესი, იმის გათვალისწინებით, რომ თვითმმართველ ერთეულებს დღემდე არ გააჩნიათ ისეთი საინფორმაციო ბაზა, რომლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დაიწყოს თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვა. აღმასრულებელი ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაცია ან არასრულყოფილია, ან მოსაძიებელია. საინფორმაციო ბაზის შექმნა არის უწყვეტი და მუდმივად განახლებადი პროცესი. სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის არსებობის შემთხვევაში, დაგეგმვის პროცესი დაიწყება უშუალოდ ინფორმაციის ანალიზიდან, მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, დაგეგმვის პროცესის დაწყების პირველი ნაბიჯი საინფორმაციო ბაზის შექმნაა. ამისათვის კი, საჭიროა განისაზღვროს როგორც ბაზის სტრუქტურა, ისე – ფექტური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საინფორმაციო ბაზის შევსებას და განახლებას შესაბამისი ინფორმაციებით.

საინფორმაციო ბაზის ფორმირებისა და განახლების წყაროები შეიძლება იყოს:

- ა) სახელმწიფო ოფიციალური სტატისტიკა;
- ბ) ადგილობრივი ოფიციალური სტატისტიკა;
- გ) საჯარო და კერძო სტატისტიკური კვლევები;
- დ) გამგეობის (მერიის) დარგობრივი სამსახურები;
- ე) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოები;
- ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებული საჯარო დაწესებულებები;
- ზ) საჯარო და სამოქალაქო რეესტრები;
- თ) კერძო წყაროები (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, სანარმოები, მოქალაქეები).

მუნიციპალიტეტის გამგეობაში/მერიაში აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი რგოლი (სამსახური, განყოფილება), რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამუშავებას, ანუ სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთშედარებას, საჭიროების შემთხვევაში, გადამონმებას, უტყუარი ინფორმაციის გარკვევას და სტატისტიკური სტანდარტებით გათვალისწინებული ფორმის მიცემას.

**მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო საინფორმაციო ბაზა, პირობითად შეიძლება დაიყოს 6 ბლოკად:**

**I ბლოკი: ზოგადი ინფორმაცია**, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ა) ინფორმაციას მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ;
- ბ) ბუნებრივ-კლიმატური პირობების დახასიათებას;
- გ) სტატისტიკურ მონაცემებს ბუნებრივი რესურსების შესახებ;
- დ) მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ნუსხას.

**II ბლოკი: ადამიანური რესურსები და სოციალური სფერო**, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ განყოფილებებს:

1) დემოგრაფიული მდგომარეობა, შრომითი რესურსები და დასაქმება – სტატისტიკური ინფორმაცია (დასახლებებისა და მთლიანად მუნიციპალიტეტში ბოლო აღწერის შედეგებთან შედარებით) შემდეგი სფეროების მიხედვით:

- ა) მოსახლეობის საერთო რაოდენობა (ეროვნული შემადგენლობის

- ჭრილში);
- ბ) შობადობისა და სიკვდილიანობის შეფარდება და მისგან გამომდინარე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების (შემცირების) დინამიკა;
  - გ) მიგრაცია (1. რამდენი გავიდა, მათ შორის – გადავიდა სხვაგან მუდმივად საცხოვრებლად, გასულია საზღვარგარეთ; 2. რამდენი ადამიანი შემოვიდა, მათ შორის – ეკომიგრანტი, დევნილი);
  - დ) მოსახლეობის რაოდენობა სქესის მიხედვით;
  - ე) მოსახლეობის რაოდენობა ასაკობრივ ჯგუფში (სკოლამდელი ასაკის, სასკოლო ასაკის, 18-დან 35 წლამდე ასაკის, 35-დან 65 წლამდე ასაკის, 65 წელს ზემოთ);
  - ვ) ქორწინებისა და განქორწინების რაოდენობა და დინამიკა;
  - ზ) შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა;
  - თ) საპენსიო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა;
  - ი) დასაქმებულ პირთა რაოდენობა საქმიანობის სფეროების მიხედვით (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა, საჯარო სექტორი, მომსახურება და ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა და ა.შ.);
  - კ) უმუშევარ პირთა რაოდენობა პროფესიების მიხედვით.
- 2) მოსახლეობის ცხოვრების დონე, საარსებო მინიმუმი, ხელფასები:
- ა) სტატისტიკური ინფორმაცია დასაქმების სახეების მიხედვით (საჯარო სექტორი, არასამთავრობო სექტორი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი და ა.შ.) დასაქმებულ პირთა საშუალო შემოსავლის შესახებ;
  - ბ) სტატისტიკური ინფორმაცია მინიმალური სამომხმარებლო კალათის (საარსებო მინიმუმის) შესახებ;
  - გ) სტატისტიკური ინფორმაცია პენსიების შესახებ;
  - დ) სტატისტიკური ინფორმაცია სახელმწიფო სოციალური დახმარებებისა და შემწეობების ოდენობის შესახებ;
  - ე) სტატისტიკური ინფორმაცია ადგილობრივი სოციალური დახმარებებისა და შემწეობების ოდენობის შესახებ.
- 3) სოციალური სფერო
- ა) სტატისტიკური ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ:
    - საბავშვო ბაღების რაოდენობა (აღსაზრდელთა არსებული რაოდენობის მითითებით);
    - საჯარო სკოლების რაოდენობა (მათში არსებული მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით);
    - სახელოვნებო სასწავლებლების რაოდენობა მათი სპეციალიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით;
    - პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა მათი სპეციალიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით;
    - უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა მათი სპეციალიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით;
  - ბ) სტატისტიკური ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ:
    - საავადმყოფოები – მათი რაოდენობა, საავადმყოფოების სანოლების რაოდენობა, ექიმთა რაოდენობა (სპეციალობათა მიხედვით);
    - ამბულატორიები – მათი რაოდენობა და ექიმების რაოდენობა;

- სასაწრაფო სამედიცინო დახმარება;
- გ) სტატისტიკური ინფორმაცია სპორტის შესახებ:
  - სტადიონები – მათი რაოდენობა, ადგილების რაოდენობა;
  - საცურაო აუზები – მათი რაოდენობა, ტევადობა;
  - სპორტული დარბაზები – მათი რაოდენობისა და მოსარგებლეთა რაოდენობის მითითებით;
  - სხვა სპორტული დაწესებულებები – მათი რაოდენობისა და მოსარგებლეთა რაოდენობის მითითებით;
- დ) კულტურა:
  - კულტურის სახლები – მათი რაოდენობა, ტევადობა, მოსარგებლეთა რაოდენობა;
  - ბიბლიოთეკები – მათი რაოდენობა, საბიბლიოთეკო ფონდის ზომა, ანუ წიგნების რაოდენობა და მდგომარეობა, მოსარგებლეთა რაოდენობა;
  - მუზეუმები – მათი რაოდენობა, მოსარგებლეთა რაოდენობა;
  - თეატრები – მათი რაოდენობა, ადგილების რაოდენობა;
  - სხვა კულტურული დაწესებულებები – მათი რაოდენობისა და მოსარგებლეთა რაოდენობის მითითებით;
- ე) სოციალური დაცვა:
  - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა;
  - თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა;
  - შრომისუნარო ინვალიდთა რაოდენობა;
- ვ) სამართლებრივი სტატისტიკა:
  - დანაშაულთა რაოდენობა;
  - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რაოდენობა.

**III ბლოკი: ეკონომიკური რესურსები და განვითარების პოტენციალი, რომელიც შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: ეკონომიკური სექტორი, სტატისტიკური ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის:**

- ა) მრეწველობა:
  - წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების (ხე-ტყე, მინერალური წყალი და სხვ.) მოპოვება;
  - მშენებლობა და სამშენებლო მასალების წარმოება;
  - გადამამუშავებელი საწარმოები;
  - მსუბუქი მრეწველობის საწარმოები;
- ბ) ენერგეტიკა:
  - ჰიდროელექტროსადგურები, ქარის, მზის, ბიოგაზის და გეოთერმული ენერგეტიკული დანადგარები, მათი რაოდენობა და სიმძლავრე;
  - თბოელექტროსადგურები – მათი რაოდენობა და სიმძლავრე;
- გ) ვაჭრობა და მომსახურება:
  - მაღაზიები და ვაჭრობის ობიექტები – მათი რაოდენობა და წლიური ბრუნვა;
  - სასოფლო-სამეურნეო ბაზრები, მათი რაოდენობა და წლიური ბრუნვა;
  - ბაზრობები – მათი რაოდენობა და წლიური ბრუნვა;
  - საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები – მათი რაოდენობა და



- წლიური ბრუნვა;
  - წყალმომარაგების სანარმოები;
  - გაზმომარაგების სანარმოები;
  - ელექტროენერჯით მომარაგების სანარმოები;
  - სასტუმროები;
  - რესტორნები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები;
  - ავტოგასამართი სადგურები და ავტო-სარემონტო სანარმოები;
- დ) სოფლის მეურნეობა:
- მევენახეობა;
  - ბმებალეობა;
  - მემარცვლეობა;
  - მებოსტნეობა;
  - მესაქონლეობა;
  - ვწვრილი ფერმერული მეურნეობების რაოდენობა და მათი საშუალო წლიური ბრუნვა;
  - სასოფლო-სამეურნეო სანარმოების რაოდენობა, მათი წლიური ბრუნვა;
- ე) საბანკო სექტორი და საკრედიტო დაწესებულებები;
- ვ) დაზღვევა:
- ჯანდაცვის სადაზღვევო ორგანიზაციები;
  - კერძო საპენსიო ფონდები;
  - ქონების დაზღვევის ორგანიზაციები;
  - ბიზნესის დაზღვევის ორგანიზაციები;
- ზ) ტრანსპორტი სტატისტიკური ინფორმაცია შემდეგი სფეროების მიხედვით:
- სარკინიგზო და საავტომობილო სამგზავრო გადაყვანა – ტრანსპორტის სახეობები, მარშრუტები, მგზავრთა რაოდენობა;
  - სარკინიგზო და საავტომობილო სატვირთო გადაზიდვები;
- თ) მცირე მენარმეობა, მათ შორის:
- სამშენებლო სანარმოები;
  - გადამამუშავებელი სანარმოები;
  - ვაჭრობა და მომსახურება;
  - გადაზიდვა;
  - სასოფლო-სამეურნეო სანარმოები.
- ი) ინოვაციური ტექნოლოგიები, სტატისტიკური მონაცემები მუნიციპალიტეტში მოქმედი იმ სანარმოების შესახებ, რომლებიც იყენებენ ინოვაციურ ტექნოლოგიებს.

**IV ბლოკი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონება და საზოგადოებრივი მომსახურება, რომელიც შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:**

- 1) ინფრატსტრუქტურა, სტატისტიკური ინფორმაცია შემდეგი სფეროების მიხედვით:
- ა) საავტომობილო გზების საერთო სიგრძე, მათ შორის: სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. მოასფალტებული და გრუნტის გზები, ხიდები, გვირაბები; საავტომობილო გზების მდგომარეობა;
  - ბ) რკინიგზა, საერთო სიგრძე, რკინიგზის სადგურები;
  - გ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა;

- გ) წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა;
- დ) ენერგომომარაგების ინფრასტრუქტურა;
- 2) მუნიციპალური უძრავი ქონება:
  - ა) ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები;
  - ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;
  - გ) მუნიციპალური საწარმოებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება;
  - დ) სხვა უძრავი ქონება;
- 3) მუნიციპალური მეურნეობა და საზოგადოებრივი მომსახურეობების სტატისტიკური ინფორმაცია შემდეგი სფეროების მიხედვით:
  - ა) საბინაო ფონდი;
  - ბ) დასუფთავება, ნარჩენების გატანა და უტილიზაცია;
  - გ) წყალარინება და სანიაღვრე მეურნეობა;
  - დ) ტერიტორიის კეთილმოწყობა, სკვერები, პარკები;
  - ე) სასაფლაოები და სარიტუალო მომსახურება.

**V ბლოკი: მიწა, ბუნებრივი რესურსები და ეკოლოგია, რომელიც შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:**

- 1) მიწის რესურსი და მიწათსარგებლობა. სტატისტიკური ინფორმაცია მიწათსარგებლობის შესახებ, მათ შორის:
  - ა) მიწის რესურსი, მათ შორის:
    - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
    - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
    - მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
    - კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
    - კერძო საკუთრებაში არსებული არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
  - ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, მათ შორის:
    - სახნავი;
    - საძოვარი;
    - საკარმიდამო;
    - გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
  - გ) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, მათ შორის:
    - საცხოვრებელი ზონა;
    - სამრეწველო ზონა;
    - რეკრეაციული ზონა;
    - საზოგადოებრივი სარგებლობის ზონა;
  - დ) ტყის ფონდის მიწა;
  - ე) წყლის ფონდის მიწა;
- 2) წყლის რესურსები, მათ შორის:
  - ა) მდინარეები;
  - ბ) ტბები და წყალსაცავები;
- 3) სასარგებლო წიაღისეულის რესურსები, წიაღის სახეობების მიხედვით;

4) ტყის რესურსები;

**VI ბლოკი: მუნიციპალური ფინანსური რესურსები**, რომლებიც შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

1) საგადასახადო ბაზა, მათ შორის:

- ა) გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები;
- ბ) გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირები;
- გ) გადასახადის გადამხდელები გადასახადების კატეგორიების მიხედვით;
- დ) გადასახადის გადამხდელების საპროგნოზო მაჩვენებლები დასაგეგმ პერიოდში;

2) საკუთარი შემოსავლების დინამიკა, მათ შორის:

- ა) ადგილობრივი გადასახადები (უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- ბ) ადგილობრივი მოსაკრებლები(უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- გ) გათანაბრებითი ტრანსფერი (უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- დ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკუთარი შემოსავლები (უკანასკნელი 3- წლიანი პერიოდისათვის);
- ე) სესხები (უკანასკნელი 3 წლიანი პერიოდისათვის);
- ვ) სხვა საკუთარი შემოსავლები (უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- ზ) საკუთარი შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დასაგეგმ პერიოდში.

3) არასაკუთარი შემოსავლების დინამიკა, მათ შორის:

- ა) მიზნობრივი ტრანსფერები (უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- ბ) სპეციალური ტრანსფერები (უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- გ) გრანტები (უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- დ) სხვა არასაკუთარი შემოსავლები (უკანასკნელი 3-წლიანი პერიოდისათვის);
- ე) არასაკუთარი შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დასაგეგმ პერიოდში.

**3.2. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაციის ანალიზი**

მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის ანალიზი არის ის აუცილებელი წინაპირობა, რომელიც საფუძვლად ედება ყველა სახის მმართველობითი გადანყვეტილების მიღებას, მათ შორის მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვას. ანალიზი ხორციელდება გეგმით გათვალისწინებული, ფაქტობრივი და წინა წლების მონაცემების ურთიერთშედარებით. ანალიზის მიზანია გამოავლინოს გეგმით გათვალისწინებული მონაცემებიდან ფაქტიური მონაცემების გადახრის მიზეზები, პოზიტიური ტენდენციები, რომლებიც საჭიროა განვითარდეს და ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, ასევე გამოვლინდეს პრობლემური სფეროები, დარგების განვითარების დისპროპორციები და შესაძლო რეზერვები.

მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შედგენისთვის ინფორმაციის ანალიზი, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს წინა სამი წლის მონაცემებს. მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობის ანალიზი სრულდება უმთავრესი

პრობლემების შინაარსობრივი და რაოდენობრივი დახასიათებით.

მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობის ანალიზის შემდეგ ფასდება თვითმმართველი ერთეულის პოტენციალი და შესაძლებლობები. ხდება მუნიციპალიტეტის არსებული რესურსების დახასიათება და გაანალიზება.

მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობისა და შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე ტარდება SWOT ანალიზი და ხდება განვითარების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა.

ამდენად, მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაციის ანალიზი მოიცავს თვითმმართველი ერთეულის არსებული მდგომარეობის, რესურსების შეფასებას და განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს.

### **3.3 მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობის ზოგადი შეფასება**

მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობის ზოგადი შეფასება ხორციელდება ცალკეული სფეროების მიხედვით, შესაბამისი სფეროსათვის დამახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით, ამ სფეროს შესახებ თავმოყრილი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობის ზოგადი შეფასება ხორციელდება შემდეგი სფეროების მიხედვით:

- 1) *სოციალური მდგომარეობა, რომელიც მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:*
  - ა) დემოგრაფიული მდგომარეობა; ბ) დასაქმება; გ) მოსახლეობის ცხოვრების დონე; დ) მოსახლეობის სოციალური მომსახურება, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდა, განათლება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი და სოციალური დაცვა; ე) კრიმინოგენული მდგომარეობა.
- 2) *ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:*
  - ა) მრეწველობა; ბ) ენერჯეტიკა; გ) ვაჭრობა და მომსახურება; დ) სოფლის მეურნეობა; ე) ტრანსპორტი; ვ) საბანკო სფერო; ზ) დაზღვევა; თ) მცირე მენარმეობა; ი) ინოვაციები.
- 3) *ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურება, რომელიც მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:*
  - ა) საავტომობილო გზები; ბ) რკინიგზა; გ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა; დ) წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა, ე) ენერგომომარაგების ინფრასტრუქტურა; ვ) სხვა საინჟინრო ინფრასტრუქტურა; ზ) მუნიციპალური საზოგადოებრივი მომსახურება, მათ შორის: საბინაო ფონდი, დასუფთავება, ნარჩენების გატანა და უტილიზაცია, წყალარინება და სანიაღვრე მეურნეობა, ტერიტორიის კეთილმოწყობა, სკვერები, პარკები, სასაფლაოები და სარიტუალო მომსახურება.
- 4) *ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური მდგომარეობა:* პირველად ანალიზს სფეროების მიხედვით აკეთებს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი დარგობრივი სამსახური. მიღებული პირველადი ანალიზის საფუძველზე აღმასრულებელი ორგანოს ეკონომიკური სამსახური ადგენს ერთიან ანალიზს, რომელიც საფუძველად ედება პრიორიტეტების განსაზღვრის დასაბუთებას.

### **3.4. მუნიციპალიტეტის რესურსების ზოგადი შეფასება**

მუნიციპალიტეტის რესურსების ზოგადი შეფასება ხორციელდება შემდეგი

სფეროების მიხედვით:

- 1) მიწა და ბუნებრივი რესურსები, მათ შორის: ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გ) წყლის რესურსები, დ) ტყის რესურსები, ე) სასარგებლო წიაღისეული;
- 2) შრომითი რესურსები;
- 3) საინვესტიციო პოტენციალი;
- 4) მუნიციპალური ქონება;
- 5) მუნიციპალური ფინანსური რესურსები.

შეფასება ხდება შესაბამისი სფეროსათვის დამახასიათებელი რაოდენობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.

### **3.5 მუნიციპალიტეტის განვითარების - SWOT-ანალიზი**

მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი ფაქტორების თვითმმართველი ერთეულის კონკურენტული უპირატესობებისა და ნაკლოვანებების დახასიათებისათვის ტარდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების SWOT-ანალიზი.

*მუნიციპალიტეტის არსებული მდგომარეობისა და მისი განვითარების შესაფასებლად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:*

- რაში მდგომარეობს თვითმმართველი ერთეულის უპირატესობები და ძლიერი მხარეები?
- რომლებია სუსტი მხარეები?
- რა ხელსაყრელი შესაძლებლობებია თვითმმართველი ერთეულის განვითარებისათვის?
- რა პოტენციური საფრთხეებია მოსალოდნელი თვითმმართველი ერთეულის განვითარებისათვის?

ანალიზის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ფარდობითობა. SWOT ანალიზისას უნდა გამოიკვეთოს ის იდეები, რომლებიც ხელს შეუწყობს არსებული უპირატესობების უკეთ გამოყენებასა და ნაკლოვანებების უპირატესობებად გადააქცევს. აგრეთვე, ის იდეები, რომლებიც არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოყენებასა და საფრთხეების მინიმიზაციას ემსახურება.

SWOT ანალიზის პირველი წყვილი – ძლიერი და სუსტი მხარეები – ასახავს გასაანალიზებელი ობიექტის შიდა მდგომარეობას დროის კონკრეტულ მომენტში. SWOT ანალიზის მეორე წყვილი – შესაძლებლობები და საფრთხეები – ასახავს გასაანალიზებელი ობიექტის გარემოს და განვითარების ტენდენციებს, უზრუნველყოფს „მომავლის ხედვას“. ასეთი წყობა საშუალებას იძლევა მოხდეს ძლიერი და სუსტი მხარეების კლასიფიკაცია, შეირჩეს ის მხარეები, რომლებიც უკეთ რეალიზდება საგარეო შესაძლებლობების პირობებში, აგრეთვე, ის მხარეები, რომელთა გაძლიერებაა საჭირო, ანდა საგარეო საფრთხის პირობებში შეიძლება დასუსტდნენ.

SWOT ანალიზის პირველ ეტაპზე ფასდება არსებული სიტუაცია შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- დემოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობის ცხოვრების დონე, შრომითი რესურსები;
- ბუნებრივი რესურსები;
- მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაძლებლობები (ადმინისტრაციული რესურსები);
- ეკონომიკა;

- ფინანსური და საინვესტიციო რესურსები;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურება;
- სოციალური სფერო;
- ეკოლოგია.

SWOT ანალიზის მეორე ეტაპზე განიხილება მუნიციპალიტეტის ფარგლებში და მის გარშემო მოვლენათა შესაძლო განვითარება, გამოიკვეთება პერსპექტიული შესაძლებლობები და საფრთხეები. ამასთან, მხედველობაში მიიღება შემდეგი პროცესები:

- დემოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის დინამიკა, შრომითი რესურსების განვითარება;
- ბუნებრივი რესურსების გამოყენება;
- მუნიციპალიტეტის ორგანოების შესაძლებლობების (ადმინისტრაციული რესურსებისა და უნარების) გაზრდა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ფინანსური და საინვესტიციო რესურსების გაზრდა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურებების გაუმჯობესება;
- სოციალური სფეროს განვითარება;
- ბუნებათსარგებლობა და ეკოლოგია.

SWOT ანალიზის მესამე ეტაპზე ხორციელდება მუნიციპალიტეტის არსებული და პერსპექტიული განვითარების დონის შეფასება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა საფუძველზეც იკვეთება თვითმმართველი ერთეულის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები.

### **3.6. განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა**

განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა განვითარების სტრატეგიის საკვანძო საკითხია, რადგან სწორედ პრიორიტეტების განსაზღვრაზეა დამოკიდებული ყველა სხვა მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილება და მოქმედება. პრიორიტეტების განსაზღვრისას შეიძლება მოხდეს განვითარების არსებული მიმართულების შენარჩუნება (ინერციული სტრატეგია), არსებული ყველა პრიორიტეტის შეცვლა (ინოვაციური სტრატეგია) ან შუალედური მოდელის არჩევა, რომელშიც სხვადასხვა პროპორციითაა წარმოდგენილი ორივე სახის სტრატეგია.

პრიორიტეტები წარმოადგენს განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომელიც უნდა აისახოს მუნიციპალური მართვის ყველა სფეროში. ეს ეხება როგორც მოსახლეობის ცხოვრებისათვის სასიკეთო გარემოს შექმნას (ტერიტორიის განვითარება, კომუნალური მეურნეობა და ინფრასტრუქტურა), ასევე სოციალურ პოლიტიკასა (დასაქმება, კულტურა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.) და თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციულ სრულყოფას.

### **3.7. განვითარების პრიორიტეტების მიხედვით მიზნობრივი მუნიციპალური პროგრამების განსაზღვრა**

განვითარების პრიორიტეტების მიხედვით განისაზღვრება ის ამოცანები, რომელთა შესრულებამ უნდა უზრუნველყოს დასახული მიზნის რეალიზაცია. ამ ამოცანების შესასრულებლად შემუშავდება კონკრეტული პროგრამული

ლონისძიებები (მიზნობრივი მუნიციპალური პროგრამები). მუნიციპალური პროგრამა შეიძლება იყოს კომპლექსური ან კონკრეტული. მუნიციპალური პროგრამა განხორციელების ვადის მიხედვით შეიძლება იყოს მოკლევადიანი (არა უმეტეს 1 წ.) ან საშუალოვადიანი (3-5 წწ.). შემსრულებლის განსაზღვრის მიხედვით, მუნიციპალური პროგრამა შეიძლება იყოს წინასწარ განსაზღვრული (როცა პროგრამაშივეა აღნიშნული მისი შემსრულებელი, როგორც წესი, მუნიციპალური სამსახური) ან განუსაზღვრელი, როცა პროგრამის შემსრულებლის შერჩევა ხდება გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე. მიუხედავად პროგრამის კლასიფიკაციისა, მუნიციპალური პროგრამით მოცემული უნდა იყოს:

- სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრულ რომელ პრიორიტეტს შეესაბამება პროგრამა და რა პრობლემის გადასაწყვეტად არის იგი შემუშავებული;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის ამოცანები;
- პროგრამით დასახული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტის გზები;
- სამოქმედო გეგმა – პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ნუსხა შესაბამისი კალენდარული ვადების მითითებით;
- სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი სუბიექტები;
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები;
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსები (შესაძენი უძრავ-მოძრავი ქონება);
- პროგრამის განხორციელებისათვის შესაძენი მომსახურება;
- პროგრამის საფინანსო გეგმა;
- პროგრამის განხორციელების შეფასების კრიტერიუმები, მის განხორციელებაზე მონიტორინგის გზები და საშუალებები;
- პროგრამის განხორციელებაზე და მისი მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი მუნიციპალური სამსახურები.

### **3.8. დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მექანიზმების შემუშავება**

ეს არის დოკუმენტის ბოლო ნაწილი, რომელიც მოიცავს რესურსული უზრუნველყოფისა და მართვის ორგანიზაციის საკითხებს. განისაზღვრება როგორც მოსალოდნელი დანახარჯები, ისე ღონისძიებათა მართვის ორგანიზაციულ-ფუნქციური სისტემა.

### **4. ექსპერტიზის, შეთანხმებისა და დამტკიცების ეტაპები**

დოკუმენტის პროექტის შედგენის შემდეგ იწყება მისი ექსპერტიზა, ანუ მონმდება არჩეული პრიორიტეტების დასაბუთება, პრიორიტეტებთან მუნიციპალური პროგრამების შესაბამისობა, პროგრამების განხორციელების რესურსებით უზრუნველყოფა. პროექტის სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური თუ სოციალური ხასიათის ექსპერტიზის ჩასატარებლად, როგორც წესი, იწვევენ შესაბამის სპეციალისტებს. ექსპერტიზის პროცესი, გარდა პროფესიული ექსპერტიზისა, მოიცავს ე.წ. საზოგადოებრივ ექსპერტიზასაც, რომელიც გულისხმობს მომზადებული პროექტის გამოქვეყნებასა და საჯარო განხილვების ორგანიზებას.

ექსპერტიზის დასრულების შემდეგ იწყება პროექტის შეთანხმების პრო-

ცესი. პროექტი წარედგინება განსახილველად შესაბამისი რეგიონის გუბერნატორის ადმინისტრაციას, ხდება ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციების ორგანიზება, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაცია და მათი გათვალისწინებით დოკუმენტის პროექტის კორექტირება.

კორექტირების შემდეგ დოკუმენტი განსახილველად წარედგინება საკრებულოს.

## 5. შესრულებისა და კორექტირების ეტაპები

ამ ეტაპებზე ხორციელდება დაგეგმილი მუნიციპალური პროგრამები და დაგეგმილი ღონისძიებები. დოკუმენტით გათვალისწინებულ ვადებში ფასდება შესრულების მიმდინარეობა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მასში კორექტირების შეტანა.

## 6. შესრულების ანგარიშგებისა და შეფასების ეტაპი

ანგარიშგება და შეფასება ხდება როგორც პროგრამების მიმდინარეობის დროს (ყოველკვარტალური ანგარიშგება), ასევე პროგრამებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შემდეგ. მიმდინარე ანგარიშგებისას ფასდება დაგეგმილი ღონისძიებების შესაბამისობის ვადები და დანახარჯები. შესრულების შემდეგ ანგარიშგებისას ფასდება:

- განხორციელებული პროგრამებით მიღწეული შედეგები;
- განხორციელებული პროგრამების ეფექტიანობა;
- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების კანონიერება, მიზნობრიობა და ეფექტიანობა.

გამგებელი/მერი საკრებულოს ანგარიშებს წარუდგენს დადგენილ ვადებში ან მოთხოვნის შემთხვევაში (რიგგარეშე ანგარიშგება). საკრებულოსთვის წარდგენილი ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს, რათა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისათვის, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას“.



## კარი III

# მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი დაწესებულების საქმიანობის მიმართულებაში სფეროების მიხედვით

### თავი I. საქმიანობის მიმართულებათა კლასიფიკაცია

გამგებელი/მერი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი დანესებულების დახმარებით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, ხოლო დელეგირებული უფლება-მოვალეობები – კანონით და მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულებებით. საკუთარი უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი მოცემულია კოდექსის მე-16 მუხლში, რომელთა შესრულება არის გამგებლის/მერის ვალდებულება. კანონი საერთოა ყველა მუნიციპალიტეტისათვის, ხოლო უფლებამოსილების განხორციელების სპეციფიკას განაპირობებს თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს თუ რა პრიორიტეტულობით, მოცულობითა და თანმიმდევრობით უნდა უზრუნველყოს გამგებელმა/მერმა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება სფეროების მიხედვით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლი იძლევა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლება-მოვალეობების საერთო ჩამონათვალს, საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრისათვის კი საჭიროა ამ უფლება-მოვალეობების კლასიფიკაცია. კლასიფიკაციისას საკითხების დაჯგუფება მხოლოდ სფეროების მიხედვით არ არის მართებული, რადგან საქმიანობა მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად და არა გარკვეული სამუშაოს მხოლოდ შესასრულებლად. ამ თვალსაზრისით გამგეობის/მერიის საქმიანობაში გამოიყოფა მოქმედების ორი ძირითადი ჯგუფი:

- 1) მუნიციპალური მართვა;
- 2) მუნიციპალური მართვის უზრუნველყოფა.

### თავი II. მუნიციპალური მართვა

მუნიციპალური მართვის ჯგუფში შესული საკითხები უშუალოდ არის მიმართული თვითმმართველობის მთავარი მიზნის მისაღწევად და შესაბამისი სფეროების მართვისაკენ. ამ ჯგუფში გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება:

პირველი – მოსახლეობის ცხოვრებისათვის სასიკეთო გარემოს შექმნა, რომლის მიზანია ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფა და მეორე – მოქალაქის შესაძლებლობების განვითარება (სოციალური პოლიტიკა). პირველი მიმართულების ობიექტია ტერიტორია, ხოლო მეორისა – მოსახლეობა.

პირველი მიმართულებიდან შეგვიძლია გამოვყოთ სამი განშტოება:

- 1) ტერიტორიის განვითარება, ცხოვრებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა;

- 2) მუნიციპალური მომსახურება, მოსახლეობისათვის ხარისხიანი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება;
- 3) უსაფრთხოება, მოსახლეობისათვის ცხოვრების უსაფრთხო პირობების შექმნა.

მეორე მიმართულების განშტოებებია:

- 1) განათლება და კულტურა, მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის, პროფესიული და დამატებითი განათლების მიღების, კულტურული ფასეულობების გაცნობისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- 2) დასაქმება, მოსახლეობის შრომითი მონეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- 3) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- 4) ახალგაზრდობის საქმეები, სპორტი და დასვენება, ახალგაზრდობის თვითრეალიზაცია და მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

### **თავი III. მუნიციპალური მართვის უზრუნველყოფა**

მართვის უზრუნველყოფა გულისხმობს იმ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია მართვის განხორციელების მატერიალური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა. მართვის უზრუნველყოფის კლასიფიკაციის საფუძველია მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფის ფორმები:


- მატერიალური და ფინანსური რესურსებით მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფა;
- მმართველობითი საქმიანობის ოპერატიულობისა და კომპეტენტურობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

მმართველობითი საქმიანობის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა მოიცავს:

- ადგილობრივ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მიზანია მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფა მისთვის საჭირო ქონებრივი რესურსებით (მინა, ბუნებრივი რესურსები, მუნიციპალური ქონება);
- ადგილობრივ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკას, რომლის მიზანია მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფა საჭირო ფინანსური რესურსებით.

მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა მოიცავს:

- 1) მართვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას;
- 2) მართვის საკადრო უზრუნველყოფას;
- 3) მართვის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.



## პარტი IV

### მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განვითარება

ტერიტორიის განვითარების მიზანია მოსახლეობის ცხოვრებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა. ამ მიზნის შესაბამისად, ტერიტორიული განვითარების მიმართულება მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- სივრცით-ტერიტორიულ მონყობასა და ქალაქთმშენებლობას;
- კეთილმონყობასა და გამწვანებას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზებსა და ინფრასტრუქტურას;
- მშენებლობათა რეგულაციას;
- დასახლებებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასა და ნუმერაციას.

### თავი I. სივრცით-ტერიტორიული მონყობა და ქალაქთმშენებლობა

მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის განხორციელება ხდება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიულ ფარგლებში. ამიტომ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ დაგეგმვას აქვს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც მუნიციპალური მართვის, ისე განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მუნიციპალიტეტის სივრცითი მონყობა და ქალაქთმშენებლობა. ამ საკითხის დარეგულირება აუცილებელია როგორც თვითმმართველი ქალაქებისთვის, სადაც ყველაზე უფრო თვალსაჩინო ხდება სწორი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის საჭიროება, ისე თვითმმართველი თემებისათვის, რომლებშიც მწვავედ დგას ტერიტორიის სრული ათვისებისა და გამოყენების, მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების მოუნყობლობისა და არათანაბარი პირობების და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საჭიროების საკითხები.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში განსაზღვრავს მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. მისი მიზანია მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების პრიორიტეტების, განვითარების მიზნებისა და სტრატეგიის თავმოყრა, რანგირება და შეჯერება, ასევე მინათსარგებლობის ზოგადი პრინციპების დადგენა.

სივრცით-ტერიტორიული მონყობა არის ტერიტორიის განვითარების ცენტრალური საკითხი, რადგან მის გადაწყვეტაზე დამოკიდებული ამ ბლოკში მოქცეული სხვა სფეროების (კეთილმონყობა, ინფრასტრუქტურა, მშენებლობა) რეგულაცია და მართვა.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, „მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა;

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება“.

გამგებლის/მერის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ამ საკითხების მომზადება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და მიღებული დოკუმენტების განხორციელება. სამუხაროდ, დღემდე, ეს საკითხი გადაუჭრელია. რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, თვითმმართველ ერთეულთა მიერ არ მომზადრასივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების მომზადება და მიღება. ამ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობა შეიძლება ჩაითვალოს აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და აუცილებელია მისი დროული გადაწყვეტა.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისათვის სამართლებრივ ბაზას ქმნის კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის მიზნებია:

- მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ტერიტორიისა თუ დასახლების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა და განვითარება.

ამავე მუხლით დადგენილია სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ამოცანები:

- ტერიტორიებისა და დასახლებათა განვითარება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპებით, რომლებიც ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს არსებობას;
- ტერიტორიაზე სრულყოფილი, თანაბარი საცხოვრებელი პირობების შექმნა („თანაბარი შესაძლებლობების სივრცე“);
- დასახლებათა პოლიცენტრული, მრავალფეროვანი და დაბალანსებული განვითარება;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სივრცით-ტერიტორიული წინაპირობების შექმნა;
- ფიზიკური და იურიდიული პირების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთშეთანხმება ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- ეკოლოგიური ნონასწორობის დაცვა და აღდგენა;
- ბუნებრივი რესურსებისა და ფასეულობების, მათ შორის, სარეკრეაციო რესურსების ეფექტური გამოყენება და დაცვა;

- დასახლებათა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის ფორმირებისათვის საფუძვლის შექმნა;
- დარგობრივი განვითარების პროგრამებისა და დარგობრივი გეგმების ინტეგრაცია სივრცით-ტერიტორიული განვითარების პოლიტიკასა და გეგმებში.

კანონით დადგენილია სივრცითი მონყობისა და ქალაქთმშენებლობის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის დაცვაც სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოსათვის სივრცითი მონყობის სტრატეგიის განსაზღვრისას. კანონის თანახმად, სივრცითი მონყობისა და ქალაქთმშენებლობის განხორციელების პრინციპებად აღიარებულია:

- „ა) შეიქმნას დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების განონასწორებული სტრუქტურა, კერძოდ, ქვეყნის თანაბარი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურული განვითარების ტერიტორიული წინაპირობები;
- ბ) განვითარდეს განსახლების დეცენტრალიზებული და პოლიცენტრული სტრუქტურა; საქმიანობა ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების თვალსაზრისით იყოს სივრცით-ტერიტორიულად კონცენტრირებული და განვითარების ცენტრების სისტემაზე ორიენტირებული; დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებასთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭოს დასახლებათა ტერიტორიების განახლებასა და ინტენსიფიკაციას;
- გ) განხორციელდეს რეგიონული და სუბრეგიონული კავშირების გეგმარებითი უზრუნველყოფა;
- დ) შეიქმნას წინაპირობა საბინაო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;
- ე) უზრუნველყოფილ იქნეს ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დასახლებული და დაუსახლებელი ტერიტორიების სტრუქტურასთან; ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაცულ იქნეს პარიტეტულობა კომუნიკაციების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით;
- ვ) დასახლებათა განვითარება ორიენტირებულ იქნეს ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებაზე; სატრანსპორტო მომსახურების ეფექტიანობა გაიზარდოს ადეკვატური სატრანსპორტო არტერიებისა და კვანძების შექმნით; პრიორიტეტი მიენიჭოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას;
- ზ) უზრუნველყოფილ იქნეს დასახლებათა, მათ შორის, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრების, არქიტექტურულ-გეგმარებითი და მხატვრულ-ესთეტიკური სრულყოფა;
- თ) გაიზარდოს ქალაქების კონკურენტუნარიანობა ინვესტიციების მოზიდვის, დასაქმებისა და მოსახლეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად;
- ი) ქალაქებთან თანაბარუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე სასოფლო დასახლებები განვითარდეს ინტენსიურად;
- კ) შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნეს ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;
- ლ) მაქსიმალურად შემსუბუქდეს ინფრასტრუქტურის გავლენა გარემოზე; ინფრასტრუქტურას ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი იმ ტერიტორიებისათვის, სადაც განთავსებულია;

- მ) ხელი შეეწყოს მონყვლადი ზონებისა და დეპრესიული რეგიონების გა-თანაბრებას;
- ნ) კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილულ იქნეს, როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი საფუძველი;
- ო) შენარჩუნდეს ისტორიული და კულტურული კავშირები; კულტურული ლანდშაფტები მათი დამახასიათებელი ნიშნებით, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით;
- პ) შენარჩუნდეს და განვითარდეს სარეკრეაციო ტერიტორიები;
- ჟ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს საჯაროობა;
- რ) უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა დარგობრივი გეგმების და დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიულ დონეზე შესრულებული გეგმების თავსებადობა;
- ს) ტერიტორიის ჯეროვანი განვითარებისა და ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით, ხელი შეეწყოს სახელმწიფო და კერძო სუბიექტების ინტერესების ურთიერთშეთანხმებას“.

კანონით დადგენილი ეს პრინციპები საერთოა როგორც მთლიანად ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, ისე მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტების შესამუშავებლად.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისათვის იქმნება მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა, ხოლო დასახლებებისათვის (სოფელი, დაბა, ქალაქი) – ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა, რომლის სახეობებია: ა) მინათსარგებლობის დაგეგმვა – მინათსარგებლობის გენერალური გეგმა და ბ) განაშენიანების დაგეგმვა – განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმით უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული სტრუქტურა, მათ შორის:

- ა) სივრცის კატეგორიები: ურბანიზებული ტერიტორია, სასოფლო ტერიტორია, ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია, სპეციალური ტერიტორიები;
- ბ) დასახლებათა სტრუქტურის და განვითარების ცენტრების იერარქია;
- გ) ძირითადი საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციები;
- დ) ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი გეგმარებითი ღერძები;
- ე) დასაქმებისა და საცხოვრებლის განვითარების ადგილები, სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიები;
- ვ) სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიები;
- ზ) ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების წინაპირობები;
- თ) დაცული ტერიტორიების სისტემა;
- ი) სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიები;
- კ) სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიები;
- ლ) ნიაღისეულის მოპოვების ადგილები;
- მ) წყლის ობიექტები და წყალშემკრები ტერიტორიები;
- ნ) სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენებული


ტერიტორიები;

- ო) თავდაცვის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიები;
- პ) მინათსარგებლობის ძირითადი პრინციპები.

სივრცითი მოწყობის სპეციფიკური საკითხია ქალაქთმშენებლობა, ანუ დასახლებების სივრცითი დაგეგმვა. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ქალაქთმშენებლობა, ქალაქგანვითარება (ურბანული განვითარება) არის „დასახლებათა (მათ შორის, სასოფლო დასახლებათა) ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის კანონმდებლობის, ამ დარგის სახელმწიფო და ადგილობრივი პოლიტიკის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების, ფიზიკური და იურიდიული პირების მოღვაწეობის ერთობლიობით განსაზღვრული პირობები და პროცესები“.

დასახლებათა განვითარება არის ერთ-ერთი პრობლემატური და აქტუალური საკითხი. დასახლებებში ხდება მოსახლეობისა და ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრირება. ამიტომ დასახლების განვითარებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსახლეობის ცხოვრებისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

დასახლების, განსაკუთრებით ქალაქის სივრცითი მოწყობის ამოცანებია ქალაქის ცენტრის ფორმირება, ქალაქის ტერიტორიის გამოყენების ინტენსიფიკაცია, საცხოვრებელი ზონის ფორმირება, სოციალური და საქალაქო მეურნეობის იმ ობიექტების თანაბარზომიერი განლაგება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის მომსახურების, დასვენებისა და რეკრეაციული ზონების ფორმირებას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფორმირება, ქალაქის ლანდშაფტის დაცვა და ფორმირება, ქალაქგარე ზონის განვითარება.



„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დასახლებების სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვა ხორციელდება დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და მინათსარგებლო-



ბის უფლებრივი ზონირების პრინციპზე დამყარებული მინათსარგებლობის დაგეგმვის დოკუმენტაციის ორსაფეხურიანი სისტემით:

- ა) მინათსარგებლობის გენერალური გეგმით, რომლის ნაწილია დასახლების მთელი ტერიტორიისათვის მინათსარგებლობის უფლებრივი ზონირების ზოგადი რუკა;
- ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმით, რომლის ნაწილია დასახლების ტერიტორიის ნაწილებისათვის ან მთელი ტერიტორიისათვის მინათსარგებლობის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა.

მინათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა (მინათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. ხოლო განაშენიანების რეგულირების გეგმა წარმოადგენს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მინათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის მიზნებია ქალაქის, დაბის, სოფლის მთელი ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების პრიორიტეტების, განვითარების მიზნებისა და სტრატეგიის თავმოყრა, რანგირება და შეჯერება, ასევე მინათსარგებლობის პარამეტრების განსაზღვრა.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ერთ-ერთ ძირითად სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“. განაშენიანების ძირითადი დებულებები ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მისი მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

- დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების განსაზღვრა;
- მინათსარგებლობის გენერალური გეგმის და განაშენიანების რეგულირების გეგმის შემადგენლობის განსაზღვრა;
- დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მიზნების ფორმირება, შემუშავება, დამტკიცება, მათში ცვლილებების შეტანა და ამ პროცესების საჯაროობა;
- მიწის ნაკვეთ(ებ)ზე შენობათა განთავსების პირობების დადგენა და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა;
- დასახლებათა მდგრადი განვითარების მიზნით, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველყოფა;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრის, გადაბეღვის და მათი

განკარგვის სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგება, მიუხედავად ამ ტერიტორიის მესაკუთრის ან მოსარგებლისა (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დაცული ტერიტორიის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების ჩათვლით), გარდა სახელმწიფო ტყის ფონდისა და დაცული ტერიტორიების მიწებისა.

დებულებით განსაზღვრულია დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები, რომლის მიზანია სამშენებლო საქმიანობისათვის ტერიტორიებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების სპეციფიკური პირობების დადგენა.

**დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები მოიცავს:**

- ა) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ზონირების ნაწილის შემუშავების პირობებს;
- ბ) კონკრეტული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების და განაშენიანების პირობებს, როდესაც არ არსებობს შესაბამის ტერიტორიაზე უფლებრივი ზონირების დოკუმენტები;
- გ) დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს ფუნქციონირებას;
- დ) სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის წესს.

**დასახლებათა ტერიტორიების ზონირების დოკუმენტებია:**

1) მიწათსარგებლობის ზოგადი უფლებრივი ზონირების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს:

- ზოგად ფუნქციურ ზონებს;
- ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონებს;
- განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებს;
- კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დამცავ კონკრეტულ ზონებს.

2) მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს:

- დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების პირობებს;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების, განაშენიანების ინტენსივობისა და გამწვანების კოეფიციენტებს;
- კონკრეტულ ფუნქციურ ზონებსა და მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს;
- კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დამცავ კონკრეტულ ზონებს.

როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული უფლებრივი ზონების ტერიტორიის გამოკვეთა ხდება ფუნქციური, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დამცავი ზონების საზღვრების დადგენის შედეგად. ორივე შემთხვევაში, უფლებრივი ზონირებისას ზონების ტერიტორიების საზღვრების დადგენისას, როგორც წესი, გამოყენებულ უნდა იქნეს:

- დასახლებათა ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრები;
- დასახლებათა განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრები;
- ბუნებრივი და ხელოვნური საზღვრები/მიჯნები;
- დაცული ტერიტორიების საზღვრები;
- კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლის ტერიტორიის ან/

და დამცავი ზონების ტერიტორიის საზღვრები/ფარგლები;

- საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, საწარმოო, სარეკრეაციო ტერიტორიების საზღვრები;
- ქუჩებისა და მაგისტრალების ტერიტორიების საზღვრები;
- რკინიგზის, მილსადენებისა და სხვა საინჟინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორიების ან/და გასხვისების ზოლის საზღვრები.

მინათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტში ასახული ზონებისათვის რეგლამენტებით უნდა დადგინდეს **სამშენებლო მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები და მათი დასაშვები მაჩვენებლები:**

- მიწის ნაკვეთების განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი;
- მიწის ნაკვეთების განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი ან/და მიწის ნაკვეთების განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე;
- მიწის ნაკვეთების გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი.

**სამშენებლო მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები შესაძლებელია, ასევე მოიცავდეს:**

- მაქსიმალურ მაჩვენებლებს განაშენიანების სართულიანობა/სიმაღლისათვის ან/და მოცულობისათვის;
- მიწის ნაკვეთების ფართობ(ებ)ის მინიმალურ და მაქსიმალურ ზომებს;
- განაშენიანების რეგულირების ხაზებს (წითელ ხაზებს);
- განაშენიანების სავალდებულო ხაზებს (ლურჯ ხაზებს);
- ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობას;
- განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის პირობებს (მაგ.: შენობების ფასადების ერთი ხაზის გასწვრივ განთავსება, შენობების შეტყუპება, შენობების სიმაღლეების განსაზღვრა, შენობების გადახურვის ტიპის განსაზღვრა და სხვ.);
- ისეთი ობიექტების ჩამონათვალს, რომელთა განთავსებაც დაუშვებელია ამ ზონაში.

**მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტით განისაზღვრება:**

- კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზეა დასაშვები შენობა-ნაგებობების განთავსება (კ-1);
- ცალკეულ ზონაში, კონკრეტული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე დასაშვებ, შენობა-ნაგებობის მიწისპირა და მიწისზედა სართულების იატაკის ძირითადი კონსტრუქციების ზედაპირების ჯამური ფართობის ზედა ზღვარს (კ-2);
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტს, რომლის მიხედვით დგინდება მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართობის მინიმალური წილი, რომელიც არ უნდა იყოს დაფარული ან გადაფარული რაიმე წყალგაუმტარი (სამშენებლო თუ სხვა) მასალით, რომლის ქვეშაც არ უნდა არსებობდეს რაიმე ნაგებობა, ან სათავსი და რომელიც განკუთვნილია გამწვანებისათვის (კ-3).

დასახლების სივრცითი მოწყობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დასახლების ფუნქციურ ზონირებას. ასეთი ზონირებისას დასახლება იყოფა ზონებად, სადაც ყოველ მათგანს აქვს შესაბამისი ფუნქცია. ფუნქციური ზონები არის ორი სახის:

- ზოგადი ფუნქციური ზონა;

- კონკრეტული ფუნქციური ზონა.

ტერიტორიის ზოგად ფუნქციურ ზონებად დაყოფა აისახება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამის მიწათსარგებლობის ზოგადი უფლებრივი ზონირების დოკუმენტში, ხოლო ტერიტორიის კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად დაყოფა აისახება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამის მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტში.

**ფუნქციური ზონებია:**

- ა) **ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა**, რომელიც წარმოადგენს დასახლების საზღვრებში ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) **სასოფლო-სამეურნეო ზონა**, რომელიც წარმოადგენს დასახლების საზღვრებში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარე შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად;
- გ) **სარეკრეაციო ზონა**, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც დასაშვებია სარეკრეაციო ზონის ფუნქციონირებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად;
- დ) **საკურორტო-სარეკრეაციო ზონა**, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში, სადაც დასაშვებია დასასვენებელი, სამკურნალო, სპორტული და გასართობი დანიშნულების შენობა-ნაგებობების განთავსება;
- ე) **სპეციალური ზონა**, რომელიც სასაფლაოებისთვის განკუთვნილი ტერიტორიებია;
- ვ) **საცხოვრებელი ზონა**, რომელიც წარმოადგენს დასახლების იმ ნაწილს, სადაც განაშენიანების დომინირებული სახეობაა საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის სამეზობლო თემის პრინციპების დაცვით;
- ზ) **სატრანსპორტო ზონა**, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს ქუჩებს (მათ შორის ტროტუარებს), გზებს, მოედნებს, ღია ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს და მატარებლების სადგომ ტერიტორიებს (დეპოებს), სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების და მსგავსი დანიშნულების სხვა ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია ამ ზონის ფუნქციონირებისათვის საჭირო საზოგადოებრივი სამყოფების/სათავსების (მაგ.: აეროსადგურის, საზღვაოსადგურის, ავტოსადგურის, რკინიგზის სადგურის და სხვ.) არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად;
- თ) **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა**, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები;
- ი) **სამრეწველო ზონა**, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები. ამ ზონას, ასევე მიეკუთვნება ნაგავ-

საყრელის ტერიტორიები;

კ) **სანიტარული ზონა**, რომელიც იცავს სხვა ზონებს მავნე ზემოქმედებითი საგან და, ამასთანავე, აქვს გამაჯანსაღებელი ფუნქცია;

ლ) **სამხედრო დანიშნულების ზონა**, რომელიც წარმოადგენს სამხედრო დანიშნულების ტერიტორიას, სადაც განთავსებულია სამხედრო დანიშნულების შენობა-ნაგებობები ან სანვრთნელი პოლიგონი.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის დასახლებათა ტერიტორიებში კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის მიზნით შესაძლებელია გამოიყოს **კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დამცავი** კონკრეტული ზონები, რომლებიც ასახვას ჰპოვებს უფლებრივი ზონირების დოკუმენტებში.

**კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები** მოიცავს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემდეგ ზონებს:

ა) ძეგლის ინდივიდუალური (ფიზიკური) დამცავი ზონა (არეალი);

ბ) ძეგლის ვიზუალურად დამცავი ზონა (არეალი);

გ) ისტორიული განაშენიანების დამცავი ზონა;

დ) ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონა;

ე) ისტორიული ლანდშაფტის დამცავი ზონა;

ვ) არქეოლოგიური დამცავი ზონა.

**გარემოს დამცავი ზონებია:**

ა) ბუნების ძეგლის დამცავი ტერიტორია;

ბ) დაცული ლანდშაფტის ტერიტორია;

გ) წყლის დამცავი ტერიტორია.

## **თავი II. დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მომზადება, დამტკიცების პროცედურები და საჯაროობა**

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას ახორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, თავად ან/და ფიზიკურ, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე შესაბამისი დაკვეთის გაცემის გზით. რაც შეეხება დასახლების სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მას ახორციელებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო. ამგვარი მიდგომა საკმაოდ შეუსაბამოა და ეწინააღმდეგება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოსა და გამგებლის/მერის უფლებამოსილების დადგენილ პრინციპებს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის მომზადების ვალდებულება აკისრია აღმასრულებელ ორგანოს, ხოლო მისი დამტკიცება ხდება საკრებულოს მიერ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, გამგებელი/მერი ვალდებულია მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები წინასწარ განსახილველად წარუდგინოს გამგებლის/მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს. მაგრამ, გარდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსი, ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის №59 დადგენილების მე-16 მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების დახვეწისა და

ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსთან და მისი გადანყვეტილებით შესაძლებელია, შეიქმნას საათბირო ორგანო - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“. ასე რომ, მთავრობის დადგენილება აძლევს მუნიციპალიტეტს ასეთი სპეციალური საბჭოს შექმნის შესაძლებლობას და რისი გამოყენებაც სასურველია. ამ საბჭოს კომპეტენციათა სფეროს შესაძლებელია განეკუთვნებოდეს:

- ა) მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებში რეგულარული მოხსენებების მომზადება და კონსულტაციების განწვევა;
- ბ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცესების საჯაროობის მიზნით, საზოგადოებრივი ინფორმირების, სამუშაოებისა და განხილვების ორგანიზება მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად;
- გ) დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხების თაობაზე წინადადებების, შენიშვნებისა და საჩივრების განხილვა;
- დ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების გეგმარებითი დავალებების გაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების გადანყვეტილებათა მომზადება;
- ე) მინათსარგებლობის უფლებრივი ზონირების რუკების დამტკიცებისათვის საკრებულოების გადანყვეტილებათა პროექტების მომზადება მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად;
- ვ) ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ან მათი ნაწილების დამტკიცების თაობაზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების გადანყვეტილებების და/ან დასკვნების პროექტების მომზადება;
- ზ) სპეციალური ზონალური შეთანხმებისათვის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს გადანყვეტილების პროექტის მომზადება.

საქართველოს მთავრობის №59 დადგენილების თანახმად, საბჭოს არსებობის შემთხვევაში, მისი ფუნქცია და უფლება-მოვალეობები უნდა განისაზღვროს საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით, ხოლო საბჭოს შემადგენლობას კი ამტკიცებს გამგებელი/მერი.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა უნდა განხორციელდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურების შესაბამისად. ამ პროცედურების დაწყებამდე გამგებელი/მერი ვალდებულია მინათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებისას, იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორიისათვის არ არსებობს მინათსარგებლობის გენერალური გეგმა, უზრუნველყოს:

- ა) დასაგეგმარებელი ტერიტორიის განვითარების სავარაუდო მოსაზრებებისა და მიზნების წარმოდგენა;
- ბ) დასაგეგმარებელი ტერიტორიის განვითარების სავარაუდო მოსაზრებებისა და მიზნების შესახებ დაინტერესებული და შესამე პირებისაგან მოსაზრებების/შეფასებების მიღების ვადის განსაზღვრა;
- გ) დასაგეგმარებელი ტერიტორიისათვის წინასაპროექტო კვლევის

ჩატარება;

დ) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის შემუშავება.

განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას, იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, გამგებელი/მერი შესაბამისი სამსახურის მეშვეობით ვალდებულია საჭიროების მიხედვით უზრუნველყოს:

- ა) დასაგეგმარებელი ტერიტორიის განვითარების სავარაუდო მოსაზრებებისა და მიზნების წარმოდგენა;
- ბ) დასაგეგმარებელი ტერიტორიის განვითარების სავარაუდო მოსაზრებებისა და მიზნების შესახებ დაინტერესებული და მესამე პირებისაგან მოსაზრებების/შეფასებების მიღების ვადის განსაზღვრა;
- გ) დასაგეგმარებელი ტერიტორიისათვის წინასაპროექტო კვლევის ჩატარება.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ არის შესაძლებელი შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ამ ეტაპების ადმინისტრაციული წარმოების ვადებია:

**I ეტაპი** – დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების გეგმარებითი დავალების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 20 დღე;

**II ეტაპი** – დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესის შესაბამისად – არაუმეტეს 30 დღე.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს წარმართავს თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს გამოსცემს საკრებულო.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი საკითხია მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. სივრცითი დაგეგმვა არის გრძელვადიანი, სტრატეგიული დოკუმენტი, ამიტომ, აუცილებელია, დაცულ იქნეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მიზნების ფორმირების, შემუშავებისა და განხილვის პროცესის საჯაროობა.

„ტექნიკური რეგლამენტი – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №59 დადგენილების 24-ე მუხლით საჯაროობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია შემდეგი წესები:

1) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების შემთხვევაში, შესაბამისი თვითმმართველობის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის წინ, თვალსაჩინო ადგილას, უნდა დაიდგას საინფორმაციო დაფა და მასზე განთავსდეს:

- ინფორმაცია მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დამკვეთის შესახებ;
- ინფორმაცია მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დამამტკიცებელი ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრებისა და მათი განვითარების სავარაუდო მოსაზრებებისა და მიზნების შესახებ;
- მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განვითარების სავარაუდო მოსაზრებების და მიზნების შესახებ დაინტერესებული და მესამე პირებისგან მოსაზრებების/შეფასებების მიღების დრო;
- მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დასამუშავებლად ჩასატარებელი წინასაპროექტო კვლევის შესყიდვის ვადები;
- მინათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების განხილვისა და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების ვადები;
- მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავების შესყიდვის ვადები;
- მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განხილვისა და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების სავარაუდო და დაზუსტებული ვადები.

2) განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მინათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას, უნდა დაიდგას საინფორმაციო დაფა და მასზე განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამკვეთის შესახებ;
- ინფორმაცია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამამტკიცებელი ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, წინასაპროექტო კვლევის ჩატარების ვადები;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების განხილვისა და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების ვადები;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ვადები;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვისა და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების სავარაუდო და შემდგომ დაზუსტებული ვადები.

3) განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას, იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორიისათვის არ არსებობს მინათსარგებლობის გენერალური გეგმა, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას, უნდა დაიდგას საინფორმაციო დაფა და მასზე განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამკვეთის შესახებ;
- ინფორმაცია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამამტკიცებელი ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრებისა და მათი განვითარების სავარაუდო მოსაზრებებისა და მიზნების შესახებ;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის განვითარების სავარაუდო მოსაზრებებისა და მიზნების შესახებ დაინტერესებული და მესამე პირებისგან მოსაზრებების/შეფასებების მიღების ვადები;



- საჭიროების შემთხვევაში, წინასაპროექტო კვლევის ჩატარების ვადები;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების განხილვისა და გაცემის ადმინისტრაციული წარმოების ვადები;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ვადები;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვისა და დამტკიცების ადმინისტრაციული წარმოების სავარაუდო და შემდგომ დაზუსტებული ვადები.

## თავი III. კეთილმოწყობა

### 1. კეთილმოწყობის არსი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა“. გარდა ამ ჩანაწერისა, საქართველოს კანონმდებლობით, ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამწვანების, დასუფთავების და გარე განათების საკითხები რეგლამენტირებული არ არის. კანონმდებლობით არ არის დადგენილი კეთილმოწყობის, დასუფთავების, გარე განათებისა და გამწვანების სტანდარტები, ფორმები და მეთოდები. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოცემული ჩანაწერიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კეთილმოწყობა არის კომპლექსური საკითხი. ამიტომ, იგი უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი პროგრამების მიხედვით. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება უნდა მოხდეს ან უშუალოდ გამგეობის/მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ან მუნიციპალური შესყიდვის საფუძველზე. რადგან კეთილმოწყობა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებას, საჭიროა თავად თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ იქნეს სამართლებრივი აქტები, რომლითაც განისაზღვრება როგორც მთლიანად მუნიციპალიტეტის, ასევე ამ მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების ტერიტორიის კეთილმოწყობის ერთიანი წესები. ამ წესებით უნდა განისაზღვროს ტერიტორიის დასუფთავების, მოვლა-პატრონობის, კეთილმოწყობის, გაფორმების, გარე განათების, გამწვანების, შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების სტანდარტები, ფორმები და მეთოდები.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის მიერ კეთილმოწყობის წესების არსებობაზე მიუთითებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსიც. ამ კოდექსით გათვალისწინებულია სანქციები თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის (მუხლი 148-ე შემთხვევაში. ასევე, კოდექსი ითვალისწინებს სანქციებს კეთილმოწყობის სფეროს მიკუთვნებულ ცალკეული საკითხების დარღვევისათვის, როგორებიცაა: თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება (მუხლი 150), თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა (მუხლი 150<sup>1</sup>); თვითმმართველი ერთეულის მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური განადგურება (მუხლი 151); სამშენებლო ან სარემონტო სამუშაოების წარმოებისას ტერიტორიის დაზიანება (მუხლი 152); საზოგადოებრივი ადგილებით სარგე-

ბლობის თვითნებური შეზღუდვა (მუხლი 152<sup>2</sup>) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება (მუხლი 178<sup>1</sup>). ყველა ამ საკითხის რეგულაცია და პირობები გათვალისწინებულ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის და ცალკეული დასახლების კეთილმონყობის წესებით.

ტერიტორიის კეთილმონყობა იმ ღონისძიებებისა და სამუშაოთა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ცხოვრებისა და დასვენებისათვის სასიკეთო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად. ტერიტორიის კეთილმონყობის პროგრამა უნდა შედგეს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის გათვალისწინებით. სივრცით-ტერიტორიული მონყობა იმის საფუძველია, რომ განისაზღვროს დასახლებების ფუნქციონალური ზონები და, ამ ფუნქციების მიხედვით, დაიგეგმოს შესაბამისი ზონის კეთილმონყობის სამუშაოები.

კეთილმონყობა არის ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს ტერიტორიის დასუფთავებას, კეთილმონყობის ობიექტების მოვლა-პატრონობას, გარე განათებას და გამწვანებას, ტროტუარების, გასასვლელების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების, საბავშვო და სპორტული ღია მოედნების, დასვენების ადგილების მონყობას; სახლების, ნაგებობების, გზების, ხიდების, წყალარინების სისტემის, ფეხით მოსიარულეთა კიბეების, მოსაცდელების, მცირე არქიტექტურული ფორმებისა და სხვა ობიექტების მოვლა-პატრონობას; კომუნალური დანიშნულების ობიექტების, გზებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების რეკონსტრუქციას, რემონტსა და მოვლა-პატრონობას.

ამ საკითხების კომპლექსური დაგეგმვის, და გეგმაზომიერი, თანამიმდევრული განხორციელებისათვის აუცილებელია თვითმმართველობის ორგანოთა მიერ მიღებულ იქნეს დასახლებათა კეთილმონყობის ნორმატიული ხასიათის წესები, რომლითაც უნდა განისაზღვროს:

- კეთილმონყობის ობიექტები;
- ტერიტორიის დასუფთავების ორგანიზაცია, დასუფთავების წესები და სტანდარტები;
- შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობისა და გარე ფასადების რეკონსტრუქციისა და დაცვის წესები და სტანდარტები;
- კეთილმონყობის ობიექტების (სკულპტურები და სხვა მცირე არქიტექტურული ფორმები, ლობეები, შადრევნები, პარაპეტები, ქუჩებსა და პარკებში განთავსებული საჯარო სარგებლობის მაგიდები, მერხები, სკამები და ა.შ.) მოვლა-პატრონობისა და დაცვის წესები;
- გარე რეკლამის და საინფორმაციო ობიექტების (საინფორმაციო დაფები და ტუმბოები, ქუჩების დასახელებებისა და სახლების ნუმერაციის აღმნიშვნელი დაფები, საგზაო ნიშნები, მემორიალური დაფები და ა.შ.) განთავსების ფორმები და წესები;
- მოთხოვნები მშენებარე ობიექტების, სამშენებლო მოედნების, მათი შემოღობვისა და მისასვლელი გზების შესახებ. მათი გამოყენების წესები და პირობები;
- ხაზობრივი ნაგებობების (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები, წყალარინების სისტემები და ა.შ.) განთავსების, სამუშაოთა წარმოებისა და მოვლა-პატრონობის წესები;
- გარე განათების სტანდარტები, მათი განთავსებისა და მოვლა-პატრონო-

ბის წესები;

- საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტების (მოსაცდელები, სატელეფონო ჯიხურები, საეაჭრო ჯიხურები და გარე ვაჭრობის არასტაციონალური ობიექტები (სტელაჟები, დახლები და ა.შ.), საზოგადოებრივი ტუალეტები) გა- ნთავსებისა და მოვლა-პატრონობის წესები;
- გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების ფუნქციონირებისას კეთილმონყობისა და სანიტარიული ნორმების დაცვის წესები;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვისა და ექსპლუატაციის წესები;
- ტერიტორიის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისა და დაცვის წესები.

## 2. დასახლების კეთილმონყობის ობიექტები

დასახლების კეთილმონყობის წესებით, უპირველესად, უნდა განისაზღვროს კეთილმონყობის ობიექტები, სადაც უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს კეთილმონყობის სამუშაოები. დასახლების კეთილმონყობის ობიექტებს უნდა წარმოადგენდეს:

- 1) საჯარო სარგებლობის ტერიტორია:
  - დასახლების საზღვრებში ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია
  - პარკები (ტყე-პარკები, კულტურისა და დასვენების პარკები), ბალები, სკვერები, ღია მოედნები (საბავშვო და სპორტული);
  - ქუჩები, პროსპექტები, გამზირები, მოედნები, ბულვარები, ტროტუარები, ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის ბილიკები, მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელები, საჯარო სარგებლობის კიბეები და გასასვლელები;
  - სანაპიროები და პლაჟები.
- 2) კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების დაცული ტერიტორიები (შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით);
- 3) საცხოვრებელი ზონის შენობების მიმდებარე ტერიტორიები;
- 4) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ტერიტორია. საზოგადოებრივი დაწინიშნულების ობიექტების მიმდებარე ტერიტორია;
- 5) სანიტარიული ზონა;
- 6) სასაფლაოები;
- 7) ნაგავსაყრელები.

## 3. კეთილმონყობის ორგანიზაცია

კეთილმონყობის კომპლექსური ხასიათის მიხედვით უნდა განისაზღვროს კეთილმონყობის სამუშაოების დაგეგმვასა და შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობები დასახლების კეთილმონყობის სამუშაოთა შესრულებისა და დაცვის სფეროებში. მოცემული უნდა იყოს თუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს უშუალოდ მუნიციპალურმა სამსახურებმა და რომელი სამუშაოები სრულდება მუნიციპალური შესყიდვის გზით.

#### 4. ტერიტორიის დასუფთავება

კეთილმოწყობის წესების ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს კეთილმოწყობის ობიექტების დალაგებას, დასუფთავებას, სანიტარიული პირობების დაცვას, ნარჩენების გატანას და მათ ეკოლოგიურად უსაფრთხო უტილიზაციას. გათვალისწინებულ უნდა იყოს სეზონების მიხედვით ჩასატარებელი დასუფთავების სამუშაოები (ზამთარში თოვლისა და ყინულისგან განმეხდა, ზაფხულში მორწყვა და ა.შ.). მოცემული უნდა იყოს ჩასატარებელი სამუშაოების პერიოდულობა და ვადები (რომელ საათებში ტარდება დასუფთავების სამუშაოები).

#### 5. შენობა-ნაგებობების მოვლა-კატრონობა

კეთილმოწყობის წესების ამ ნაწილში განსაზღვრული უნდა იყოს შენობა-ნაგებობების გარე ფასადების (მათ შორის ვიტრინების, აივნების და ა.შ.) რეკონსტრუქციისა და გაფორმების (მათ შორის ფასადის შეღებვის) წესები. რა მოთხოვნებია დაწესებული შენობა-ნაგებობის ფასადის მიმართ და რა ვალდებულება და პასუხისმგებლობა ეკისრებათ შენობა-ნაგებობის მესაკუთრეებს.

#### 6. ბარბიერული და სანიტორიული მოვლა

რეკლამის, მათ შორის გარე რეკლამის, საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონით „რეკლამის შესახებ“. ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეკლამა არის „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“. ამავე კანონის მე-6 მუხლი არეგულირებს გარე რეკლამის საკითხს. ამ მუხლის პირველი პუნქტით, „რეკლამის გავრცელება საქართველოს ქალაქებში, სოფლებში და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე შეიძლება პლაკატების, სტენდების, შუქფირნიშების, სტაბილური ტერიტორიული განთავსების სხვა ტექნიკური საშუალებების (გარე რეკლამა) გამოყენებით“. კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, მოცემულია გარე რეკლამის ფორმასა და განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. კერძოდ, „გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს. მან არ უნდა გააუარესოს ამ ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზის ხილვადობა, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. შენობა-ნაგებობებზე განლაგებული რეკლამა არ უნდა აუარესებდეს მათ არქიტექტურულ იერსახეს და კონსტრუქციულად მდგრადი უნდა იყოს. ნებისმიერი სახით გავრცელებული გარე რეკლამა არ უნდა ამახინჯებდეს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს“. კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო ნებართვას გასცემს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს „უნდა ჰქონდეთ გარე რეკლამის გავრცელების

გეგმა (რეკლამის ზომის, ფორმისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით), რომელიც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული:

- ა) საავტომობილო გზათა მმართველობის სათანადო ორგანოსთან და საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის საავტომობილო გზების კუთვნილ ან მის მომიჯნავე ზოლში მდებარეობისას (დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ);
- ბ) საგზაო პოლიციის ტერიტორიულ ქვედანაყოფთან – საქალაქო და სასოფლო დასახლებების ტერიტორიებზე;
- გ) რკინიგზის მმართველობის სათანადო ორგანოსთან – რეკლამის გავრცელების ტერიტორიის რკინიგზის ტერიტორიის კუთვნილ ზოლში მდებარეობისას;
- დ) საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო – საწარმოო სამმართველოსთან ან მისდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან რეგიონებში – ბუნების, ისტორიისა და კულტურის დაცვით ზონებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში“.

კანონის ეს მოთხოვნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს კეთილმოწყობის წესებში, რეკლამის გავრცელების გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებას და არ უნდა აუარესებდეს დასახლების იერსახეს.

საინფორმაციო ობიექტებს წარმოადგენს საინფორმაციო დაფები და ტუმბოები (გარდა გარე რეკლამისათვის გამოყენებული ობიექტებისა), ქუჩების დასახელებებისა და სახლების ნუმერაციის აღმნიშვნელი დაფები, საგზაო ნიშნები, მემორიალური დაფები.

საინფორმაციო დაფებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის დასახლებებში, რათა მოსახლეობისთვის ოპერატიული და ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ. ამ სახის დაფების გამოყენებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქალაქებისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული შენობა-ნაგებობებზე, მწვანე ნარგავებსა და სადარბაზოებზე სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ფურცლების თვითნებური გაკვრა. ამიტომ, საჭიროა კეთილმოწყობის წესებით დადგინდეს როგორც საინფორმაციო დაფის ფორმები და მათი განთავსების ადგილები, ასევე მათი გამოყენების, ინფორმაციის განახლების პერიოდულობისა და დაფების დაცვის წესები.

საგზაო ნიშნების ფორმა და გამოყენების წესი განისაზღვრება „საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციით და „საგზაო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი „საქართველოს საგზაო მოძრაობის წესების“ დანართით.

მემორიალური თუ საანოტაციო დაფების ფორმასა და განთავსების ადგილს განსაზღვრავს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც უნდა აისახოს კეთილმოწყობის წესებში.

## 7. მშენებარე ობიექტებისადმი მოთხოვნები

მშენებლობის წარმოებისას და სამშენებლო მოედნის მოწყობისას მიღებულ უნდა იქნეს კეთილმოწყობის დაცვის ზომები. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო

პირობების შესახებ №57 დადგენილების 84-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „10. სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნებს, მათ შორის:

- ა) მის სისუფთავეს: არ დაუშვებენ მიმდებარე მიწის ნაკვეთებისა და ქუჩების დაბინძურებას, აგრეთვე ამ ქუჩების გზის საფარის დაზიანებას;
- ბ) სამშენებლო მოედანზე არსებული ძირითადი და საერთო სარგებლობის საინჟინრო კომუნიკაციების/ნაგებობების დაცვას;
- გ) ხანძარსა და სანაღმდეგო უსაფრთხოებას;
- დ) სათანადო სამუშაო ჰიგიენური პირობების დაცვას;
- ე) სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებას;
- ვ) საწარმოო ნარჩენებით, ჩამდინარე წყლებითა და ჰაერის დამტვერიანებით მიმდებარე გარემოს, მათ შორის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების დაბინძურების თავიდან აცილებას;
- ზ) სამუშაოთა წარმოებას ხმაურისა და ვიბრაციის დონეს დასაშვებ ფარგლებში“.

მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის ეს ზომები უნდა აისახოს კეთილმოწყობის წესებში.

## 8. ბარე განათობა

კეთილმოწყობის წესების ამ ნაწილში უნდა განისაზღვროს ის ობიექტები, სადაც სავალდებულოა გარე განათება. ასევე, უნდა განისაზღვროს მისი განთავსება და მოვლა-პატრონობა, გარე განათების მუშაობის რეჟიმი, თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების მოვალეობები გარე განათების სისტემის ფუნქციონირების საკითხებში.

## 9. ბარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების

### ფუნქციონირებისას კეთილმოწყობისა და სანიტარიული ნორმების დაცვა

თვითმმართველი ერთეულის დასახლების, განსაკუთრებით ქალაქების კეთილმოწყობის წესების განსაზღვრისას ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების კეთილმოწყობისა და სანიტარიული ნორმების საკითხების რეგულაცია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება“. კეთილმოწყობის წესებით საჭიროა განისაზღვროს ის აუცილებელი სანიტარიული ნორმები და სტანდარტები, რომლებიც უნდა იქნეს დაცული როგორც გარე მოვაჭრეების, ასევე ბაზრებისა და ბაზრობების ფუნქციონირებისას.

## 10. გამწვანება

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის გამწვანების საკითხის სრულყოფილი რეგულაციისათვის, სასურველია, საკრებულოს მიერ მიღებულ იქნეს სპეციალური წესი „თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის შესახებ“. ამ წესის მიზანი უნდა იყოს თვით-

მმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება. ამ წესით უნდა განისაზღვროს:

- მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესი;
- მოსაჭრელი ხეების უბნის გამოყოფისა და ხეების მონიშვნის წესი;
- მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისის წარმოების წესი.

ასევე, საჭიროა დადგინდეს მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებები, როგორებიცაა:

- მოვლითი ჭრების განხორციელება;
- სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე მწვანე ნარგავების დაცვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამომწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები;
- მწვანე ნარგავების აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა.

## **თავი IV. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ინფრასტრუქტურა**

ინფრასტრუქტურას განმარტავს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, რომლის მიხედვით ინფრასტრუქტურა „საინჟინრო-ტექნიკური და სოციალური მომსახურების, ასევე საკომუნიკაციო ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობაა“. ამ განმარტებიდან ნათელია ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა მუნიციპალიტეტისთვის. შესაბამისად, გამგებლის/მერის და გამგეობის/მერიის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება. სამწუხაროდ, ტერმინი „მუნიციპალური ინფრასტრუქტურა“, ისევე როგორც ტერმინი „მუნიციპალური მმართველობა“, ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული საქართველოს კანონმდებლობაში. მუნიციპალური ინფრასტრუქტურა არის კომპლექსური ტერმინი, რომელიც აერთიანებს თვითმმართველი ერთეულის ფუნქციონირების განმსაზღვრელ:

- საინჟინრო ინფრასტრუქტურას – შენობა-ნაგებობათა საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემებს;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას – სატრანსპორტო კომუნიკაციის (სატვირთო თუ სამგზავრო გადაყვანის) უზრუნველყოფის სისტემებს;
- კომუნალურ ინფრასტრუქტურას – კომუნალური მომსახურების (წყალი, გაზი, დენი, კანალიზაცია, სანიაღვრე ქსელები და ა.შ.) უზრუნველყოფის სისტემებს;
- სოციალურ ინფრასტრუქტურას – მოსახლეობის სოციალური მომსახურების უზრუნველყოფის სისტემებს;
- ეკონომიკის ინფრასტრუქტურას – ეკონომიკის ფუნქციონირების უზრუნველყოფის სისტემებს;
- საინფორმაციო ინფრასტრუქტურას – ორგანიზაციული სტრუქტურები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საინფორმაციო სივრცის ფუნქციონირებასა და განვითარებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებაში შედის „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა“. საინჟინრო ინფრასტრუქტურა, მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაგეგმვა, მშენებლობა და განვითარება არის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ მოწყობასთან. სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დოკუმენტები ქმნის იმის საფუძველს, რომ რაციონალურად დაიგეგმოს როგორც ადგილობრივი გზების, ასევე საინჟინრო ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საკითხები. ცხადია, აქ არ არის მხოლოდ ცალმხრივი ქვემდებარეობა. ადგილობრივი გზების გამტარუნარიანობა, საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება ასევე განაპირობებს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების კორექტირებასაც.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონით „საავტომობილო გზების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრება საავტომობილო გზების სახეობები და სტატუსი. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საავტომობილო გზა არის საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთვებითა და გაბარიტებით“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი აფართოებს საავტომობილო გზების ცნებას და მიუთითებს, რომ „საავტომობილო გზის ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, გაერთიანებულია:

- ა) მიწის ვაკისი სავალი ნაწილი, ხიდეები, გვირაბები, ესტაკადები, სატრანსპორტო კვანძები, წყალგამტარი ნაგებობები, საყრდენი კედლები, გზის გასწვრივ მდებარე საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, ასევე განსხვავების ზოლები და მის ფარგლებში არსებული სხვა საგზაო ნაგებობები;
- ბ) მოძრაობის მართვისა და რეგულირების, ტექნოლოგიური კავშირის, განათების მოწყობილობათა ელემენტები და სხვა ნაგებობები, მათ შორის სპეციალური დანიშნულების სატელეფონო კავშირები, რომლებიც საჭიროა საავტომობილო გზების ნორმალური მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისათვის;
- გ) საავტომობილო გზების ზედა საჰაერო სივრცე სატრანსპორტო საშუალებებისათვის დადგენილი გაბარიტების ფარგლებში;
- დ) თოვლდამცავი და ხმაურდამხშობი მოწყობილობები, სატყეო თოვლდამცავი ზოლები, ზვავსაწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო და წყალამრიდი ნაგებობანი, გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები და ავარიის საწინააღმდეგო ჯიბეები, რომლებიც შეიძლება განლაგებული იყოს განსხვავების ზოლის გარეთ;
- ე) საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურის შენობა-ნაგებობანი“.

ამდენად, კანონი საავტომობილო გზას განიხილავს საგზაო-საინჟინრო ინფრასტრუქტურად. ასეთი მიდგომა სრულიად მართებულია და საშუალებას



იძლევა ერთიან კომპლექსში მოხდეს ინფრასტრუქტურის ამ ფორმის სამართლებრივი რეგულირება.

„საავტომობილო გზების შესახებ“ კანონის თანახმად (მუხლი 3), საავტომობილო გზები იყოფა საერთო სარგებლობისა და საუნყებო გზებად. საერთო სარგებლობის გზები სამეურნეო და თავის მნიშვნელობის მიხედვით იყოფა საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად.

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზებს განეკუთვნება საქართველოს და სხვა სახელმწიფოების ადმინისტრაციული, მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრების დამაკავშირებელი გზები.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება:

- საქართველოს დედაქალაქის მნიშვნელოვან სამრეწველო და კულტურულ ცენტრებთან, ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებთან და რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე მათი შემოსავლელები და მათთან მისასვლელები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებიდან;
- ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქების, რაიონების ადმინისტრაციული ცენტრების, საქართველოს მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრების დამაკავშირებელი გზები;
- საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქებთან და რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებთან აეროპორტებისა და ნავსადგომების დამაკავშირებელი გზები.

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. როგორც წესი, იგი გადაისინჯება 5 წელიწადში ერთხელ“. კანონის ამავე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს მიეკუთვნება:

- ა) რაიონების ადმინისტრაციული ცენტრების ამავე რაიონების დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელი გზები;
- ბ) დასახლებული პუნქტების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დამაკავშირებელი გზები;
- გ) რაიონების დასახლებული პუნქტების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები;
- დ) განსაკუთრებული მნიშვნელობის კურორტების დასვენებისა და ტურიზმის ადგილების, სპორტული კომპლექსების, ისტორიული და კულტურული ძეგლების, სამეცნიერო ცენტრებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტების რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებთან (რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობენ აღნიშნული ობიექტები) დამაკავშირებელი გზები, აგრეთვე უახლოეს რკინიგზის სადგურებთან, საზღვაო ნავსადგურებთან მისასვლელები საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიდან“. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს შეიძლება მიეკუთვნოს გზები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ამ

პუნქტით განსაზღვრულ ადგილობრივი გზების მაჩვენებლებს, მაგრამ აქვს თავდაცვითი და სპეციალური მნიშვნელობა“.

კანონით მოცემული კლასიფიკაციის ხარვეზია იმის მიუთითებლობა თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება დასახლების შიდა გზები. ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ დასახლების შიდა გზები არ გვხვდება არც ერთ ჩამონათვალში. თავისი მნიშვნელობის გამო დასახლების შიდა გზები, რა თქმა უნდა, განეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს. „საავტომობილო გზების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. როგორც წესი, იგი გადაისინჯება 3 წელიწადში ერთხელ“. თვითმმართველობის ორგანოების, კერძოდ, საკრებულოს დადგენილებებით დამტკიცებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ნუსხით ეს ხარვეზი გასწორებულია. დამტკიცებულ ნუსხაში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად, ასევე დასახლებულია დასახლებების შიდა გზები.

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და 22-ე მუხლებით დადგენილია შეზღუდვა და აკრძალვები საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის და საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში შეუთანხმებელი მოქმედებისათვის. მე-16 მუხლის თანახმად, საავტომობილო გზებზე აკრძალულია:

- ა) „იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, რომლის თითოეულ წამყვან ან არანამყვან ლერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთნამყვანლერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ლერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას. გარდა ნებადართულ მაქსიმალურ მასაზე ფაქტობრივი მასის გადაჭარბების აკრძალვისა, ამ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება:
  - ა.ა) იმ არაგაბარიტულ (მსხვილგაბარიტიან) ან ზენორმატიულ (მძიმე-წონიან) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც მოძრაობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილ ორგანოსთან (უნყებასთან) შეთანხმებით, ამ შეთანხმების პირობების შესაბამისად;
  - ა.ბ) საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას საზღვაო ნავსადგურში განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით გადაადგილებულ იმ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც შემდგომ გადაადგილდება საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი, 10 კმ-ის რადიუსში მდებარე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისაკენ საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით;
  - ა.გ) იმ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას გადაადგილდება საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, საგადასახადო ორგანოს განთავსების ადგილიდან უახლოესი, 25 კმ-ის რადიუსში მდებარე რკინიგზის სადგურისაკენ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ზონისაკენ საგადასახადო ორ-

- განოს მიერ დადგენილი მარშრუტით);
- ბ) გზების, საგზაო ნაგებობათა და განსხვავების ზოლის, აგრეთვე ხიდებისა და მილების ნახვრეტების, არხებისა და სადრენაჟო მოწყობილობათა გაჭუჭყიანება ან ჩახერგვა;
  - გ) შეუფუთავად გადაზიდვა ისეთი ტვირთისა, რომელიც აჭუჭყიანებს გზას ან განსხვავების ზოლს;
  - დ) სოფლის მეურნეობის პროდუქტების (მარცვლეულის, თივის და სხვა) გზაზე გამოტანა და დაყრა;
  - ე) ნავთობპროდუქტებისა და ქიმიურ ნივთიერებათა დაქცევის შესაძლებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება, აგრეთვე გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვა;
  - ვ) პირუტყვის გადარეკვა საგზაო ორგანოებთან შეთანხმებული ადგილების გარდა, აგრეთვე მისი უმეტესაწესრიგად მოვლა განსხვავების ზოლში;
  - ზ) გზების ბლოკირება, საკონტროლო და შესამონმეხელი პუნქტების მოწყობა, დემონსტრაციების, სპორტული შეჯიბრებების, სხვა მასობრივ ღონისძიებათა მოწყობა, რომლებიც ცვლის მოძრაობის დადგენილ რეჟიმს, ასევე გზაზე ავტოტრანსპორტის შესვლა და გამოსვლა საამისოდ დაუდგენელ ადგილებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საგზაო სამსახურებისა და საპატრულო პოლიციის ნებართვის გარეშე;
  - თ) რეკლამების დაყენება საგზაო ორგანოების ნებართვის გარეშე;
  - ი) გზის ვაკისზე ვაჭრობა;
  - კ) საგზაო ნაგებობების, საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების, მწვანე ნარგავების, თოვლდამცავი მოწყობილობის და სხვა საგზაო ქონების დაზიანება;
  - ლ) აღნიშნული შეზღუდვებისა და აკრძალვების უგულვებელყოფა გამოინვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით“.

კანონის 22-ე მუხლით მოცემულია აკრძალვები თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობის გარეშე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებსა და გზისპირა ზონებში მოქმედებებზე:

„1. საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალულია:

- ა) ნებისმიერი სამშენებლო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო, გეოლოგიური ძიების სამუშაოები, კავშირგაბმულობის ხაზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ახლის აშენება და არსებული ნაგებობების შეკეთება (მილსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შემთხვევაში აღდგენა-შეკეთების სამუშაოების გარდა, რასაც დაუყოვნებლივ ატყობინებენ საგზაო ორგანოებს);
- ბ) ტექნოლოგიური ტვირთზიდვის ორგანიზაცია;
- გ) გარე განათებისა და გამწვანების მოწყობა;
- დ) მოძრავი გასამართი პუნქტების, ჯიხურების, პავილიონების და სხვა ნაგებობების განლაგება;
- ე) სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვის, გასაჩერე-

- ბელი და სამრეცხაო მოედნის მოწყობა;
- ვ) კაშხალების, გუბურების და სხვა მელიორაციულ და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა;
  - ზ) ზემდინარეების კალაპოტების გაღრმავება და ქვიშისა და ღორღის მოპოვება ერთი კილომეტრის მანძილზე ხიდების ზემოთ და ქვემოთ, მდინარეზე ხიდების ქვეშ ხე-ტყის დაცურება;
  - თ) ხიდების ბურჯებთან ნაგების ან სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნაგების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობების მოწყობა;
  - ი) ყველა იმ სამუშაოს წარმოება, რომელიც გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე ცვლის საგზაო მოძრაობის არსებულ ორგანიზაციას ან ავტომანქანების სიჩქარეების დადგენილ რეჟიმს, გარდა საგზაო ორგანიზაციებისა, უნდა შეუთანხმდეს საგზაო პოლიციას.

კანონის მოთხოვნათა დარღვევით ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების და მოქალაქეების მიერ აშენებული შენობა-ნაგებობანი უნდა დაინგრეს თვითნებურად აშენებულთა ხარჯზე“.

ადგილობრივი გზების დაგეგმარებისა და მშენებლობისას თვითმმართველი ერთეულის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი“. ეს ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს სამუშაოების იმ სახეობებს, რომლებიც შეიძლება ჩატარებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე.

საავტომობილო გზებზე შესასრულებელი საგზაო სამუშაოები იყოფა შემდეგ სახეობებად:

- ა) **მიმდინარე შეკეთება** – ითვალისწინებს: გზის სისტემურ მოვლა-შენახვას (სისუფთავის და წესრიგის უზრუნველყოფა); მიწის ვაკისის, საფარის, წყალამრიდი და წყალგამტარი ნაგებობების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კეთილმოწყობის, მცირე დეფორმაციებისა და დაზიანებების სისტემატურ აღმოფხვრას; შეკეთებას და ზამთარში გზის შენახვას;
- ბ) **პერიოდული შეკეთება** – ითვალისწინებს: საფარის სისწორის, ხორკლიანობის და საცვეთი ფენის აღდგენას; მიწის ვაკისის ელემენტების, წყალამრიდი და წყალგამტარი ნაგებობების, მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კეთილმოწყობის დაზიანებების პერიოდულ შეკეთებას ან აღდგენას და მათი თანმდევი სამუშაოების შესრულებას;
- გ) **რეაბილიტაცია** – ითვალისწინებს: განივი და გრძივი პროფილების აღდგენას, ვირაჟების მოწყობას, მიწის ვაკისის სიგანის, ფერდობების და წყალგამტარი ნაგებობების გეომეტრიული პარამეტრების მიყვანას საპასპორტო (საპროექტო) მაჩვენებლებამდე, გადატვირთულ სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ერთ დონეში გახსნის სრულყოფას, წყალამრიდი ნაგებობების მთლიან აღდგენას ან ახლის მოწყობას, სამოსის კონსტრუქციის მოძრაობის ინტენსივობის შესაბამისად გაძლიერებას, ხელოვნური ნაგებობების (კალაპოტების და სარეგულაციო ნაგებობების

ჩათვლით) კონსტრუქციული ელემენტების შესწორებას და აღდგენას, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სრულყოფილ აღდგენას ან გზის ახალი დისლოკაციის პროექტის მიხედვით აღჭურვას, გზის კეთილმოწყობის ახალი მოთხოვნების მიხედვით სრულყოფას შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენით და მათი თანმდევი სამუშაოების შესრულებით. რეაბილიტაციის შედეგად მთლიანად უნდა აღდგეს გზის ტექნიკური მაჩვენებლები და გაიზარდოს გზის პრაქტიკული გამტარუნარიანობა. რეაბილიტაციის შედეგად უნდა გაუმჯობესდეს გზის ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლები;

**დ) რეკონსტრუქცია** - ითვალისწინებს: გზების და საგზაო ნაგებობების ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებას, გზის გამტარუნარიანობის და საექსპლუატაციო სიჩქარეების გადიდებას, მიწის ვაკისის მდგრადობის გაძლიერებას, ჰორიზონტალური მრუდების და გრძივი ქანობების გაუმჯობესებას, გზის სამოსის სიმტკიცის ამაღლებას, წყალამრიდი და წყალგამტარი ნაგებობების სრულყოფას, ხიდების გაბარიტების და დატვირთვების გაზრდას, გზის მოძრაობის რეგულირების სრულყოფილ აღჭურვას ტექნიკური საშუალებებით და დამცავი ნაგებობებით და სხვ. რეკონსტრუქცია ხორციელდება გზების გადატვირთული მონაკვეთების ან ცალკეული საგზაო ნაგებობების სრულყოფის მიზნით, სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით. რეკონსტრუქციის შედეგად გზის ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლები უნდა იქნეს მიყვანილი ავტოტრანსპორტის პერსპექტიული ინტენსივობის მოთხოვნებამდე;

**ე) მოდერნიზაცია** – ითვალისწინებს: გზების ან მისი მონაკვეთების ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების მკვეთრ გაუმჯობესებას. იგი ხორციელდება, როდესაც არსებული გზის პრაქტიკული გამტარუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობა ამოწურულია და მისი გადიდება რეკონსტრუქციის მეშვეობით შეუძლებელია; საანგარიშო ინტენსივობის გატარებისათვის აუცილებელი ხდება სავალი ზოლების ორი ან მეტი რაოდენობით გადიდება, ყველა შესაბამისი გეომეტრიული პარამეტრების სრულყოფით;

**ვ) მშენებლობა** – ითვალისწინებს: სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით ახალი გზის მშენებლობის მთელ კომპლექსს, მათ შორის, ქალაქის და დასახლებული პუნქტების შემოვლითი გზების მშენებლობას;

**ზ) სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია** – ამ მოვლენებზე ითვლება წყალდიდობა, ღვარცოფი, მენწყერი, ზვავი, მიწისძვრა, ავარია და სხვა, რომლებიც მიწის ვაკისს და საგზაო ნაგებობებს მიაყენებს მნიშვნელოვან დაზიანებებს, რის გამოც ირღვევა მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნები, წესდება მოძრაობის ორგანიზაციის შეზღუდული რეჟიმი ან საჭირო ხდება გზის ფაქტობრივი დაკეცვა. საავტომობილო გზებზე სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია ხორციელდება დაზიანებული მიწის ვაკისის, სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების და სხვათა კაპიტალური ან დროებითი აღდგენის ღონისძიებების გატარებით. სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია, განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები. სტიქი-

ური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა სახის საგზაო სამუშაოები.

მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების და რეაბილიტაციის სამუშაოების სახეობებს ერთობლივად გზების მოვლა-შეკეთებითი სამუშაოები ეწოდება, რომლის დაგეგმვა ხორციელდება საავტომობილო გზების მახასიათებელი თვისებების ძირითადი მაჩვენებლების ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით და ითვალისწინებს: გზაზე ავტოტრანსპორტის დაწესებული რეჟიმით და დატვირთვებით მდგრადი, შეუფერხებელი, უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობის უზრუნველყოფას მთელი წლის განმავლობაში; გზებისა და საგზაო ნაგებობების სათანადო შენახვას.

რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების სახეობებს გზების სრულყოფის სამუშაოები ეწოდება, ხოლო ახალი გზების მშენებლობის სამუშაოების სახეობას – გზების განვითარების სამუშაოები.

## თავი V. მშენებლობათა რეგულირება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია მშენებლობათა რეგულირება. სამშენებლო საქმიანობა რეგულირდება კანონით „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობის მონაწილეთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ თავისებურებებს, ადგენს ამ საქმიანობის ნორმების დაცვისა და რეგულირების მექანიზმს.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მშენებლობის რეგულირების სფეროში, განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი. კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში“. მშენებლობის რეგულირების სფეროში კოდექსით, თვითმმართველი ერთეულისთვის დადგენილია ორი ძირითადი უფლებამოსილება:

- ა) მშენებლობის ნებართვის გაცემა;
- ბ) მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა.

### 1. მშენებლობის ნებართვის გაცემა

**მშენებლობის ნებართვის გაცემის სამართლებრივი საფუძვლებია:**

- ა) საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- ბ) საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- გ) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
- დ) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, რომლის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით ხდება ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და ნებართვის გაცემა.

მშენებლობის ნებართვის გაცემის ძირითადი საკანონმდებლო საფუძველია კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. ამ კანონის მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტით მშენებლობის ნებართვა არის „განსხვავებული იერარქიული ნებართვა, რომელიც ნებართვის მაძიებელთა ეკონომიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ, სტადიად: **I სტადია** – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა; **II სტადია** – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება; **III სტადია** – მშენებლობის ნებართვის გაცემა.

აღნიშნულ სტადიებზე ვრცელდება ამ კანონით ნებართვის გაცემისათვის განსაზღვრული წესები და პრინციპები. (ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე განიხილება, როგორც არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ხოლო არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც არქიტექტურული პროექტი“.

კანონის 26<sup>4</sup>-ე მუხლით დადგენილია მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი. კანონში 2011 წელს შესული ცვლილებებით მნიშვნელოვნად გამარტივდა მშენებლობის ნებართვის გაცემა. მაგალითად, თუ კანონის თავდაპირველი რედაქციით ნებართვის პირველი სტადიისათვის სავალდებულო იყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, შეტანილი ცვლილებით სამივე სტადია ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. ასევე დაიშვა მშენებლობის ნებართვის გაცემა ელექტრონული ფორმით.

შეტანილი ცვლილებების შედეგად, კანონის 26<sup>4</sup>-ე მუხლით, დადგენილია მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგი წესი:

1. „მშენებლობის (მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის) ნებართვის **I სტადია** – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, **II სტადია** – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება **III სტადია** – მშენებლობის ნებართვის გაცემა ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. მშენებლობის ნებართვის გაცემა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სტადიები უნდა განხორციელდეს 60 დღის განმავლობაში.

3. მშენებლობის ნებართვის გაცემის, მათ შორის, გამარტივებულად გაცემის, წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

4. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის გაცემის წარმოება განახორციელოს ელექტრონული ფორმით.

5. მშენებლობის ნებართვის ელექტრონული ფორმით გაცემის და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, ხოლო ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით. დაინტერესებული მხარისათვის ელექტრონული ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაცნობას.

6. პირველ და მეორე სტადიებზე დამკვეთი არის განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე/მოსარგებლე ან

მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

7. მშენებარე ობიექტზე საკუთრების უფლების (უფლებების) რეგისტრაციის შემთხვევაში დამკვეთი (პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი) არის მინის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე/მოსარგებლე (პირი, რომელზედაც გაიცა მშენებლობის ნებართვა) ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 27-ე მუხლი განსაზღვრავს ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს. ამ მუხლის შესაბამისად თვითმმართველობის ორგანო არ გასცემს ნებართვას, თუ:

- ა) ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ნებართვის მაძიებლის მიერ;
- ბ) ნებართვის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილ სანებართვო პირობებს;
- გ) ნებართვის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის სანებართვო სფეროში საქმიანობის უფლება.

კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრულია მშენებლობის ნებართვის გამცემის უფლება – მოვალეობები. ნებართვის გამცემი: ა) კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით გასცემს ნებართვას, შეაქვს მასში ცვლილება ან აუქმებს მას; ბ) აწარმოებს უწყებრივ სანებართვო რეესტრს; გ) გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში აქვეყნებს ინფორმაციას მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით ნებართვის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ, აგრეთვე - ინფორმაციას იმ ნებართვის თაობაზე, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით; ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახავს ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას; ვ) კანონით დადგენილი წესით განახორციელებს კონტროლს ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე.

სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის ფორმები და პასუხისმგებლობები სანებართვო პირობების დარღვევისათვის მოცემულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის VIII თავში.

სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლს ეხება კანონის 33-ე მუხლი. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად: ნებართვის გამცემი კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სანებართვო პირობების შესრულების შერჩევითი შემონმებით. ნებართვის გამცემი სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს მხოლოდ სანებართვო პირობების შემონმებით. ნებართვის გამცემს უფლება არა აქვს შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დაცვასთან. ნებართვის



გამცემის გადაწყვეტილება შერჩევითი შემონმების განხორციელების შესახებ ადმინისტრაციული აქტია. ნებართვის გამცემი შერჩევითი შემონმების განხორციელებისას ვალდებულია ნებართვის მფლობელს წარუდგინოს აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი. კანონით დადგენილი კონტროლის ეს ფორმა ეხება ყველა სახის ნებართვებს და შესაბამისად არის უფრო ზოგადი სახის. მშენებლობის ნებართვის პირობების შესრულებაზე კონტროლი, მხოლოდ ამ ფორმით არ შემოიფარგლება. საქართველოს კანონმდებლობა აღმასრულებელ ორგანოს აკისრებს კონტროლს არა მხოლოდ სანებართვო პირობების შესრულებაზე, არამედ სახელმწიფო ზედამხედველობას მთლიანად მშენებლობის პროცესზე.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 34-ე მუხლით დადგენილია ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმების საფუძვლები. კერძოდ,

„1. ნებართვის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება კანონით. ნებართვის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვა აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისათვის;

2. პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შეუსრულებლობა (ეს არ ეხება მხოლოდ სათამაშო აპარატების სალონის, სამორინეს, ტოტალიზატორის, ლოტოსა და ბინგოს მოწყობის ნებართვების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევას მათი მფლობელების მიერ) გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას. ნებართვის მფლობელს ჯარიმის დაკისრებისას განესაზღვრება ვადა და შესაბამისი პირობები სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისთვის;

3. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობები არ იქნება დაკმაყოფილებული, დაკისრებული ჯარიმა კიდევ გასამმაგდება;

4. თუ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, ნებართვის მფლობელის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ“.

კანონით დადგენილია, რომ ნებართვის გაუქმება ნიშნავს ნებართვის გამცემის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. ამასთან, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, არის:

ა) ნებართვის მფლობელის მოთხოვნა;

ბ) ნებართვის მფლობელის გარდაცვალება (ლიკვიდაცია), დადგენილი წესით გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან ქმედუნარიოდ ცნობა, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა;

გ) კანონით დადგენილი სანებართვო პირობების შეუსრულებლობა;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

კანონით განსაზღვრულია, რომ ნებართვის გაუქმების შესახებ განწყვეტილება მიიღება ნებართვის გაცემისათვის დადგენილი წესით, ანუ მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. ამასთან, ნებართვის გამცემი ვალდებულია, ნებართვის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილია განსაკუთრებული შემთხვევა: „თუ ნებართვის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ნებართვის მოქმედების გაგრძელებამ ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ნებართვის გამცემი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ნებართვის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი სანებართვო პირობების შესრულება“.

მშენებლობის ნებართვის საკითხს ასევე ეხება საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, რომლითაც დგინდება ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რაღაცეული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის. ამ კანონის პირველი მუხლით „ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების განევისათვის“. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდა არის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა მშენებლობის ნებართვის მისაღებად. მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა ახლდეს ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით დადგენილია მოსაკრებლის გადამხდელი და ოდენობა:

„1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რაღაცეული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

2. საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ახალი – ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის ყოველი კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს ერთ ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – ხუთ ლარს.

3. საკრებულოს გადაწყვეტილებით მოსაკრებლის გადახდისაგან შეიძლება განთავისუფლდეს ან შეღავათი დაუნესდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობას“.

ამავე კანონის მე-6<sup>1</sup> მუხლი ადგენს მშენებლობის მოსაკრებლის განსხვავებულ ოდენობას დაჩქარებული მომსახურებისათვის:

„1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რაღაცეული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადამხდე-

ლია აშენებული (დასრულებული მშენებლობა) ობიექტის სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული მშენებლობის დამკვეთი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან/და ამხანაგობა.

2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო.

3. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი არ უნდა აღემატებოდეს 4500 ლარს“.

მშენებლობის ნებართვის გაცემის დეტალური წესი მოცემულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“. მთავრობის დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის თაობაზე საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების პროცესს.

დადგენილების მე-2 მუხლით მოცემულია მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების დადგენის პრინციპები: ა) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება; ბ) უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება; დ) საკუთრების უფლების დაცვა და რეალიზაცია; ე) საჯაროობა; ვ) ერთი სარკმლის პრინციპი; ზ) დუმილი თანხმობის ნიშანია; თ) პასუხისმგებლობის პრინციპი.

მთავრობის ეს დადგენილება იმითაც არის საყურადღებო, რომ ამ დადგენილებით კონკრეტულად არის განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გაცემა ორგანო. დადგენილების 31-ე მუხლით მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილება აქვს თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს:

- II, III და IV კლასებს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემასა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას;
- მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩაბმის უზრუნველყოფას;
- IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სამშენებლო საქმია-ნობის პოლიტიკის განმსაზღვრელ შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მშენებლობის ნებართვა გაიცემა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებში, დადგენილებით IV კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ

რესპუბლიკებში სამშენებლო საქმიანობის განმსაზღვრელ შესაბამის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მშენებლობის ნებართვა გაიცემა სოხუმისა და ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში;

- სოხუმისა და ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ამ დადგენილებით III და IV კლასებს დაქვემდებარებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მონაწილეობას, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო;
- დასახლებისათვის ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ახალი მშენებლობით განპირობებული არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოების პირობების დამტკიცებას;
- კავშირგაბმულობის ხაზის (ქსელის) გაყვანა/მონტაჟისათვის ტრასის შესარჩევად ტექნიკური პირობების განსაზღვრას, პრინციპებისა და პრიორიტეტების დადგენას;
- მონიტორინგს სამშენებლო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის, უნებართვო მშენებლობების გამოვლენის მიზნით;

- სამშენებლო საქმიანობაში კანონმდებლობის დაცვის კონტროლს.

მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 36-ე მუხლით განსაზღვრულია სამშენებლო საქმიანობის სახეები, რომელთა განხორციელებებისათვის აუცილებელია მშენებლობის ნებართვა. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა:

- ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე);
- არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე;
- არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე;
- სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას.

მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

ამ დადგენილების 37-ე მუხლით მოცემულია ნებართვის გაცემის სტადიების ადმინისტრაციული წარმოების ვადები: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა – არა უმეტეს 12 დღისა; II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება – არა უმეტეს 18 დღისა; III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა – არა უმეტეს 5 დღისა.

განსხვავებული მიდგომაა იმ თვითმმართველი ერთეულების დასახლებების მიმართ, რომელთაც აქვთ სივრცით-ტერიტორიული მოწყობით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების სრულყოფილი გეგმა. ამ შემთხვევაში პირველი სტადიის გავლა (მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) საჭირო არ არის და მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს წარმოადგენს შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მთავრობის დადგენილების მე-19 მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობები

და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ვარგისად აღიარების თვალსაზრისით იყოფა 5 კლასად: I კლასი – შენობა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს; II კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით; III კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით; IV კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით; V კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მო- მეტებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები).

დადგენილების შესაბამისი მუხლებით განსაზღვრულია თითოეული კლასისათვის საკლასო მახასიათებლები. კერძოდ, დადგენილების 65-ე მუხლი იძლევა I კლასის შენობა-ნაგებობების მახასიათებლებს, 67-ე მუხლი - II კლასისას, 71-ე მუხლი - III კლასისას, 75-ე მუხლი - IV კლასისას, ხოლო 79-ე მუხლი - V კლასისას, ანუ – განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების განმსაზღვრელ მახასიათებლებს.

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო მშენებლობის ნებართვას გაცემს II, III და IV კლასებს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობებზე.

მშენებლობის ნებართვის მისაღებად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს:

- ინფორმაცია მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის (ხაზობრივი ნაგებობის) თაობაზე;
- ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე აქტის რეკვიზიტების მითითებით;
- არსებობის შემთხვევაში არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები;
- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ობიექტის ადგილმდებარეობის მისამართი და საკადასტრო კოდი;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და გამოყენების მიზანი;
- შენობა-ნაგებობის დამპროექტებლის მონაცემები: სახელი/იურიდიული დასახელება, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი), მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის სარეგისტრაციო მონაცემები, ასევე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და პირადი ნომერი;
- დროებითი შენობა-ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში – გამოყენების მოთხოვნილი პერიოდი.

მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 84-ე მუხლის თანახმად, III, IV და V კლასებს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანი უნდა შემოისაზღვროს უსაფრთხოების დამცავი ღობით და აღიჭურვოს სათანადო განათებით.

სამშენებლო მოედანზე განხორციელებული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნებს, მათ შორის:

- მის სისუფთავეს – არ დაუშვებენ მიმდებარე მიწის ნაკვეთებისა და ქუჩების დაბინძურებას, აგრეთვე გზის საფარის დაზიანებას;

- სამშენებლო მოედანზე არსებული ძირითადი და საერთო სარგებლობის საინჟინრო კომუნიკაციების/ნაგებობების დაცვას;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას;
- სათანადო სამუშაო ჰიგიენური პირობების დაცვას;
- სამუშაოების წარმოების უსაფრთხოებას;
- საწარმოო ნარჩენებით, ჩამდინარე წყლებითა და ჰაერის დამტვერიანებით მიმდებარე გარემოს, მათ შორის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურების თავიდან აცილებას;
- სამუშაოთა წარმოებას ხმაურისა და ვიბრაციის დონის დასაშვებ ფარგლებში.

მშენებლობის შეჩერებისა და შენობის კონსერვაციის შემთხვევაში, ობიექტი უნდა შეიფუთოს დამცავი ბადით. ცვეთის შესაბამისად, პერიოდულად, უნდა მოხდეს დამცავი ბადის განახლება-გამოცვლა, ასევე – უსაფრთხოების ღობის განახლება-გადაღება.

როგორც აღვნიშნეთ, კანონში შეტანილი ცვლილებებით სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცედურა გამარტივდა, რის შედეგადაც ნებართვის გაცემის ყველა ეტაპი წყდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. მიუხედავად იმისა, რომ ნებართვის გაცემის საწყისი საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შეიცვალა მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, დადგენილებით განსაზღვრულია როგორც დასახლების, ისე დასახლების გარეთ დაგეგმილი მშენებლობისას მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა.

დადგენილების მე-40 მუხლით განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელმა მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უნდა უზრუნველყოს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობის მისამართი;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
- შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.

ნებართვის მაძიებელმა, მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, განცხადების შეტანიდან სამ დღეში, არსებულ დაფაზე უნდა განთავსოს სამშენებლოდ დამტკიცებული მინის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ასახული ინფორმაცია, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.

ნებართვის გაცემის შემდეგ, ათი დღის ვადაში, არსებულ დაფაზე უნდა განთავსდეს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;

- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო, ნებართვის ნომერი და მოქმედების ვადა;
- მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების ვადები;
- შენობის სართულიანობა ან/და გაბარიტები;
- დამკვეთის სურვილით ობიექტის არქიტექტურული სახე.

საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების, ან/და ვარგისად აღიარების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა იგეგმება დასახლების გარეთ, საინფორმაციო დაფა უნდა განთავსდეს იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული შენობის მახლობლად სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილზე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის დაგეგმილი მშენებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის დადგენილებით, ცალკე მუხლები ეთმობა მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობას, უნდა ითქვას, რომ ეს ზომა არასაკმარისია და მშენებლობის ნებართვის გაცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, შეიცავს საჯარო ინტერესების ხელყოფის საფრთხეს. მშენებლობა ის სფეროა, რომელიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს გარემოზე და, ბუნებრივია, იგი საზოგადოების საერთო ინტერესის სფეროა. მშენებლობის ნებართვის გაცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, საზოგადოებას არ აძლევს ამ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ამა თუ იმ საკითხზე, თუ იგი მოიცავს პირთა ფართო წრის ინტერესებს, მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სასურველია მშენებლობის ნებართვა, რომელიც აშკარად არის არა მხოლოდ ნებართვის მიმღების, არამედ საზოგადოების ინტერესის საგანიც, სწორედ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით გადაწყდეს.

## 2. მშენებლობაზე ზედამხედველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში“. მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელების საკითხები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“, რომლის მიზანია:

- ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა;
- ქცევა;
- პროდუქტის გადაადგილების და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენტული უზრუნველყოფა და ხელშეწყობა;
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის გზით;
- რისკის ანალიზისა და შეფასებაზე დამყარებული ინსპექტირების სისტემის დანერგვა;

- რი ინსპექტირების სისტემის ჩამოყალიბება და ინსპექტირების ორგანოების საქმიანობისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და ინსპექტირების ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციისა და კონტროლის სფეროებში;
- სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით;
- სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სფეროებში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.

კოდექსის რეგულირების მექანიზმებია: პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტექნიკური ნორმების ჰარმონიზაცია და ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების შემცირება. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი მიღებული იქნა 2012 წლის 8 მაისს და ამ კოდექსის მიღებით გაუქმდა მანამდე მოქმედი კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს კოდექსი ეხება ერთმანეთთან საკმაოდ დაუკავშირებელ სფეროებს. ამიტომაც, 2015 წლიდან დაწყებულია მუშაობა მშენებლობის კოდექსზე, რომელიც მთლიანობაში დაარეგულირებს ამ სფეროს დაწყებულს ნებართვის გაცემიდან, დამთავრებულს მშენებლობაზე ზედამხედველობით.

სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების თვალსაზრისით კოდექსი შემოიფარგლება მხოლოდ ძალზე ზოგადი მითითებით, რომ სამშენებლო ზედამხედველობის სფეროში „კოდექსის მე-16, 25-ე, 25<sup>1</sup>-ე, 26-ე და 43-54-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებს სხვა ობიექტების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოები“ (კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 ნაწილი). ეს ნორმა არამარტო სტილისტიკურადაა გაუმართავი, არამედ მხოლოდ ვარაუდით შეიძლება განისაზღვროს კონკრეტულად რა უფლებამოსილებებზეა მინიშნება და რა იგულისხმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებში.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულია არა მუნიციპალიტეტის, არამედ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფლებამოსილება. ამ სააგენტოს საქმიანობის ძირითადი სფეროა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი. სააგენტოსგან განსხვავებით,



მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და კანონის შესაბამისად მის უფლებამოსილებაში შედის ნებართვის გაცემა II, III და IV კლასებს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობების მშენებლობებზე. აქედან გამომდინარე, იგი სარგებლობს იმ უფლებამოსილებით, რომელიც აქვს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, ოღონდ არა სრულად, არამედ – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. ამ თავისებურების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშენებლობაზე ზედამხედველობის სფეროში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო:

- გასცემს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე II, III და IV კლასებს დაქვემდებარებული ობიექტების მშენებლობის ნებართვას;
- ავარიის, უბედური შემთხვევის ან უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში ახორციელებს ობიექტის სავალდებულო ინსპექტირებას აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მეშვეობით;
- დამრღვევს აკისრებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;
- ახორციელებს ობიექტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ოქმების დოკუმენტურ კონტროლს ტექნიკური ინსპექტირების ოქმებისა და ინსპექტირების ორგანოების ანგარიშების ანალიზის მეშვეობით;
- გასცემს მითითებას ან/და განსაზღვრავს გონივრულ ვადას შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;
- აწარმოებს მშენებლობა დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებას.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მშენებლობაზე ზედამხედველობის სფეროში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებია:

- მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განახორციელოს ზედამხედველობა იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობის ნებართვას გასცემს თვითმმართველობის ორგანოები;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცესში სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვა;
- უზრუნველყოს სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობა, მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებლობის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის საექსპლუატაციო საიმედოობის დაცვა;
- გააკონტროლოს მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო და ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დაცვა;
- უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი წესრიგი მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-16 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მშენებლობაზე ზედამხედველობის სფეროში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია:

- შეამოწმოს მის კონტროლს დაქვემდებარებული სამშენებლო ობიექტები;
- მშენებლობის მონაწილეებს მოსთხოვოს ყველა აუცილებელი საპროექტო,

ნორმატიული, საშემსრულებლო და სამშენებლო მასალის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

- სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობის მონაწილეთა მიმართ გასცეს მითითება მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ;
- შეაჩეროს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობა ან უნებართვო დემონტაჟი. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის ან უნებართვო დემონტაჟის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:
  - ა) მშენებლობის ან დემონტაჟის სათანადო ნებართვის გარეშე განხორციელება;
  - ბ) მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობა, რომლის გამოსწორება მშენებლობის შეჩერების გარეშე შეუძლებელია;
  - გ) სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა.
- დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში დამკვეთს ან სამშენებლო ორგანიზაციას მოსთხოვოს დამატებითი ლაბორატორიული გამოცდებისა და გაზომვების ჩატარება;
- მიიღოს დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობის მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის შესახებ. დადგენილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს:
  - ა) უნებართვო მშენებლობის თაობაზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითების შეუსრულებლობა;
  - ბ) მშენებლობის პროექტის მნიშვნელოვანი დარღვევით განხორციელება, რის გამოც არ არის უზრუნველყოფილი კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე, მდგრადობა და საიმედოობა;
  - გ) შენობა-ნაგებობის მდგომარეობა, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობებს, არ არის უზრუნველყოფილი კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცე, მდგრადობა და საიმედოობა და ამ დარღვევების გამოსწორება ტექნიკურად შეუძლებელია.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა იგულისხმება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში მითითებაა სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობაზე, რომლის საფუძველზეც თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა იმ ობიექტების მშენებლობაზეც, რომელზეც ნებართვის გაცემა არ შედის მის უფლებამოსილებაში, (მაგალითად, ზედამხედველობა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მიმდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე).

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-16 მუხლის მე-7 ნაწილი მშენებლობის ზედამხედველობის წესის შესახებ ასევე მიუთითებს კოდექსის 25-ე, 25<sup>1</sup>-ე, 26-ე და 43-44-ე მუხლებზე. კანონის 25-ე, 25<sup>1</sup>-ე და 26-ე მუხლებით განსაზღვრულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება, ხოლო 43-44-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული

სამართალდარღვევები და სანქციები მშენებლობის სფეროში იმ სამართალდარღვევებზე, რომლებზეც კონტროლსა და რეაგირებას ახდენს მუნიციპალიტეტი.

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების თაობაზე კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით“. გამონაკლისია ამავე მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები, როცა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება იწყება მითითების გარეშე შემონების აქტის შედგენით. ასეთი ფორმით საქმისწარმოება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;
- მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;
- დარღვევებისთვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;
- დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;
- საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;
- მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;
- თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას.

თუ ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ სამართალდარღვევის საქმისწარმოება დაიწყო დამრღვევის მიმართ მითითების მიცემით, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ხდება ხელახალი შემონება და დგება შემონების აქტი, რომელშიც აისახება შესრულდა თუ არა მითითება. თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოსწორდა დადგენილების მიღებამდე, კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ხოლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება წყდება. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება ასევე შეწყდება, თუ:

- დარღვევები გამოსწორებულია და მითითება შესრულდა;
- საქმის განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებები;
- პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ.

თუ შემონების აქტში აღმოჩნდა დარღვევა, მაშინ შეიქმნება დარღვევის აქტი და მის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

- დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;
- დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;
- დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექ-

სის 43-54-ე მუხლებით განსაზღვრულია მშენებლობის პროცესში შესაძლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. ესენია: უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება (მუხლი 43), უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე (მუხლი 44), სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა (მუხლი 45), პასუხისმგებლობა თვითმმართველი ერთეულის მიერ განსაზღვრულ ზონაში (ზონებში) სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის (მუხლი 46), პასუხისმგებლობა თვითმმართველი ერთეულის მიერ განსაზღვრულ ზონაში (ზონებში) არსებული არაფუნქციონირებადი/მიტოვებული შენობა-ნაგებობის განვითარების მიზნით მშენებლობის ნებართვის დადგენილ ვადაში აულებლობისთვის (მუხლი 47), ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან საინფორმაციო დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება (მუხლი 48), მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა (მუხლი 49), მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება (მუხლი 50), მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობა (მუხლი 51), იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომლის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის გარეშე არსებობა უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას (მუხლი 52), ზიანისა და ხარჯების ანაზღაურება (მუხლი 53) და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მშენებარე ობიექტის მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია (მუხლი 54).

სამშენებლო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

## **თავი VI. დასასჯელებში არსებული გომგრაფიული ობიექტების სახელდება**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება“. სახელდების საკითხები რეგულირდება საქართველოს

კანონით „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“. ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გეოგრაფიული ობიექტების არსებულ სახელწოდებათა გამოვლენის, აღრიცხვისა და ნორმალიზებისათვის გამოიყენება ოფიციალური კარტოგრაფიული და საცნობარო გამოცემები, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ლექსიკონები, ენციკლოპედიური ლიტერატურა, წერილობითი საისტორიო და სხვა წყაროები. იმ შემთხვევაში, თუ ეს წყაროები არ იძლევა საჭირო ცნობებს, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა გამოვლენა და დადგენა უნდა მოხდეს ადგილობრივ მცხოვრებთა, მხარეთმცოდნეთა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა გამოკითხვის მეშვეობით.

საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ნორმალიზება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

**სახელწოდებები ერქმევა:**

- ა) ახლად წარმოქმნილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებსა და დასახლებულ პუნქტებს;
- ბ) ახლად წარმოქმნილ ან სახელწოდების არმქონე გეოგრაფიულ ობიექტებს.

გეოგრაფიული ობიექტისათვის დასარქმევად შერჩეული სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს როგორც ობიექტის ყველაზე ნიშანდობლივ ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ასევე რეგიონის ისტორიულ-კულტურულ ან სამეურნეო-საყოფაცხოვრებო თავისებურებებს და უნდა მიესადაგებოდეს რეგიონის ტოპონიმიკურ სტრუქტურას. სახელწოდება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი სიტყვისაგან.

**გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა აღდგენა ან გადარქმევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ:**

- ა) რეგიონში არსებობს ერთი და იმავე სახელწოდების რამდენიმე გეოგრაფიული ობიექტი, რაც სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისას ქმნის გარკვეულ სირთულეებს;
- ბ) წარსულში საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება დროთა განმავლობაში მივიწყებული ან დაკარგულია;
- გ) ისტორიულ ვითარებათა და სხვა გარემოებათა გამო მოხდა სახელწოდების დამახინჯება;
- დ) სახელწოდების აღმნიშვნელი აბრევიატურა, ნომერი ან სიტყვათა წყობა აღარ შეესაბამება რეალობას.

მუნიციპალიტეტებისა და მათი ადმინისტრაციული ცენტრების სახელდება ხდება სამთავრობო კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის წარდგინებითა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, ხოლო საქართველოს სხვა ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და სახელმწიფო საზღვარზე განლაგებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება – სამთავრობო კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში განლაგებული, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების, მათ შორის, დაბების, თემებისა და სოფლების, სახელდებას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად და სამთავრობო კომისიის თანხმობით.

მუნიციპალიტეტში შემავალ დასახლებებში განლაგებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი აქტით და სამთავრობო კომისიის თანხმობით, ხოლო ქ. თბილისში – ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი აქტით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის – თვითმმართველი ერთეულის, დასახლების, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის – სახელდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში ინფორმაცია გაუზიარონ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

პრობლემატურ საკითხად რჩება ნუმერაცია. სამწუხაროდ, დღემდე არ არის დადგენილი ნუმერაციის ერთიანი წესი. ნუმერაციის მინიჭების უფლებამოსილება 2011 წლამდე ჰქონდა მუნიციპალიტეტს. 2011 წლის 23 სექტემბერს საქართველოს მთავრობის №358 დადგენილებით დამტკიცდა „დამისამართების პროცესში მონაწილე დაწესებულებების თანამშრომლობისა და უფლებამოსილებათა გადანაწილების წესი“. ამ წესის თანახმად ნუმერაციის და მთლიანად დამისამართების საკითხთა გადაწყვეტა და შესაბამისი რეესტრის წარმოება დაევა საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ეს უფლებამოსილება ამოღებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებიდან. ამ წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თანამშრომლობენ უფლებამოსილ ორგანოებთან დამისამართების პროცესში, რაც გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, საველე სამუშაოების ხელშეწყობასა და სხვა მოქმედებების განხორციელებას.

ამდენად, მთავრობის ეს დადგენილება ეხება დამისამართების პროცესში თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციული ხასიათის საქმიანობას, მაგრამ არ არის დადგენილი რა წესით უნდა ხდებოდეს დამისამართება და ნუმერაცია. სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება ნუმერაციის სხვადასხვა წესი. ევროპის ქვეყნებში, ძირითადად, გავრცელებულია სახლების ნუმერაცია ცენტრიდან პერიფერიისკენ, რომელიც იწყება კენტი რიცხვებით ქუჩის მარჯვენა მხარეს (ნუმერაციის ზრდის მიმართულებით მაყურებლის მხრიდან) და ლუწი რიცხვებით ქუჩის მარცხენა მხარეს. ქ. თბილისში, ისევე როგორც სანკტ-პეტერბურგში სახლების ნუმერაცია არის პირიქით, მარცხენა მხარეს კენტი და მარჯვენა მხარეს ლუწი რიცხვები. უმეტეს ქვეყნებში არსებობს ნუმერაციის ერთიანი წესი, ხოლო გერმანიაში, ავსტრიაში და შვეიცარიაში ნუმერაციის წესი განისაზღვრება კომუნის მიერ. საქართველოში ეს საკითხი ჯერ-ჯერობით არ არის გადაწყვეტილი და შესაბამისად, ნუმერაციის საკითხი, როგორც ორგანიზაციული, ისე ნორმატიული კუთხით კვლავ პრობლემატურად რჩება.

### თავი I. მუნიციპალური მომსახურების ცნება და კლასიფიკაცია

მუნიციპალური მომსახურება წარმოადგენს საჯარო, საზოგადოებრივი მომსახურების (public services) ერთ-ერთ სახეს, რომელთა მიწოდების ვალდებულება აკისრია თვითმმართველ ერთეულს კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. მომსახურება არის მოქმედება ან მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ფიზიკური, ან იურიდიული პირის ინტერესების დაკმაყოფილება. ამ ნიშნით, მუნიციპალური მომსახურება შეიძლება განიმარტოს, როგორც მოქმედება ან მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისა და ამ ტერიტორიაზე განთავსებული იურიდიული პირების იმ ინტერესების დაკმაყოფილება, რომლებიც უკავშირდება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას.

მუნიციპალური მომსახურება მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, რაც შეიძლება იყოს როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს, ასევე კერძო სამართლის სუბიექტების (სამენარმეო, თუ არასამენარმეო) საქმიანობის შედეგი.

მუნიციპალური მომსახურების სახეების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნით:

**1) სფეროების მიხედვით:** ეს არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, ყველაზე თვალსაჩინო სახის კლასიფიკაცია.

სფეროების მიხედვით მუნიციპალური მომსახურება შეიძლება დაყვით:

- **მომსახურება კომუნალურ სფეროში** – წყალი, ელექტროენერგია, გაზი, გათბობა, კანალიზაცია, სანიაღვრე მეურნეობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია და ა.შ.;
- **მომსახურება კეთილმოწყობის სფეროში** – ტერიტორიის დასუფთავება, გარე განათება, გამწვანება და ა.შ.;
- **მომსახურება საყოფაცხოვრებო სფეროში** – სარიტუალო მომსახურება და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სექტორის (საპარაკმახეროები, აბანოები, ქიმნმენდა, ტექნიკური და სარემონტო მომსახურების ობიექტები) განვითარების ხელშეწყობა;
- **მომსახურება ტრანსპორტის სფეროში** სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები, სადისპეტჩერო მომსახურება და ა.შ.;
- **მომსახურება კავშირგაბმულობის სფეროში** – საფოსტო, სატელეფონო, ინტერნეტით და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებით მომსახურების განვითარების ხელშეწყობა;
- **მომსახურება კულტურისა და სპორტის სფეროში** – ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;
- **მომსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში** – თვითმმართველი ერ-

თეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის სფეროში მუნიციპალური რე-სურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთე-ლობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება და განხორციელება;

- **მომსახურება განათლების სფეროში** – სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება;
- **მომსახურება სოციალური უზრუნველყოფის სფეროში;**
- **მომსახურება ვაჭრობის სფეროში** – გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზ-რობების რეგულირება;
- **მომსახურება უსაფრთხოების სფეროში** – სახანძრო უსაფრთხოება, მოძ-რაობის დაგეგმვა;
- **მომსახურება ადმინისტრაციულ სფეროში** – კანონმდებლობით გათვა-ლისწინებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა.

**2) მიზნის მიხედვით:** მუნიციპალური მომსახურების კლასიფიკაცია ხდებ-ბა მომსახურების მიზნობრიობის მიხედვით. მიზნის მიხედვით მუნიციპალური მომსახურება შეიძლება დავეყოთ:

- მომსახურება, რომლის მიზანია მოსახლეობის ცხოვრებისათვის სასიკე-თო გარემოს შექმნა;
- მომსახურება, რომლის მიზანია მოქალაქის შესაძლებლობების განვი-თარება.

**3) მომსახურების მიწოდებისა და მიღების ხასიათის მიხედვით:**

- **საზოგადო ხასიათის** – მომსახურების მიწოდებაც და მომსახურების მიღებაც არის საზოგადო ხასიათის და არ არის დამოკიდებული მიმღე-ბი სუბიექტის ნებაზე (მაგ., ტერიტორიის დასუფთავება, გამწვანება და ა.შ.);
- **კერძო ხასიათის** – მომსახურების მიწოდება და მიღება დამოკიდებულია მიმღები სუბიექტის ნებაზე (მაგ., მშენებლობის ნებართვა);
- **შერეული ხასიათის** – მომსახურების მიწოდება საზოგადო ხასიათისაა, ხოლო მიღება დამოკიდებულია შესაბამისი, სუბიექტის ნებაზე (მაგ., მუ-ნიციპალური ტრანსპორტით მომსახურება).

**4) მომსახურების მიწოდების მიხედვით:**

- მომსახურება, რომლის მიწოდება ხდება უშუალოდ თვითმმართველობის ორგანოების მიერ;
- მომსახურება, რომლის მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტის მიერ და-ფუძნებული კერძო სამართლის სუბიექტების (სამენარმეო, თუ არასამე-ნარმეო) მიერ;
- მომსახურება, რომლის მიწოდებელია კერძო სამართლის სუბიექტები, ხოლო მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებამია მომსახურების საერთო რეგულაცია (მომსახურების სტანდარტების დადგენა, არსებული სტან-დარტების დაცვაზე ზედამხედველობა და ა.შ.).

**5) ვალდებულებითი ხასიათის მიხედვით:**

- მომსახურება, რომლის მიწოდება აუცილებელი და სავალდებულოა;
- მომსახურება, რომლის მიწოდება დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე;
- მომსახურება, რომლის მიწოდებაც დამოკიდებულია მხოლოდ მოთ-



ხოვნის არსებობაზე.

**6) მომსახურების დაფინანსების წილის მიხედვით:**

- მომსახურება, რომელიც მთლიანად ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან;
- მომსახურება, რომელიც ნაწილობრივ ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და მისი შევსება უნდა მოხდეს მომსახურების მიმღების მიერ;
- მომსახურება, რომელიც მთლიანად იფარება მომსახურების მიმღების მიერ (ფასიანი მომსახურება).

**7) მომსახურების მიმღების ინტერესის მიხედვით:**

- მომსახურება, რომელიც ემსახურება მთლიანად საზოგადოების ინტერესებს;
- მომსახურება, რომელიც ემსახურება კონკრეტული ფიზიკური ან იურიდიული პირის ინტერესებს;
- მომსახურება, რომელიც არ შედის მომსახურების ობიექტის ინტერესში (თავსმოხვეული მომსახურება).

## **თავი II. მუნიციპალური მომსახურების განხორციელების ფორმაები**

მუნიციპალური მომსახურების სახეებიდან მცირეა წრე იმ მომსახურებისა, რომელსაც უშუალოდ ახორციელებს მუნიციპალიტეტი. ეს ძირითადად, არის ადმინისტრაციული ხასიათის მომსახურება (მაგ., მშენებლობის ნებართვის გაცემა). მუნიციპალური მომსახურების ძირითადი ნაწილი ხორციელდება ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სუბიექტების (სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირები), ან კერძო სექტორის მიერ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-19 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას „აფუძნებენ და მართავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს“. ამდენად, კოდექსი აძლევს მუნიციპალიტეტს უფლებას საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შექმნას როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. კოდექსი არ იძლევა პირდაპირ მითითებას (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რა სახის მუნიციპალური მომსახურება უნდა განახორციელოს უშუალოდ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ, რა შემთხვევებში უნდა შექმნას იურიდიული პირი მუნიციპალური მომსახურების შესასრულებლად და რა შემთხვევებში უნდა მოხდეს მუნიციპალური მომსახურების განხორციელება მუნიციპალური შესყიდვების წესით. ეს არის მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხები, რომლებიც არსებულ პრაქტიკაშიც არაერთგვაროვნად წყდება.

გამგეობის/მერიის თანამშრომლები წარმოადგენენ საჯარო მოხელეებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი ფორმაა მართვის განხორციელება. ამდენად, ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის დაკავშირებული მმართველობით-ადმინისტრაციულ პროცესთან გატანილ უნდა იქნეს გარეთ. გამგეობამ/მერიამ უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური მომსახურების ორგანიზება და არა მისი უშუალო განხორციელება.

მუნიციპალური მომსახურების განხორციელების სფეროში განსაკუთრე-

ბული პრობლემა იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ვინ უნდა განახორციელოს მომსახურება, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირმა, თუ – თავად მუნიციპალიტეტმა შესყიდვების გზით. ამ საკითხის გადაწყვეტა არაერთგვაროვანია. ერთი და იგივე სახის მუნიციპალური მომსახურება, მაგალითად, ტერიტორიის დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ზოგ მუნიციპალიტეტში ხორციელდება მუნიციპალური შესყიდვებით, ნაწილში კი – მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამენარმეო სუბიექტის (ძირითადად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს), ხოლო – ნაწილში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ.

ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები – მიიღოს ხარისხიანი მუნიციპალური მომსახურება, ისე – თვითმმართველი ერთეულის რეალობა და ეკონომიკური მდგომარეობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმის თაობაზე არ არის პირდაპირი მითითება. იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა განისაზღვრება მისი მიზნით. თუ იურიდიული პირის მიზანია მოგების მიღება, იგი უნდა დაფუძნდეს სამენარმეო სუბიექტის სახით, ხოლო, თუ მიზანი მოგების მიღება არაა, მაშინ დაფუძნება ხდება არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით.

ზემო აღნიშნულის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის მიერ მუნიციპალური მომსახურების განხორციელების ძირითადი ფორმა უნდა იყოს მომსახურების მუნიციპალური შესყიდვის სახით განხორციელება. ამიტომ, გამგებელმა/მერმა დაქვემდებარებული სამსახურების დახმარებით, მუნიციპალური მომსახურების განსახორციელებლად:

უნდა დაადგინოს მუნიციპალური მომსახურების წესები;

- განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განახორციელოს მომსახურების შესყიდვა;
- დადოს ხელშეკრულებები იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებთან;
- გააკონტროლოს ამ იურიდიული/ფიზიკური პირების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და მომსახურების დადგენილი წესების დაცვა.

### თავი III. კომუნალური მომსახურება

კომუნალური მომსახურება არის მომსახურებათა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს. კომუნალურ მომსახურებაში შედის მოსახლეობისა და თვითმმართველ ერთეულში განთავსებული იურიდიული პირების საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ელექტროენერგიით, ბუნებრივი გაზით, გათბობით, კანალიზაციით, სანიაღვრე სისტემებით, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-უტილიზაციით.

კომუნალური მომსახურების ზემო აღნიშნული ჩამონათვალიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური

წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა და ნარჩენების მართვა.

## 1. წყალმომარაგება

მომსახურების ამ სფეროს რეგულაცია საკმაოდ წინააღმდეგობრივია. მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით წყალმომარაგება განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას, მაგრამ ამავე კოდექსის 163-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინებით მომსახურებას „უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიატი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს“.

ქ. თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში ახორციელებს კერძო კომპანია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულების – „საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „MULTIPLEX ENERGI LIMITED“-ს შორის გასაფორმებელი შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100 % წილების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“ – საფუძველზე. საქართველოს სხვა ურბანულ დასახლებებში (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრები) მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი მიმწოდებელი სახელმწიფო შპს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქები მოკლებულნი არიან ამ უფლებამოსილების განხორციელებას, ხოლო თვითმმართველი თემები, ამ უფლებამოსილებას ახორციელებენ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების გამოკლებით.

მოსახლეობის სასმელი წყლით მომსახურების სამართლებრივ ბაზას ქმნის:

- 1) საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“;
- 2) საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- 3) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილებები:
  - ა) 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილება „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“;
  - ბ) 2008 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილება „წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
  - გ) 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილება „წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“. ეს დადგენილება განსაზღვრავს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ (გარდა ფოთის თვითმმართველი ერთეულისა) და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრულ ტარიფებს (ზედა ზღვრებს);
  - დ) 2008 წლის 18 სექტემბრის №24 დადგენილება „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის წესების დამტკიცების შესახებ“;
  - ე) 2008 წლის 18 სექტემბრის №23 დადგენილება „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორში საქმიანობის

- კონტროლისა და ლიცენზირების წესების დამტკიცების შესახებ“;
- 4) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის:
- ა) 2006 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №250/6 „ცენტრალიზებული და ადგილობრივი წყალმომარაგების სასმელი-სამეურნეო წყლის ქლორით გაუსნებოვნებისა და წყალსადენის ნაგებობების დეზინფექციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“ – განსაზღვრავს მოთხოვნებს ცენტრალიზებული და ადგილობრივი წყალმომარაგების სასმელ-სამეურნეო წყლის ქლორით გაუსნებოვნებისადმი, ქლორის გამოყენების სქემას, რეაგენტის სამუშაო დოზის დადგენისა და წყლის ხარჯის მიხედვით დაქლორვის გრაფიკის შემუშავების წესს;
  - ბ) 2004 წლის 22 იანვრის ბრძანება №17/6 „ულტრაიისფერი დასხივების მეთოდის გამოყენებით წყლის გაუსნებოვნების სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“ ადგენს ძირითად სანიტარიულ მოთხოვნებს ცენტრალიზებული სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისა და ჩამოსახმელი სასმელი (წყლის სასაქონლო პროდუქციის) წყლების, აგრეთვე საცურო აუზების წყლის გაუსნებოვნებისათვის ულტრაიისფერი გამოსხივების მეთოდის გამოყენებაზე;
  - გ) 2004 წლის 22 იანვრის ბრძანება №15/6 „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“ ადგენს მოთხოვნებს წყლის სინჯების აღებაზე, ტრანსპორტირებაზე, შენახვასა და კონსერვაციაზე, წყლის ფიზიკური თვისებების, ქიმიური შედგენილობის, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური და რადიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით;
- 5) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება № 1-1/2288 „სამშენებლო ნორმების და წესების – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (მნ 07.01-09)“ დამტკიცების შესახებ“, რომელიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მშენებლობის და არსებულის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოების წარმოებისას.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ფარული ფორმით ხელყოფს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ საქართველოში წყალსარგებლობა ფასიანია. ამ წესიდან გამონაკლისია საერთო წყალსარგებლობა, რომელიც ხორციელდება არასამრეწველო, პირადი (ინდივიდუალური) სასმელი და საყოფაცხოვრებო, ესთეტიკური, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ისეთი ნაგებობების და მოწყობილობების გამოყენებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე. საერთო წყალსარგებლობა უფასოა.

კანონის 36-ე მუხლის თანახმად, „წყლის ობიექტები სარგებლობაში გაიცემა, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად“. კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს „მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის წყალზე“.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილება „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ არეგულირებს ურთიერთობებს სასმელი წყლის მიწოდებელსა და მომხმარებელს შორის სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით. დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მიმწოდებელი პასუხისმგებელია სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით მომხმარებელთა სათანადოდ მომსახურებასა და წყალმომარაგებაზე“. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულია სასმელი წყლის მიწოდებლის უფლებები და ვალდებულებები.

„მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) გაუწიოს მომსახურება ყველა სახის მომხმარებელს ამ წესების შესაბამისად;
- ბ) წყალმომარაგებისას დაიცვას ტექნიკური და უსაფრთხოების დადგენილი ნორმები და წესები;
- გ) უზრუნველყოს მომხმარებელთა მუდმივი მომსახურება – მათ შორის მუდმივმოქმედი 24 საათიანი სატელეფონო ცხელი ხაზით მომსახურება;
- დ) დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება შეტყობინებაზე სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის ან/და წნევის ცვალებადობის შესახებ;
- ე) განახორციელოს წყალმომარაგების მომსახურება და უზრუნველყოს მომხმარებლისთვის საქართველოში მოქმედი სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისი სასმელი წყლის მიწოდება (ამ წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად);
- ვ) განახორციელოს წყალარინება, შესაბამისად, ჩამდინარე სითხის გარემოსაგან იზოლირება და მისი წყალსატევში ჩაშვებამდე სათანადოდ განმენდის უზრუნველყოფა.
- ზ) უზრუნველყოს ამ წესებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების სათანადოდ შესრულება.

მიმწოდებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება და შეწყვიტოს სასმელი წყლით მომარაგება, თუ:

- ა) საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის ქონებას;
- ბ) ადგილი აქვს ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დარღვევას. ამასთან, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, მომხმარებელს შეიძლება განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის გამოსასწორებლად.

მიმწოდებელი უფლებამოსილია, კანონმდებლობისა და ამ წესებში მოცემული ნორმების დაცვით, შეწყვიტოს მომხმარებლისთვის სასმელი წყლის მიწოდება, თუ:

- ა) მომხმარებლის მიერ გადახდილი არ არის მოხმარებული სასმელი წყლის საფასური;
- ბ) მომხმარებლის მიერ ირღვევა სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ტექნიკური პირობა;
- გ) მომხმარებელი არ ასრულებს ამ წესებით დადგენილ პირობებს ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებებს, რომლებიც

ამ წესებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ითვალისწინებს სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტას;

დ) საჭიროა გეგმიური ან ავარიული სარემონტო სამუშაოების ჩატარება“.

წესების მე-9 მუხლით დადგენილია სასმელი წყლის ღირებულებისა და გადახდის საერთო წესი: „მომხმარებლის მიერ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის დარიცხვა ხორციელდება: ა) ინდივიდუალური მრიცხველის შემთხვევაში, მხოლოდ ამ ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით; ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში სულადობის მიხედვით“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მომხმარებელი სასმელი წყლის საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად“.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილება „წყალმომარაგების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ეფუძნება წყალმომარაგების სრული ღირებულების პრინციპს, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წყალმომარაგების განსახორციელებლად განუყოფელი ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების ზუსტი ასახვა ტარიფში. მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „წყალმომარაგების ტარიფის განსაზღვრის საფუძველებია:

- ა) მომხმარებლისათვის სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული შესაბამისი ხარისხის წყლის საიმედო მიწოდება და წყალარინება;
- ბ) წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაციასთან, სასმელი წყლის მიწოდებასთან, განაწილებასა და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის მიღება-გატარებასთან და განმენდასთან, აგრეთვე ამ სფეროში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების სრული ანაზღაურება;
- გ) სამართლიანი მოგების გათვალისწინება, რომელიც საჭიროა წყალმომარაგების საწარმოთა საიმედო ფუნქციონირებისათვის მიმდინარე და პერსპექტიულ პერიოდებში“.

მეთოდოლოგიის მიხედვით, სასმელი წყლის ტარიფის დადგენის ამოსავალი პრინციპია წყალმომარაგების სისტემების მუშაობის ეფექტიანობისა და მომსახურების ხარისხის ამაღლება, ამ მიზნით ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ პრინციპის გათვალისწინებით მეთოდოლოგიის საფუძველზე დადგენილი წყალმომარაგების ტარიფი უნდა შეიცავდეს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ხარჯებს, საკმარისი უნდა იყოს რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის და უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალდაბანდების ამონაგების გონივრულ და სამართლიან დონეს. წყალმომარაგების ტარიფი:

ა) უნდა იცავდეს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან;

ბ) შესაძლებლობას უნდა აძლევდეს საწარმოს დაფაროს მის მიერ განუყოფელი ხარჯები, რომელიც მოიცავს საექსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის თანხისა და პროცენტის გადასახადებს. ამასთან, ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალდაბანდებების ამონაგების სამართლიან დონეს, რომელიც საკმარისი უნდა იყოს დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით ინვესტიციების მოსაზიდად;

გ) ხელს უნდა უწყობდეს მწარმოებლის ფინანსური შედეგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ამაღლების გზით და მომსახურებაზე დანა-

ხარჯების შემცირებით, იმის გათვალისწინებით, რომ სანარმო აკმაყოფილებს მოთხოვნებს მომსახურების ხარისხზე;

დ) შესაძლებლობას უნდა აძლევდეს სანარმოს, დაფაროს ეკონომიკურად გამართლებული დანახარჯები, მათ შორის, შესაბამის საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადები და მოსაკრებლები;

ე) უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო პოლიტიკას სატარიფო შეღავათების სფეროში, ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დონეს;

ვ) წყალმომარაგების სექტორში ინვესტირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით უნდა უზრუნველყოფდეს ინვესტირებულ კაპიტალზე ამონაგების მიღების შესაძლებლობას;

ზ) კაპიტალზე (ფონდებზე) ამონაგები უნდა ითვალისწინებდეს ინვესტირებასთან დაკავშირებულ რისკს. ამ ფაქტორის არსებობის გამო, ამონაგების დონე უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო აღიარებულ ნორმებს.

ტარიფებთან დაკავშირებული ყველა დადგენილება, გადანყვეტილება და დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

## 2. წყალარინება (სანიღვრე სისტემები და კანალიზაცია)

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, წყალარინების უზრუნველყოფა განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. წყალმომარაგება და წყალარინება (კანალიზაცია) არის ურთიერთდაკავშირებული მომსახურება. მათი გამიჯვნა-განცალკევება ქმნის სამართლებრივ წინააღმდეგობას. „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“, ასევე „წყალმომარაგების ტარიფებით“ განსაზღვრულია არა მხოლოდ წყალმომარაგების, არამედ წყალარინების საკითხებიც. მათი ერთობლივი დარეგულირება სავსებით მართებულია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ასევე აუცილებელია ეს საკითხები ერთობლივად დარეგულირდეს.

„სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ წყალარინების სისტემის მოვლა-პატრონობა ავალია მიმწოდებელს (ორგანული კანონით კი ეს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა, რომელიც უნდა განახორციელოს მხოლოდ თვითმმართველმა ერთეულმა). წესების 23-ე მუხლის თანახმად:

- „1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს წყალარინება, წყალარინების ქსელისა მისი შემადგენელი კოლექტორების მეშვეობით. მომხმარებელთან მიმართებაში წყალარინების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი;
2. წყალარინების განცალკევებული სისტემის არსებობისას მომხმარებელი ვალდებულია, არ დაუშვას მის მფლობელობაში არსებული ტერიტორიიდან ატმოსფერული წყლების წყალარინების სისტემაში ჩაღვრა და წყალარინების სისტემიდან ჩამდინარე სითხის სანიღვრე სისტემაში ჩაღვრა. ატმოსფერული ნალექები თვითდინებით უნდა მიემართებოდეს ქუჩისკენ ან სპეციალურად მოწყობილი წვიმმომღებლისკენ;
3. ჩამდინარე სითხის ჩაშვება წყალარინების ქსელში შესაძლებელია მხოლოდ სანიტარიული ნორმების გათვალისწინებით;
4. იქ სადაც მოწყობილია წყალარინების გაერთიანებული სისტემა და ნებადართულია სახლისა და ეზოს ქსელში თოვლისა და წვიმის წყლების

ჩაშვება, ეზოებში უნდა მოეწყოს წვიმამომღები ჭები ცხაურებით;

5. წყალარინების ქსელში და მასთან შეერთებულ ჩამდინარე წყლების მიმღებ ნაგებობებში აკრძალულია მყარი ნარჩენების, 60 გრადუსზე მეტი ტემპერატურის მქონე ჩამდინარე წყლების, აგრეთვე, მყავე და ტუტოვანი წყლების და ისეთი ქიმიური მინარევების ჩაშვება, რომლებსაც შეუძლიათ წარმოქმნან ფეთქებადი ნივთიერებები და მწყობრიდან გამოიყვანონ წყალარინების ქსელები და ნაგებობები“.

ამავე წესების 24-ე მუხლით დადგენილია წყალარინების სისტემებით სარგებლობის წესები:

„1. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ქალაქის და დასახლებული ადგილების ტერიტორიაზე ჩამდინარე სითხის წყალარინების ქსელის მეშვეობით გატარება, ხოლო სამრეწველო-ტექნიკური წყლების წყალარინების საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს წყლის მიმწოდებელთან შეთანხმებით;

2. მიმწოდებელი ახორციელებს წყალარინების ქსელის მოვლა-პატრონობას მომხმარებლის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე (ნაგებობაზე), წყალარინების ქსელზე მიერთებული ყველა სხვა განშტოების და შენობის შიდა გაყვანილობის მოვლა-პატრონობას ახორციელებს მომხმარებელი ან მომხმარებელთა ჯგუფი, ვის მფლობელობაშიც იმყოფება ეს ტერიტორია;

3. მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო მდგომარეობაში იქონიოს წყალარინების ქსელი და მისი შემადგენელი ელემენტები, მათ შორის გამწმენდი ნაგებობები;

4. საწარმოო წყლების ჩაშვება წყალარინების სისტემაში დაიშვება მხოლოდ მისი დასაშვებ ნორმებთან შესაბამისობისა და საჭიროების შემთხვევაში ამ ნორმებზე გამწმენდისა და მიმწოდებელთან წინასწარ წერილობით შეთანხმების შემდეგ, რომლის გაცემისას მხედველობაში მიიღება წყალარინების ქსელის და გამწმენდი ნაგებობების დატვირთვა და, აგრეთვე, ჩასაშვები წყლების რაოდენობა. შეთანხმება და მასთან დაკავშირებული საბუთები უნდა ინახებოდეს მიმწოდებელთან;

5. მიმწოდებელი ვალდებულია, მუდმივად აკონტროლოს ჭების სახურავების მდგომარეობა. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და აღმოფხვრას დაზიანება, ხოლო ასეთი მოქმედების შეუძლებლობის შემთხვევაში, დააყენოს სათანადო გამაფრთხილებელი ნიშანი და შესაძლო მოკლე ვადაში გამოასწოროს მდგომარეობა;

6. მომხმარებელს, მის მფლობელობაში არსებული ჭის ღიად დატოვების შემთხვევაში, ან ჭების სახურავიდან ნარეცხი ან სხვა სამეურნეო წყლების ჩაშვების შემთხვევაში, შეუწყდება სასმელი წყლის მიწოდება სათანადო გაფრთხილების შემდეგ;

7. წყალარინების ქსელის ჭები ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დათვალისწინებისათვის, თავისუფალი უნდა იყოს მიწის, თოვლის და სამშენებლო ნაგვისაგან;

8. უნებართვოდ ჭების სახურავების ახდა ან/და ჭაში ჩასვლა აკრძალულია და ისჯება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით“.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილება „წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ წყალმომარაგების ტარიფთან ერთად ადგენს



წყალარინების ტარიფს. დღევანდელი მდგომარეობით ეს ტარიფებია:

- 1) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანის“ (გარდა ფოთის თვითმმართველი ერთეულისა) მომხმარებლებისათვის, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით:
  - ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0,423 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
    - ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 0,355 ლარი/მ<sup>3</sup>;
    - ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,068 ლარი/მ<sup>3</sup>;
  - ბ) გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 2,03 ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:
    - ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 1,704 ლარი/სულზე/თვეში;
    - ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,326 ლარი/სულზე/თვეში;
  - გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 3,65 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
    - გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 2,86 ლარი/მ<sup>3</sup>;
    - გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,79 ლარი/მ<sup>3</sup>.
- 2) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მომხმარებლებისათვის:
  - ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 0,225 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
    - ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 0,182 ლარი/მ<sup>3</sup>;
    - ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,043 ლარი/მ<sup>3</sup>;
  - ბ) გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 2,667 ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:
    - ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 2, 155 ლარი/სულზე/თვეში;
    - ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,512 ლარი/სულზე/თვეში;
  - გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – 3,729 ლარი/მ<sup>3</sup>, მათ შორის:
    - გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – 3,013 ლარი/მ<sup>3</sup>;
    - გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – 0,716 ლარი/მ<sup>3</sup>.

იმის გამო, რომ წყალარინება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ კომპეტენციას, წყალარინების სისტემის მოვლა-პატრონობაც და მისი საფასურის მიღებაც უნდა ხდებოდეს თვითმმართველი ერთეულის მიერ. მაგრამ, რადგან მუნიციპალიტეტი ახორციელებს მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრის გარეთ არსებული დასახლებების წყალმომარაგებს (სადაც, როგორც წესი, არ არსებობს წყალარინების სისტემა), წყალარინების ტარიფით მიღებული შემოსავალი არ აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

### 3. ნარჩენების მართვა

ნარჩენების მართვა დიდი ხნის განმავლობაში საკანონმდებლო რეგულაციის გარეშე იყო დარჩენილი. საბედნიეროდ, 2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელმაც აღმოფხვრა ამ სფეროში არსებული ვაკუუმი.

ნარჩენების მართვის კოდექსის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების განხორციელები-

სათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას (რაც მოიცავს რეციკლირებას და მეორეული ნედლეულის გამოცალკევებას, ნარჩენებიდან ენერჯის აღდგენას, ნარჩენების უსაფრთხო განთავსებას). კოდექსის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა:

- ა) ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით;
- ბ) ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით;
- გ) რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.

ნარჩენების მართვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ა) „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“ – მიღებული უნდა იქნეს ზომები გარემოსთვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები;
- ბ) პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“ – ნარჩენების წარმომქმნელი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვის ხარჯები;
- გ) „სიახლოვის პრინციპი“ – ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;
- დ) „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“ – უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადეკვატური ქსელი.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა განხორციელდეს ნარჩენების სახეობების, მასისა და შემადგენლობის მიხედვით, ისე, რომ შემდგომ დაბრკოლება არ შეექმნას აღდგენას. ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების დროს მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება. ნარჩენების ტრანსპორტირების შედეგად ნარჩენებით გარემოს დაბინძურების შემთხვევაში ნარჩენების გადაამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება.

ნარჩენების მართვის კოდექსით იკრძალება დანაგვიანება (ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ). დანაგვიანების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაზეც დანაგვიანდა, უფლებამოსილია მოსთხოვოს დანაგვიანებელს ამ ტერიტორიის დასუფთავება. თუ დანაგვიანებლის დადგენა ან მოძიება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს შეუძლია მის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება ტერიტორიის მფლობელს დააკისროს. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ დანაგვიანებული ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტმა თავად უნდა იზრუნოს მის დასუფთავებაზე.

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს და დაამტკიცოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი გეგმა. კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ ეს გეგმა შემუშავებული იქნეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ

ერთობლივად.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე უნდა მოენყოს საჯარო განხილვები, რომლებშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ, როგორც დაინტერესებულმა პირებმა, ასევე მოსახლურე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა.

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:

ა) მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ ინფორმაციას;

ბ) შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ მონაცემებს;

გ) მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ მონაცემებს;

დ) ნარჩენების დამუშავების სანარმოების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას;

ე) მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების, სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვისათვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;

ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;

ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;

თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მიზნით არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;

ი) გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზებსა და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს.

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება;

ბ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

კანონი ავალდებულებს მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელს, მის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები ხელმისაწვდომი გახადოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურისთვის, ნარჩენების შეგროვების სისტემის არსებობის შემთხვევაში. კანონის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი, მოსახლეობის გარდა, უფლებამოსილია არ ისარგებლოს ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სამსახურის მომსახურებით და მის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები შესაგროვებლად და დასამუშავებლად გადასცეს იმ პირს, რომელსაც კანონით აქვს ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების უფლება. ასეთ შემთხვევაში ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე შესაბამის მუნიციპალიტეტს.

იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტმა დანერგა და შემოიღო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა, მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია ისარგებლოს ამ სისტემით. კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, შექმნან, დანერგონ და მართონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთობლივი სისტემა.

ნარჩენების მართვის კოდექსის X თავით დადგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, ხოლო კოდექსის 47-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და დამრღვევ პირს დაადოს ადმინისტრაციული სახდელი ისეთ დარღვევებზე, როგორცაა: მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება (მუხლი 31), სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება (მუხლი 32), შლამისებრი ნარჩენი ნივთიერებებით – ფეკალური მასებით ან კანალიზაციის ნარჩენებით ტერიტორიის დაბინძურება (მუხლი 33), ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება (მუხლი 34), მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დანვა (მუხლი 35), სახიფათო ნარჩენების საკანალიზაციო სისტემაში ან მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება (მუხლი 36-ის პირველი ნაწილი), სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან სხვა ქმედება, ჩადენილი ნარჩენების შეგროვების კონტეინერის გარეთ (მუხლი 36 მე-2 ნაწილი), სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებთან, ნივთიერებებთან ან მასალებთან შერევა (მუხლი 39) და მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში კომპანიის მიერ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მიუწოდებლობა (მუხლი 43 პირველი ნაწილი).

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და დამუშავება ხორციელდება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. მთავრობის ეს დადგენილება (№159) მიღებული იქნა 2016 წლის 1 აპრილს. ამ დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესი“.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილია:

ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი პროცედურები და მოთხოვნები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, მათ შორის ზედაპირულ წყლებზე, მიწისქვეშა წყლებზე, ნიადაგსა და ატმოსფერულ ჰაერზე (კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ემისიების შემცირების ჩათვლით) უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;

ბ) ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება ნარჩენების მართვის პროცესში არასასურველი გარემოებების, როგორცაა ხმაური, სუნი და სხვა მავნე ეფექტები თავიდან ასაცილებლად;

გ) ღონისძიებები მუნიციპალური ნარჩენების აღდგენისა და გადამუშავების სფეროში ისეთი ინიციატივების განხორციელებით, რომლებიც შეცვლიან ახალი პროდუქციის სანარმოებლად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საჭიროებას;

დ) მინიმალური ტექნიკური და შესრულების კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემა, მომსახურება და ობიექტი.

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება;

ბ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენების ტრანსპორტირება დამუშავებისა და განთავსების ობიექტებზე, სადაც ნებადართულია ამგვარი ნარჩენების მიღება;

გ) მუნიციპალური ნარჩენების დამუშავების ხელშეწყობა;

დ) მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

ტექნიკური რეგლამენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნარჩენების მართვის გრძელვადიან დაგეგმვასა და შეგროვების სისტემის შემოღებას. ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების გრძელვადიანი დაგეგმვა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მიღწეულ იქნეს წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ეტაპობრივი პროცენტული მაჩვენებლების მიღწევა, ასევე მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა მომსახურებით, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად.

ნარჩენების ეფექტიანი შეგროვების სისტემის დანერგვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს საზოგადოების განათლებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ნარჩენების წარმომქმნელებს შორის თანამშრომლობას, შეგროვების სისტემების ეფექტიანი გამოყენების საკითხში.

მუნიციპალური ნარჩენების ეფექტიანი შეგროვების სისტემის დაგეგმვისა და განხორციელების დროს მუნიციპალიტეტმა და ნარჩენების შეგროვების მომსახურების სხვა მომწოდებლებმა უნდა გაითვალისწინონ:

ა) შესაგროვებელი ნარჩენების მახასიათებლები და ნარჩენების შეგროვების სისტემის გავრცელების ზონა;

ბ) მუნიციპალური ნარჩენების შესაგროვებლად ისეთი ტექნიკის შერჩევა, რომელიც ეფექტიანია და შეესაბამება მუნიციპალიტეტის ადგილობრივ გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, სადაც ხდება მომსახურების მიწოდება;

გ) მომსახურების ფარგლებში სხვადასხვა ქალაქის, სოფლის და დაბის კატეგორიის დასახლების რელიეფის თავისებურებები, რამაც შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მეთოდებზე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა არეალში.

ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) ფინანსური რესურსების გათვალისწინებით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში;

ბ) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გაუმჯობესება და გაფართოება არსებული გამოცდილების გათვალისწინებით;

გ) ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა, მომსახურების განხორციელების ხარჯსარგებლიანობის თანამედროვე პრაქტიკის საფუძველზე;

დ) მუნიციპალური ნარჩენების ისეთი შემგროვებელი ავტომანქანებისა და კონტეინერების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიურ, ხარისხიან და სტაბილურ მომსახურებას;

ე) თანამშრომლობა მოსახლეობასა და ორგანიზაციებთან და მათი მონაწილეობის წახალისება, სეპარირების სისტემისა და საერთო სარგებლობის კონტეინერების გამოყენების წესის დანერგვაში;

ვ) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის განვითარების მიზნით, არსებული სისტემის ოპერირებისას საკმარისი ინფორმაციის მიღება ოპერირებისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ, რითაც დგინდება მისი გრძელვადიანი ეფექტიანობა და მდგრადი ინვესტირების დაგეგმვის საჭიროება, მათ შორის ტექნიკის დროული შეცვლა;

ზ) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოგროვება, სამინისტროს ან სხვა დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოში წარსადგენად;

თ) პერიოდული ინვესტირება ტექნიკაში (შემგროვებელი ავტომანქანა და კონტეინერი), რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნარჩენების შეგროვების სისტემის სასურველ და ეფექტიან დონეზე შენარჩუნება და განვითარება;

ი) მდგრადი ტექნიკური და მართვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის უწყვეტი და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით.

მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის დაგეგმვისა და შემუშავებისას, მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს და დააზუსტოს პრობლემები, რომლებიც აფერხებს ნარჩენების სათანადო შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურების განვებას, მათ შორის უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

- ა) რესურსების არასაკმარისი მობილიზება;
- ბ) იმპორტირებულ ტექნიკაზე დამოკიდებულება;
- გ) დაფინანსების არასათანადო და არასაკმარისი წყაროები;
- დ) არასათანადო ტექნოლოგიების გამოყენება;
- ე) მენეჯერული და ტექნიკური უნარების ნაკლებობა;
- ვ) არათანაბრად განაწილებული მომსახურება.

მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნარჩენების რეციკლირება და ამ მიზნით დაინერგოს შერჩეული ნარჩენების კომპონენტების სეპარირებული შეგროვების ისეთი სისტემა, რომელიც:

ა) გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და ტექნიკური თვალსაზრისით განხორციელებადია;

ბ) აკმაყოფილებს სეპარირებულად შეგროვებული მასალების შესაბამისი ბაზრებისთვის საჭირო ხარისხის სტანდარტებს.

მომსახურების ოპტიმიზაციის გადანწყვეტილების მიღებისას მუნიციპალიტეტმა უნდა მოიპოვოს და გამოიყენოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მოსახლეობის რაოდენობა და მომსახურების არეალში ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების საშუალო წონა, ყოველდღიურად შესაგროვებელი ნარჩენების მთლიანი მიახლოებითი რაოდენობის დასადგენად;

ბ) ნარჩენების მოსალოდნელი სიმკვრივე შემგროვებელ ავტომანქანაში ჩატვირთვის შემდეგ;

გ) ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა, რაც გავლენას ახდენს ნარჩენების გატანის სიხშირეზე;

დ) ინერტული მასალების შემადგენლობა ნარჩენებში (ქვიშა, თიხა და ა.შ.);

ე) მუნიციპალური ნარჩენების სხვა ფრაქციების შემადგენლობა (ქალაქი, პლასტიკი, მინა და სხვ.);

ვ) სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა (გალვანური ბატარეები, ელექტრო და ელექტრონული ნარჩენები და სხვ.).

ტექნიკური რეგლამენტი ასევე ეხება კონტეინერების შერჩევის კრიტერი-

უმებს. ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მუნიციპალიტეტმა კონტინენტების მიმართ მოთხოვნები უნდა განსაზღვროს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობა – საცხოვრებელი სახლებიდან და ორგანიზაციებიდან, რომლებიც ისარგებლებენ საერთო სარგებლობის კონტინენტით;

- მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობა, რომლებიც ისარგებლებენ ინდივიდუალური კონტინენტებით;

- კონტინენტში განსათავსებელი ნარჩენების სახეობა და რაოდენობა;

- კონტინენტების დაცლებს შორის ყველაზე გრძელი ინტერვალი;

- წარმოქმნილ და კონტინენტებში განთავსებულ ნარჩენებში მოსალოდნელი სეზონური და შემთხვევითი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები;

- კონტინენტების განლაგება და მათი დაშორება ნარჩენების წარმოქმნელებისგან, რომელთაც ისინი უნდა მოემსახუროს;

- კონტინენტის ზომა და ტევადობა (მათ შორის რამდენიმე კონტინენტის საჭიროება), რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ოდენობის მუნიციპალური ნარჩენების განთავსებაა საჭირო კონკრეტულ მონაკვეთზე, ასევე რა შეზღუდვები შეიძლება შექმნას შემგროვებელმა ავტომანქანამ და ჩატვირთვის მექანიზმმა;

- კონტინენტის ტიპი – მასალა, რომლისგანაც იგი დამზადებულია, შემგროვებელი ჯგუფისთვის ხელით მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის სიმარტივე, დაგროვილი ნარჩენების შემგროვებელ ავტომანქანაში ჩატვირთვის მეთოდი. მუნიციპალიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ დიდი მოცულობის კონტინენტები (მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი საერთო სარგებლობის კონტინენტები, ბაზრებში, სანარმოებში და სხვადასხვა დაწესებულებებში წარმოქმნილი ნარჩენების კონტინენტები), რაც გავლენას იქონიებს შეგროვების პროცესზე და იმაზე, თუ რა ტიპის შემგროვებელი ავტომანქანები იქნება საჭირო კონტინენტების დასაცლელად;

- კონტინენტის გამძლეობა, რომელიც უზრუნველყოფს კონტინენტზე ნარჩენების შეგროვების პროცესის თანმხლები ხისტი ზემოქმედების პირობებში ექსპლუატაციის ოპტიმალურ ხანგრძლივობას;

- დატვირთვის მეთოდი – ნარჩენების წარმოქმნელისთვის და სხვა სუბიექტებისთვის, ნარჩენების კონტინენტში ჩაყრის ეფექტიანი მეთოდი;

- ნარჩენების იზოლირების მეთოდი, რაც მოიცავს ადვილად გამოყენებადი კონტინენტების ხუფებსა და ხუფის რგოლებს, რომელთა დანიშნულებაა ნარჩენების იზოლირება და ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების დაშლისას წარმოქმნილი უსიამოვნო სუნის შემცირება.

ტექნიკური რეგლამენტით ასევე დადგენილია კრიტერიუმები ნარჩენების შემგროვებელი მანქანების მიმართ. შემგროვებელი ავტომანქანების შერჩევისას მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) ნარჩენების შეგროვების მომსახურების არეალის გეოგრაფიული მახასიათებლები;

ბ) ნარჩენების სიმკვრივე;

გ) ნარჩენების კომპონენტები;

დ) ტრანსპორტორების მანძილი და გზის მდგომარეობა/საგზაო მოძრაობის პირობები;

ე) ავტომანქანებზე ნარჩენების ჩატვირთვის სიმაღლე და მექანიზმები;

ვ) ავტომანქანის ტიპი;

ზ) მზა მარაგ-ნაწილები ადგილზე და შენახვისა და რემონტის ხელმისაწვდომობა;

თ) გარდამავალი ფაქტორები.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანისას მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მარშრუტის ეფექტიანი და ეკონომიური დაგეგმვა. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტმა ნარჩენების შეგროვების მარშრუტის სქემაზე მუშაობისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პარამეტრები:

ა) შეგროვების მიზნით ავტომანქანის მიერ გავლილი მანძილის შემცირება და შეგროვებული ნარჩენების მასის ზრდა;

ბ) მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბანში მოძრაობის ინტენსივობა;

გ) ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის გზებსა და ხიდებზე მოძრავი ავტომანქანების წონის შეზღუდვა.

ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებითა და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის დამტკიცებით შეიქმნა კარგი სამართლებრივი ბაზა ნარჩენების პრობლემის მოსაგვარებლად. თუმცა, პრობლემურად რჩება ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ერთ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა. კერძოდ, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-121 მუხლის თანახმად:

„1. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ტერიტორიის დაგვირგნინების დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებლებას და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას;

2. მოსაკრებლის გადამხდელეები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს;

4. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე;

5. მოსაკრებლის ოდენობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ნარჩენების წარმოქმნელის მიერ, დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე ნარჩენების წარმოქმნელის შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც;

6. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს“.

მომსახურების ამ ორი ფორმის გაერთიანება, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, არ არის მართებული, რადგან ტერიტორიის დასუფთავება საზოგადო ხასიათის მომსახურებაა. ეს მომსახურება არ არის დამოკიდებული მიმღები სუბიექტის ნებაზე და განეული მომსახურებით ყველა (მათ შორის თვითმმართველ ერთეულში არარეგისტრირებული პირიც) თანაბრად სარგებლობს. რაც შეეხება ნარჩენების გატანას, იგი უშუალოდ დამოკიდებულია მიმღები სუბიექტის ნებაზე. მომსახურებას ლებულობს ის სუბიექტი, რომელიც



წარმოშობს ნარჩენებს. განსხვავებულია მომსახურების ორგანიზების წესიც. ტერიტორიის დასუფთავება მოიცავს ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებას, დაგვა-დასუფთავებას, სა-ჭიროების შემთხვევაში, ტერიტორიის მორწყვასა და ტერიტორიის გასუფთავებას თოვლისა და ყინულისაგან. მეორე შემთხვევაში კი ნარჩენების შეგროვება და დაგვა-დასუფთავება მომსახურების მიმღების ვალდებულებაა, ხოლო მომსახურების მიმწოდებელი მხოლოდ უზრუნველყოფს ნარჩენების გატანას და უტილიზაციას.

#### 4. სასაფლაოების მოვლა-პატრონობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა“. სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტი ამ სფეროში განსახორციელებელი საქმიანობის დეტალურ რეგულირებას არ ახდენს. ამიტომ, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია მოამზადოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ნორმატიული აქტი სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესების შესახებ, რომლითაც უნდა განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოწყობის, მოვლა-პატრონობის, მათი დახურვისა და ახლის გახსნის წესები. ამ წესის დადგენისას შეიძლება იქნეს გამოყენებული ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-103 დადგენილება „ქ. თბილისში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც საკმაოდ დეტალურად არის განსაზღვრული სასაფლაოების გახსნისა და დახურვის, მართვისა და მოვლა-პატრონობის წესები.


### თავი IV. ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა

#### 1. ტრანსპორტით მომსახურების დაბეზმვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება“.

მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა:

- სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციის წესების დადგენა;
- ტრანსპორტის მოძრაობის სქემის შედგენა;
- საგზაო ქსელის განვითარების სქემის შედგენა;
- ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის დადგენა;
- სამგზავრო გადაყვანის ტარიფების დადგენა;
- სადისპეტჩერო სამსახურის ორგანიზება;
- მუნიციპალური შესყიდვის განხორციელება და ხელშეკრულების გაფორმება;
- კონტროლი დადგენილი სამარშრუტო სქემებისა და გრაფიკის დაცვაზე.



## 2. რეგულარული სამგზავრო გადაყვანა

საქართველოს კანონმდებლობით ჯერ-ჯერობით განსხვავებული რეგულაციები დადგენილი მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზაციის უზრუნველყოფის სფეროში თვითმმართველი ქალაქისა და მუნიციპალიტეტების მიმართ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, ზემო აღნიშნული დებულებების გარდა, მოსახლეობის სატრანსპორტო უზრუნველყოფის დამატებითი ფორმები მოცემულია კანონებით „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. ეს კანონები მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებში საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის ითვალისწინებს სანებართვო რეჟიმის არსებობას.

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა წარმოადგენს მგზავრთა გადაყვანას შესაბამისი თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით, ხოლო დედაქალაქის ტერიტორიაზე – ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით თვითმმართველი ქალაქის ან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანა რუსთავი-თბილისის მარშრუტზე, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით დადგენილი მარშრუტების გათვალისწინებით.

ამავე კანონის მე-5<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია ნებართვის აუცილებლობა საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის. მე-5<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქალაქო რეგულარული

სამგზავრო გადაყვანისათვის „ნებართვას გაცემს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, დედაქალაქში – ქალაქ თბილისის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე ნებართვას კანონით დადგენილი წესით გაცემს თვითმმართველი ქალაქის – რუსთავის უფლებამოსილი ორგანო თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით დადგენილი მარშრუტების გათვალისწინებით. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად“.

მე-5<sup>ე</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის, ნებართვა გაიცემა არანაკლებ ერთი წლის ვადით. ნებართვის ვადას განსაზღვრავს საკრებულო.

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის წესი დადგენილია „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26<sup>2</sup>-ე მუხლით, რომლის თანახმად:

„1. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას კონკურსის წესით გაცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ქ. თბილისში – ქ. თბილისის მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული. კონკურსში გამარჯვებული ნებართვის მაძიებელი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემისას მოსაკრებელი არ გადაიხდევინება;

2. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასს განსაზღვრავს, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესებს ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო; ქ. თბილისში, ქ. თბილისის მერის წარდგინებით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასს განსაზღვრავს და ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარების წესს ამტკიცებს ქ. თბილისის საკრებულო, ხოლო ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესს ამტკიცებს ქ. თბილისის მთავრობა;

3. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი ჩაირიცხება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში“.

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველ ქალაქებში კერძო სუბიექტის მიერ რეგულარული სამგზავრო გადაყვანა დაიშვება მხოლოდ მის მიერ შესაბამისი ნებართვის აღების შემთხვევაში. სანებართვო რეჟიმის არსებობა თვითმმართველ ქალაქებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ განსაზღვრონ, არამედ ნებართვაში მოცემული პირობების შესაბამისად გააკონტროლონ რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტები და გადაყვანის გრაფიკი.

ჯერ-ჯერობით კანონმდებლობა თემის მუნიციპალიტეტებისათვის არ ითვალისწინებს ანალოგიურ მიდგომას. თუმცა დღეისათვის პარლამენტში უკვე არის ინიცირებული კანონებში ცვლილებების პაკეტი, რომელიც ამ უფლებამოსილებას გაავრცელებს თემის მუნიციპალიტეტებზეც.

### 3. ავტომატური პარკირების რეგულირება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება“. ავტომატური პარკირების საკითხის საკანონმდებლო საფუძველია 2013 წ. 24 დეკემბრის კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“. კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოვალეობებს, საგზაო მოძრაობის წესებსა და პირობებს, საგზაო ნიშნებსა და საგზაო მონიშვნებს, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისა და დგომის წესებს, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მართვის უფლების მინიჭებისა და სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის ზოგად მოთხოვნებს. კანონის 37-ე მუხლი განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების და დგომის, ანუ პარკირების წესს. ამ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას განეკუთვნება მხოლოდ ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესის განსაზღვრა („ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალებების დგომის/გაჩერების წესებს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო“), რაც შეეხება გზაზე პარკირებას, კანონის 37-ე მუხლის თანახმად:

1. სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ჩერდება ან დგას დაუსახლებელ პუნქტში, შესაძლებლობის ფარგლებში, სავალი ნაწილის გარეთ უნდა იმყოფებოდეს. გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, როგორც დასახლებულ, ისე დაუსახლებელ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და დგომა აკრძალულია ველობილიკზე, ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლზე, ქვეითთა ბილიკზე, ტროტუარზე (თუ არ არის 7.4 საგზაო ნიშანი და შესაბამისი საგზაო მონიშვნა) ან გზისპირზე;

2. სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ჩერდება ან დგას სავალ ნაწილზე, უნდა იმყოფებოდეს სავალი ნაწილის კიდესთან რაც შეიძლება ახლოს. მძღოლს შეუძლია გაჩერდეს ან დააყენოს სატრანსპორტო საშუალება სავალ ნაწილზე, მარჯვენა მხარეს. სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და დგომა სავალი ნაწილის მარცხენა მხარეს ნებადართულია:

ა) თუ სალიანდაგო გზების არსებობის გამო მარჯვენა მხარეს გაჩერება შეუძლებელია;

ბ) დასახლებულ პუნქტში იმ გზაზე, სადაც თითოეული მიმართულებისათვის ერთი სამოძრაო ზოლია შუაში ტრამვაის ლიანდაგების გარეშე;

გ) ცალმხრივმოძრაობიანი გზის სავალ ნაწილზე (სატვირთო ავტომობილის ცალმხრივი მოძრაობის გზის მარცხენა მხარეს გაჩერება ნებადართულია მხოლოდ მისი დატვირთვის ან გადმოტვირთვის დროს).

3. სავალი ნაწილის შუაში სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და დგომა ნებადართულია მხოლოდ შესაბამისი საგზაო ნიშნით ან საგზაო მონიშვნით განსაზღვრულ ადგილებში;

4. სატრანსპორტო საშუალებების დგომა ნებადართულია ერთ რიგად, სავალი ნაწილის კიდის პარალელურად, გარდა იმ ადგილისა, რომელიც სატრანსპორტო საშუალების სხვაგვარად დაყენების პირობებს ქმნის. დასაშვებია გვერდითი მისაბმელის გარეშე ორთვლიანი სატრანსპორტო საშუალებების ორ რიგად დაყენება. სავალ ნაწილთან მოსაზღვრე ტროტუარის ნაპირზე დგომა ნებადართულია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილისთვის, მოტოციკლისთვის, მოპედისა და ველოსიპედისთვის, თუ ისინი დაბრკოლებას არ უქმნიან ქვეითს. კანონის ამავე მუხლით დადგენილია სატრანსპორტო საშუალებების გაჩერებისა და დგომის აკრძალვები. კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების გაჩერება აკრძალულია:

1) გზის სავალ ნაწილზე:

ა) ქვეითთა და ველოსიპედისტთა გადასასვლელებზე და მათ წინ 5 მეტრზე ახლოს;

ბ) გზაზე გამავალი ტრამვაისა და რკინიგზის ლიანდაგებზე ან მათ ახლოს, თუ ამას შეუძლია გააძნელოს ტრამვაის ან მატარებლის მოძრაობა;

გ) სავალი ნაწილების გადაკვეთაზე, აგრეთვე მათი გადაკვეთის ნაპირებიდან 5 მეტრზე ახლოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაჩერება ხდება იმ გვერდითი გადასვლელების მოპირდაპირე სამხმხრივ გადაკვეთებზე (გზაჯვარედინებზე), რომლებზედაც მონიშვნის უწყვეტი ხაზი ან გამყოფი ზოლია;

2) ნებისმიერ ადგილზე, სადაც მას შეუძლია შექმნას საფრთხე, მათ შორის:

ა) ესტაკადაზე, ხიდსა და გზაგამტარზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნულ ადგილებში ორზე მეტი თანმხვედრი მიმართულების მოძრაობის ზოლია;

ბ) ესტაკადის, ხიდისა და გზაგამტარის ქვეშ, აგრეთვე გვირაბში, გარდა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;

გ) გზის სავალ ნაწილზე სახიფათო მოსახვევისა და გზის გრძივი პროფილის ამობურცული გადატეხვის ახლოს, სადაც გზის ხილვადობა თუნდაც ერთი მიმართულებით 100 მეტრზე ნაკლებია;

დ) იმ ადგილას, სადაც მონიშვნის უწყვეტ ხაზსა (სავალი ნაწილის კიდის აღმნიშვნელი მონიშვნის გარდა) და გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებას შორის მანძილი 3 მეტრზე ნაკლებია;

ე) იმ ადგილზე, სადაც იგი სხვა საგზაო მოძრაობის მონაწილეებს უფარავს შეუქნიშნის ფერად მაშუქ სიგნალებს ან საგზაო ნიშნებს;

ვ) ნელმავალი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ, შესაბამისი საგზაო ნიშნით აღნიშნულ, დამატებითი მოძრაობის ზოლზე;

ზ) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების ან ტაქსის კონსტრუქციულად გამოყოფილი გაჩერების ადგილებიდან, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში – სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების ან ტაქსის გაჩერების მაჩვენებლიდან 15 მეტრზე ახლოს, თუ ეს აბრკოლებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას;

3) გაჩერების ამკრძალავი საგზაო ნიშნის ან/და საგზაო მონიშვნის მოქმედების ზონაში. კანონის თანახმად სატრანსპორტო საშუალების დგომა აკრძალულია:

ა) იმ ადგილას, სადაც გაჩერება აკრძალულია;

ბ) გზის სავალ ნაწილზე რკინიგზის გადასასვლელთან 50 მეტრზე ახლოს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გამოყოფილ, საგ-

ზაო ნიშნით აღნიშნულ სადგომზე;

დ) ეზოდან ავტომობილის გამოსასვლელთან;

ე) ნებისმიერ ადგილას, სადაც სადგომზე მყოფი სატრანსპორტო საშუალება ხელს შეუშლის სხვა სატრანსპორტო საშუალების სადგომზე შესვლას ან სადგომიდან გამოსვლას;

ვ) დაუსახლებელ პუნქტში ამკრძალავი საგზაო ნიშნებით აღნიშნულ გზის სავალ ნაწილზე, აგრეთვე დასახლებულ პუნქტში გზის სავალ ნაწილზე, სადაც მოძრაობა დაშვებულია 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, გარდა სპეციალურად აღნიშნული ადგილებისა;

ზ) დგომის ამკრძალავი საგზაო ნიშნის ან/და საგზაო მონიშვნის მოქმედების ზონაში;

თ) შესაბამისი საგზაო ნიშნით დადგენილი სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხის დარღვევით;

ი) საგზაო მონიშვნით დადგენილი სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხის დარღვევით.

ამდენად, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს დაადგინოს მხოლოდ ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალებების დგომის/გაჩერების წესები. სხვა სახით პარკირების დადგენას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამასთან ერთად, საგულისხმოა, რომ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ სანქციებს ითვალისწინებს მხოლოდ დედაქალაქის (მუხლის 125<sup>2</sup>) და ქ. ბათუმის ტერიტორიაზე (მუხლი 125<sup>3</sup>) ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისთვის. თუმცა, დღეისათვის პარლამენტში არის ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც ამ სანქციების გამოყენებას ითვალისწინებს სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზეც.

## **თავი V. სამომხმარებლო ბაზარი. გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება**

საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველობის ორგანოთა მმართველობითი შეხება სამომხმარებლო ბაზართან, უპირატესად, აკრძალვითი ფორმით გამოიხატება. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება:

ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანარმოების შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამენარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის სამენარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თვითმმართველ ერთეულს არ გააჩნია სამომხმარებლო ბაზრის განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები. მთავარია, ამ მექანიზმების გამოყენებამ არ შელახოს თავისუფალი ბაზრის პრინციპები. ასეთი მექანიზმია, პირველ რიგში, ქონების გადასახადი. ქონების გადასახადი წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომლის შემოღებასა და კანონით დადგენილ ზღვრებში გადასახადის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, გამგებლის/მერის წარდგინებით. შესაბამისად, ქონების გადასახადის შემოღებით ან არ შემოღებით, გადასახადის ოდენობის შემცირებით ან გაზრდით მუნიციპალიტეტს შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სავაჭრო ზონების განსაზღვრა, ამ ზონებში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვა, მათი გამოყოფა სავაჭრო სუბიექტებისათვის, ასევე არის მნიშვნელოვანი წინაპირობა სამომხმარებლო ბაზრის განვითარებისათვის. ამავდროულად, სამომხმარებლო ბაზრის სუბიექტები არიან კომუნალური მომსახურების მიმღებნიც. მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაზრდა დადებითად მოქმედებს სამომხმარებლო ბაზრის განვითარებაზეც.

რაც შეეხება გარე ვაჭრობას, გამოფენებს, ბაზრებსა და ბაზრობებს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი სამომხმარებლო ბაზრის ამ სუბიექტების რეგულაციას მიაკუთვნებს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას.

გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების საკითხი ერთ-ერთ პრობლემურ საკითხთაგანია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის დეტალურად დარეგულირებული.

## 1. ბარე ვაჭრობა

გარე ვაჭრობა პირველად დაშვებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის №522 დადგენილებით „ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“. ეს დადგენილება გაუქმებულ იქნა 2006 წ. 8 ნოემბერს, თუმცა მისი გაუქმებით არ მომხდარა გარე ვაჭრობის აკრძალვა.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 134-ე მუხლით, გარე ვაჭრობა იკრძალებოდა, თუ ეს იწვევდა რკინიგზის გადასასვლელის ან საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის წესების დარღვევას. 2013 წ. 27 ნოემბერს ამ მუხლში შეტანილი ცვლილებით გზის სავალ ნაწილზე, ტროტუარზე ან გვერდულაზე ზოგადად აიკრძალა გარე ვაჭრობის მოწყობა, თუ ეს ზღუდავს ან საფ-

რობეს უქმნის მოძრაობას. ამავე კანონით, სამართალდარღვევადაა მიჩნეული გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე (მუხლი 153<sup>3</sup>).

„მუხლი 153<sup>3</sup>. გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე

1. გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე – გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20-დან 50 ლარამდე ოდენობით სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.
2. იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან – გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

შენიშვნა:

ამ კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და დამრღვევის მიმართ სიტყვიერი შენიშვნის გამოყენება არ ათავისუფლებს პირს სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციისაგან“.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 153<sup>3</sup>-ე მუხლი კოდექსში შეტანილი იქნა 2002 წ. იმ პერიოდისათვის გარე ვაჭრობისთვის ნებართვას ითვალისწინებდა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი:

„მუხლი 7. მოსაკრებელი გარე ვაჭრობის ნებართვისათვის

1. გარე ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, რომელიც შესაბამის ტერიტორიაზე ეწევა გარე ვაჭრობას.

2. გარე ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და იმ ქალაქის საკრებულოს, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში.

3. საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ერთ სავაჭრო ადგილზე არ უნდა აღემატებოდეს დღეში 2 ლარს“.

გარე ვაჭრობისთვის ნებართვას ითვალისწინებდა ასევე კანონი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლის შესახებ“.

2007 წლის 1 იანვრიდან გაუქმებული იქნა მოსაკრებელი გარე ვაჭრობის ნებართვისათვის, ხოლო „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლის შესახებ“ კანონი გაუქმდა 2005 წლის 24 ივნისიდან.

ამ კანონების გაუქმებით გარე ვაჭრობის რეგულაციის საკითხი დარჩა მხოლოდ საკრებულოს განსაკუთრებულ გამგებლობაში. ცხადია, საკრებულომ გარე ვაჭრობის რეგულაცია უნდა მოახდინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამიტომ საკრებულოს უფლება არ აქვს გარე ვაჭრობისათვის დაანესოს რაიმე მოსაკრებელი ან ნებართვა (ასეთ შემთხვევაში საკრებულოს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოვა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონთან და „ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ“ მოქმედ კანონთან, რომლებიც არ ითვალისწინებენ გარე ვაჭრობისათვის არც მოსაკრებელს და არც ნებართვას). ერთად-ერთი, რისი გაკეთებაც თვითმმართველობას შეუძლია, არის გარე ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურის დადგენა (ისიც მხოლოდ სანიტარული მოსაზრებების გამო). მაგალითად, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2014 წლის 30 დეკემბერს მიღებულია დადგენილება №20-89



„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“. ამ დადგენილებით განსაზღვრულია, რომ:

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობად მიჩნეულ იქნეს ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.

2. მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობისათვის დასაშვები საქონლის ნომენკლატურა განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

3. საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილები მოეწიოს ისე, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ქალაქის იერსახის მოთხოვნებს და არ შეაფერხონ ფეხით მოსიარულეთა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. ვაჭრობა განხორციელდეს მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, სხვა ნორმებისა და წესების დაცვით.

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით რეგულირდება გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები, სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობა და ამისათვის განსახორციელებელი საჭირო ღონისძიებები“.

როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, იგი ეხება გარე ვაჭრობის ორგანიზებულ ჩატარებას და არა მის აკრძალვას ან შეზღუდვას. საკრებულოს დადგენილება არ აწესებს (და არც შეიძლება აწესებდეს) ნებართვას გარე ვაჭრობისათვის. საგულისხმოა, რომ ამ დადგენილების პირველი პუნქტი, გარე ვაჭრობას განმარტავს, როგორც მხოლოდ ვაჭრობას „მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან“. ამიტომ, ე.წ. ხელით ვაჭრობა (დახლის ან რაიმე კონსტრუქციის გარეშე) არ ითვლება გარე ვაჭრობად ამიტომ, მათზე შეზღუდვები, სანქციები ან რეგულაციები არ ვრცელდება.

ამდენად, გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები საკმაოდ წინააღმდეგობრივია. დასაზუსტებელია ტერმინი – „გარე ვაჭრობა“, გადასაწყვეტია გარე ვაჭრობის ნებართვის საკითხი. თუ უარი უნდა ითქვას გარე ვაჭრობის ნებართვაზე, მაშინ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153<sup>3</sup>-ე მუხლი მოკლებულია სამართლებრივ დატვირთვას და/ან უნდა გაუქმდეს, ან შეიცვალოს. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ არის. უფრო მეტიც, 2011 წლის 11 ოქტომბერს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილ იქნა დამატება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულაციისათვის:

„მუხლი 153<sup>6</sup>. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე

1. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე – გამოიწვევს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით;

2. იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან – გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით, სამართალდარღვევის

საგნის კონფისკაციით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით;

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა განმეორებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

შენიშვნა:

1. ამ კოდექსის 22-ე მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და სამართალდამრღვევი პირის მიმართ სიტყვიერი შენიშვნის გამოყენება არ ათავისუფლებს პირს სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციისაგან;

2. დაუმორჩილებლობა გულისხმობს სამართალდამრღვევი პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების წარუდგენლობას, სამართალდარღვევის ფაქტის განგრძობადობის აღკვეთის მიზნით მიცემული სიტყვიერი მითითების შეუსრულებლობას;

3. თუ ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის აღმოჩენისას ვერ დგინდება სამართალდამრღვევი პირი, სამართალდარღვევის საგნები ექვემდებარება კონფისკაციას;

4. სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესს ადგენს ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო“.

როგორც ამ მუხლიდან ჩანს, პრობლემა კვლავ იგივე რჩება. არ არის განმარტებული რას ნიშნავს „გარე ვაჭრობა“, ვის მიერ არ არის დადგენილი და რა წესით უნდა მოხდეს გარე ვაჭრობის ნებართვის გაცემა, მაშინ, როცა „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი მსგავსი ტიპის ნებართვის არსებობას არ ითვალისწინებს.

## 2. ბაზრები და ბაზრობები

საქართველოს კანონმდებლობით არასრულყოფილადაა რეგულირებული ბაზრებისა და ბაზრობების მოწყობის საკითხები. 2011 წლის 21 ნოემბერს გამოცემულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის №149 ბრძანება „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“. ამ ბრძანების 23-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას არ საჭიროებს თვითმმართველობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც შეეხება გარე ვაჭრობისა და გარე რეკლამის განთავსების რეგულირებას, ბაზრებსა და ბაზრობებთან დაკავშირებულ საკითხებს“. ამ ბრძანებიდან ირკვევა, რომ როგორც გარე ვაჭრობაზე, ასევე ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით“. ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მიუთითებს გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულაციის საკითხზე, არის მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსი, რომელიც მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლება. ბაზრებისა და ბაზრობების ფუნქციონირების წესები საკანონმდებლო აქტებით დადგენილი არ არის და მისი განსაზღვრა დამოკიდებულია თვითმმართველ ერთეულზე. ამ საკითხზე ნორმატიული აქტის პროექტის მომზადებისას თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობის ის მოთხოვნები, რომლებიც ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც ეხება ბაზრობისა და ბაზრობების საკითხს. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 309-ე მუხლის მე-15 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები განმარტავს ბაზრის (ბაზრობის) და არასტატაციონარულ სავაჭრო ადგილს:

„ა) ბაზარი (ბაზრობა) არის მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განლაგებულია სტაციონარული სავაჭრო ობიექტები და არასტაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც განკუთვნილია საქონლის სარეალიზაციოდ;

ბ) არასტაციონარული სავაჭრო ადგილი (დროებითი შენობა-ნაგებობა) არის ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი ასანყოფ-დასაშლელი ან/და მობილური სამშენებლო სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ აქვს მიწისქვეშა სათავსები, აგრეთვე ამ მიზნით გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება“.

სავაჭრო ცენტრის და ბაზრის/ბაზრობის განმარტება, ასევე მოცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებაში „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“. ამ ბრძანების პირველი მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განმარტებულია სავაჭრო ცენტრი და ბაზარი/ბაზრობა:

„დ) სავაჭრო ცენტრი — საერთო ადმინისტრაციის მქონე, შენობაში განთავსებული კომპლექსი, რომელიც შედგება არანაკლებ 30, იზოლირებულ ფართზე განლაგებული, ინდივიდუალური შესასვლელის მქონე სავაჭრო/გასართობი ობიექტისაგან;

ე) ბაზარი/ბაზრობა — საერთო ადმინისტრაციის მქონე, შემოსაზღვრული ტერიტორია, რომელშიც, როგორც წესი, საერთო ფართზე, განთავსებულია სავაჭრო/გასართობი ობიექტები“.

2013 წ. 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №417 დადგენილებით დამტკიცდა „ტექნიკური რეგლამენტი — აგრარულ ბაზრებზე/ბაზრობებზე სურსათისა და ცხოველის რეალიზაციის წესი“. რეგლამენტის მე-2 მუხლით განმარტებულია, რომ აგრარული ბაზარი/ბაზრობა არის მიწის ნაკვეთი, სადაც განლაგებულია სტაციონარული სავაჭრო ობიექტები და არასტაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც განკუთვნილია სურსათის ან/და ცხოველის რეალიზაციისათვის. ასევე განმარტებულია არასტაციონარული სავაჭრო ადგილი (დროებითი შენობა-ნაგებობა), რომელიც რეგლამენტის მიხედვით წარმოადგენს ანაკრები ელემენტებისგან შედგენილ ასანყოფ-დასაშლელ ან/და მობილურ სამშენებლო სისტემას, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ აქვს მიწისქვეშა სათავსები, აგრეთვე ამ მიზნით

გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის თანახმად, აგრარული ბაზრის/ბაზრობის მომწყობი ვალდებულია:

ა) არ დაუშვას ბაზარზე განსათავსებლად სურსათი, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს;

ბ) არ დაუშვას ბაზარზე განსათავსებლად ცოცხალი ცხოველი, თუ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვეტერინარულ მოთხოვნებს;

გ) უზრუნველყოს ბაზრის/ბაზრობის ტერიტორიაზე (სანყოფებში, მაცივრებში, პავილიონებსა და ა.შ.) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჰიგიენის წესების დაცვა;

დ) უზრუნველყოს ბაზარზე/ბაზრობაზე განთავსებული ცხოველის ან/და სურსათის შენახვა/რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და კონტროლი;

ე) უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება ცხოველთა გადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ცხოველის ინფექციური დაავადების აღმოჩენისას ან ასეთ დაავადებაზე ეჭვის არსებობისას და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ-ს – სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სპეციალურ მოთხოვნებს აგრარული ბაზრების/ბაზრობების მიმართ, სადაც ხორციელდება ცხოველის რეალიზაცია. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით ასეთი ბაზრები/ბაზრობები:

ა) უნდა მოეწყოს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებიდან მოშორებით. ადგილის შერჩევისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გაბატონებული ქარების მიმართულება, მისასვლელი გზის არსებობა. ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყალგაყვანილობითა და კანალიზაციით; უნდა იქნეს დახრილი, რათა წვიმა და მოხმარებული წყლები კანალიზაციაში ადვილად ჩაედინებოდეს;

ბ) უნდა იყოს შემოღობილი, დაყოფილი განყოფილებებად, სადაც ცხოველები განთავსდებიან სახეობების მიხედვით. ტერიტორია, მათ შორის, მისასვლელი გზა და ჩამოსატვირთი მოედნები უნდა იყოს მოასფალტებული ან მობეტონებული (მოპირკეთებული), ადვილად ირეცხებოდეს და სუფთავდებოდეს. სატრანსპორტო საშუალებებისათვის უნდა მოეწყოს ცალკე შესასვლელი დეზობარიერით;

გ) უნდა მოეწყოს სპეციალური მოედანი (ბაქანი), სატრანსპორტო საშუალებებიდან ცხოველების გადმოსაყვანად;

დ) ცხენის, ვირის, ჯორის, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, ღორის სარეალიზაციოდ განსათავსებლად ბაზრის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ღია და დახურული შესარეკები (ფარდულები), მცირე ზომის ცხოველები (ბოცვერი, ზღვის გოჭი, ზაზუნა და ა.შ., აგრეთვე ფრინველი) უნდა განთავსდეს გალიებში, ხოლო ცოცხალი თევზი – აკვარიუმში;

ე) დღის ბოლოს უნდა მოხდეს ტერიტორიის დასუფთავება (გარეცხვა). დეზინფექცია (დერატიზაცია, დეზინსექცია) უნდა ჩატარდეს არანაკლებ თვეში ერთხელ, ხოლო ინფექციური დაავადებით დაავადებული ცხოველის გამოვლენისას, იმავე დღეს უნდა მოხდეს ტერიტორიის დასუფთავება (გარეცხვა) და

ჩატარდეს დეზინფექცია;

ვ) ცხოველებით ვაჭრობის ადგილები განცალკევებული უნდა იქნეს სურსათის სავაჭრო ადგილებისგან.

ბაზარში/ბაზრობებზე ნარჩენების შემკრები კონტეინერი უნდა განლაგდეს მოასფალტებულ ან მობეტონებულ მოედანზე, რომელიც სავაჭრო ზონიდან დაშორებული იქნება არანაკლებ 25 მ-ით.

ბაზრობების რეგულაციისას, ასევე გასათვალისწინებელია ის აკრძალვითი ნორმები, რომლებიც მოცემულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ და საქართველოს კანონში „ნამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონაში სათამაშო სპორტული მოედნების, ბაზრობების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების, საველე კარვების განლაგება, ყველა სახის მანქანა-მექანიზმების და საქონლის სადგომების მოწყობა, ნებისმიერი სახის ლონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ხალხის თავშეყრასთან, თუ ისინი არ ასრულებენ ნებადართულ სამუშაოებს“.

„ნამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „აკრძალულია ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია ბაზარსა და ბაზრობაზე, აგრეთვე ღია ტიპის სავაჭრო ობიექტიდან და არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან“.

ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „შენობა-ნაგებობებში მოწყობილი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ბაზრობების (მათ შორის კონტეინერული ტიპის ბაზრობები კონტეინერების რიგებს შორის გადახურვით) სავაჭრო დანადგარების რიგებს შორის უნდა იყოს თავისუფალი გასასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა უსაფრთხო ევაკუაციას ხანძრის დროს“. ამავე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, სავაჭრო დანესებულებების შენობა-ნაგებობებში აკრძალულია:

ა) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება სავაჭრო დარბაზებში მომხმარებელთა ყოფნის დროს;

ბ) სავაჭრო დარბაზებში წვადი აირის ავზების დადგმა და გამოყენება;

გ) ადგილალეზადი, წვადი სითხეებით, წვადი აირით და პიროტექნიკური ნაკეთობებით მოვაჭრე განყოფილებების, სექციების განთავსება 4 მ-ზე ახლოს სავაჭრო დარბაზების გასასვლელებთან, კიბის უჯრედებსა და სხვა სავაჭრო-ციო გზებთან;

დ) სავაჭრო ადგილების ორგანიზება კიბის უჯრედების ბაქნებზე, ტამბურებსა და სხვა სავაჭრო-ციო გზებზე;

ე) სავაჭრო დარბაზებსა და სავაჭრო-ციო გზებზე წვადი მასალების, ნარჩენების, შეფუთვების და კონტეინერების დროებითი შენახვა;

ვ) წვადი ან უწვი საქონლის წვადი შეფუთვით იმ სათავსში შენახვა, რომელსაც არ გააჩნია ფანჯრის ღიობები ან კვამლის განოვის შახტები, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც ნებადართულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიული აქტებით.

## თავი VI. მუნიციპალური მომსახურება უსაფრთხოების სფეროში

უსაფრთხოების სფეროში მუნიციპალური მომსახურების მიზანია მოსახლეობისათვის ცხოვრების უსაფრთხო პირობების შექმნა. ამ სფეროში მუნიციპალური მომსახურება მოიცავს:

- ა) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფას;
- ბ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვას;
- გ) შინაური ცხოველების ყოლის ნესების დადგენას და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას;
- დ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას.

### 1. სახანძრო უსაფრთხოება და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით სახანძრო უსაფრთხოება და სამაშველო ღონისძიებების უზრუნველყოფა აღარ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის თანახმად, 2015 წ. 10 იანვრიდან ლიკვიდირებული იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურები/დანაყოფები (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) და ისინი დაექვემდებარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტები მთლიანად ჩამოშორებულნი არიან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეს წარმოადგენს ადგილობრივი დონე, სადაც „საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მისი ტერიტორიის ფარგლებში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების, აგრეთვე სააგენტოს რეაგირების ძალები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ აღნიშნული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ორგანიზაციები და სააგენტო, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებს“. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოა ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი, რომელიც წარმოადგენს გამგებლის/მერის მიერ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და სააგენტოს ტერიტორიული დანაყოფის უფლებამოსილი პირები-

საგან შექმნილ ორგანოს, რომელიც ადგილობრივ დონეზე (ოპერაციულ დონეზე) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (გამგებელი/მერი) ან მის მიერ უფლებამოსილი პირი“.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონით საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვა და სახანძრო უსაფრთხოება განისაზღვრა, როგორც მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილება. კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებებია:

ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში განსაზღვრული უფლებამოსილებების განსახორციელებლად შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება და მიღება;

ბ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეების შესაბამისი ოპერატიული ცენტრების შექმნა;

გ) საგანგებო სიტუაციის დროს შესაბამისი რეაგირების ძალების მობილიზება და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მათი მონაწილეობის ორგანიზება, აგრეთვე რეაგირების ძალების მომზადების და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;

დ) საგანგებო სიტუაციისა და საომარი მოქმედებების დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ევაკუირებული მოსახლეობის სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა;

ე) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი ინფორმაციის მიღება და დამუშავება;

ვ) დაზარალებული მოსახლეობისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილების უზრუნველყოფა;

ზ) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებასა და აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა და მათი ორგანიზება;

თ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების მიღება;

ი) ვარჯიშის ორგანიზება;

კ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე საფრთხეების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინება;

ლ) საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით სამოქალაქო უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რისკის მართვის გეგმებისა და საგანგებო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

მ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამების მიხედვით მოსახლეობის მომზადების ორგანიზება;

ნ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება;

ო) მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის ფორმის შევსებაში მონაწილეობა;

პ) სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტების მობილიზების უზრუნველყოფა.

რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებებია:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ დასახლებაში, სადაც განთავსებული არ არის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად;

ბ) ხანძრის ჩასაქრობად მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ხელოვნური და ბუნებრივი წყაროებიდან (ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი, სახანძრო წყალსატევი, წყლის შესანახი რეზერვუარი, მდინარე, ტბა, აუზი და სხვა) წლის ნებისმიერ დროს სახანძრო ტექნიკით წყლის აღებისათვის პირობების შექმნა;

გ) ტყის მასივების ხანძრისაგან დაცვის ორგანიზება და გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ) ხანძრის შესახებ მოსახლეობისა და სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისთვის შეტყობინების ორგანიზება;

ე) მუნიციპალური საკუთრების ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ვ) დასახლებული ტერიტორიების განვითარების გეგმებსა და პროგრამებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩართვა, მათ შორის, სახანძრო-სამაშველო დეპოების მშენებლობის პერსპექტიული პროგრამების შედგენაში მონაწილეობა;

ზ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ქალაქთმშენებლობის კონტროლის ღონისძიებების განხორციელება დასახლებული ტერიტორიების დაგეგმვა-განაშენიანებისას ტექნიკური რეგლამენტებით, სამშენებლო ნორმებითა და წესებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად;

თ) დასახლების საზღვრებში ხანძრის ადგილზე სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შეუფერხებლად მისვლის უზრუნველყოფა;

ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში რეაგირების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დადგენაში მონაწილეობა;

კ) მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის ხელის შეწყობა, მათ შორის, მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება;

ლ) მოსახლეობის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებაში და ხანძრის პროფილაქტიკასა და ჩაქრობაში ჩაბმა და მონაწილეობა;

მ) ხანძრის გაჩენის საშიშროების მომატების შემთხვევაში განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დადგენა და მისი მოქმედების პერიოდში სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება;

ნ) სახელმწიფო ან/და მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ინციდენტის ადგილზე მისვლამდე ხანძრის ლოკალიზაცი-



ისათვის და ადამიანებისა და ქონების გადასარჩენად შესაბამისი ზომების შეძლებისდაგვარად მიღება.

საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების სფეროში დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალური სახანძრო დაცვის საკითხებს. კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ დასახლებაში, სადაც განთავსებული არ არის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა შეიძლება შექმნან მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფები. ამ დანაყოფების შექმნისა და საქმიანობის წესს, მათ მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე სხვადასხვა სახეობის სახანძრო დაცვის დანაყოფებთან მათი ურთიერთქმედების წესს განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები. მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ინსპექტირებას ახორციელებენ და მეთოდურ დახმარებას უწევენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამისი დანაყოფები.

კანონის თანახმად, მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფები ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ხანძრის, ავარიის, კატასტროფის, სტიქიური უბედურებისა და საგანგებო სიტუაციის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებსა და დაგეგმილ სახანძრო-ტაქტიკურ სწავლებებში.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის წესს, მის საშტატო რიცხოვნობას და სტრუქტურას ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით.

სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებისა და საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია საქართველოს მთავრობის 2015 წ. 23 ივლისის №370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი ვალდებულია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტისადმი დაქვემდებარებულ ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა. ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-15 პუნქტი ავალდებს გამგებელს/მერს მდგრადი მშრალი, ცხელი ამინდის და ძლიერი ქარის დროს, ასევე განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოქმედების პერიოდში მიიღოს დამატებითი ზომები ხანძრის გაჩენის საშიშროების შესამცირებლად, მათ შორის:

- ა) აკრძალოს ღია ცეცხლის დანთება და ხანძარსაშიში სამუშაოების წარმოება განსაზღვრულ უბნებზე;
- ბ) ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი ტექნიკის მომზადებას, დასახლებებში და მიმდებარე ტყის მასივებში პატრულირებას მოსახლეობის და მო-

ხალისე მეხანძრეების ძალებით და ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით;

- გ) ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობასთან შესაბამისი განმარტებითი სამუშაოების წარმოებას სახანძრო უსაფრთხოების ზომებისა და ხანძრის დროს მოქმედებების თაობაზე.

ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლი აწესებს მუნიციპალიტეტისათვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელ სახანძრო უსაფრთხოების სპეციალურ მოთხოვნებს დასახლებებისა და ობიექტების ტერიტორიებისათვის. ამ მუხლის თანახმად, დასახლებებსა და დასახლებებში განლაგებულ ობიექტებში არსებული გასასვლელები და მისასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს სახანძრო ტექნიკის შენობა-ნაგებობებთან შეუფერებლად მისვლის შესაძლებლობას ნელინადის ნებისმიერ დროს, ღია სანყოფებთან, ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების წყლის წყაროებსა და სახანძრო კიბებთან. გზების ან შესასვლელების გადაკეცივის შესახებ (მათი შეკეთება ან სხვა მიზეზი, რაც ხელს უშლის სახანძრო ავტომობილის გავლას) საშემკეთებლო (სამშენებლო) საქმიანობის მწარმოებელი ორგანიზაცია ვალდებულია მიანოდოს შესაბამისი ინფორმაცია სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ამ სამუშაოების ვადების შესახებ და უზრუნველყოს გზის შემოვლის მიმართულების მაჩვენებლების დადგმა ან გზის შესაკეთებელ სარემონტო უბნებზე გადასასვლელების მოწყობა.

ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, დროებითი შენობა-ნაგებობები უნდა იყოს განლაგებული სხვა შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 15 მ-ის მანძილზე ან ხანძარსაწინააღმდეგო კედლებთან. კოცონის გაჩაღება, ნარჩენების და ტარის დაწვა უნდა განხორციელდეს შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 50 მ-ის მანძილზე.

წინვოვანი ტყის მასივებში განლაგებული ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ობიექტების და საზაფხულო აგარაკების ტერიტორიას მთელ პერიმეტრზე უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 მ-ის სიგანის დამცავი მინერალიზებული ზოლი, შენობა-ნაგებობებზე ცეცხლის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ტყის მასივებში განლაგებული დასახლებისათვის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უნდა იყოს შემუშავებული და შესრულებული ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავენ ცეცხლის გადასვლას შენობა-ნაგებობებზე ტყის ხანძრების დროს (დამცავი ხანძარსაწინააღმდეგო ზოლების მოწყობა, ფოთლოვანი ხეების დარგვა, ზაფხულში ხმელი მცენარეებისაგან განმენდა და სხვა).

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონისა და ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ხანძრის საშიშროების მომატების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ორგანოების გადანყვეტილებით შესაბამის ტერიტორიებზე შეიძლება დადგინდეს განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი.

ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მუნიციპალური სახანძრო დაცვის დანაყოფებში, რომელთა ძირითადი ამოცანებია ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება და ჩატარება, ხანძრის ჩაქრობის მობილური საშუალებები (სახანძრო ავტომობილები, მოტოტუმბოები) და სახანძრო-ტექნიკური შეიარაღება უნდა იყოს გამართული და განთავსებული სახანძრო დეპოებში ან ამ მიზნებისათვის სპეციალურად განკუთვნილ ბოქსებში, რომლებსაც აქვთ გათბობა, ელექტრომომარაგება, სატელეფონო კავშირი და სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობის ნორმალური და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველმყოფი სხვა მოწყობილობები

და დანადგარები.

ტექნიკური რეკლამენტის მიხედვით, სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დისლოკაცია ქალაქის, დაბის და სოფლის კატეგორიის დასახლების ტერიტორიებზე განისაზღვრება შემდეგი პირობიდან – პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში – 20 წუთს.

## 2. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვა

უსაფრთხოების სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საგზაო მოძრაობის დაგეგმვა, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ სატრანსპორტო ქსელის განვითარებას, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეთა უსაფრთხო მოძრაობას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით „ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება“ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას.

საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“. კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებებია:

ა) საავტომობილო, მინისზედა ელექტროტრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის საქმიანობის რეგულირება;

ბ) საგზაო მოძრაობის ორგანიზება;

გ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებათა მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა;

დ) პირის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებისა და მოთხოვნების შესწავლის ორგანიზება;

ე) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება;

ვ) სატრანსპორტო საშუალების, მასთან დაკავშირებული პროდუქციისა და საგზაო მეურნეობის საქმიანობის სერტიფიცირება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით დადგენილი წესით;

ზ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების, სტანდარტების, ტექნიკური ნორმებისა და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცება, აგრეთვე მათ შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი.

კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობისა და ამ შემთხვევებით გამოწვეული ზიანის შემცირებას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს და ჰქონდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა. კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადგილობრივ პროგრამებს ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“.

საგზაო მოძრაობის დაგეგმვისას კანონის აუცილებელი მოთხოვნაა საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, „გზის გამტარუნარიანობის გაზრდის ან სხვა მიზნით საგზაო მოძრაობის ორგანიზებაში ცვლილების შეტანა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შემცირების ხარჯზე დაუშვებელია“.

### 3. შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა“. ეს საკითხი გულისხმობს როგორც შინაური ცხოველების კეთილდღეობასა და მათთან ჰუმანურ დამოკიდებულებას, ისე – მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობით ეს საკითხები ჯერ-ჯერობით არ არის სრულად გათვალისწინებული. თავად ტერმინი „შინაური ცხოველები“ ფართო გაგებისაა და იგი მოიცავს როგორც ისეთ ცხოველებს, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური თუ სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ისე – ისეთ ცხოველებსაც, რომელსაც ადამიანი იყენებს ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად. ამიტომაც არის, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებულ ნორმატიულ აქტებში შინაური ცხოველების ყოლის წესების შესახებ, ხდება დაკონკრეტება, რომ ეს წესები ეხება ძაღლებსა და კატებს.

დღეისათვის პარლამენტში არის ინიცირებული კანონპროექტი, „ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“. კანონპროექტით შემოდის ახალი ტერმინი „ადამიანის კომპანიონი ცხოველი“ – ცხოველი, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური თუ სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ექვემდებარება ადამიანის მიერ მოვლას და რომელსაც არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბენვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად. ამ ტერმინის შემოტანის შემთხვევაში სიცხადე იქნება შეტანილი ტერმინოლოგიურ გაურკვევლობაში. კანონპროექტის მიზანია ურბანულ გარემოში ადამიანისა და კომპანიონი ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მართვა. კომპანიონი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა. მნიშვნელოვანია კანონპროექტის ის მიდგომა, რომ იგი აკეთებს სამართლებრივ დიფერენციაციას უპატრონო, მიკედლებულ და უმეთვალყურეო კომპანიონ ცხოველებს შორის. პროექტის თანახმად, უპატრონო (უსახლკარო/მანანნალა) კომპანიონ ცხოველად ითვლება ის ცხოველი, რომელსაც არ გააჩნია სახლი ან ცხოვრობს მფლობელის მეურნეობის საზღვარს გარეთ და არ იმყოფება მფლობელის ან მეპატრონის მეთვალყურეობასა და მზრუნველობაში. ასევე, კომპანიონი ცხოველი რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ, კანონით განსაზღვრული ვადითა და პირობებით არ დაუდგინდა პატრონის ვინაობა. მიკედლებული კომპანიონი ცხოველია გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიკედლებელი. ხოლო უმეთვალყურეო კომპანიონი ცხოველია ის ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება პატრონი ან მიკედლებელი და ცხოვე-

ლის პატრონის ან მიმკვდელბლის დადგენის მიზნით ხორციელდება ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა ან დროებითი მიმკვდელბლის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვება.

კანონპროექტით დადგენილია კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები:

- ყველა კომპანიონ ცხოველს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა იარსებოს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში;
- დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის უმიზეზოდ, გაუმართლებლად მიტოვება ან მოკვლა; თუ აუცილებელია კომპანიონი ცხოველის მოკვლა, ეს უნდა მოხდეს მყისიერად, ტკივილისა და ტანჯვის მიყენების გარეშე;
- კომპანიონი ცხოველის გამოყენების ნებისმიერი ფორმა და გამრავლების ნებისმიერი სახე უნდა პასუხობდეს სახეობისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ქცევით ნორმებს;
- ნებისმიერი ქმედება ან გადანყვეტილება, მიმართული კომპანიონი ცხოველის რომელიმე სახეობის განადგურებისკენ არის დანაშაული მიმართული კონკრეტული სახეობის წინააღმდეგ.

კანონპროექტი ადგენს კომპანიონი ცხოველისათვის აუცილებელ საჭიროებებს, რაც მოიცავს:

- ა) სათანადო კვებასა და დანყურებას;
- ბ) კომპანიონი ცხოველისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას; საძილე ადგილის გამოყოფა-მონყობას, დათბუნებასა და განათებას;
- გ) კომპანიონი ცხოველის გასეირნებასა და სათანადო ფიზიკური აქტივობით დატვირთვას;
- დ) დროულ და სათანადო სამედიცინო-ვეტერინარულ მომსახურებას;
- ე) კომპანიონი ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნას;
- ვ) კომპანიონი ცხოველისათვის აუცილებელი შესაბამისი სანვრთნელი საშუალებების ხელმისაწვდომობას და მათ სოციალიზაციას.

კანონპროექტით დადგენილია კომპანიონი ცხოველის პატრონის ვალდებულებები. კანონპროექტის თანახმად, ნებისმიერი პირი, ვინც უვლის ან პატრონობს კომპანიონ ცხოველს, პასუხისმგებელია მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ვალდებულია, განახორციელოს ყველა გონივრული ქმედება, რათა თავიდან აიცილოს კომპანიონი ცხოველის გაქცევა ან დაკარგვა. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული კომპანიონი ცხოველის შთამომავლობის მოვლა-პატრონობა, ან გასხვისება. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია ყოველწლიურად უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის ვეტერინარული შემოწმება, იმუნიზაცია (მათ შორის ანტირაბიული) დასაჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

კანონპროექტით, პირი, რომელსაც ჰყავს 10 კომპანიონ ცხოველზე (ძალდი ან/და კატა) მეტი და რომელთა ნაშიერის ასაკი არ აღემატება 6 თვეს, ვალდებულია დაარეგისტრიროს თავშესაფარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პირი დაექვემდებარება პირველად გაფრთხილებას, რათა დაარეგისტრირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში – ადმინისტრაციულ სახდელს ან კომპანიონ ცხოველთა ჩამორთმევასა და სხვა თავშესაფარში განთავსებას.

კანონპროექტი კრძალავს კომპანიონ ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობასა და წამებას. კანონპროექტით, კომპანიონ ცხოველთა მიმართ სასტიკ

მოპყრობად და ნამებად ითვლება:

ა) კომპანიონი ცხოველის ცემა განვრთნის მიზნით ან ისეთი ქმედება, რომლის შედეგადაც კომპანიონ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს და რომელიც გამოიწვევს კომპანიონი ცხოველის მენტალურ ტანჯვას, ფიზიკურ ტრავმას ან დასახიჩრებას;

ბ) კომპანიონ ცხოველთა გაგდება და მიტოვება;

გ) კომპანიონი ცხოველების გამოყენება სამიზნეობად;

დ) საჭიროების შემთხვევაში კომპანიონი ცხოველისათვის ვეტერინარული დახმარების აღმოუჩენლობა;

ე) კომპანიონ ცხოველებზე ანესთეზიის გარეშე ჩატარებული ქირურგიული ოპერაციები, გარდა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ვ) ვეტერინარული პროცედურები, რომელთა მიზანია კომპანიონი ცხოველის გარეგნობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლა (ყურების, ყბის ძვლის, ბიბილოს, ნისკარტის, კუდის მოჭრა, ხმის სიმების, კლანჭების, ფრთების, ჩლიქებისა და ეშვების დამახინჯება ან მოცილება, ბუმბულის მოგლეჯა, სმენის დაქვეითება და სხვა), ასევე, კომპანიონი ცხოველის სხეულის ნაწილის სტრუქტურის შეცვლა, იქნება ეს რბილი ქსოვილები თუ ძვლები; გამონაკლისს წარმოადგენს კომპანიონი ცხოველის სტერილიზაცია და კასტრაცია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და კომპანიონ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ვეტერინარის გადაწყვეტილებით განხორციელებული ვეტერინარული პროცედურები;

ზ) კომპანიონი ცხოველის წვრთნის პროცესში მისი აგრესიისკენ მოწოდება და ნახალისება მისივე სახეობის, თუ სხვა ცხოველის ან/და ადამიანების საწინააღმდეგოდ, გარდა სამსახურეობრივი წვრთნის შემთხვევებისა;

თ) კომპანიონი ცხოველების ყოლა ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეესაბამება მათ სახეობას, ასაკს, ფიზიოლოგიურ და ბუნებრივ ქცევას;

ი) კომპანიონი ცხოველების გამოყენება რეკლამებში, კინოგადაღებებში, ფოტოგრაფიაში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში, სადაც კომპანიონ ცხოველებს ადგება ტკივილი, შიში, მწუხარება, ტანჯვა და თუ ასეთი ღონისძიებების დროს კომპანიონ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს, ან სადაც კომპანიონი ცხოველი შეიძლება დასახიჩრდეს ფიზიკურად ან მენტალურად;

კ) ზოოფილური აქტები კომპანიონ ცხოველებთან;

ლ) კომპანიონი ცხოველების გამოყენება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის და ლაბორატორიული ცდების ჩატარება მათზე, გარდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა;

მ) სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს კომპანიონი ცხოველის ძლიერ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ტანჯვას.

ასევე, დაუშვებელია ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება, ჩატარება და პროპაგანდა კომპანიონი ცხოველების მონაწილეობით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონპროექტის მე-18 მუხლი, რომელიც ადგენს კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრების მოწყობის სტანდარტებს.

კანონპროექტის თანახმად, კომპანიონ ცხოველთა დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარს უნდა ჰქონდეს კომპანიონი ცხოველების:

- ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბენჯის, ნაცხის, ფეკალიისა

და სისხლის კვლევას, ან ლაბორატორიული კვლევის უზრუნველყოფის ქმედითი შესაძლებლობა, ან ჰქონდეს დადებული ხელშეკრულება ვეტერინარულ დაწესებულებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცედურებს;

- ვეტერინარული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის დანიშნულებით განსაზღვრული აუცილებელი ვეტერინარული მანიპულაციების ჩატარებას. ასეთის არარსებობის შემთხვევაში თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია ითანამშრომლოს ვეტერინარულ დაწესებულებასთან;

- საკარანტინო სივრცე (ვოლიერები), რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფარში ახლად შემოყვანილი კომპანიონი ცხოველის იზოლაციას სხვა კომპანიონი ცხოველებისგან, ლაბორატორიული კვლევის შედეგად კომპანიონი ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე, ან დაავადებული კომპანიონი ცხოველის განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე, მოკვდინებამდე (ეეთანაზიამდე);

- განთავსების ვოლიერები;

- გასეირნების უზრუნველყოფისათვის საკმარისი სივრცე;

კომპანიონ ცხოველთა დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- უზრუნველყოფილი იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებით;

- უზრუნველყოფილი იყოს კომპანიონ ცხოველთა ყოფა-ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური პირობებით-სათანადო კვება, დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება;

- ძაღლის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს კომპანიონ ცხოველს გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას. ვოლიერის ფართი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3 კვადრატულ მეტრს, სიმაღლე – მინიმუმ 150 სანტიმეტრს, თითო ვოლიერში შესაძლებელია 3 ძაღლის განთავსება;

- კატების განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს კომპანიონ ცხოველს მინიმალური გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას;

- ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული და კომპანიონ ცხოველს არ უნდა ეზღუდებოდეს თავისუფალი სივრცის ხედვის შესაძლებლობა.

კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარი, მინიმუმ 300 მეტრით უნდა იყოს დაშორებული საცხოვრებელი ტერიტორიიდან, სანარმო ობიექტებისგან და დაწესებულებებისგან

#### 4. უსაფრთხოება შიკრიბების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარების დროს

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება“. მოცემული უფლება, ცხადია, არ ნიშნავს, რომ თვითმმართველობის ორგანოებს რაიმე ფორმით შეუძლიათ შეზღუდონ მოქალაქის კონსტიტუციური უფლება შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ. ორგანული კანონით მინიჭებული ეს უფლებამოსილება მიმართულია შექმნას უსაფრთხო პირობები მოქალაქის მიერ კონსტიტუციური უფლების განხორციელებისთვის.

ამ მიზნით, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მოქმედების პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „შეკრებებისა და

მანი- ფესტაციების შესახებ“. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან აფერხებს ტრანსპორტის მოძრაობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოძრაობა გადაკეტილია შეკრების ან მანიფესტაციისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.

კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაფრთხილება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში შეტანილ უნდა იქნეს მის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღისა. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია გაფრთხილების მიღება მაშინვე დაადასტუროს მის ასლზე გაფრთხილების მიღების თარიღისა და დროს მითითებით. ამასთან, გაფრთხილების მიმღები თანამდებობის პირები ვალდებული არიან შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელ პირებს განუმარტონ „შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონის მოთხოვნები და გააფრთხილონ ისინი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ. ასეთ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 174<sup>1</sup>-ე მუხლი:

„მუხლი 174<sup>1</sup>. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა

1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;
2. იგივე ქმედება, ჩადენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით;
3. სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, შეკრების ან მანიფესტაციის მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარება გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით;
4. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და 111-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით“.

ასევე, პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 347-ე მუხლი:

„მუხლი 347. შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა ამ აქციის ორგანიზატორის მიერ, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან/და გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე“.

„შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „1. საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და



საზოგადოებრივი ორგანოების, სანარმოების, დანესებულებებისა და ორგანიზაციების, ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, გაფრთხილების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით განიხილოს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი და წერილობით გადასცეს მათ რეკომენდაცია ამის შესახებ, თუ:

ა) შეკრება ან მანიფესტაცია რეალურ საფრთხეს უქმნის სანარმოების, დანესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას;

ბ) სხვა აქციის (რომელზედაც გაფრთხილება უფრო ადრე იქნა შეტანილი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში) ჩატარება დაგეგმილია იმავე ადგილზე და იმავე დროს“.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის 11<sup>1</sup>-ე მუხლი უფლებას აძლევს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ, თუ შეკრების, ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების, ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია. ამ გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია, თუ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით შეკრების, ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შეუძლებელია და დაცულია კანონით დადგენილი ყველა წესი.

საკმაოდ პრობლემატურია კანონის 11<sup>2</sup>-ე მუხლი, რომლის მიხედვით „ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია დაიცვას ბალანსი შეკრების ან მანიფესტაციის თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება ან მანიფესტაცია. აღნიშნულ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოს, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა“. ამგვარი შეფასება და ბალანსი სცილდება აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციას. ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღება ან მიუღებლობა ყოველთვის შეიძლება იყოს სადავო, რაც გამოიწვევს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში. უფრო მართებულია ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება მიეკუთვნოს სასამართლოს და არა თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას. თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია უნდა იყოს არა პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა, არამედ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „უზრუნველყოს შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის სათანადო პირობები და განსაზღვროს ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული მარშრუტი“.

### თავი I. მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განვითარებასთან ერთად, თვითმმართველი ერთეულისა და მისი აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს იმ ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა და პიროვნების შესაძლებლობათა განვითარების ხელშესაწყობად შესაბამისი პირობების შექმნა. ეს მიმართულება არის მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა.

მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა თვითმმართველი ერთეულის მთავარი მიზნის განსახორციელებლად საჭირო ამოცანებისა და მათი რეალიზაციის მექანიზმების სისტემას, რომელიც მიმართულია მოქალაქეთა შესაძლებლობების განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების სოციალური დახმარების უზრუნველყოფა;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება;
- დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ორგანიზება და დაფინანსება, მუნიციპალური სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, მათ შორის პროფესიული განათლების დაწესებულებების შექმნა, შენახვა და განვითარება;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული კულტურისა და დასვენების დაწესებულების საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, კულტურისა და დასვენების სხვა ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;
- თვითმმართველ ერთეულში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება და დაფინანსება;
- ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება.

ღონისძიებების კონკრეტული სისტემის შემუშავება მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის ჩარჩოში უნდა ითვალისწინებდეს თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი საზოგადოების სპეციფიკას. მუნიციპალიტეტის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების ფართო სპექტრის მოზიდვა, რათა ერთობლივად შეიმუშაონ და განახორციელონ ზემოაღნიშნული ღონისძიებები.

## თავი II. დასაქმება

დასაქმება ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია შრომისუნარიანი მოქალაქეების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფაზე.

მოსახლეობის დასაქმება განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ე.წ. ნებაყოფლობით უფლებამოსილებას, რომელსაც იგი საკუთარი ინიციატივით ახორციელებს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. მოსახლეობის დასაქმება არის ერთ-ერთი მთავარი სოციალური პრობლემა. ამ პრობლემის მოგვარებაზე უშუალოდ არის დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, მაგრამ ადგილობრივ ორგანოებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობაში ჩარევის ძალიან შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ.

2007 წლიდან საშემოსავლო გადასახადის გადატანამ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სახელმწიფო ბიუჯეტში, თვითმმართველობის ორგანოებს ერთგვარად დაუკარგა ინტერესი (და ბერკეტიც) ხელი შეეწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დასაქმების სფეროს რეგულირების საკანონმდებლო ბაზა პრაქტიკულად არ არსებობს. 2014 წლიდან დაწყებული რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საშემოსავლო გადასახადის ეტაპობრივი დაბრუნება მუნიციპალურ ბიუჯეტში. გატარებული საკანონმდებლო ცვლილებით 2016 წლის იანვრიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობის ერთ-ერთ ნყაროდ გაჩნდა მენარმე ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი. ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელმაც მუნიციპალიტეტი უნდა დააინტერესოს სამუშაო ადგილების შექმნით.

დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პრობლემების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი მდგომარეობს შემდეგში:

- დასაქმების ხელშეწყობის, ადგილობრივ შრომით ბაზარსა და შრომით ურთიერთობებზე ზემოქმედების ეკონომიკური მექანიზმების სისტემების შემუშავება და განხორციელება;
- დასაქმების მუნიციპალური სამსახურის შექმნასა და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობასა და სტიმულირებაში, რომელთა საქმიანობის მიზანია მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა;
- თვითმმართველ ერთეულში სეზონური და დროებითი სამუშაო ადგილების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, ვაკანსიების შესახებ მუნიციპალური საინფორმაციო ბანკის ფორმირება, დასაქმების ხელშეწყობის საინფორმაციო უზრუნველყოფა (ბიულეტენების გამოცემა, სადაც მოცემული იქნება დამსაქმებლების შეთავაზებები, ვაკანსიების პუბლიკაცია, ინფორმაცია სამუშაო ადგილების შესახებ, დასაქმების ხელშეწყობის სატელეფონო საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობა და ორგანიზება და ა.შ.);
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განსახორციელებელი საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის მუნიციპალური შესყიდვების ჩატარება;
- მუნიციპალური ბიზნეს-ინკუბატორის შექმნა დამწყები მენარმეებისათვის;
- მოსახლეობისათვის პროფესიული გადამზადების მუნიციპალური სასწავლო-მეთოდოლოგიური ცენტრის შექმნა;

- ღონისძიებათა დაგეგმვა და სპეციალური კლასგარეშე სწავლების ორგანიზება პროფესიული დაწესებულებებისა და საშუალო სკოლის გამო-საშვები კლასის მოსწავლეთათვის პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრის მიზნით;
- მონაწილეობა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი პროფესიული-საგანმანათლებლო დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოში; დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალური საბჭოს შექმნა, რომელშიც შევლენ დამსაქმებლების და თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლები;
- სამუშაო ძალების პროფესიული და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით შრომის ბაზრის მონიტორინგი, კვლევა და პროგნოზირება.

დასაქმების საკითხის გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მოსახლეობის პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება, პროფესიული გადამზადება, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა. ამ საკითხებს ითვალისწინებს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომლის მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. კანონი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს და განსაზღვრავს პროფესიული განათლების სახეებს. კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პროფესიული განათლების მიზანია:

- ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშემწყობა;
- შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;
- ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა, თუ თვითდასაქმების ხელშემწყობა;
- პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეცნიერო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშემწყობა.

კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება პროფესიული განათლების სფეროში. ამ მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- ხელს უწყობენ პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოქმედებას, უფლებამოსილი არიან განახორციელონ პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების – პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წესდებებით განსაზღვრული წესით მონაწილეობა მათ მართვაში;
- პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით კერძო სამართლის არასამეცნიერო (არაკომერციულ) იურიდიული პირების შექმნა.

ამდენად, კანონი უფლებას აძლევს მუნიციპალიტეტს არა მხოლოდ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ-საგანმანათ-

ლებლო დანესებულების მართვაში („პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენელი არის პროფესიული სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი), არამედ უფლებამოსილია დააფუძნოს პროფესიულ-საგანმანათლებლო დანესებულება არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის სტატუსით.

მუნიციპალიტეტის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების სპექტრი შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ფართო, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს:

- პროფესიული სასწავლო დანესებულებების გამოსაშვები კლასის მოსწავლეთა დასაქმების ხელშეწყობა;
- იმ პირთა ფსიქოლოგიური და მატერიალური მხარდაჭერა, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ სოციალურ დაცვას;
- დამსაქმებლებთან ურთიერთმოქმედების ახალი ფორმების შემუშავება;
- სამუშაო ძალების კონკურენტუნარიანობის გაზრდა (მუნიციპალიტეტის შრომისუნარიანი მოსახლეობის პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება).

მუნიციპალურ დონეზე მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება. ანაზღაურებად საზოგადოებრივ სამუშაოში იგულისხმება შრომითი საქმიანობის ის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სახეობები, რომლებიც, როგორც წესი, არ საჭიროებს მოსამსახურის წინასწარ პროფესიულ მომზადებას. თვითმმართველი ერთეულის მიერ მუნიციპალურ მომსახურებაზე მუნიციპალური შესყიდვების განსაზღვრისას, შესაძლებლობის მიხედვით, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული საზოგადოებრივი სამუშაოები.

მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობისათვის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოში შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური სტრუქტურული ერთეული ან დანაყოფი. მისი ფუნქციები შეიძლება იყოს:

- წინადადებების შემუშავება მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის, შრომის ბაზრისა და სხვა სოციალური და შრომითი მაჩვენებლების ანალიზი და შეფასება;
- მოსახლეობის მიღება და მათი განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვა;
- საბიუჯეტო სფეროში და თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულ სანარმოებსა და დანესებულებებში დასაქმებულთა სატარიფო და თანამდებობრივი სარგოს შესახებ წინადადებების შემუშავება;
- პროფესიული სწავლების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემუშავება და მისი კოორდინაცია.
- უმუშევართა რეგისტრაცია მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების მიხედვით;
- თვითმმართველი ერთეულის შრომის ბაზარის შესახებ საინფორმაციო ბანკის ფორმირება, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია ვაკანსიების, დასაქმებულების, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების, სახელფასო პოლიტიკის, რეგისტრირებული უმუშევრების, პროფესიული გადამზადების ცენტრების, ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების და სხვ. შესახებ.

### თავი III. განათლება

#### 1. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს და მონაწილეობას სკოლამდელი და სკოლისგარეშე, ზოგადი და პროფესიული განათლების სფეროებში. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ეკრძალება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება, წილის (აქციის) ფლობა ან წევრობა“.

#### 2. სკოლამდელი აღზრდა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა“.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 ივნისის №126 დადგენილებით „ადგილობრივი მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ“ მოხდა თვითმმართველი ერთეულები-სათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გადაცემა. დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად:

„საქართველოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწიფო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სკოლამდელი სააღმზრდელო და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებები, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული სკოლისგარეშე სასპორტო და სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, გარდა ამ დადგენილების მე-4 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებისა, ჩაითვალოს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებად, რომელთა ლიკვიდაციას, არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას ან/და რეორგანიზაციას, ასევე რომელთა ხელმძღვანელების თანამდებობიდან გათავისუფლებას ახორციელებს თვითმმართველი ერთეული. თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩაითვალოს იმ დაწესებულების/დაწესებულებების უფლებამონაცვლედ, რომელთა ბაზაზეც დაფუძნდა ან დაფუძნდება აღნიშნული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“.

სკოლამდელი დაწესებულების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნებას და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. მოზარდებში სხვისი აზრისა და საკითხებისადმი პატივისცემის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სწორად ფუნქციონირებას და განვითარებას.

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს, აგრეთვე ავტორიზაციის სავალდებულობას. ასევე, კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებისა და სხვა იურიდიული ან/და ფიზიკური პირების უფლებებს, ვალდებულებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსების პრინციპებს.

კანონით განმარტებულია ტერმინები: „ადრეული აღზრდა და განათლება“ და „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“.

კანონის თანახმად, ადრეული აღზრდა და განათლება არის დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის მიწოდებული მომსახურება, რომელიც მოიცავს: მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა განათლებასა და მხარდაჭერას, ადრეული ასაკის ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების მომსახურებას, ჯანდაცვის, კვების, ჰიგიენისა და სანიტარიული უსაფრთხოების მომსახურებას, ბავშვთა ადრეული ინტერვენციისა და ინკლუზიური განათლების მომსახურებას.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის 2 წლის ასაკიდან, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვისთვის ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად მიწოდებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სავალდებულო კომპონენტია სასკოლო მომზადების პროგრამა. სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მომზადების პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი ყველა შესაბამისი ასაკის ბავშვისთვის. კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, დაწეროს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მომზადების პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის მე-10 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება. კანონის თანახმად სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება მოიცავს შემდეგს:

ა) სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას;

ბ) თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების უზრუნველყოფას;

გ) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების პროცესში ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფას;

დ) დაწესებულებების პროგრამებში ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის უზრუნველყოფას;

ე) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების სისტემის შემუშავებას და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

ვ) საჯარო დაწესებულებების საქროებების გათვალისწინებით წლიური მუნიციპალური პროგრამისა და ფინანსური გეგმების მომზადებას.

კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტები ბავშვთა სათანადო განვითარებისა და სკოლისათვის მოსამზადებლად უზრუნველყოფენ ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნას, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა მიუხედავად ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი, გრძნობითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა;

ბ) ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი განათლების უფლებისა და ბავშვისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სხვა უფლებების უზრუნველყოფა;

გ) სტანდარტის შესაბამისი მომსახურების დასანერგად შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;

დ) სრულად ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების უზრუნველყოფა;

ე) მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობის განვითარება.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესაბამისი სტანდარტის დანერგვის მიზნით მუნიციპალიტეტები:

ა) ახორციელებენ მუნიციპალური საქროებების შესწავლას, ადგილობრივი რესურსების დაგეგმვასა და საბიუჯეტო სახსრების განსაზღვრას;

ბ) უზრუნველყოფენ დაწესებულებებსა და მათ მომსახურებებზე დადგენილი სტანდარტების შესრულების კონტროლს;

გ) დაწესებულებების პერსონალისათვის ადგენენ სამსახურეობრივ ინსტრუქციებს, ქცევისა და ეთიკის ნორმებს და უზრუნველყოფენ მათ შესრულებას;

დ) ადგენენ საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და განახორციელებენ ამ მოთხოვნების შესაბამისობის კონტროლს 5 წელიწადში ერთხელ;

ე) უზრუნველყოფენ დაწესებულებების შიდა მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ფუნქციონირებას;

ვ) სისტემატურად, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული მონიტორინგის სისტემის შესაბამისად, ახორციელებენ დაწესებულებათა მონიტორინგს ავტორიზაციის პირობების შესრულების შემონგების მიზნით ავტორიზაციის წესის შესაბამისად;

ზ) ამტკიცებენ დაწესებულებაში დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობებს, პროფესიულ კავშირთან შესაძლო კონსულტაციის გზით.

კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესრულებას მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ მერიის/გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ან/და ამ მიზნით დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მეშვეობით.

კანონით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი სიახლეა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ავტორიზაციის სავალდებულობა. კანონის მიხედვით ამ



დანესებულების ავტორიზაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის/გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ამ მიზნით ამოწმებს დანესებულების პირობების შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. ეს მოთხოვნები დადგენილია კანონის მე-15 მუხლით. ამ მუხლის თანახმად, ავტორიზაციის მაძიებელი იურიდიული პირი/ავტორიზებული დანესებულება აკმაყოფილებს პირობებს თუ:

ა) დანესებულებაში სწავლა/სწავლება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების) შესაბამისად;

ბ) დანესებულების შენობა-ნაგებობა, ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობა-ნაგებობის მოწყობა შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;

გ) დანესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;

დ) დანესებულებაში კვების ორგანიზაცია და რაციონის კვებითი ღირებულება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტს;

ე) დანესებულებაში ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია და გამოცდილება შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტსა და სხვა პერსონალისათვის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

დანესებულების ავტორიზაციის ვადაა 4 წელი.

მნიშვნელოვანია, რომ კანონი ადგენს სტანდარტებს, თუ როგორი უნდა იყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფის შემადგენლობა, სასწავლო-სააღმზრდელო წლისა და დღის ხანგრძლივობა, ჯგუფის რიცხოვნობა და რამდენი ბავშვი უნდა მოდიოდეს ერთ აღმზრდელ-პედაგოგ/აღმზრდელზე.

კანონის მე-20 მუხლის თანახმად, სკოლამდელი სააღმზრდელო დანესებულება ვალდებულია, ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი ჯგუფები შემდეგი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისთვის:

ა) 2-დან 3 წლამდე – სკოლამდელი განათლების პირველი წელი;

ბ) 3-დან 4 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-2 წელი;

გ) 4-დან 5 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-3 წელი;

დ) 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე სკოლამდელი განათლების მე-4 წელს ხორციელდება სასკოლო მომზადების პროგრამა.

ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში დანესებულება უფლებამოსილია, ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან, არაუმეტეს 10 ბავშვის შემადგენლობით.

კანონის 21-ე მუხლის თანახმად, სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისსა და დასასრულს ადგენს მუნიციპალიტეტი. ამასთან, საჯარო დანესებულების სასწავლო-სააღმზრდელო დღის ხანგრძლივობაა 9 საათი სამჯერადი კვებით. სასკოლო მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 3 საათი დღეში.

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფები უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი მაქსიმალური ოდენობების მიხედვით:

ა) 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 25 ბავშვისა;

- ბ) 3-დან 4 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 30 ბავშვისა;
- გ) 4-დან 5 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 30 ბავშვისა.

სასკოლო მომზადების პროგრამის ჯგუფში შესაძლებელია 5 წლიდან სკოლის დანწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვების სწავლა/სწავლება, რომელთა რაოდენობა ჯგუფში არ უნდა აღემატებოდეს 30 ბავშვს.

ყოველ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობით:

- ა) 2-დან 3 წლამდე ბავშვების შემთხვევაში ერთ აღმზრდელ-პედაგოგ/აღმზრდელზე არ უნდა მოდიოდეს 13-ზე მეტი, ანუ თანაფარდობა უნდა იყოს – არაუმეტეს 2:13-სა;
- ბ) 3-დან 4 წლამდე ბავშვების შემთხვევაში – არაუმეტეს 1:15-სა;
- გ) 4-დან 5 წლამდე ბავშვების შემთხვევაში – არაუმეტეს 1:15-სა;
- დ) სასკოლო მომზადების პროგრამის ჯგუფში – არაუმეტეს 1:15-სა.

კანონი მუნიციპალიტეტს აკისრებს ვალდებულებას გასწიოს კონტროლი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებაზე. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე მუნიციპალიტეტი კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ან/და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მეშვეობით. კონტროლის განხორციელების წესი განისაზღვრება საკრებულოს დადგენილებით, ხოლო კონტროლის განხორციელების სტანდარტები დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქმიანობის კონტროლის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ახორციელებს:

- ა) დაწესებულების მიერ კანონით გათვალისწინებული ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგს;
- ბ) დაწესებულების ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის წარმოების შემოწმებასა და შეფასებას;
- გ) დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვის შემოწმებას და შეფასებას.

მუნიციპალიტეტის მერიის/გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია, კონტროლის განხორციელების მიზნით წინასწარი შეტყობინების გარეშე გამოცხადდეს დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების ადგილზე შემოწმების მიზნით. კანონის თანახმად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების არაგემიური კონტროლის ჩატარება სავალდებულოა თუ ამას მოითხოვენ დაწესებულების სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული არანაკლებ 10 ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. მუნიციპალიტეტის მერი/გამგებელი ვალდებულია, დაწესებულების საქმიანობაზე კონტროლის შედეგად მიღებული მონაცემები წარადგინოს საკრებულოს წინაშე წლიური ანგარიშის ფარგლებში.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან, საკუთარი ბიუ-

ჯეტიდან ყოველწლიურად გამოყონ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ დაწესებულებებში მომსახურების მართვისა და მინოდებისთვის აუცილებელი ფინანსები. დაფინანსების ფორმებს, წესსა და პირობებს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

კანონი ითვალისწინებს, რომ 2017 წლის 1 აპრილამდე:

**1) საქართველოს მთავრობამ:**

ა) მიიღოს დადგენილება დაწესებულების ავტორიზაციის წესის დადგენის თაობაზე;

ბ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დამტკიცების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

გ) აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

დ) დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

ე) დაწესებულებაში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

ვ) დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

ზ) მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულებათა რეესტრის წარმოების წესისა და ამ რეესტრში შესატანი მონაცემებისა და ინდიკატორების ჩამონათვალის დამტკიცების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი.

**2) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ:**

ა) აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების მიზნით გამოსცეს ნორმატიული აქტი;

ბ) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით საჯარო დაწესებულებაში მონიტორინგის სისტემის შესამუშავებლად გამოსცეს ნორმატიული აქტი;

გ) აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების შემუშავებისა და მუნიციპალიტეტებისთვის მათ გადამზადებაში ხელის შეწყობის მიზნით გამოსცეს ნორმატიული აქტი.

**3) თითოეულმა მუნიციპალიტეტის საკრებულომ:**

ა) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მინოდების მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების სისტემის შემუშავების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

ბ) სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავების მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

გ) დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დადგენის მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

დ) დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დადგენის მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი;

ე) საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების

დადგენის მიზნით მიიღოს ნორმატიული აქტი.

კანონი ავალებს მუნიციპალიტეტებს 2016 წლის 24 დეკემბრამდე (კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში) უზრუნველყონ სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები კანონის მოთხოვნებთან თავსებადობას მიაღწევენ ეტაპობრივად და ასევე ეტაპობრივად გაივლიან ავტორიზაციას 2017 წლის 1 ოქტომბრამდე.

### 3. ზოგადი განათლება

ზოგადი განათლების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. ამ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო:

- ხელს უწყობს სკოლას ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში და ამ მიზნით იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს, ადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი, სასკოლო-სასწავლო გეგმის შესასრულებლად საჭირო დამატებითი ფინანსური სახსრების ოდენობას;
- ხელს უწყობს საჯარო სკოლებში სასკოლო-სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ეროვნული სასწავლო გეგმის ზემოთ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამების განხორციელებას;
- უზრუნველყოფს მოსწავლეთა კოორდინირებულ სოციალურ და სამედიცინო მომსახურებას;
- იღებს ზომებს სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად;
- იღებს ზომებს იმ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ავადმყოფობის გამო, ან სხვა საპატიო მიზეზით, არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა სკოლაში ტრანსპორტირებას;
- იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომებს მოსწავლეთა სკოლაში დასწრების უზრუნველსაყოფად;
- უფლებამოსილია გამოითხოვოს ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრების განკარგვასთან არის დაკავშირებული;
- ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარგლებში ფინანსური დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილია მიმართოს სკოლის სამეურვეო საბჭოს დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დაყენების წინადადებით, ხოლო სამეურვეო საბჭოს უმოქმედობის შემთხვევაში – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეურვეო საბჭოს დათხოვნის ან/და დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებით;
- უფლებამოსილია მის ტერიტორიაზე არსებულ სკოლაში დანიშნოს სამეურვეო საბჭოს წევრი;
- აფუძნებს სკოლამდელ სააღმზრდელო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და სკოლის-

გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით.

კანონის ამ მუხლის მიხედვით თვითმმართველობის ორგანოები სკოლის მიერ საგანმანათლებლო პროცესის ხელშესაწყობად ახორციელებენ ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას.

ფინანსური დახმარების მიზნით თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ:

ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფნა დამატებითი სახსრები სასკოლო-სასწავლო გეგმის შესასრულებლად;

ბ) დააფინანსონ საჯარო სკოლის კაპიტალური ხარჯები.

*ორგანიზაციული დახმარება მოიცავს:*

ა) სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და მოსწავლეთა სკოლაში დასწრების უზრუნველსაყოფ სხვა ღონისძიებებს;

ბ) მონაწილეობას სკოლის მართვაში. სკოლის სამეურვეო საბჭოში თავისი წარმომადგენლის დანიშვნასა და შეცვლას. („ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოში დანიშნოს ერთი წევრი.“).

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას უზრუნველყოს და დააფინანსოს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. კერძოდ:

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ, მოსწავლემ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, სამეურვეო საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს მიმართავს ამ მოსწავლის სწავლების დაფინანსების გაგრძელების თხოვნით. დაფინანსება შეიძლება გაგრძელდეს მოსწავლის მიერ საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევაამდე. ამ შემთხვევაში, საჯარო სკოლა ვალდებულია შესთავაზოს მოსწავლეს ზოგადი განათლების მიღება ალტერნატიული ფორმებით;
- თუ მოსწავლემ 3 წლის განმავლობაში ვერ დაძლია ზოგადი განათლების საშუალო საფეხური, მისი მიმართვის საფუძველზე სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დაფინანსების გახანგრძლივების თხოვნით. ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია შეარჩიოს სწავლის გაგრძელების კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ფორმა;
- სამეურვეო საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიძლება აანაზღაუროს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ხარჯები. სახელმწიფომ, აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეიძლება დააფინანსონ სპეციალური მიზნობრივი სასწავლო პროგრამები.

#### 4. სკოლისბარეშე დანესებულებები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხი ნაწილობრივ რეგულირებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით. ამ კანონის 30-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტი აფუძნებს „სკოლისგარეშე საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით“. ასევე ამავე კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „იმ სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის გარეშე, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ამტკიცებს ამ დაწესებულების წესდებას, ნიშნავს და ათავისუფლებს მის ხელმძღვანელს“.

სკოლისგარეშე დაწესებულებების გადაცემა თვითმმართველი ერთეულისათვის განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის №131 დადგენილებით: „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლები), მუზეუმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კოლექტივების განსაზღვრის წესის შესახებ“. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება და შემოქმედებითი კოლექტივები (ანსამბლები, გუნდები, ორკესტრები და სხვ.), გარდა ამ დადგენილების №2 დანართში მითითებული დაწესებულებებისა, ჩაითვალოს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებად, რომელთა ლიკვიდაციას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას და/ან რეორგანიზაციას, ასევე ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-განთავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ამავე დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, „მოქმედი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სრულ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს (დანართი №2), აგრეთვე მუზეუმები, რომლებშიც დაცულია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი საგანძური (დანართი №1) და №4 დანართში მითითებული დაწესებულებები რჩებიან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებად“.

სკოლისგარეშე დაწესებულებები, ძირითადად, იყოფა სახელოვნებო-საგანმანათლებლო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებად.

სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების (სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა და ა.შ.) მიზანია, მოსწავლეებს შეუქმნას პირობები პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის. ამ მიზნით, დაწესებულების ამო-

ცანებია:

- გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები;
- კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები;
- იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე.
- სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მიზანი და ამოცანებია:
- ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდთაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება;
- სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;
- სასპორტო სკოლის მოსწავლეთათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა;
- თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარ სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;
- სკოლის მოსწავლეთათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება.

სკოლისგარეშე დაწესებულებები წარმოადგენენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს. ამ დაწესებულებების საქმიანობის სფერო და მუშაობის ორგანიზაციის საკითხები განისაზღვრება წესდებით, რომელსაც ამტკიცებს გამგებელი/მერი.

## თავი IV. კულტურა

### 1. კულტურის განვითარება

მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კულტურის სფეროს მართვა, რაც განაპირობებს მოსახლეობის კომფორტულ ცხოვრებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა კულტურის სფეროში ორიენტირებული უნდა იყოს კულტურული საქმიანობისა და კულტურული ფასეულობების გაცნობის საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე. ამ მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან პირობები, იმისათვის რომ, განვითარდეს სპეციალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ქსელი და მათი სარგებლობა ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების,

საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა“.

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი, უპირველესად, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას. ეს კონსტიტუციური ნორმები გათვალისწინებულ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის სფეროში ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი პროგრამების განხორციელებისას.

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ იძლევა კულტურის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების დეტალურ აღწერას. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

„1. კულტურის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:


- თავიანთ ტერიტორიებზე კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- ადგილობრივი ბიუჯეტისა და ფონდების ფორმირება კულტურის განვითარებისათვის;
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო კულტურული პროგრამების შესასრულებლად გამოყოფილი იმ თანხის რაოდენობის დადგენა, რომელიც ნაწილდება კულტურული პროგრამების მიხედვით, სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით;
- კულტურის ადგილობრივი (მუნიციპალური) ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია სამთავრობო დაწესებულებასთან შეთანხმებით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა;
- კულტურის სფეროში მუნიციპალური ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ნაგებობების მშენებლობა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოწყობა;
- მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- ნაგებობებზე, შენობებსა და სახელმწიფო საკუთრების სხვა ობიექტებზე კონტროლის დანერგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

„კულტურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან თავიანთ საკუთრებაში მყოფი ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საარქივო და სხვა ანალოგიური ფონდები, უზრუნველყონ მათი შენახვა, ფუნქციონირება და განვითარება“.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის №131 დადგენილებით „ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრების, საკლუბო დაწესებულებების (კულტურის სახლები), მუზე-



უმებისა და სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კოლექტივების განსაზღვრის წესის შესახებ“, განისაზღვრა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ობიექტები (ბიბლიოთეკები, თეატრები, კულტურის სახლები, მუზეუმები და ა.შ.) და მოხდა მათი გადაცემა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში. ამ დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სახელმწიფო ბიბლიოთეკა, არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრი, საკლუბო დაწესებულება (კულტურის სახლი), მუზეუმი და შემოქმედებითი კოლექტივი (ანსამბლები, გუნდები, ორკესტრები და სხვ.), გამოცხადდა ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებად, რომელთა ლიკვიდაციას, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დაფუძნებას და/ან რეორგანიზაციას, ასევე ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-განთავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. სახელმწიფოს დაქვემდებარებაში დარჩა მხოლოდ ამ დადგენილების დანართებით განსაზღვრული მუზეუმები, ბიბლიოთეკები და შემოქმედებითი კოლექტივები. ამავდროულად დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ დაწესებულებების ქონება, გარდა სამუზეუმო ფონდებისა, თვითმმართველ ერთეულს გადაეცა საკუთრებაში. ხოლო სამუზეუმო ფონდი გადაცემულ იქნა მხოლოდ დროებითი სარგებლობის უფლებით.



## 2. გიგლიოთეკები

„საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“.

ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილია საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა: „საქართველოს ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემა მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო, ადგილობრივი და საუწყებო ბიბლიოთეკების ქსელებს. სისტემაში შედის: ეროვნული, სამეცნიერო (უნივერსალური და დარგობრივი) სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო-სასწავლო, მასობრივი, საბავშვო, სასკოლო და სპეციალიზირებული ბიბლიოთეკები“.

კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საბიბლიოთეკო საქმის კოორდინაციას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ახორციელებს საქართველოს კულტურის სამინისტრო. მისი ფუნქციებია:

- ერთიანი სახელმწიფო საბიბლიოთეკო პოლიტიკის გატარება;
- სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის დაფინანსების ნორმატივების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ქსელის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი წილის განსაზღვრა;
- საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობის კოორდინირება;
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ხელშეკრულებებისა და კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა;
- საბიბლიოთეკო კადრების მომზადება-გადამზადების პოლიტიკის განსაზღვრა;
- სახელმწიფო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისადმი ზედამხედველობა;
- საბიბლიოთეკო დარგში სახელმწიფო სტანდარტების დაცვისადმი კონტროლი;
- საბიბლიოთეკო სტატისტიკური მონაცემების ცენტრალიზებული შეგროვება და ანალიზი.

ამდენად, ბიბლიოთეკები წარმოადგენს ერთიანი სისტემის ნაწილს, რომელთა საქმიანობაზეც ხორციელდება ერთიანი კოორდინაცია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს ბიბლიოთეკების ერთიან ვერტიკალში არსებობას. „საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი საბიბლიოთეკო საქმიანობის მართვაში. კანონის თანახმად, „საბიბლიოთეკო საქმიანობას ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, მოსახლეობის რაოდენობის, მისი განსახლებისა და საინფორმაციო მოთხოვნების შესაბამისად“.

კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ქალაქის, რაიონის მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ნიშნავენ (ათავისუფლებენ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კულტურის მინისტრთან შეთანხმებით. ადგილობრივი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს ნიშნავს (ათავისუფლებს) რაიონის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი (გამგე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით“.

აღსანიშნავია, რომ კანონი „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ მიღებულია 1996 წლის 11 ივნისს. კანონის მიღებიდან დღემდე, მასში შესულია მხოლოდ ორი ცვლილება (2010 წლის 9 მარტს კანონს დაემატა ქვეპუნქტი, რომლითაც

გათვალისწინებულ იქნა მსჯავრდებულთა საბიბლიოთეკო მომსახურება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. 2015 წ. 1 მაისს შეტანილი ცვლილება შეეხო ამავე პუნქტს და ტერმინი „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება“ შეიცვალა ტერმინით „პენიტენციალური დაწესებულება“. შესაბამისად, კანონი არ ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულების შექმნისა და ფუნქციონირების სპეციფიკას და მთავრობის დადგენილებას, რომლის თანახმად, თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცათ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი ბიბლიოთეკები (გარდა დადგენილების დანართით განსაზღვრული ბიბლიოთეკებისა). განსაკუთრებით პრობლემურია ბიბლიოთეკებში არსებული წიგნების ფონდის საკითხი. მთავრობის №131 დადგენილება ითვალისწინებდა ბიბლიოთეკის შენობასთან ერთად, საბიბლიოთეკო ფონდის გადაცემის შესაძლებლობასაც. დადგენილების მე-2 პუნქტით მხოლოდ სამუზეუმო ფონდის გადაცემა ხდება დროებით სარგებლობის უფლებით, ხოლო ყველა სხვა ობიექტის ქონება შეიძლება გადაცემულ იქნეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში. მიუხედავად ამისა, საბიბლიოთეკო ფონდის გადაცემა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში პრაქტიკულად არ მომხდარა. ამას ხელს უშლის ისიც, რომ „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ კანონით ნათლად არ ჩანს ადგილობრივი ბიბლიოთეკები განეკუთვნებიან სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ბიბლიოთეკების ნაწილს. კანონის 31-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი საქართველოს საკუთრებაა. ის წარმოადგენს სახელმწიფო საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკებში დაცულ ყველა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტთა ფონდების ერთობლიობას“. ამდენად, თუ ადგილობრივი ბიბლიოთეკა წარმოადგენს სახელმწიფო ბიბლიოთეკის სისტემის ნაწილს, მათში დაცული საბიბლიოთეკო ფონდი ითვლება სახელმწიფო საკუთრებად. კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, მხოლოდ ზოგად განმარტებას იძლევა ადგილობრივ ბიბლიოთეკებზე, რომ „ქალაქის, რაიონის და სოფლის ბიბლიოთეკები თავიანთ სამომსახურეო ტერიტორიაზე წარმოადგენენ ინფორმაციის ცენტრებს, რომლებიც ახდენენ დოკუმენტების შერჩევით შეგროვებასა და ინფორმირებას“. ამ განმარტებიდან არ ჩანს ადგილობრივი ბიბლიოთეკების მიმართება სახელმწიფო ბიბლიოთეკების სისტემასთან. ამიტომ, აუცილებელია „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ კანონში შეტანილ იქნეს ცვლილება, რომლითაც გაირკვევა ადგილობრივი ბიბლიოთეკების სტატუსის საკითხი.

### 3. მუზეუმები

სამუზეუმო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება ხდება კანონით „მუზეუმების შესახებ“. კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მუზეუმი არის კანონით დადგენილი წესით შექმნილი (დაფუძნებული) ან/და რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია.

#### **კანონი გამოყოფს მუზეუმის ხუთ ტიპს:**

- ისტორიული მუზეუმი, მუზეუმი, სადაც დაცულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული განვითარების, აგრეთვე ცალკეული მხარის ისტორიის შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალები;
- საბუნებისმეტყველო მუზეუმი, სადაც დაცულია ბუნების მოვლენების,

ადამიანისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების ამსახველი მასალები, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების შესახებ ინფორმაციის შემცველი მასალები;

- მემორიალური მუზეუმი, სადაც დაცულია ისტორიულ პირთან დაკავშირებული მასალები ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენის ამსახველი მასალები;
- ხელოვნების მუზეუმი, სადაც დაცულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორიისა და თანამედროვე ხელოვნების ამსახველი მასალები;
- ლიტერატურული მუზეუმი, სადაც დაცულია ლიტერატურის ისტორიისა და თანამედროვე ლიტერატურის ამსახველი მასალები.

საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადავიდა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმები (გარდა დადგენილების №1 დანართში მოცემული მუზეუმებისა). სამუზეუმო ფონდი თვითმმართველ ერთეულს გადაეცა დროებითი სარგებლობის უფლებით. ამავე დადგენილების თანახმად, თვითმმართველი ერთეულის მიერ ხდება მუზეუმების დაფუძნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებად, რომელთა ხელმძღვანელი პირების დანიშვნა-განთავისუფლებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ამ მხრივ, გარკვეული წინააღმდეგობაა მთავრობის დადგენილებასა და „მუზეუმების შესახებ“ კანონს შორის.

„მუზეუმების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით მუზეუმები იყოფა სახელმწიფო (ეროვნულ) და ადგილობრივ მუზეუმებად. კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მუზეუმს ადგილობრივ კატეგორიას ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ან მუზეუმის მესაკუთრის განცხადებით ანიჭებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ამავე კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებას სამუზეუმო სფეროში განეკუთვნება:

- ა) მათ დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმების დაფინანსება და კონტროლი;
- ბ) მათ ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების საქმიანობის კოორდინაცია.

„მუზეუმების შესახებ“ კანონი მიღებულია 2001 წლის 22 ივნისს და მასში 2013 და 2014 წ.წ. შეტანილი იქნა ორი ცვლილება. ცვლილება შეეხო მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განსაზღვრის საკითხსაც, თუმცა, კანონის მე-15 მუხლის ახალი რედაქციაც ვერ იძლევა ნათელ პასუხს მუნიციპალიტეტის ურთიერთობა მის დაქვემდებარებულ მუზეუმთან შემოიფარგლება მხოლოდ დაფინანსებითა და კონტროლით, თუ მას, როგორც მუზეუმის მესაკუთრეს (ცხადია არა სამუზეუმო ფონდისა) უფლება აქვს მიიღოს მესაკუთრისათვის კანონით მინიჭებული ყველა სახის გადანაცვლებები (რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, ხელმძღვანელისა და თანამშრომელთა დანიშვნა-განთავისუფლება და ა.შ.).

#### 4. თეატრები

საქართველოს მთავრობის 2007 წლის №131 დადგენილებით თვითმმართველ ერთეულს საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი არაპროფესიული (სამოყვარულო) თეატრები. დადგენილების დანართები არც ნეგატიური და არც პოზიტიური ფორმით არ განსაზღვრავს ამ თეატრების ნუსხას. საგულისხმოა ისიც, რომ სამოყვარულო თეატრის ტერმინს განმარტავდა მხოლოდ კანონი „საქართველოს თეატრების შესახებ“ (ამ კანონის მე-3

მუხლის „ი“ ქვეპუნქტით სამოყვარულო თეატრი არის თეატრი, რომლის თეატრალური დასის ძირითად ნაწილს არაპროფესიონალი ხელოვანები წარმოადგენენ). ეს კანონი გაუქმებულ იქნა 2006 წლის 9 ივნისს, როცა მიღებული იქნა კანონი „სახელმწიფო თეატრების შესახებ“. „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ კანონი არეგულირებს მხოლოდ სახელმწიფო თეატრების საქმიანობის წესს. ეს კანონი არ განმარტავდა და არც ითვალისწინებდა სამოყვარულო თეატრის საკითხს. ამდენად, დადგენილების გამოცემის დროისათვის კანონმდებლობით არ იყო დადგენილი სამოყვარულო თეატრის ცნება, რაც უკვე თავისთავად ქმნიდა მთავრობის დადგენილების ამ ნაწილის ამოქმედების პრობლემას.

2013 წ. 5 აპრილს მიღებული იქნა ახალი კანონი „პროფესიული თეატრების შესახებ“, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პროფესიული თეატრების საქმიანობის წესს, მათ დაფუძნების, ფუნქციონირების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სამართლებრივ, სოციალურ და ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს. კანონით შემოტანილი იქნა ტერმინები „პროფესიული მუნიციპალური თეატრი“ და „პროფესიული შერეული თეატრი“. კანონის მე-3 მუხლის თანახმად, პროფესიული მუნიციპალური თეატრი არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც აფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და რომლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი. ხოლო პროფესიული შერეული თეატრი არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც ერთდროულად აფუძნებენ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო და ფიზიკური პირი (პირები) ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირი (პირები). ამ კანონით, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისგან განსხვავებით, უფრო სრულყოფილად არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის უფლება მუნიციპალური თეატრის დაფუძნებისა და მისი ხელმძღვანელი პირების (სამხატვრო ხელმძღვანელი და თეატრის დირექტორი) დანიშვნა-განთავისუფლების საკითხზე („პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანო მასთან არსებული სარეკომენდაციო საბჭოს ან/და სამხატვრო საბჭოს წარდგენილ კანდიდატს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ნიშნავს 4 წლის ვადით“ (მე-10 მუხლი მე-7 პუნქტი). „თეატრის დირექტორს პროფესიულ მუნიციპალურ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადით, სამხატვრო საბჭოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და საქართველოს კანონმდებლობით და თეატრის დებულებით (წესდებით) გათვალისწინებული წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო“ (მე-10 მუხლის მე-15 პუნქტი).

## 5. კულტურული მემკვიდრეობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი

სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ხდება კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, რომლის მიხედვით, კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს:

- **მატერიალური ობიექტები** – ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბალები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასთან ტრადიციებთან და ცივილიზაციასთან;
- **არამატერიალური ობიექტები** – ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად.

კანონის თანახმად, კულტურულ ფასეულობად მიიჩნევა შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულია თვითმმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. კანონის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში უფლებამოსილებები არის თვითმმართველი ერთეულის არა საკუთარი, არამედ დელეგირებული უფლებამოსილება. კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, აღწერას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას, ზრუნავენ მის მოვლა-პატრონობაზე, შესწავლასა და რეაბილიტაციაზე;
- სამინისტროს ანვდიან ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენისა და მისი მდგომარეობის შესახებ;
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლობენ სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის 46-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის საკითხს. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის

თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით კულტურული მემკვიდრეობის ზოგად დამცავ ზონაში შესაძლებელია დადგინდეს კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალი, რისი საფუძველიცაა მისი განვითარების პროგრამა. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის დადგენის საფუძველია:

- ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების მაღალი კონცენტრაცია;
- მაღალი ისტორიულ-კულტურული ღირებულების სივრცით-არქიტექტურული გარემო;
- ისტორიული განაშენიანების მიძიმე ფიზიკური მდგომარეობა, დეგრადირების საფრთხის წინაშე მდგარი ავთენტური ისტორიული განაშენიანება და გარემო.

კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი იძლევა კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამით გასათვალისწინებელ საკითხებს. კერძოდ, „საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- ა) სარეაბილიტაციო არეალში არსებული სიტუაციის კომპლექსურ შეფასებას;
- ბ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული განაშენიანების ისტორიული და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების შეფასებას;
- გ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ძეგლების კვლევას და შეფასებას;
- დ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის, ტურისტული, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის განვითარების ანალიზს;
- ე) სარეაბილიტაციო არეალში არსებული კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პირობებს;
- ვ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ურბანული ქსოვილის გაჯანსაღების პირობებს;
- ზ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტებს;
- თ) სარეაბილიტაციო არეალში არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მაგისტრალური ქსელებისა და საინჟინრო კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტებს;
- ი) სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაციის პროექტებს;
- კ) სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის ხარჯთაღრიცხვას;
- ლ) სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელების ვადას;
- მ) საზოგადოების ინფორმირებისა და სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელებაში მისი ჩართვის მექანიზმებს“.

სარეაბილიტაციო არეალის განსაზღვრის შემთხვევაში, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 13<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, შემოიღოს კულტურული მემკვიდრე-

ობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი. ამ კანონის თანახმად, „1. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებლის გადამხდელია კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალში არსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელების ვადით; 2. მოსაკრებლის ოდენობა საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული შენობა-ნაგებობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე განისაზღვრება არა უმეტეს 1,5 ლარით თვეში“.

ძირითადი წინააღმდეგობა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს შორის მდგომარეობს იმაში, რომ კოდექსით კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება არის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება, ხოლო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონით, ეს უფლებამოსილება ითვლება დელეგირებულ უფლებამოსილებად. პრობლემას ქმნის ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, ხოლო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს და არ განსაზღვრავს თუ რომელი ძეგლია „ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლი“. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ამ საკითხის გადაწყვეტამდე მოკლებულია შესაძლებლობას განხორციელოს ორგანული კანონით დადგენილი ეს უფლებამოსილება.

## თავი V. ჯანმრთელობის დაცვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვა განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ე.წ. ნებაყოფლობით უფლებამოსილებას. ასეთი მიდგომა გამომდინარეობს იქედან, რომ ჯანმრთელობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტისათვის ამ სფეროში რაიმე ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, ძირითადად, არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობას მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. კანონში ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით არის მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი, რომ: „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“ (მუხლი 17).

შედარებით უფრო დეტალურადაა განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებები კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. ამ კანონის 36-ე მუხლით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში დელეგირებული აქვთ შემდეგი უფლებამოსილებები:

„ა) გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, მათ შორის, ცხოველთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო



დანესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;

დ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დანესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დანესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ვ) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;

ზ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;

ი) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება“.

ზემოთჩამოთვლილი დელეგირებული უფლებამოსილებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფლებამოსილება საზოგადოებრივი მნიშვნელობის დანესებულებებში, მათ შორის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დანესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის შესახებ. ამ უფლებამოსილების მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან პერიოდულად შეამოწმონ და ზედამხედველობა გაუწიონ ამ დანესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვას.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ქ“ და „ღ“ ქვეპუნქტებით განმარტებულია როგორც სანიტარიული, ისე ჰიგიენური ნორმები:

„ქ) სანიტარიული ნორმები – სამინისტროს მიერ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტები;

ღ) ჰიგიენური ნორმები – სამინისტროს მიერ განსაკუთრებული კონტინგენტისათვის დადგენილი სავალდებულო ნორმები“.

ამავე კანონის 35-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ „1. სამინისტრო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დანესებულებებისთვის ერთობლივად ადგენენ სანიტარიულ და ჰიგიენურ ნორმებს“. სამწუხაროდ, დღემდე ეს ნორმები დადგენილი არ არის. ასევე არ არის დადგენილი ერთიანი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები საზოგადოებრივი მნიშვნელობის დანესებულებებისათვის. სამინისტროს მიერ დადგენილი სანიტარიული და ჰიგიენური ნორმები უკვე მოძველებულია (მიღებულია 2004 წლამდე) და ეხება მხოლოდ ცალკეულ საკითხებს. ასეთია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის:

- 2003 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №280/ნ „ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“;
- 2003 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №281/ნ „საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ზოგად მოთხოვნებს საზოგადოებრივი კვების სხვადასხვა ტიპისა და კლასის საწარმოთათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მათი დაცვა ევალება საზოგადოებრივი კვების ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებს;
- 2003 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №283/ნ „ზოგიერთი ტიპის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის მოწყობის, აღჭურვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ჰიგიენურ მოთხოვნებს ქიმიკატების, საუნებისა და აბანოებისადმი;
- 2002 წლის 17 სექტემბრის ბრძანება №257/ნ „სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიებზე ინფრაბგერის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ინფრაბგერის კლასიფიკაციას, ნორმირებულ პარამეტრებს და ზღვრულად დასაშვებ დონეებს სამუშაო ადგილებზე, აგრეთვე საცხოვრებელ, საზოგადოებრივ შენობებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიებზე.

„სანიტარიული კოდექსის“ ძალადაკარგულად გამოცხადების შედეგად გაუქმდა ამ კოდექსის საფუძველზე მიღებული ის კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების და ამ სფეროზე ზედამხედველობას (მაგალითად, 2003 წლის 6 ოქტომბრის ბრძანება №234/ნ „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“). „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონი, მართალია, ითვალისწინებს ამ სფეროს მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტების მიღებას, მაგრამ დღემდე ასეთი აქტები მიღებული არ არის.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ ეს უფლება-მოსილება პრაქტიკულად ვერ ხორციელდება. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში როგორც დელეგირებული, ისე საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება.

## თავი VI. სპორტი და ახალგაზრდობის საკითხები

### 1. სპორტი

სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის საკითხების მართვის სფეროში თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის მიზანია ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისათვის და მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

სპორტული საქმიანობის ზოგად სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლები განისაზღვრება კანონით „სპორტის შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სპორტის სფერო-

ში საქართველოს კანონმდებლობის მიზნებია:

- ერის გაჯანსაღება;
- სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება;
- სპორტის სფეროში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობის კონსტიტუციური განხორციელების უზრუნველყოფა და დაცვა;
- სპორტის სფეროში მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის განსაზღვრა;
- საკანონმდებლო გარანტიების შექმნა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაციების თავისუფალი ფუნქციონირებისათვის;
- სპორტის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა და მათ შორის ურთიერთობათა დარეგულირება;
- სპორტის სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა.

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- სპორტული ტრადიციების დაცვა, გალრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება;
- მართვის დემოკრატიული ხასიათი;
- მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პატივისცემა.

„სპორტის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი ნეგატიური ფორმით განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებს სპორტის სფეროში. ამ მუხლის თანახმად, „სპორტის სფეროს ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა გადწყვეტაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების კომპეტენციას განეკუთვნება“. კანონის ეს დებულება თვითმმართველობას აძლევს სპორტის სფეროს მართვის საკმაოდ ვრცელ წრეს. თუმცა, ცხადია, თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა სპორტის მართვის საკითხებში უმთავრესად მიმართული უნდა იყოს მის მასობრიობაზე. თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან პირობები, რათა მეტი ადამიანი სარგებლობდეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მომსახურებით, ჩაერთონ თვითმმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებულ სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში. ანუ, მთავარია არა სპორტული მიღწევები (რაზეც ოლიმპიური კომიტეტი და სპორტული ფედერაციები უნდა ზრუნავდნენ), არამედ მასობრივი ხასიათი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპორტულ სექციებსა და ღონისძიებებში ბავშვთა და ახალგაზრდობის მონაწილეობას. „სპორტის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები „ვალდებული არიან უზრუნველყონ სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებების შექმნა და ფუნქციონირება“.

ამიტომ, მუნიციპალიტეტის გამგეობაში/მერიაში საჭიროა არსებობდეს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფი (განყოფილება, სამსახური), რომე-

ლიც განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებთან ერთად კოორდინაციას გაუწევს სპორტული კლუბების, ფიზიკური კულტურის კოლექტივების, მოზარდთა და ბავშვთა სპორტული სკოლების და კლუბების საქმიანობას. ასევე – მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ნაგებობების (აუზების, სპორტული დარბაზების, კორტების, და სხვ.) ფუნქციონირებას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მასობრივი სპორტის ხელშეწყობა განეკუთვნება ე.წ. ნებაყოფლობით უფლებამოსილებას. შესაბამისად, „სპორტის შესახებ“ კანონით მუნიციპალიტეტისათვის განკუთვნილი ვალდებულებები წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

## 2. ახალგაზრდობის საკითხები

ახალგაზრდობის პოტენციალის სრულად ამოქმედება, მათი სოციალიზაცია, აღზრდა-განათლება და დასაქმება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი, რომელიც როგორც სახელმწიფოს, ასევე თვითმმართველობის ყოველდღიური ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს. ამ მხრივ, აუცილებელია მუნიციპალიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით „ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა“ განეკუთვნება ე.წ. ნებაყოფლობით უფლებამოსილებას, ჰქონდეს მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნები უნდა იყოს:

- ახალგაზრდების სოციალური, კულტურული, სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა;
- საზოგადოებისა და თვით ახალგაზრდობის განვითარების ინტერესებისათვის ახალგაზრდობის ინოვაციური პოტენციალის რეალიზაცია;
- საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის ინტენსიური მონაწილეობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

„ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულაში მითითებულია, რომ „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა მიერ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ხელს უწყობს ამ კავშირების ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების გაუმჯობესებას, მათი საქმიანობის სტიმულირებას და გარანტიების სამართლებრივ უზრუნველყოფას“. ამ კანონის მე-9 მუხლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს შეიმუშაონ მუნიციპალური პროგრამები ბავშვთა, ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა ოჯახების სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით, ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით. ამ პროგრამების განხორციელებამ უნდა შექმნას ყველა ის პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული გაერთიანებების, მოძრაობების და ინიციატივების განვითარებას და დაეხმარება მათ თვითრეალიზაციაში.

ამიტომ, მუნიციპალიტეტში საჭიროა ჩამოყალიბდეს ახალგაზრდების სოციალური მხარდაჭერის, სწავლებისა და დასაქმების ერთიანი სისტემა, შედეგად შესაძლებელი გახდება ახალგაზრდების მიგრაციის პროცესების მართვა, მათი უფლებების დაცვა და ინტერესების რეალიზაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავად ახალგაზრდების მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისა და, საერთოდ, თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. ამ მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეიძლება შეიქმნას საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოები (ახალგაზრდული საბჭოები, დარბაზი, სათათბირო და ა.შ.). ასეთი ორგანოს მიზანი უნდა იყოს:

- გადანყვევების მიღების პროცესში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობისათვის ყველა პირობის შექმნა;
- ახალგაზრდების შესაძლებლობათა განვითარება, რათა მათ გააცნობიერონ თავიანთი უფლება-მოვალეობები და მიიღონ აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- ახალგაზრდების მონაწილეობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემუშავებული კანონპროექტების განხილვაში;
- შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში ახალგაზრდების აზრის გათვალისწინებისათვის ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების პრობლემების წარმოჩენა, განხილვა და გადაჭრის პროცესში მათი აქტიური ჩაბმისათვის ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების ხელშეწყობა აზრის თავისუფლად გამოთქმაში;
- სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და შესრულებაში თაობებს შორის ურთიერთშეთანხმებისა და დიალოგისათვის ხელშეწყობა.

სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოებთან ერთად, გამგეობაში/მერიაში უნდა არსებობდეს სპეციალური სტრუქტურული დანაყოფი (სამსახური, განყოფილება), რომლის მიზანიც უნდა იყოს:

- თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება;
- ახალგაზრდების ჩამოყალიბებისა და თვითრეალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პირობებისა და გარანტიების შექმნა;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ახალგაზრდა თაობის ინტერესების და უფლებების რეალური უზრუნველყოფა და დაცვა;
- ადგილობრივ დონეზე სოციალური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი საკითხების გადანყვევებაში ახალგაზრდა თაობის ჩართვა;
- ახალგაზრდა თაობის სულიერი, პატრიოტული და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების სოციალური დაცვის, შემოქმედებითი დასვენებისა და გართობის მიზნით შემოსული ინიციატივების მხარდაჭერა და რეალიზება;
- სამეცნიერო კვლევების განხორციელება ახალგაზრდული სფეროს არსებული მდგომარეობის შესწავლის, ანალიზისა და პროგნოზირების მიზნით;
- თვითმმართველ ერთეულში ახალგაზრდების პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოორდინაცია.

2014 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობის N553 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“. განკარ-

გულებით განსაზღვრულია, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

ამ მიზნის მისაღწევად ახალგაზრდული პოლიტიკა უზრუნველყოფს:

1. საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას;
2. ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას;
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილ გარემოში;
4. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მათი უფლებების დაცვას და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერას.

ამ საკითხების გადწყვეტაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ ადგილობრივ თვითმმართველობებს, როგორც მოქალაქეებთან ყველაზე ახლო მდგომ ხელისუფლებას. ამიტომაც მითითებულია პოლიტიკის დოკუმენტში, რომ „საქართველოს მთავრობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან გამართავს დიალოგს ეროვნული/ადგილობრივი მუდმივმოქმედი მექანიზმის შემუშავების მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართვას ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში“.

## თავი VII. სოციალური დახმარება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი სოციალური დახმარების განევას მიაკუთვნებს მუნიციპალიტეტის ისეთ უფლებამოსილებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ინიციატივით.

საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ გარკვეულწილად აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს. „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონი არაპირდაპირ აღიარებს თვითმმართველი ერთეულის უფლებას გასცეს სოციალური დახმარება მოსახლეობაზე. კერძოდ, ამ კანონის მე-16 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სამინისტროს კომპეტენციას, მიუთითებს, რომ სამინისტრო „აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განეული სოციალური დახმარების შესახებ“. ამ უფლებამოსილებაზე არა იმპერატიული ფორმით მითითებულია კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში: „ადგილობრივი სოციალური პროგრამების განხორციელების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ ამ კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებული სარგებლის შესახებ მონაცემთა სამინისტრო-

სა და სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას და ამ ინფორმაციის შეთავსებას სააგენტოს მიერ წარმოებულ ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან, მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ფორმითა და პერიოდულობით“. როგორც ვხედავთ, „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონი მხოლოდ უშვებს მოსახლეობისთვის სოციალური დახმარების განევის შესაძლებლობას, რომელიც თვითმმართველმა ერთეულმა შეიძლება განახორციელოს საკუთარი შეხედულებისამებრ. კანონი არ ავალდებულებს მუნიციპალიტეტს სოციალური დახმარება გაუწიოს თვითმმართველ ერთეულში მცხოვრებ პირებს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების განევა წარმოადგენს ე.წ. ნებაყოფლობით უფლებამოსილებას. ამავდროულად, კანონის ზემო აღნიშნული პუნქტი მიუთითებს იმაზეც, რომ ასეთი დახმარების განევა უნდა ხდებოდეს არა ინდივიდუალური ფორმით, არამედ ადგილობრივი სოციალური პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია შეიმუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა. ამ პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ამ კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარების სახეების შესაბამისად, დამატებით დააფინანსონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ამავე კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარებები“.

„სოციალური დახმარების შესახებ“ კანონით თვითმმართველი ერთეულის ორგანოების სავალდებულო უფლებამოსილებები მოცემულია კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში;

- უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით;
- რეგისტრაციაში ატარებენ თავშესაფარში მყოფ პირებს;
- უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას.

„სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის III თავის მიხედვით, თვითმმართველი ორგანო, ასევე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალიზებულ დაწესებულებაში (კანონის მე-13 მუხლის თანახმად, სპეციალიზებული დაწესებულება არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირების სოციალურ მომსახურებას მთელი დღე-ღამის განმავლობაში ან/და დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში, გარდა პანსიონური მომსახურების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა) არასრულწლოვანი ან მარტოხელა პირის მოთავსების შესახებ (მუხლი 14). ხოლო მე-15 მუხლის მიხედვით სპეციალიზებული დაწესებულების დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ განსაზღვრულია ადგილობრივი ბიუჯეტი.

# პარტი VII

## თვითმმართველი ერთეულისთვის დელაბირაჟული უფლებები

### თავი I. უფლებების დელაბირაჟის ფორმები და პრინციპები

#### 1. დელაბირაჟის ფორმები

უფლებამოსილებათა დელეგირება ნიშნავს სახელმწიფო ორგანოთა მიერ მუნიციპალიტეტისათვის მათ ხელთ არსებული უფლებამოსილების ნაწილის გადაცემას, ანუ თვითმმართველობისათვის უფლების მინიჭებას მიიღოს და აღასრულოს გადანყვეტილება დამატებით იმ საკითხებზეც, რომლებიც სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობის უფლებამოსილების ნაწილია. უფლებათა დელეგირებისას ხდება არა ფუნქციების, არა საკითხების, არამედ მათ შესახებ გადანყვეტილების მიღებასა და აღსრულებაზე უფლება-მოვალეობათა გადაცემა. ამიტომაც, უფლებათა გადაცემისას შესაბამისი საკითხი არ კარგავს სახელმწიფო მნიშვნელობას, რაც განსაზღვრავს კიდევ გადაცემული უფლებების განხორციელების სპეციფიკას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლება-მოვალეობა არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით“.

თვითმმართველი ერთეულისთვის უფლებამოსილების დელეგირების საკითხი ასახულია საქართველოს კონსტიტუციის 101<sup>2</sup>-ე მუხლში. ამ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დასაშვებია საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, რომელთა ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება კანონით“. როგორც ვხედავთ, კონსტიტუციაში დელეგირების წესის შესახებ არის ჩანაწერი არა მხოლოდ დელეგირებული უფლებამოსილების მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფაზე, არამედ ამ რესურსების ოდენობის გაანგარიშების წესის კანონით დადგენის შესახებაც. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული რესურსების შესაბამისობა მისთვისვე გადაცემულ უფლებებთან. სამწუხაროდ, დღემდე ასეთი კანონი მიღებული არ არის.

საქართველოს კონსტიტუციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, თვითმმართველი ერთეულისთვის უფლებამოსილებათა დელეგირება შესაძლებელია ორი გზით – შესაბამისი კანონის მიღებით, ან ურთიერთშეთანხმებით, ანუ ხელშეკრულებით. პირველ შემთხვევაში, ცენტრალური სახელმწიფო უწყებების მიერ თვითმმართველობებისთვის უფლებამოსილებათა გადაცემა დაიშვება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის მიღებით.



ამდენად, დელეგირების ეს სახე, როგორც წესი, არის ზოგადი ხასიათის და შეეხება ყველა თვითმმართველ ერთეულს. მეორე შემთხვევაში გადაცემა ხდება ხელშეკრულებით. უფლებების ეს სახე არის ინდივიდუალური ხასიათის და შეეხება ერთ კონკრეტულ თვითმმართველ ერთეულს.

დელეგირების წესი და პირობები მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-17 მუხლში. ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია.

სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერს გამგებელი/მერი და ამტკიცებს საკრებულო, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

## 2. უფლებამოსილების დელეგირების პრინციპები

### 1) მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის (კომპენსაციის) პრინციპი

ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ უფლებამოსილებათა დელეგირება უნდა ხდებოდეს ამ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემასთან ერთად. ანუ, უფლებამოსილების შესრულება უნდა ხდებოდეს იმ ორგანოს ხარჯზე, ვინც ეს უფლებამოსილება გადასცა. ეს პრინციპი გამომდინარეობს იმ მოთხოვნიდან, რომ უფლებამოსილებათა დელეგირება არ ნიშნავს დასარეგულირებელი სფეროს გასვლას სახელმწიფო გამგებლობიდან. დელეგირების შემთხვევაშიც ეს საკითხი კვლავ სახელმწიფო მნიშვნელობისაა და შესაბამისად მისი გადაწყვეტაც სახელმწიფო ხარჯებით უნდა ხდებოდეს. თუკი, უფლებამოსილებათა დელეგირება ხდება კანონის საფუძველზე, მისი განხორციელების ხარჯები უნდა აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო, თუ იგი ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ მოცემული უნდა იყოს ამ ხელშეკრულებაში.

### 2) დელეგირებულ უფლებამოსილებებზე ადმინისტრაციული კონტროლის დაშვების პრინციპი

უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოებს ეძლევათ უფლება გააკონტროლონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ის საქმიანობა, რომელიც მიმდინარეობს ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 129-ე მე-4 პუნქტის თანახმად, დელეგირებულ უფლებამოსილებაზე ხორციელდება დარგობრივი ზედამხედველობა, რაც მოიცავს არა მხოლოდ კანონიერების, არამედ ჯეროვან შესრულებაზე კონტროლსაც. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოა შესაბამისი სამინისტრო, რომლის უფლებამოსილების დელეგირებაც განხორციელდა კანონის შესაბამისად ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შესაბამისად“. კანონის თანახმად, სახელმწიფო

ორგანოებს უფლება აქვთ როგორც კანონიერების, ისე მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც დაანესონ კონტროლი თვითმმართველობებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 133-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების სახელმწიფო ზედამხედველობისას დარგობრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია:

- ა) გამოითხოვოს დოკუმენტი ან ინფორმაცია;
- ბ) გასცეს სარეკომენდაციო ინსტრუქცია;
- გ) შეაჩეროს ან გააუქმოს მუნიციპალიტეტის ორგანოს/თანამდებობის პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- დ) შეცვალოს ადგილობრივი თვითმმართველობა.

### **3) სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი**

უფლებამოსილების ან მისი ნაწილის, ანუ უფლებებისა და მოვალეობების დელეგირება გარკვეულწილად გულისხმობს მათზე პასუხისმგებლობის დელეგირებასაც. თვითმმართველობათა აღმასრულებელი ორგანოები მათ უფლებამოსილებას ახორციელებენ საკუთარი პასუხისმგებლობით. ეს შეეხება დელეგირებულ უფლებებსაც, მაგრამ რადგან, ფუნქცია რჩება სახელმწიფოს გამგებლობაში, ცხადია, დელეგირებული უფლებების განხორციელებისას წარმოშობილი პრობლემების მიმართ თვითმმართველობის ორგანოსთან ერთად დგება სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხიც.

### **4) მოქმედების თავისუფლების პრინციპი**

უფლებამოსილების დელეგირებისას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანო მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს თვითმმართველობის ორგანოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში, თვითმმართველობა მხოლოდ შემსრულებლად გამოდის და არ გააჩნია მოქმედების თავისუფლება. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოების მიერ უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, თვითმმართველობის ორგანოებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ჰქონდეთ თავისუფლება მათი განხორციელება მიუსადაგონ ადგილობრივ პირობებს“. დაახლოებით ანალოგიურ დებულებას შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს“.

### **5) ურთიერთშეთანხმების პრინციპი**

ესეც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც ითვალისწინებს, რომ თვითმმართველობისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება უნდა განხორციელდეს მათთან წინასწარი კონსულტაციებისა და შეთანხმების საფუძველზე. როდესაც ხდება უფლებამოსილების დელეგირება კანონმდებლობის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც შეეხება ამ კანონით დადგენილ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, წინასწარი კონსულტაციები გამართონ იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან,

რომლებიც ქვეყნის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტს აერთიანებენ“. ეს პრინციპი გამომდინარეობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიიდან. კერძოდ, ქარტიის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილია, რომ „ნებისმიერი გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღებისას, რომლებიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აუცილებელია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამ ორგანოებთან დროული, წინასწარი და შესაბამისი ფორმის კონსულტაცია“.

რაც შეეხება უფლებამოსილების დელეგირებას ხელშეკრულების საფუძველზე, ეს ფორმა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დელეგირება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების შემთხვევაში. ასეთ დროს, ცხადია, უნდა არსებობდეს ორივე: როგორც სახელმწიფო მმართველობის, ისე თვითმმართველობის ორგანოთა ნება. ინიციატივა შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც ერთ, ისე – მეორე მხარეს, მაგრამ ხელშეკრულების დადება და შესაბამისად, უფლებების დელეგირება ხდება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

## **თავი II. თვითმმართველი ერთეულისთვის დელიბერატიული უფლებამოსილება**

დელეგირებული უფლება-მოვალეობების ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობის გამო, თვითმმართველი ერთეულისთვის დელეგირებული უფლება-მოვალეობების ასახვა ხდება „ბიუჯეტის შესახებ“ კანონში. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღებამდე, სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური კანონით იყო იმ კანონთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებს გამოეყოფოდათ მიზნობრივი ტრანსფერი. სამწუხაროდ, 2016 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ეს მიდგომა შეიცვალა და ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრულია, რომ „დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და საქართველოს სხვა კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება“. როგორც ვხედავთ, კანონმა დელეგირებული უფლებამოსილების სფეროს დასადგენად მიუთითა არა მხოლოდ კონკრეტულ კანონებზე, არამედ გააკეთა ძალიან ზოგადი მითითება „საქართველოს სხვა კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებები“. ასეთი მიდგომა პრინციპულად არასწორია და ეწინააღმდეგება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ისე საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. უფლება-მოვალეობების დელეგირების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ამ უფლება-მოვალეობების ფინანსური უზრუნველყოფა. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს უფლებამოსილების განსახორციელებლად ფინანსური რესურსების გაანგარიშების წესის კანონის საფუძველზე განსაზღვრას. სამწუხაროდ, დღემდე ეს კანონი არ არის მიღებული, მაგრამ პრინციპი, რომ უფლებამოსილების გადაცემას თან უნდა სდევდეს ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების გადაცემა, აღიარებულია

საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. 2016 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში მოცემული მითითება საქართველოს სხვა კანონებზე, ეწინააღმდეგება ამ პრინციპს, რადგან ასეთი ბუნდოვანი ჩანაწერი შეუძლებელია აისახოს მიზნობრივი ტრანსფერის კონკრეტულ ციფრებში.

ამიტომ, მუნიციპალიტეტებმა უნდა იხელმძღვანელონ 2016 წ. ბიუჯეტის კანონში მოცემული კანონების კონკრეტული ჩამონათვალით, რომლის განსახორციელებლადაც გამოიყოფა ბიუჯეტიდან მიზნობრივი ტრანსფერი. ეს კანონებია: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.

1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებები

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები:

- გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, მათ შორის, ცხოველთა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;
- საგანმანათლებლო, საღმრთელო და საგანმანათლებლო-საღმრთელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- საგანმანათლებლო, საღმრთელო და საგანმანათლებლო-საღმრთელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;
- პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება (მონაწილეობა ტუბერკულოზის კონტროლის ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგში).

2. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონით თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებები

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით თვითმმართველ ერთეულებზე დელეგირებულია:

- მოქალაქეთა (წვევამდელთა, რეზერვისტთა) სამხედრო აღრიცხვა;
- სამხედრო-სააღრიცხვო კომისიის შექმნა და მისი შემადგენლობის დამტკიცება;
- გამწვევი კომისიის შექმნა და შემადგენლობის დამტკიცება;
- მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში განწვევის ორგანიზება;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელზე ზედამხედველობა.

3) „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით თვითმმართველ ერთეულებზე დელეგირებული უფლებამოსილებები

„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტებზე დელეგირებულია:

- რეზერვისტთა აღრიცხვის ორგანიზება; სამობილიზაციო რესურსების (რეზერვის ოფიცერთა, რიგითთა, კაპრალთა, სერჟანტთა და ტექნიკის) აღრიცხვის ორგანიზება;
- ეროვნული გვარდიის რეზერვისტების შერჩევა, მოზიდვა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში გაგზავნა;
- რეზერვისტთა გამოძახება და შემკრებ პუნქტებში მიყვანის ორგანიზება.

4) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილებები

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ 2014 წ. მიღებული ახალი კანონით მუნიციპალიტეტებზე დელეგირებულია ერთადერთი უფლებამოსილება – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან, საერთაშორისო დონორ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელით ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა.

5) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებული უფლებამოსილებები

„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით თვითმმართველი ერთეულებისთვის დელეგირებულია:

- სამხედრო სასაფლაოების სახელმწიფო აღრიცხვა;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სამხედრო სასაფლაოს დაცვა და კეთილმოწყობა; სამხედრო სასაფლაოს აღდგენა დაზიანების შემთხვევაში;
- საძიებო და სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილი დაღუპული მეომრის დაუმარხავი ნეშტის დაკრძალვა;
- გადანყვებილების მიღება სამშობლოს დაცვისას დაღუპული მეომრის

ნეშტის გადასვენების შესახებ;

- სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის დაკრძალვის ხარჯების გაღება (დაკრძალვის თანხა უნდა შეადგენდეს: ქ. თბილისში – 350 ლარს, სხვა ქალაქებში – 300 ლარს, ხოლო რაიონებში – 250 ლარს);
- სამშობლოს დამცველთა გმირობასთან დაკავშირებული ცალკეული ტერიტორიების, ადგილებისა და მემორიალური ობიექტების კეთილმონყობისათვის ხარჯების გაღება.

6. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილებები

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებულია ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ საკითგებზე გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი/მერი. გამგებლის/მერის მიერ გადაწყვეტილება მიიღება კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წ. 19 ნოემბერს №591 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის“ შესაბამისად.

გარდა ზემო აღნიშნული კანონებისა, სახელმწიფოს მიერ კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლება-მოვალეობები:

1. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლით მუნიციპალიტეტისათვის საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეების შესაბამისი ოპერატიული ცენტრების შექმნა;

ბ) საგანგებო სიტუაციის დროს შესაბამისი რეაგირების ძალების მობილიზება და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მათი ჩართულობის ორგანიზება, აგრეთვე რეაგირების ძალების მომზადების და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;

გ) საგანგებო სიტუაციისა და საომარი მოქმედებების დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ევაკუირებული მოსახლეობის სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი ინფორმაციის მიღება და დამუშავება;

ე) დაზარალებული მოსახლეობისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილების უზრუნველყოფა;

ვ) საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებასა და აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა და მათი ორგანიზება;

ზ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების მიღება;

თ) ვარჯიშის ორგანიზება;

ი) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საფრთხეების შესახებ მოსახლეობისთვის შეტყობინება;

კ) სააგენტოსთან შეთანხმებით სამოქალაქო უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რისკის მართვის გეგმებისა და საგანგებო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება;

ლ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამების მიხედვით მოსახლეობის მომზადების ორგანიზება;

მ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობის ინფორმირება;

ნ) მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის ფორმის შევსებაში მონაწილეობა;

ო) სამოქალაქო უსაფრთხოების რეზერვისტების მობილიზების უზრუნველყოფა.

ხოლო, ამავე კანონის 24-ე მუხლით მუნიციპალიტეტისათვის სახანძრო უსაფრთხოების სფეროში დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იმ დასახლებაში, სადაც განთავსებული არ არის სააგენტოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების შექმნა ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად;

ბ) ხანძრის ჩასაქრობად მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების ხელოვნური და ბუნებრივი წყაროებიდან (ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი, სახანძრო წყალსატევი, წყლის შესანახი რეზერვუარი, მდინარე, ტბა, აუზი და სხვა) წლის ნებისმიერ დროს სახანძრო ტექნიკით წყლის აღებისათვის პირობების შექმნა;

გ) ტყის მასივების ხანძრისაგან დაცვის ორგანიზება და გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ) ხანძრის შესახებ მოსახლეობისა და სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისთვის შეტყობინების ორგანიზება;

ე) მუნიციპალური საკუთრების ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ვ) დასახლებული ტერიტორიების განვითარების გეგმებსა და პროგრამებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩართვა, მათ შორის, სახანძრო-სამაშველო დეპოების მშენებლობის პერსპექტიული პროგრამების შედგენაში მონაწილეობა;

ზ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ქალაქთმშენებლობის კონტროლის ღონისძიებების განხორციელება დასახლებული ტერიტორიების დაგეგმვა-განაშენიანებისას ტექნიკური რეგლამენტებით, სამშენებლო ნორმებითა და წესებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად;

თ) დასახლების საზღვრებში ხანძრის ადგილზე სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შეუფერხებლად მისვლის უზრუნველყოფა;

ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში რეაგირების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დადგენაში მონაწილეობა;

კ) მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის ხელის

შენყოფილება, მათ შორის, მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება;

ლ) მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებაში და ხანძრის პროფილაქტიკასა და ჩაქრობაში მის ჩაბმაში მონაწილეობა;

მ) ხანძრის გაჩენის საშიშროების მომატების შემთხვევაში განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დადგენა და მისი მოქმედების პერიოდში სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება;

ნ) სახელმწიფო ან/და მუნიციპალური სახანძრო დაცვის სახანძრო-სამამშველო დანაყოფის ინციდენტის ადგილზე მისვლამდე ხანძრის ლოკალიზაციისათვის და ადამიანებისა და ქონების გადასარჩენად შესაბამისი ზომების შეძლებისდაგვარად მიღება.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია კანონით დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად შეიმუშაოს და მიიღოს შესაბამისი ნორმატიული აქტები.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონით დადგენილ ამ ორივე სფეროში უფლებამოსილებების განხორციელებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე დარგობრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლში 2016 წ. 27 მაისს შეტანილი ცვლილებით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებულ იქნა უფლება გასცეს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელი ცნობა. კანონის თანახმად ამ ცნობას გასცემს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მერთან) არსებული პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია მისთვის შესაბამისი განცხადებით მიმართვიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა. ამ ცვლილების მიხედვით შეტანილი იქნა ასევე ცვლილება თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომელსაც დაემატა „ე.ვ“ ქვეპუნქტი. ამ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი უფლებამოსილია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან/და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შექმნას არა მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათის, არამედ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილი კომისიები. ცვლილება შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლშიც, რომელსაც დაემატა ახალი მე-3<sup>1</sup> პუნქტი. ამ პუნქტის თანახმად, ზემო აღნიშნული კომისიები კანონით ან უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, უფლებამოსილი არიან, გამოსცენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება.

3. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული იქნა 2016 წლის 17 ივნისს, რომლის მიზანია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზრუნველყოფა. ამ კანონის მე-16 მუხლით მოხდა უფლებამოსილებების დელეგირება მუნიციპალიტეტის ნარმომადგენლე-



ბისტვის, რომელიც:

ა) საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე უტყუარად დგინდება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობა;

ბ) სააგენტოს წარუდგენს განცხადებას მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ, თუ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ან/და მმართველობის ორგანოს მონაწილეობით.

ამ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეტანილი იქნა ცვლილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე და 61-ე მუხლებში. შეტანილი ცვლილებით გამგებელი/მერი საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას ახდენს არა მხოლოდ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებზე, არამედ გამგეობის/მერიის მოხელეებზეც. ასეთ შემთხვევაში გამგეობის/მერიის მოხელეც უფლებამოსილი ხდება გამოსცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი-ბრძანება.

## პარი VIII

### თვითმმართველი ერთეულის მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფა.

თვითმმართველი ერთეულის მიერ მუნიციპალური მომსახურების განწევა და, საერთოდ, მმართველობითი საქმიანობა შეუძლებელია ამ პროცესის მატერიალური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის გარეშე. საქმიანობის ეფექტურობა უშუალოდაა დამოკიდებული ამ საქმიანობის შესაბამისი მატერიალური (ქონებრივი თუ ფინანსური) რესურსებით უზრუნველყოფასა და ორგანიზაციული ღონისძიებების ხარისხზე. მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფაში შეგვიძლია გამოვყოთ უზრუნველყოფის ორი ძირითადი ფორმა:

- 1) მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლის მიზანია მმართველობითი საქმიანობის უზრუნველყოფა მატერიალური და ფინანსური რესურსებით;
- 2) ორგანიზაციული უზრუნველყოფა, რომლის მიზანია მმართველობითი საქმიანობის ოპერატიულობისა და კომპეტენტურობის უზრუნველყოფა.

მმართველობითი საქმიანობის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა მოიცავს:

- 1) მუნიციპალური ქონების ფორმირებასა და მართვას;
- 2) მუნიციპალურ შესყიდვებს;
- 3) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტსა და ფინანსურ რესურსებს.

მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა მოიცავს:

- 1) მართვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას;
- 2) მართვის საკადრო უზრუნველყოფას;
- 3) მართვის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

## თავი I. მუნიციპალური ქონება

### 1. მუნიციპალიტეტის ქონების ცნება და კატეგორიები

საქართველოს კონსტიტუციის 101<sup>3</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ „ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს საკუთარი ქონება და ფინანსები“. მუნიციპალიტეტის ქონების ცნებას განმარტავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით „მუნიციპალიტეტის ქონება არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება:

- ა) მუნიციპალიტეტისთვის კანონით მიკუთვნებული ქონება;
- ბ) სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება;
- გ) ავტონომიური რესპუბლიკის მიერ შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება;
- დ) მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

შექმნილი, შექმნილი ან რეგისტრირებული ქონება.

მუნიციპალიტეტის ქონების კატეგორიები მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106-ე მუხლის მე-3 პუნქტში. ამ პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონება იყოფა ორ კატეგორიად – ძირითად (განუსხვისებელ) და დამატებით ქონებად.

მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ის ქონება, რომელიც არის თვითმმართველობის განხორციელების საფუძველი და რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ თავისი საჯარო ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

მუნიციპალიტეტის დამატებით ქონებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ყველა ის ქონება, რომელიც არ არის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების ნაწილი და რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქონების კატეგორიებად დაყოფის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან იმ ტიპის ქონების გამოყოფა, რომელიც წარმოადგენს თვითმმართველობის განხორციელების საფუძველს, ანუ რომლის გარეშეც შეუძლებელია თვითმმართველი ერთეულის არსებობა და მმართველობითი საქმიანობის განხორციელება. ძირითადი ქონების ნუსხა მოცემულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებაში „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“. ამ ნუსხის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი ქონების სახეობებია:

1. ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი მათზე დამაგრებული მიწის ფართობით, ასევე შესაბამისი ქონება, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად.
2. დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები, ნაპირსამაგრი ნაგებობები.
3. ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სარგებლობის გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები.
4. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისათვის და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების (თავშესაფრების) განთავსებისათვის აუცილებელი ქონება.

კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება დაუშვებელია. გამონაკლისია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 121-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა, როცა ძირითადი ქონება კარგავს თავის ფუნქციურ დანიშნულებას. ფუნქციური დანიშნულება ქონებამ შეიძლება დაკარგოს, როდესაც შეიქმნა იმავე ფუნქციის მატარებელი ახალი ქონება (მაგალითად, აშენდა მუნიციპალიტეტის ახალი ადმინისტრაცი-

ული შენობა). ასეთ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს ძირითადი ქონების გასხვისების განსაკუთრებულ წესს:

მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე დასაბუთებულ წინადადებას ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარუდგენს შესაბამის საკრებულოს. საკრებულო მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე გამგებლისთვის/მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.

## 2. მუნიციპალიტეტის ქონების ფორმირება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონება იქმნება:

ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემით;

ბ) საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით;

გ) იმ ხდომილებით, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობით წარმოშვება სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქონების შექმნით, შექმნით, აგრეთვე ქონების ან/და შესრულებული სამუშაოს უსასყიდლოდ მიღებით.

## 3. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების

### მუნიციპალიტეტის საკუთრებად მიქცევის პროცედურები

სახელმწიფო ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებად მიქცევა ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 112-ე და 113-ე მუხლებით დადგენილი წესით. კოდექსის 112-ე მუხლი ადგენს პრინციპს, რომ სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის ქონების გადაცემა ხდება უსასყიდლოდ. კოდექსის 113-ე მუხლით მოცემულია ქონების გადაცემის წესი. ამ წესის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებას მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცემს ქონების მმართველი გამგებლის/მერის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე. ქონების მმართველი გამგებლის/მერის მიერ წარდგენილ მოთხოვნაზე იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და პასუხს წერილობით აცნობებს მოთხოვნის წარმდგენს მისი წარდგენიდან 45 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ ქონებას ერთზე მეტი მუნიციპალიტეტი იყენებს, იგი საკუთრებად გადაეცემა იმ მუნიციპალიტეტს, რომლის ტერიტორიაზედაც მდებარეობს ეს ქონება. ასეთი ქონების გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესები განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერენ იმ მუნიციპალიტეტების უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც იყენებენ ამ ქონებას.

ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე ქონების მმართველის გადაწყვეტილება მიღებიდან 10 დღის ვადაში დასამტკიცებლად გადაეცემა საქართველოს მთავრობას. თუ საქართველოს მთავრობამ 45 დღის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მოთხოვნილი ქონება მოთხოვნის წარმდგენის საკუთრებაში გადაეცემულ ქონებად ჩაითვლება. ეს არის მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოს დროულად მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის თხოვნაზე. მაგრამ, ამ დებულების ამოქმედება აწყდება გარკვეულ სირთულეებს, რადგან საჯარო რეესტრი ქონების დარეგისტრირებისათვის ითხოვს მთავრობის სამართლებრივ აქტს ქონების

გადაცემაზე ან იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც ასაბუთებს, რომ უფლებამოსილ ორგანოს მოთხოვნის მიღებიდან 45 დღის ვადაში არ მიუღია გადაწყვეტილება, რაც კანონის თანახმად, უთანაბრდება ქონების გადაცემას. ასეთი დოკუმენტის შექმნა კი ტექნიკურად რთულია. გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ მუნიციპალიტეტმა ქონების გადაცემის მოთხოვნის ასლი იმავდროულად გადაუგზავნოს საჯარო რეესტრსაც. ასევე, უფლებამოსილი ორგანოს პასუხი, კანონით დადგენილ ვადებში, უნდა მიიღოს მუნიციპალიტეტმა და საჯარო რეესტრმაც. ასეთ შემთხვევაში, თუ საჯარო რეესტრი განცხადების მიღებიდან 45 დღის ვადის გასვლამდე უფლებამოსილი ორგანოსგან არ მიიღებს დადებით ან უარყოფით პასუხს, იგი, კანონის ამ დებულების მიხედვით, ვალდებული იქნება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაარეგისტრიროს მოთხოვნილი ქონება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა, სამწუხაროდ, ძალაში დატოვა მუნიციპალიტეტისათვის ქონების გადაცემის ძველი წესი, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის საკუთრებად დამატებითი ქონების მიქცევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქონების მმართველი, ხოლო ძირითად ქონებაზე, ქონების მმართველის გადაწყვეტილებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ასეთი მიდგომა არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად, რადგან მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონების კატეგორიები დადგენილია როგორც ადგილობრივი თვითმმართველი კოდექსით, ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამდენად, გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ ზუსტდება მოთხოვნილი ქონება შედის თუ არა კანონით და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ქონების კატეგორიაში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტისათვის ძირითადი ქონების გადაცემაზე გადაწყვეტილება არის ფორმალური ხასიათის – დგინდება მხოლოდ მოთხოვნილი ქონების მიკუთვნება დადგენილი ქონების კატეგორიასთან და არა პრაგმატული ხასიათის, როცა განისაზღვრება რამდენად მიზანშეწონილია ამ ქონების გადაცემა მუნიციპალიტეტისათვის. ამიტომ, ამ საკითხზე აუცილებელი არ არის პროცედურის ისეთი გართულება, როცა გადაწყვეტილებას იღებს ჯერ ქონების მმართველი, ხოლო შემდეგ საქართველოს მთავრობა (მით უმეტეს, რომ ამ კატეგორიის ქონება, ძირითადად, უკვე გადაეცათ მუნიციპალიტეტებს). უფრო მართებულია, საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებას იღებდეს მუნიციპალიტეტისათვის არა ძირითადი, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობის დამატებითი ქონების (მაგალითად, ქონება, რომლის ღირებულება აღემატება 500 000 ლარს) გადაცემის შესახებ.

ქონების გადაცემის პროცედურას ართულებს ისიც, რომ ქონების გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მხოლოდ ცენტრალურ დონეზე (ქონების მმართველი, მთავრობა). ასეთი ფორმა არა მხოლოდ ზრდის პროცედურის განხორციელების ვადას, არამედ გადაწყვეტილების მიღების დროს ნაკლებად ხდება ადგილობრივი პირობებისა და ინტერესების გათვალისწინება. მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ქონება არ წარმოადგენს იმ კატეგორიას, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, ამიტომ, ამ საკითხზე ცენტრალიზებული წესით გადაწყვეტილების მიღება არც აუცილებლობაა და არც ეფექტურია. მიზანშეწონილი იქნება მუნიციპალიტეტისათვის ძირითადი და იმ დამატებითი ქონების გადაცემის შესახებ, რომლის ღირებულება არ აღემატება 500 000 ლარს, გადაწყვეტილების მიღების დელეგირება სახელმწიფო რწმუნებულისთვის-გუბერნატორისთვის (თუნდაც ქონების მმართველთან შეთახმებით). ასეთი მიდგომა არა მხოლოდ

გამარტივებს ქონების გადაცემის პროცესს, არამედ შესაძლებელს გახდის ქონების გადაცემისას გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი და რეგიონული განვითარების საკითხები. რაც შეეხება იმ დამატებით ქონებას, რომლის ღირებულება აღემატება 500 000 ლარს, მიზანშეწონილი იქნება მათ გადაცემაზე გადაწყვეტილება მიიღოს საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორისა და ქონების მმართველის წარდგინების საფუძველზე.

ქონების გადაცემის პროცესის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის (აზომვითი ნახაზები და ა.შ.) არარსებობა. ამ დოკუმენტაციის შედგენას მნიშვნელოვანი ხარჯების განწევა სჭირდება. იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტმა მოთხოვნა წარადგინოს ქონების გადაცემაზე, მას უნევს ხარჯების გაღება შესაბამისი დოკუმენტაციის შესადგენად, თუმცა, გარანტია, რომ ეს ქონება მას გადაეცემა, ცხადია, არ არსებობს. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ როგორც მოთხოვნის წარდგენის, ასევე გადაწყვეტილების მიღებისას შემოვიფარგლოთ ქონების მხოლოდ მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით (მაგალითად, მისამართი, ქონების ზოგადი აღწერა) და არა სრული დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნით. ხოლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თუ ქონება გადაეცა მუნიციპალიტეტს, საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციისათვის მოხდეს ქონებისათვის საჭირო სრული დოკუმენტაციის შექმნა.

მუნიციპალიტეტისათვის ქონების გადაცემის პროცესში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები, რაც საშუალებას მოგვცემს დასრულდეს სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის პროცესი.

სახელმწიფოს მიერ ქონების გადაცემასთან ერთად, მუნიციპალიტეტის ქონების ფორმირება ხდება მუნიციპალიტეტის მიერ ქონების შექმნით ან შექენით.

მუნიციპალიტეტის მიერ ქონების შექმნა (მაგალითად, საცურაო აუზის აშენება) ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, მუნიციპალური შესყიდვის გზით. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მიერ ქონების შექენას, ეს საკითხი არ არის სპეციალური კანონმდებლობით რეგულირებული. ამ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის ნორმა, რომლის მიხედვით „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უნყებები, დაწესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები“. მაგრამ, ამ შემთხვევაში, პრობლემას ქმნის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები. კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ქონების შექენი (გარდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევისა) შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, აგრეთვე სახელმწიფოს, სხვა სუბიექტის ან სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტის

მიერ ერთობლივად დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს ეროვნული ბანკი, ხოლო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირი მიყიდვისას – ასევე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება შესაძლებელია საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის სასყიდლით, ხოლო საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის და უსახლკაროდ დარჩენილი საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე – უსასყიდლოდ“. მართალია, 2012 წლის 25 მაისს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლს დაემატა 11 პუნქტი, რომლის თანახმად, „სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების შემძენი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, სახელმწიფო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი“, მაგრამ, ეს შემთხვევა ეხება მხოლოდ მოძრავ ქონებას. უძრავი ქონების მიმართ კანონი უცვლელი დარჩა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შემძენი არ შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტი. დაახლოებით ანალოგიურ შეზღუდვას შეიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 117-ე მუხლი, რომლის თანახმად „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია“. ამიტომ მუნიციპალიტეტი ვერც სხვა თვითმმართველი ერთეულის ქონების შემძენი იქნება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ქონება „სამოქალაქო კოდექსით“ დადგენილი წესით შეიძლება შეიძინოს მხოლოდ იმ კერძო სუბიექტისგან, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

#### 4. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება: „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით“. მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის წესი განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის XV თავით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანჯისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანჯისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 105-ე მუხლით განმარტებული

ლია ქონების მართვისა და განკარგვის მარეგულირებელ აქტებში გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორცაა:

- **განკარგვა** – მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა, მართვის უფლებით გადაცემა ან სახელმწიფოსთვის, ავტონომიური რესპუბლიკისთვის, შესაბამისი მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის, თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით საკუთრებაში/სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემა;
- **პრივატიზება** – მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური ან/და იურიდიული პირისთვის ამ კანონით განსაზღვრული ფორმითა და წესით საკუთრებაში გადაცემა;
- **სარგებლობის უფლებით გადაცემა** – მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემა კანონით დადგენილი წესით;
- **მართვის უფლებით გადაცემა** – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნივთებისა და აქციების ფიზიკური ან/და იურიდიული პირისთვის გადაცემა კანონით დადგენილი წესით;
- **განკარგვის სანყისი საფასური** – მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის ან მართვის უფლებით გადაცემის სანყისი საფასური.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სფეროში საკრებულო უფლებამოსილია გამგებლის/მერის წარდგინებით მიიღოს შემდეგი სახის გადანყვეტილებები, კერძოდ:

ა) დაამტკიცოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საქართველოს მთავრობის №669 დადგენილებით განსაზღვრული წესით გათვალისწინებულის გარდა, მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის, მათ შორის 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის დამატებითი წესები;

ბ) საქართველოს მთავრობის №669 დადგენილებით განსაზღვრული წესით განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი, მუნიციპალიტეტის ქონების სანყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის წესი;

გ) დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა;

დ) მიიღოს გადანყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში გამგებელი/მერი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ა) იღებს გადანყვეტილებებს აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;

ბ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და აღდგენას;



გ) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას;

დ) ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე;

ე) მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე.

გამგებელი/მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მასში განევრების შესახებ; მენარმე იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;

ბ) მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;

გ) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;

დ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების თაობაზე;

ე) პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების შესახებ, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;

ვ) მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ.

#### 4.1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ფორმები და წესი დადგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 118-ე მუხლით, რომლის თანახმად „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით“.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 119-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში და ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge). ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ვაჭრობა მიმდინარეობს ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge).

აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზანია საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი პირობებით გამოცხადდება – საკუთრების/სარგებლობის უფლების მინიჭება აუქციონში

მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი წარადგენს უფლებამოსილი ორგანოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას ან იხდის ბეს. ბეს გადახდას უთანაბრდება დაინტერესებული პირის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც აუქციონატორს გადაერიცხება აუქციონის მონაწილის აუქციონში გამარჯვებისთანავე ან კანონით დადგენილი აუქციონის წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონატორს (გამგებელს/მერს ან მისგან უფლებამოსილ პირს) წარუდგენს განაცხადს. განაცხადის წარდგენით განმცხადებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება აუქციონის წესსა და პირობებს. განაცხადში აღინიშნება ინფორმაცია აუქციონის მონაწილის შესახებ, მუნიციპალიტეტის ქონების დასახელება, ლოტის ნომერი, საფასური და სხვა ინფორმაცია.

აუქციონის შედეგები უქმდება, თუ აუქციონში გამარჯვებულმა:

- ა) კანონით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა საფასური;
- ბ) უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

ასეთ შემთხვევებში აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ანგარიშზე, ხოლო გადახდილი ბეს თანხა არ უბრუნდება აუქციონის მონაწილეს. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა აგრეთვე სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია ნორმატიული აქტით განსაზღვრული აუქციონის წესი ან/და პირობები.

თუ უფლებამოსილმა ორგანომ გააუქმა ქონების განკარგვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, გადახდილი ბეს თანხა უბრუნდება აუქციონის მონაწილეს.

თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი სანყისი საფასურით ან/და პირობებით, აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განმეორებით აუქციონად ჩაითვლება. განმეორებით აუქციონზე ქონების სანყისი საფასური შეიძლება 50 პროცენტამდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქონების განმკარგავი სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ.

#### **4.1.1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით**

ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნი-

ციპალიტეტის ქონების შეძენით დაინტერესებულ პირს, მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონულ აუქციონზე გატანის მიზნით, მოსთხოვოს მუნიციპალიტეტის ამ ქონების სანყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ის ოდენობის საგარანტიო თანხა (ელექტრონულ აუქციონში მონაწილედ დარეგისტრირების უზრუნველსაყოფად), რომლის წარდგენაც შეიძლება განხორციელდეს საბანკო გარანტიის ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ამ პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 10 დღით უნდა აღემატებოდეს ელექტრონული აუქციონის დასრულების ვადას.

მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) აუქციონატორის დასახელებას;  
ბ) საპრივატიზაციო ობიექტის დასახელებას;  
გ) ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დროს, რომელიც არ უნდა იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები და 30 კალენდარულ დღეზე მეტი;

დ) საპრივატიზაციო ობიექტის სანყის საპრივატიზებო საფასურს;  
ე) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობას, რომელიც უნდა შეადგენდეს საპრივატიზაციო ობიექტის სანყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ს და არა უმეტეს 80%-ს. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 15 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ვადას;

ვ) ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესს;  
ზ) ელექტრონული აუქციონის პირობებს (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში);

თ) ბიჯის სიდიდეს;  
ი) აუქციონატორის საკონტაქტო ინფორმაციას;  
კ) მუნიციპალიტეტის ქონებასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. აქციების ან წილების პრივატიზების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია დამატებით, უნდა შეიცავდეს ასევე შემდეგ მონაცემებს:

ა) იურიდიული პირის იურიდიულ მისამართს და საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობას;  
გ) ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებას;  
დ) აქციების ან წილების სანყის საპრივატიზებო საფასურს და წილს კაპიტალში;

ე) ამონაწერს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ელექტრონული აუქციონი ტარდება მისი გამოცხადების დღიდან აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, სავალდებულოა:  
ა) შესაბამის ვებგვერდზე დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები);  
ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება;

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, ინტერნეტბანკინგის, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით ბეს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად).

ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ლოტის პრივატიზებისთვის მონაწილე ელექტრონულ აუქციონში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უნდა წარადგინოს/გააქტიუროს (ელექტრონულად) ან ბე უნდა გადაიხადოს ყოველი მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტისათვის ცალ-ცალკე.

ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირი, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დაფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გაყიდულად ელექტრონული აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც, ონლაინ რეჟიმში, ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის, შეთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დანყებიდან) მის დასრულებამდე ნებისმიერ დროს, მონაწილეს შეუძლია, გადაიხადოს ბე ან წარადგინოს/გააქტიუროს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია. ბეს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად), განხორციელებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ გადახდა და წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად) შესაბამის სისტემაში აისახება ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე.

ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით, გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს ელექტრონული გზით ეცნობება მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების სრულად გადახდის თარიღი და პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქცი-

ონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულება.

#### **4.1.2. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება საჯარო აუქციონის ფორმით**

საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალური ქონების პრივატიზების მიზნით გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) აუქციონატორის დასახელებას;

ბ) საჯარო აუქციონის პირობებს (პირობებიანი საჯარო აუქციონის შემთხვევაში);

გ) საპრივატიზაციო ობიექტის დასახელებას;

დ) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრების და საჯარო აუქციონის ჩატარების თარიღს;

ე) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობას, რომელიც უნდა შეადგენდეს სანყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 10%-ს და არა უმეტეს 80%-ს და რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის შექმნილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ვადას; ბიჯის სიდიდეს (ბიჯის სიდიდეს მუნიციპალიტეტის ყოველი კონკრეტული ქონებისათვის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო) და საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო;

ვ) განაცხადის მიღების ადგილს (მისამართი) და საკონტაქტო ინფორმაციას;

ზ) მუნიციპალიტეტის ქონებასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტის ქონების შემქმნის უფლება აქვს, მიიღოს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტის შესახებ აუქციონატორის ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული, ნებისმიერი ინფორმაცია, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, წინასწარ გაეცნოს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტს.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით, ქმნის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, სააუქციონო კომისიის მდივანი და სააუქციონო კომისიის სხვა წევრები, და განსაზღვრავს კომისიის წევრების ფუნქციებს. აღნიშნული სააუქციონო კომისია აუქციონატორის სახელით ადგენს საჯარო აუქციონში გამარჯვებულის დამადასტურებელ ოქმს.

საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი განაცხადები არ მიიღება.

საჯარო აუქციონი ტარდება მისი გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღება მიმდინარეობს საჯარო აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით

და გამყიდველის მიერ დადგენილ საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო აუქციონის გამოცხადებიდან ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე ან დასვენების დღეს, განაცხადების მიღება გრძელდება და წყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. მონაწილე საჯარო აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება საჯარო აუქციონი, სააუქციონო კომისიის შესაბამის წევრს წარუდგენს საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის საჯარო აუქციონში მონაწილის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

საჯარო აუქციონს ატარებს სააუქციონო კომისიის შესაბამისი წევრი. მუნიციპალიტეტის თითოეულ საპრივატიზებო ქონებაზე ვაჭრობის დაწყებისას, სააუქციონო კომისიის შესაბამისი წევრი აცხადებს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტის დასახელებას, მის საწყის საპრივატიზებო საფასურს, ბიჯს (ბიჯის სიდიდეს მუნიციპალიტეტის ყოველი კონკრეტული ქონებისათვის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო). მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის სპეციალურ დაფას (რაც ნიშნავს საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატებას). სააუქციონო კომისიის შესაბამისი წევრი აფიქსირებს მას და სთხოვს მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ყველაზე მაღალი ფასის სამჯერ გამოცხადებისა და სააუქციონო კომისიის შესაბამისი წევრის მიერ ჩაქურჩის დარტყმის შემდეგ, მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გასხვისებულად იმ მონაწილეზე, რომელმაც სააუქციონო კომისიის შესაბამისი წევრს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

თუ საჯარო აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან საჯარო აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი საჯარო აუქციონის შესახებ და მონაწილეებს შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდებათ.

#### 4.2. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ინიციატორები შეიძლება იყვნენ:

- ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას;
- ბ) სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები, სხვა მუნიციპალიტეტები, საჯარო სამართლის იურიდიულ პირები (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და მუნიციპალიტეტის 100-პროცენტისანი ნილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას;
- გ) ფიზიკური ან იურიდიული პირები, კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება:

- ა) ვადით და სასყიდლით;
- ბ) უსასყიდლოდ, ვადით ან უვადოდ.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქ-

ციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით.

მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი/მერი, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გამგებელი/მერი გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თანხმობით.

პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლოთ ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით. ამ წესიდან გამონაკლისია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევა, როცა გამგებელი/მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადაცემის თაობაზე ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებისათვის, სხვა მუნიციპალიტეტებისათვის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისათვის (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირებისათვის, საწარმოებისათვის, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონებით მოსარგებლე, რომელსაც ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს და რომელიც ქონებას სამეწარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მესაკუთრის ან მისი წარმომადგენლის (რწმუნებულის) წერილობითი მოთხოვნის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადაიხადოს ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასური, სათანადო პერიოდში ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან ქონებით სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ფორმებით:

- აღნაგობა;
- უზუფრუქტი;
- ქირავნობა;
- იჯარა;
- თხოვება;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

მაგრამ კანონით არ არის დადგენილი რა კრიტერიუმებით უნდა აირჩეს ეს ფორმები. განსაკუთრებით პრობლემატურია ქონების პირდაპირი განკარგვის

წესი. არც კანონი და არც რაიმე კანონქვემდებარე აქტი არ მიუთითებს რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ქონების აუქციონის წესით გაცემა და რა შემთხვევაში შეიძლება პირდაპირი განკარგვის წესის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს ჯეროვნად ვერც საქართველოს მთავრობის N966 დადგენილება არეგულირებს. დადგენილების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით მხოლოდ მითითებული იყო, რომ „პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზანია მუნიციპალიტეტის ქონებაზე სარგებლობის უფლება გადაეცეს იმ პირს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი წესით განკარგვისას დადგენილ პირობებს (პირობებით, პირდაპირი განკარგვის წესით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას)“. ეს განსაზღვრა პრაქტიკულად არაფრის მომცემია, რადგან აუქციონის შემთხვევაშიც, ქონება გადაეცემა იმ პირს, „რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს ქონების გადაცემით დადგენილ პირობებს“. ამ საკითხის გადაწყვეტისას საჭირო იქნება საკრებულოს მიერ დამტკიცდეს „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის დამატებითი წესები“ (რის უფლებასაც იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საქართველოს მთავრობის №669 დადგენილების მე-4 მუხლი) და მუნიციპალიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს იმ სახის ქონება და გაცემის ვადა (ნაკლებობის და მცირე ვადით), რომელსაც გამგებელი/მერი სარგებლობის უფლებით გასცემს პირდაპირი განკარგვის წესით, ხოლო სხვა ქონება უნდა გაეცეს მხოლოდ აუქციონის ფორმით. აუქციონისა და პირდაპირი განკარგვის წესით თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ამგვარი გამიჯვნა საშუალებას მისცემს გამგებელს/მერს ეფექტურად გამოიყენოს როგორც აუქციონის ისე პირდაპირი განკარგვის წესით ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება.

## 5. მიწისა და ბუნებრივი რესურსების მართვა

მუნიციპალიტეტის ქონების მართვიდან ცალკე შეიძლება გამოიყოს მიწისა და ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება „ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით“.

ორგანული კანონის 107-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია:

- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ქუჩები, ხეივანები, სკვერები და ა.შ.), გარდა კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა. აგრეთვე ის მიწები, რომლებიც ექვემდებარება ამ კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;



- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე მიმაგრებული მიწა;

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს ნეგატიური ფორმით, რომ, მუნიციპალიტეტის საკუთრებად არ ითვლება შემდეგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა:

- ა) კერძო საკუთრებაში არსებული და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მათ შორის, საძოვრები;
- ბ) ის დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელზედაც ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით წარდგენილია სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების თაობაზე განცხადება, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
- დ) პირუტყვის გადასარეკი ტრასები;
- ე) 500 მეტრი სიგრძის სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა;
- ვ) სახელმწიფო ნაკრძალების, ბუნების ძეგლების, ეროვნული პარკებისა და აღკვეთილების მიწები;
- ზ) სახელმწიფო მნიშვნელობის ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლებისათვის განკუთვნილი მიწები;
- თ) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწა;
- ი) საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწები;
- კ) სახელმწიფო წყლის ფონდის მიწა.

ამ ჩანაწერიდან გამომდინარე ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ცხადდება მუნიციპალურ საკუთრებად. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ე.წ. დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ამ მიწის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 107-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ მუნიციპალიტეტს უფლება აქვს საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოს – საჯარო რეესტრს მიმართოს და თავის საკუთრებაში დაირეგისტრიროს ეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. თუმცა ეს „სახელმწიფოს არ ართმევს უფლებას, სახელმწიფო საკუთრებად დაარეგისტრიროს დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი“. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რეგისტრაციის გარეშეც ითვლება სახელმწიფო საკუთრებად. შესაბამისად, ამ ქონებაზე მუნიციპალიტეტმა საკუთრების უფლება შეიძლება მიიღოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის პროცედურებს. ამიტომ, კოდექსის 107-ე მუხლის მე-3 პუნქტს, თავისთავად სამართლებრივი შედეგების მოტანა არ შეუძლია. მით უმეტეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 162-ე მუხლი ამგვარად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადებს: „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

ტურის სამი- ნისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2017 წლის 1 იანვრამდე შეიმუშავებენ მუნიციპალიტეტებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის ვადების ამსახველ შესაბამის გრაფიკსა და წესს და მათ დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს მთავრობას“. ამ გრაფიკისა და წესების შემუშავების გარეშე კი მუნიციპალიტეტისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემა ვერ მოხდება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებულია მის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და წყლის რესურსები. ეს არის ერთ-ერთი პრობლემური საკითხი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 165-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობას ევალებოდა 2016 წლის 1 იანვრამდე მოემზადებინა და საქართველოს პარლამენტში წარედგინა კანონპროექტი ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და მიწის რესურსების, განსაზღვრის მიზნით. ეს ვადა, დღეისათვის უკვე დარღვეულია და საქართველოს პარლამენტში შეტანილია მხოლოდ კანონპროექტი ამ ვადის 2017 წლამდე გადაწევის შესახებ.

ტყის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არის მხოლოდ 2007 წლის 23 მაისის საქართველოს მთავრობის №105 დადგენილება „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის წესის შესახებ“, რომლის მიზანია:

- დაადგინოს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის განსაზღვრის სფეროში;
- დაადგინოს ადგილობრივი ტყის ფონდის განსაზღვრის წესი.

დადგენილების მე-3 პუნქტით განსაზღვრულია ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის ცნება. „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდი არის ტყის ფონდი, რომელიც საკუთრებაში გადაეცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოხმარების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“. დადგენილების მე-4 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის ფორმირება ხდება:

- ა) ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების ტერიტორიებზე;
- ბ) აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდის იმ მიწებით, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებს და მოქცეულია შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საზღვრებში.

დადგენილება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ითვალისწინებს სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც დაადგენს და აღწერს თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ტყის საზღვრებს. მოცემული ფორმა სრულიად მართებულია, თუმცა ეფექტურობა დაბალია, რადგან ამ დადგენილების მიღებიდან დღემდე ტყეების მხოლოდ მცირე ნაწილია გადაცემული თვითმმართველი ერთეულისათვის.

ამ დადგენილებამ პრაქტიკულად ძალა დაკარგა „სახელმწიფო ქონების

შესახებ“ კანონით, რადგან ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილია, რომ პრივატიზებას არ ექვემდებარება „სახელმწიფო ტყის ფონდი, გარდა დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეებისა“. ამდენად, ის ტყეები, რომლებიც დადგენილების თანახმად, შეიძლებოდა გადასცემოდა მუნიციპალიტეტებს, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მიხედვით დაექვემდებარა პრივატიზებას. კანონის მე-14 მუხლის მიხედვით „პრივატიზებას ექვემდებარება დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეები“. კანონის მე-15 მუხლით დადგენილია ამ ტყეების პრივატიზების წესი:

- „1. დასახლების ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის მიწის ნაკვეთის პრივატიზება ხორციელდება საჯარო აუქციონის ფორმით. თუ საჯარო აუქციონით არ გამოვლინდა გამარჯვებული, საჯარო აუქციონი ხელმეორედ ტარდება. პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება;
2. საჯარო აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბის, ქალაქის), დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში საკომლო წიგნში აღრიცხულ ან/და პირადობის მონაწილის შესაბამისად რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოს მოქალაქეთა (პირთა) ჯგუფს;
3. დასახლების ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის მიწის ნაკვეთის პრივატიზების პირობაა:
  - ა) ტყის მიწის ნაკვეთის დანიშნულებით გამოყენება;
  - ბ) ტყის მიწის ნაკვეთში არსებული, საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილი ერთეული ნიშუშების დაცვა;
  - გ) სხვა პირთა მიერ ტყის მიწის ნაკვეთში არსებული ტყის ნობათით (კენკროვან და სხვა მცენარეთა ნაყოფი), არამერქნული რესურსითა და საერთო წყალთარგებლობის ობიექტებით (მდინარე, ხევი, ნაკადული, რუ და სხვა) სარგებლობის, ასევე ნადირობის არ შეზღუდვა.
4. შემძენის მიერ ტყის მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლება ენიჭება ადმინისტრაციული ერთეულის – დასახლების (სოფლის, დაბის, ქალაქის), დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში საკომლო წიგნში აღრიცხულ ან/და პირადობის მონაწილის შესაბამისად რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს“.

კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, „საჯარო აუქციონზე გასაყიდი დასახლების ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის მიწის ნაკვეთის ყოველი 1 ჰექტარის საწყისი საპრივატიზებო თანხაა 200 ლარი. დასახლების ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზებიდან შემოსული საპრივატიზებო შემოსულობა ირიცხება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში“.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის შესაბამისად 2010 წლის 15 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1980 „დასახლების ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. დებულების მიზანია განსაზღვროს დასახლების ტერიტორიულ საზღვრებში არსებულ ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეების საჯარო

აუქციონის ფორმით პრივატიზების წესები და პირობები. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის შესაბამისად პრივატიზებას საჯარო აუქციონის ფორმით ანხორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

რაც შეეხება წყლის რესურსებს, დღეისათვის წყალსარგებლობის საკითხის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია კანონი „წყლის შესახებ“. ამ კანონის მე-9 მუხლით წყლის სახელმწიფო ფონდი დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად:

- ა) განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის;
- ბ) სახელმწიფო მნიშვნელობის;
- გ) ადგილობრივი მნიშვნელობის.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის წყალი, თავად ამ კანონითვეა გამიჯნული. კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის წყალს განეკუთვნება წყლის სახელმწიფო ფონდის ყველა ის ობიექტი, რომელიც არ წარმოადგენს განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის და სახელმწიფო მნიშვნელობის წყალს. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად 1998 წლის 7 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №61 ბრძანებით დამტკიცებულია „განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხა“. ამდენად, ზედაპირული წყლის ყველა ის ობიექტი, რომელიც არ არის შეტანილი დამტკიცებულ ნუსხაში, წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის წყალს, რომლის მართვის საკმაოდ ფართო კომპეტენცია „წყლის შესახებ“ კანონით აქვს თვითმმართველობას. კერძოდ, „წყლის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის მიმართ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობა;
- ბ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი;
- გ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის აღრიცხვა და მისი გამოყენების რეგისტრირება;
- დ) ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ფონდის განკარგვა და მინისტრის განკარგვის საექსპლუატაციოდ მინის მინაკუთვნის გამოყოფა წყლის გამოყენებისა და დაცვის დამტკიცებული პროგრამების ფარგლებში;
- ე) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ცალკეულ ობიექტებზე, მათ შორის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში, წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა;
- ვ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ბუნებრივი კატასტროფით დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტების აღდგენის სამუშაოთა დაფინანსება;
- ზ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე წყლის გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა მათი კომპეტენციის

ფარგლებში.

გარდა ამ ჩამონათვალისა, „წყლის შესახებ“ კანონი მუნიციპალიტეტს აკისრებს მთელ რიგ უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს, ასევე განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკმაოდ მნიშვნელოვან როლს წყალსარგებლობის, წყლის დაცვისა და მართვის საკითხებში. კერძოდ, კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ წიაღისეულის ძიებისა და შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოების, მინის-ქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გაიხსნა მინის-ქვეშა წყლის შემცველი ჰორიზონტი, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია, დადგენილი წესით დროულად მიიღოს ზომები მინისქვეშა წყლის დასაცავად და დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ სამინისტროს და შესაბამის თვითმმართველ ერთეულს“. კანონის 22-ე და 23-ე მუხლების მე-4 პუნქტებით დადგენილია თვითმმართველობის როლი წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში მინისა და ტყით სარგებლობის სფეროში. „წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში მინის გამოყენებას აკონტროლებენ სამინისტრო და თვითმმართველი ერთეულები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში“ (22-ე მუხლი). 23-ე მუხლი კი გვამცნობს, რომ „წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში ტყით სარგებლობას აკონტროლებენ სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულებები და თვითმმართველი ერთეულები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ისინი უფლებამოსილი არიან, შეაჩერონ ან აკრძალონ ტყით სარგებლობა, თუ ეს უარყოფითად მოქმედებს წყლის მდგომარეობაზე“. კანონის 25-ე მუხლი ავალეებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც ახორციელებენ წყლის ობიექტებით სარგებლობას, „სამინისტროსთან და თვითმმართველ ერთეულებთან მეთანხმებით ან მათი მითითებით გაატარონ წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებები“. მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „საერთო წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, თევზის დასაცავად და სხვა თვალსაზრისით. ამ მიზნით სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის წარდგინებით განსაზღვრავს ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა, ნავით სეირნობა, წყლის სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის აღება, პირუტყვის დარწყობა, თევზჭერა და სხვა საქმიანობა“. 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი აძლევს თვითმმართველ ერთეულს უფლებას განსაზღვროს ის ადგილები, სადაც შესაძლებელია „მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტის გამოყენება“; 55-ე მუხლი წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ მიზნად ასახელებს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციების განსაზღვრას წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების რეგულირების სფეროში; ხოლო 74-ე მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ „საქართველოში წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მართვას ახორციელებს სამინისტრო, აგრეთვე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები და თვითმმართველი ერთეულები“. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგილობრივი წყლის რესურსების მართვას განიხილავს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად, თითქოს პრობლემა არ უნდა არსებობდეს და მუნიციპალიტეტს უნდა ეკისროდეს ერთ-ერთი წამყვანი როლი წყლის მართვის საკითხებში. თუმცა, სამწუხაროდ, მდგომარეობა სრულიად საწინააღმდეგოა და თვითმმართველობას არავითარი გავლენა წყლის რესურსების მართვაზე არ გააჩნია.

„წყლის შესახებ“ კანონით თავდაპირველად განსაზღვრული დეცენტრალიზებული მიდგომა მალევე შეიცვალა მართვის ცენტრალიზებული წესით, რომლის გამოხატულებაც იყო საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №137 დადგენილება „ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში წყალჩაშვების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღსანიშნავია, რომ ამ დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს „წყლის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, რომელიც შეცვლიდა არსებულ მიდგომას: „დებულების მიზანია „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების შეტანამდე ამ სფეროში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში წყალჩაშვების ნებართვების გაცემის წესის და პირობების დადგენა“. ამდენად, დადგენილება საკანონმდებლო საფუძვლად იყენებდა კანონს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „წყლის შესახებ“ კანონისგან განსხვავებით ადგენდა წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესს. დებულების თანახმად, წყალსარგებლობაზე (მიუხედავად იმისა ეს ობიექტი სახელმწიფო მნიშვნელობისაა თუ ადგილობრივი მნიშვნელობის) ნებართვას გასცემდა მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რომელსაც ევალებოდა კონტროლი ნებართვით დადგენილი პირობების შესრულებაზე. 2007 წ. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით საერთოდ ამოღებული იქნა ზედაპირულ წყლებში წყალაღებისა და წყალჩაშვებაზე ნებართვა. 2013 წ. „წყლის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით ამოღებული იქნა წყალსარგებლობის ის მუხლები, რომლებიც ადგენდნენ წყალსარგებლობის უფლების მიღების საკითხებს, ამავდროულად, კანონის მე-10 მუხლიდან ამოღებული იქნა წყალთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ისეთი უფლებამოსილებები, როგორცაა: წყლის უნებართვო გამოყენების და წყლის ობიექტებზე თვითნებური სამეურნეო საქმიანობის აღკვეთა; წყლის სახელმწიფო აღრიცხვა, მისი გამოყენების რეგისტრირება და წყლის სახელმწიფო კადასტრის წარმოება; სახელმწიფო წყლის მარაგის, წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების, წყალსამეურნეო ბალანსის შემუშავება და დამტკიცება; წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზიის გაცემა. ერთად-ერთი კანონი, რომელიც ითვალისწინებს წყლის რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირებას, არის კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობას. მაგრამ, აქაც წინააღმდეგობაა, რადგან ამ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მოსაკრებლის გადამხდელია პირი, „რომლის საქმიანობა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ლიცენზირებას“. „ლიცენზიებისა და

ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მხოლოდ წყალ-მომარაგების ლიცენზიას (მე-6 მუხლის 87-ე პუნქტი) და მინერალური წყლების მოპოვების ლიცენზიას (მუხლი 171). 2006-2007 წწ. კანონებიდან ამოღებული იქნა ზედაპირული წყლის რესურსებიდან წყალამოღებისა და წყალჩაშვების ლიცენზიები და ნებართვები.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია ადგილობრივი მნიშვნელობის წყალი და კანონით თვითმმართველობას საკმაოდ ფართო უფლებამოსილება აქვს, საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო თვითმმართველობა პრაქტიკულად ვერ ახორციელებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

დღეისათვის უკვე მუშავდება ახალი კანონი - წყლის კოდექსი, რომელიც იმედია, აღმოფხვრის ამ პრობლემას.

## თავი II. მუნიციპალური შესყიდვა

### 1. მუნიციპალური შესყიდვის ცნება

მუნიციპალური შესყიდვა არის მუნიციპალური მომსახურების და, საერთოდ, მმართველობითი პროცესის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმი. როგორც მმართველობითი პროცესის უზრუნველყოფის, ასევე მუნიციპალური მომსახურების უმეტესი ნაწილი სწორედ ადგილობრივი შესყიდვის გზით ხორციელდება. ადგილობრივი შესყიდვა არის ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით მუნიციპალიტეტის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-19 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთ მექანიზმად მითითებულია ადგილობრივი შესყიდვების განხორციელება, რაც შედის თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებაში. კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი შეიმუშავებს და ამტკიცებს შესყიდვების გეგმას და „არაუგვიანეს თებერვლისა საკრებულოს უგზავნის შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს; ახორციელებს შესყიდვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ადგილობრივი შესყიდვები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ეს კანონი, სამწუხაროდ, ცნების დონეზეც კი არ მიწნავს ერთმანეთისაგან ადგილობრივ და სახელმწიფო შესყიდვებს. კანონი ადგილობრივ შესყიდვასაც სახელმწიფო შესყიდვად განიხილავს და არ არის გათვალისწინებული თვითმმართველობის სპეციფიკა შესყიდვების განხორციელების პროცესში.

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონის ძირითადი მიზნებია შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის, შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა.

კანონით დადგენილი შესყიდვების წესები ვრცელდება ყველა სახის ადგილობრივ შესყიდვაზე გარდა:

- წყალმომარაგების შესყიდვისა (კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი);

- საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისა, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვისა, ხოლო 2017 წლიდან საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისა, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვისა (კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი);
- უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებისა (კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი);
- შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებისა (კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი);
- სოციალური რეკლამის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, ვებგვერდითა და სოციალური ქსელით, გავრცელებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა (კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „ლ1“ ქვეპუნქტი);
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვისა (კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი);
- და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისა (კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი).

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად, შესყიდვების წესების გამოყენება სავალდებულოა ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვისას, რომელიც ხორციელდება როგორც თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციების სახსრებით და იმ სანარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს მუნიციპალიტეტი.

საბიუჯეტო ორგანიზაციას „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-6 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მისი მართვისთვის, რომელიც გეგმავს საკუთარი ბიუჯეტის პროექტს ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

იმ სამენარმეო სუბიექტების მიმართ, რომლის აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, კანონში არის მეტად საყურადღებო ჩანაწერი, რომ „შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი წესები შესყიდვის განსახორციელებლად სავალდებულოა ამ სუბიექტებისათვის, „გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სანარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკის გამო საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება



აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავენ და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს ამ კანონის შესაბამისად“ (მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტი).

## 2. შესყიდვის სახეები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვის შემდეგი საშუალებები:

- გამარტივებული შესყიდვა;
- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- ელექტრონული ტენდერი;
- კონკურსი.

**2.1. გამარტივებული შესყიდვა არის** შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში. „შესყიდვების შესახებ“ კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გამარტივებული შესყიდვა აგრეთვე, გამოიყენება თუ:

- ა) საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს შესყიდვის ობიექტის მიზანშეწონილი ალტერნატივა. ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც:
  - შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურება;
  - შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურება;
- ბ) არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში, შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს; გადაუდებელ აუცილებლობად „შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიიჩნევა „ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება გადაწყვიტოს წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას“;

- გ) შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილებით, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების, ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;
- დ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელება დადგინდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ან/და ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სხვა სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში – ასევე ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების სამართლებრივი აქტებით, ხოლო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შეუფერხებლად ჩატარების საჭიროების შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს სამართლებრივი აქტით;
- ე) ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით, ან/და ელექტროდანადგარით ჩანაცვლება; ასეთ შემთხვევაში, ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ან/და ელექტროდანადგარის ღირებულების ნაწილი ანაზღაურდება ჩასანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ან/და ელექტროდანადგარის მიმწოდებლისათვის დაბრუნებით ან სხვა ფიზიკური, ან იურიდიული პირისათვის გადაცემით, რომელიც ახდენს მსგავსი პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციას;
- ვ) ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;
- ზ) სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელის გადახდის გზით;
- თ) ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების, ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების, ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში

დადგინდეს 200 000 ლარის ან 200 000 ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვის განხორციელება.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილებით, გამარტივებული შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონულად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის ან ელექტრონული ტენდერისათვის დადგენილი პროცედურების გამოყენებით, ხოლო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი – ელექტრონული ტენდერისათვის დადგენილი პროცედურების გამოყენებით.

**2.2. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი არის 200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის გათვალისწინებულ პროცედურებს. სატენდერო კომისია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2 სამუშაო დღისა. თუ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, სატენდერო წინადადებების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.**

**2.3. ელექტრონული ტენდერი არის 200 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის გათვალისწინებულ პროცედურებს.**

**2.4. კონკურსი არის, საპროექტო მომსახურების ან შენობა-ნაგებობის დემონტაჟის, ან/და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ტერიტორიის მასალები-სა და ნარჩენებისაგან განთავისუფლების სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, რომელიც გამოიყენება შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილებით.**

შესყიდვის საშუალებებს შორის განსხვავება სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებითა და მონეტარული ზღვრით არის გამოიწვეული. შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისათვის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ამჟამად იყენებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ კლასიფიკატორს. ევროკავშირის EC №213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი CPV (Common Procurement Vocabulary), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას.

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერსა და ელექტრონულ ტენდერს შორის განსხვავებას, გარდა მონეტარული ზღვრებისა, წარმოადგენს მათი ჩატარებისა და განხორციელების ვადები. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების მინიმალურად აუცილებელი დრო ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებიდან არის 3 დღე, ხოლო ელექტრონულისათვის – 20 დღე. რაც შეეხება კონკურსს, შესყიდვის ამ საშუალების გამოყენება მხოლოდ საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესასყიდად არის შესაძლებელი. ამ შემთხვე-

ვაში, შემსყიდველმა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სხვა ფაქტორების მიხედვით და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოსავლენად შესაძლოა ფასი არ იყოს გადამწყვეტი ფაქტორი.

### 3. შემსყიდველი ორბანიზაციის უფლება-მოვალეობები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლით შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

- კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება;
- კანონით დადგენილი წესით მოახდინოს პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია;
- გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში, ხელშეკრულების დადებამდე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო, ან/და საზოგადოებრივი ინტერესების გამო;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- რაციონალურად და თვითმმართველი ერთეულის ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში;
- სააგენტოს წარუდგინოს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშები;
- საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განწესთანავე აუნაზღაუროს მიმწოდებლებს საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების ღირებულება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### 4. შესყიდვის დაბეგმვა

შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის, შესყიდვის პროცესის საჯაროობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა შესყიდვის დაბეგმვა. შესყიდვების დაბეგმვის საფუძველი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები და პროგრამები. „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, „შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად, რომლის ფორმა და შედგენის წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით“. ასეთი ნორმატიული აქტია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2 „შემსყიდ-

ველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“. ამ წესის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა. ეს წესი გამოიყენება გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევებში.

„შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად, მრავალწლიანი შესყიდვის განხორციელების საკითხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ან/და შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს თანხმობის მიღების შემდეგ შეტყობინების სახით უნდა ეცნობოს სააგენტოს. მრავალწლიანი შესყიდვა ყოველწლიურად უნდა აისახოს შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესყიდვების გეგმაში. კანონის თანახმად, შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად, თუ იგი ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წელს განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, ხოლო მიწოდება ხორციელდება მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

შესყიდვის დაგეგმვისას არ უნდა მოხდეს შესყიდვის ხელოვნური დაყოფა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის თანახმად, შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა მიიჩნევა ისეთ ქმედებად, რომლის მიზანია „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთი დაფინანსების წყაროდან შესყიდვის ხელოვნურად შემცირებული რაოდენობით, ან/და მოცულობით განხორციელება ან სხვა ქმედება, რომლის მიზანია ამ კანონით და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მონეტარული ზღვრებისა და სხვა მოთხოვნებისათვის თავის არიდება“. კანონით აკრძალულია შესყიდვის საშუალებების ხელოვნური დაყოფა მონეტარული ზღვრებისთვის თავის არიდების მიზნით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამონვეულია გეოგრაფიული ფაქტორით, ან/და გამართლებულია სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით;
- შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამონვეულია ობიექტური პირობებით, რომლებსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ ვერ გაითვალისწინებდა.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი აღარ ითვალისწინებს შესყიდვების გეგმის დამტკიცებას. კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, მხოლოდ მიუთითებს, რომ „მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი წარუდგენს სააგენტოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის/წლებისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება“. ამიტომ ცვლილება იქნა შეტანილი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსშიც და შესყიდვების გეგმას აღარ ამტკიცებს საკრებულო. ეს გეგმა განისაზღვრება უშუალოდ გამგებლის/მერის მიერ,

ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ის მოთხოვნა, რომ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა;
- შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება;
- მსგავსი შესყიდვის განხორციელების გამოცდილება;
- შესყიდვის ობიექტის განსაზღვრა (საქონელი, სამუშაო, მომსახურება), მათი ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორცაა ხარისხი, ფუნქციონირება, უსაფრთხოება, ზომები, შეფუთვა, ნიშანდება და მარკირება, წარმოების მეთოდები და პროცესები, სიმბოლოები, ტერმინოლოგია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილი შესაბამისობის მოთხოვნები და ა.შ.), ასევე მიწოდების ვადები და ადგილი;
- პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები;
- შესყიდვის ობიექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შესყიდვაზედაც თანახმაა შემსყიდველი ორგანიზაცია;
- შესყიდვის საშუალების შერჩევის საფუძველი, შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადები;
- მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასანევი მომსახურების მოცულობა არსებული მარაგების გათვალისწინებით;
- შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება;
- შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ან წინა წელს დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლისათვის;
- დასადები ხელშეკრულების შესრულების სავარაუდო ვადები.

## 5. შესყიდვების ორგანიზება

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად, ელექტრონულ ტენდერს ატარებს სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის გამგებელი/მერი. სატენდერო კომისიის წევრებად, როგორც წესი, ინიშნებიან გამგებელი/მერი ან/და მისი მოადგილეები, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის/მერიის სხვა თანამშრომლებიც. მართალია, კანონი არ კრძალავს, მაგრამ არ არის გამართლებული სატენდერო კომისიაში საკრებულოს წევრის შეყვანა, რადგან საკრებულო არის ის ორგანო, რომელმაც ზედამხედველობა უნდა გაუწიოს აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობას, მათ შორის შესყიდვების განხორციელებას. ამიტომ კომისიაში საკრებულოს წევრის შეყვანა წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. გარდა გამგეობის/მერიის თანამშრომლებისა, კომისიის გადანყვეტილებით კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები. სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობს გამგებელი/მერი ან მის მიერ დანიშნული პირი.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, სატენდერო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა. სატენდერო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის გარდა, შესყიდვის ჩატარების სამართლებრივ ბაზას ქმნის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კანონქვემდებარე აქტები. ამ აქტებით განისაზღვრება შესყიდვების ჩატარების დეტალური წესები, შესყიდვის პროცედურები და ფორმები. ესენია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები, კერძოდ:

- 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“. ამ წესის მიზანია შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორის გამოყენებით, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული შესყიდვის შემთხვევებში;
- 2015 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №11 „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“. ეს წესი განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს. ეს წესი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურების დროს წარმოშობილ დავებზე. ასეთი დავების განხილვის მიზანია მათი სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით;
- 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“. ამ წესის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების და საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა. წესი გამოიყენება გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევებში;
- 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. ამ წესის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების და საქმიანობის რეგლამენტაცია, კოორდინაცია და მონიტორინგი;
- 2011 წლის 23 ივნისის ბრძანება №15 „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და

გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“. ეს წესი ადგენს საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებსა და გადახდის ფორმებს;

- 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №24 „ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. ეს წესი განსაზღვრავს ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს. ორეტაპიანი ტენდერი მოიცავს ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე ხდება მიმწოდებლის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებთან, რის შემდეგაც ხორციელდება შესყიდვის ობიექტის ხარისხის შეფასება. მეორე ეტაპი მოიცავს ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებს;
- 2015 წლის 27 თებერვლის ბრძანება №1 „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს;
- 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №7 „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. რომლის მიზანია საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრა, კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების და საქმიანობის მონესრიგება, კოორდინაცია და მონიტორინგი;
- 2015 წლის 21 მაისის ბრძანება №5 „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა რეგისტრაციის, მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების რეგისტრაციის (დამატების), რეგისტრირებული მომხმარებლის მონაცემებში ცვლილებების შეტანის, რეგისტრირებული მომხმარებლის დეაქტივაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
- 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადანყვეტილების მიღების საფუძვლებსა და კრიტერიუმებს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადანყვეტილების მიღებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმების წესს, აგრეთვე გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
- 2015 წლის 25 დეკემბრის ბრძანება №27 „სახელმწიფო შესყიდვის ხე-



ლოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიზანია, განსაზღვროს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის (შემდგომში – ხელოვნურად დაყოფა) გამოვლენის მეთოდოლოგია, წესი და პირობები.

ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამ, როგორც თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებაზე მყოფ (შემსყიდველ) ორგანიზაციებს, ისე მიმწოდებლებს საკმაოდ გაუმარტივა შესყიდვების განხორციელება. ელექტრონული სისტემით ვაჭრობისას, მინიმუმ 2 მიმწოდებლის არსებობის შემთხვევაშიც კი, საბოლოო ფასი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საკმაოდ იაფდება და შესაბამისად იზრდება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დაზოგილი საჯარო ფინანსები. ამასთან, სისტემა საკმაოდ ეფექტურია შემსყიდველი ორგანიზაციის დროის და ადამიანური რესურსის დაზოგვისა და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. აღნიშნული სისტემის პირობებში პრაქტიკულად გამორიცხულია შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის წევრების მხრიდან მიკერძოებული შეფასების შესაძლებლობა.

თუმცა, აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ფასის კრიტერიუმის გამოყენება გარკვეულწილად საფრთხის შემცველია, კერძოდ, არსებობს ხარისხის გაუარესების რისკი. გარდა ამისა, რეგიონებში პრობლემას ქმნის მიმწოდებელთა ნაკლები აქტივობა. ნებისმიერი ტენდერი შედეგიანია, თუ არსებობს კონკურენტული გარემო, ანუ თუ ტენდერში ორი მონაწილე მაინც არის. ცენტრიდან დაშორებულ მუნიციპალიტეტებში ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. არის შემთხვევები, როცა ტენდერში არავინ იღებს მონაწილეობას, ხოლო მისი გამოცხადება თვითმმართველი ერთეულის მიერ გარკვეული ხარჯების განევას გულისხმობს.

დამატებით სირთულეს ქმნის ის გარემოებაც, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა შეუსაბამოს საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს. მიუხედავად კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერისა, მუნიციპალიტეტებს დღემდე არ მიუწვდებათ ხელი ამ სტანდარტებზე. ამიტომ, ხშირია შემთხვევები, როცა ცხადდება ელექტრონული ტენდერი, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილი მოკლებულია კონკრეტულ მასში არ არის დეტალურად მოცემული და მითითებული ის ინსტრუქციები, თუ სტანდარტები, რომლის გათვალისწინების ვალდებულება უნდა ჰქონდეს მომსახურების მიმწოდებელ სუბიექტს. შედეგად, მიწოდებული მომსახურება შეიძლება აღმოჩნდეს უხარისხო, ხოლო მუნიციპალიტეტს არ ექნება სამართლებრივი ბერკეტი, რომ მომსახურების მიმწოდებელს რაიმე ფორმით მოსთხოვოს წარმოქმნილი პრობლემის აღმოფხვრა.

### თავი III. თვითმმართველი ერთეულის გიუჯეტი და ფინანსური რესურსები

საქართველოს კანონმდებლობაში „ბიუჯეტი“ თავდაპირველად განიმარტებოდა როგორც „საქართველოს რესპუბლიკის ფულადი სახსრების მობილიზაციისა და მისი გამოყენების ძირითადი ფინანსური გეგმა“ (საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“ 1993 წ.). დაახლოებით ანალოგიურად განმარტავდა ბიუჯეტს 1996 წ. „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად „ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითადი გეგმა“. 2003 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, რომელშიც მოცემული იყო ბიუჯეტის ახლებური განმარტება. ამ კანონის თანახმად, ბიუჯეტი განიმარტებოდა, როგორც „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ“. 2009 წ. „საბიუჯეტო კოდექსის“ მიღებით, მცირეოდენი კორექტივი შევიდა „ბიუჯეტის“ ტერმინის განმარტებაში, რომლის თანახმად, ბიუჯეტი არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ“. ამავე კოდექსით განმარტებული იქნა ტერმინი „ნაშთის ცვლილება“, რომლის თანახმად, ნაშთის ცვლილება არის „შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება“. საბიუჯეტო კოდექსით და საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ასევე განმარტებულია საბიუჯეტო შემოსულობები და საბიუჯეტო გადასახდელები, რომლებიც ფინანსებთან ერთად ეხება არაფინანსური აქტივების კლებასა და გაზრდას. ამგვარი განმარტებით, ბიუჯეტი არ შემოიზღუდება მხოლოდ საფინანსო გეგმით. საბიუჯეტო კოდექსით, ბიუჯეტი მოცემულია უფრო ფართო გაგებით და იგი ხდება როგორც ფინანსური, ასევე, გარკვეულწილად, ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტიც.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად, „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა“. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანალოგიური განმარტებაა მოცემული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით. ამ განმარტების თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მოიცავს: შემოსულობებს, გადასახდელებს, ნაშთის ცვლილებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 92-ე და საბიუჯეტო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებია

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- შემოსავლები;
- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
- ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

საბიუჯეტო კოდექსის მე-11 მუხლით ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- ხარჯები;
- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
- ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

ნაშთის ცვლილების ტერმინის განმარტება მოცემულია საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „შ“ ქვეპუნქტით. ნაშთის ცვლილება არის შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის საბიუჯეტო წლის მანძილზე გათვალისწინებული შემოსულობების, გასანევი ხარჯებისა და ფულადი სახსრების გამოყენების ან დაგროვების ერთობლიობა, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მიერ მისი ფუნქციების შესრულებისა და მმართველობითი საქმიანობის საფინანსო უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთიან სისტემაში მოქცევა არ ნიშნავს ბიუჯეტების ვერტიკალურ ქვემდებარეობას. საბიუჯეტო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის, ისე – სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან. თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების განევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში, დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით. საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

ერთიანი საბიუჯეტო სისტემა ნიშნავს საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობას. ყველა დონის საბიუჯეტო ურთიერთობები რეგულირდე-

ბა ერთიანი სამართლებრივი აქტებით (ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაცია, სტანდარტული სააღრიცხვო პროცედურები და ა.შ.) და ყოველი მათგანისათვის სავალდებულოა შემდეგი პრინციპების დაცვა:

- **ყოვლისმომცველობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;
- **გამჭვირვალობა** – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;
- **ანგარიშვალდებულება** – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;
- **დამოუკიდებლობა** – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რასაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- **ერთიანობა** – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;
- **უნივერსალობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება საკუთარი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- **კონსოლიდირება** – ყველა დონის ბიუჯეტის შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში, ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

## თავი IV. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

### 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის სახეები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 92-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის შემოსულობები იყოფა ორ ნაწილად: საკუთარ და არასაკუთარ შემოსულობებად.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება:

- ადგილობრივი გადასახადები;
- ადგილობრივი მოსაკრებლები;
- გათანაბრებითი ტრანსფერი;
- „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ დანართით დადგენილი შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის შემოსულობები განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლებით;
- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება:

- მიზნობრივი ტრანსფერები;
- სპეციალური ტრანსფერი;
- კაპიტალური ტრანსფერი;
- სესხი;
- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 92-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკუთარ შემოსულობებს მუნიციპალიტეტი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განკარგავს დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებებისამებრ.

### 2. საკუთარი შემოსულობები

#### 2.1. ადგილობრივი გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად ადგილობრივი გადასახადია ქონების გადასახადი. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ადგილობრივი გადასახადი არის „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში“.

ადგილობრივი გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების ან გაუქმების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული განაკვეთების ფარგლებში მათი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე წინადადებას ამზადებს გამგებელი/მერი. მომზადებული პროექტი გამგებლის (მერის) მიერ წარედგინება საკრებულოს დასამტკიცებლად.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 202-ე მუხლი ადგენს ქონების (გარდა მიწის) გადასახადის წლიურ განაკვეთს:

- 1) იურიდიული პირებისათვის იგი შეადგენს დასაბეგრი ქონების ღირებულების არაუმეტეს 1%-ს;
- 2) ფიზიკური პირებისათვის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:
  - 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არაუმეტეს 0.2 პროცენტისა;
  - 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არაუმეტეს 1 პროცენტისა.

სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლით.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარში:

ა) სახნავისათვის (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბალე, საბოსტნე), საკარმიდამო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის:

	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჭა)
ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	სახნავი და საკარმიდამო
1. თბილისი (გარდა თბილისის დასახლებებისა (სოფლებისა), მარნეული	100
2. ზოლნისი, გარდაბანი, თბილისის დასახლებები (სოფლები): წავკისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი, სამადლო, კიკეთი, ნასაგურალი, ახალდაბა, დიდი ლილო, ვარკეთილი	95
3. რუსთავი, ბათუმი, გაგრა, გალი, გუდაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი	94
4. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	87
5. თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	86
6. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი, თიღვი, თბილისის დასახლებები (სოფლები): დილომი, მშრალხევი, დაბა ზაჰესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვემისი, აგარაკი, თხინვალი, სოფელ გლდანთან ავჭალის დასახლებამდე – საბაღე ნაკვეთები, გიორგიწმინდა – საბაღე ნაკვეთები, მუხიანის მიმდებარე საბაღე ნაკვეთები, ხევძმარის მიმდებარე „ავშიანის“ დასახლება, ლოტკინის დასახლება – სანერგე მეურნეობა, გრესის მიმდებარე დასახლება, თბილისის ზღვის არსებული დასახლება	82
7. კასპი, თეთრი წყარო, სამტრედია	81
8. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	79
9. ქურთა, წალკა	77
10. აბაშა, ზუგდიდი	77
11. ახალქალაქი, ახალციხე	77
12. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	76
13. ნინოწმინდა	76
14. ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	73
15. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	71
16. წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხორწყუ	67
17. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	65
18. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	61
19. ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქედა	60
20. შუაბევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, სტეფანწმინდა, ჯავა	56

ბ) სათიბებისა და საძოვრებისათვის (ბუნებრივი და გაკულტურებული), მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწები-სათვის:

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
	სათიბები	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულრიფში, გურჯაანი, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრი წყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	20	16
2. დედოფლისწყარო	20	7
3. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბადდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	19	15
4. ამბროლაური, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	16	10
5. ახმეტა	16	5

საკრებულოს გადანიშნულებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:

ა) გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით;

ბ) საკრებულოს გადანიშნულებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმით გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არაუმეტეს 3 ლარით.

ქონების გადასახადისაგან განთავისუფლების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად შესაბამისი დაბეგრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

1. ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს;

2. მიმოსვლის გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები;

3. ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემული



ქონება, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

4. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული ქონება;

5. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მიწისა;

6. ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;

7. ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით, სასაფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკეანარიუმებით, სკვერებით, ხეივანებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია საუნწყებო პარკებით, ბაღებითა და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

8. ქალაქის წყალსაცავები და მათი აკვატორიები; ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, თუ ისინი არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

9. სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

10. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

11. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის, გვალვის, წყალდიდობის, მენყრის და სხვა) შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

12. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ტერიტორიებზე არსებული ქონება – დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მონესრიგებამდე;

13. პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც მდებარეობს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების მიმდებარედ, რის გამოც პირი ვერ სარგებლობს მოცემული მიწის ნაკვეთით, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

14. პირის მფლობელობაში/საკუთრებაში არსებული ქონება და მასზე დამატებული მიწა, თუ იგი ამ ქონებით ვერ სარგებლობს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ საცხოვრებლად გამოყენების გამო და ეს ქონება რეგისტრირებულია, როგორც დევნილთა კომპაქტურად (ორგანიზებულად) განსახლების ობიექტი, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებუ-

ლი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით;

15. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

16. ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

17. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

18. ნასოფლარის ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები ამ ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში;

19. 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. (ეს შეღავათი ვრცელდება კომლის წევრის ან პირველი/მეორე რიგის მემკვიდრის მიერ აღნიშნული ქონების ჩუქებით/მემკვიდრეობით მიღების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წევრებისაგან (მეპაიეებისაგან) ამ ქონების შენატანის (პაის) სახით მიღების შემთხვევებშიც);

20. 2015 წლის 1 ივლისამდე პირველადი წყალმოსარგებლებისათვის – კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;

21. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

22. მალალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მალალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი;

23. სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასლესეცო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ბიუჯეტიდან ფინანსდება;

24. მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ბიუჯეტიდან დაფინანსებული 60 წლის და მეტი ასაკის პირთა ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატების/თავმესაფრების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) ან/და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა/მოზარდთა სააღმზრდელო დაწესებულებების ან დღის ცენტრების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული იმ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწვიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

25. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მისაღები მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის (ქარიშხლის, სეტყვის,

გვალვის, წყალდიდობის, მენყრის და სხვა) ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

26. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება;

27. ბიოლოგიური აქტივი;

28. საქართველოს რეზიდენტისგან ლიზინგით მიღებული ქონება;

29. სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებათა საკუთრებაშია ან ასეთ დაწესებულებებზე ლიზინგით არის გაცემული;

30. სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები.

31. 2026 წლის 1 იანვრამდე ტურისტული ზონის მენარმე სუბიექტის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება;

32. „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 01 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობაში (სოფლის მეურნეობაში) დასაქმებული პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, აგრეთვე ასეთ პირზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება, რომლებსაც ეს პირი ამავე საქმიანობაში იყენებს;

33. 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;

34. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით ავტორიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (მათ შორის, მიწის ნაკვეთები);

35. მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი);

36. თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი ფართობის ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

37. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8903 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული საქონელი;

38. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის ქონება;

39. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში არსებული სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში;

40. მალაღმთიანი დასახლების სანარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მალაღმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა პირისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ან მის ნაწილზე), ან/და სანარმოს/ორ-

განიზაციის მიერ ამავე ფორმით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე (ან მათ ნაწილზე), თუ დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ პირმა იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გასცა მინის ნაკვეთი, ამ პირზე საგადასახადო შეღავათი აღარ გავრცელდება. ამასთანავე, პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის ბოლომდე წარუდგინოს დეკლარაცია და გადაიხადოს გადასახადი საგადასახადო მოთხოვნის შესაბამისად.

## **2.2. ადგილობრივი მოსაკრებლები**

მუნიციპალიტეტის მიერ შემოსაღები ადგილობრივი მოსაკრებლების სახეები და ზღვრული ოდენობა განისაზღვრება საქართველოს კანონით „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“.

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების განწესისათვის.

ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს საკრებულოს, გამგებლის/მერის წარდგინებით.

ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და ვრცელდება ყველა იქ მცხოვრებ ფიზიკურ და განლაგებულ იურიდიულ პირზე. ამასთან, საკრებულო უფლებამოსილია მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედება არ გაავრცელოს „საქართველოს კურორტების, საკურორტო ადგილების, სამთო-სათხილამურო ცენტრებისა და შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიებისათვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 ნოემბრის №968 ბრძანებულებით განსაზღვრულ სარეკრეაციო ტერიტორიებზე ან ადგილობრივი მოსაკრებელი შემოიღოს მხოლოდ ამ სარეკრეაციო ტერიტორიაზე. ასევე შეუძლია ამ ტერიტორიაზე დაადგინოს ადგილობრივი მოსაკრებლის განსხვავებული ოდენობა, გადახდის პერიოდულობა და ვადა.

ადგილობრივი მოსაკრებლები გადაიხდებიან წინასწარ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გადამხდელისათვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებამდე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების განწესისათვის ადგილობრივი მოსაკრებელი გადაიხდებიან მომსახურების მთლიანად ან მისი ნაწილის მიღების შემდეგ, საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

კანონით დაუშვებელია საკრებულომ შემოიღოს კანონით დადგენილი მოსაკრებლისაგან განსხვავებული ან დამატებითი სხვა ტარიფი, გადასახდელი ან მომსახურების საფასური იმ საქმიანობის განხორციელებისათვის ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ იმ მომსახურების განწესისათვის, გარდა დაწესებული მომსახურებისა, რომლისთვისაც უკვე დადგენილია მოსაკრებელი.

სახეების მიხედვით ადგილობრივი მოსაკრებლების დიფერენცირებულ ოდენობას, გადახდის პერიოდულობასა და ვადას ადგენს ადგილობრივი თვით-

მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო შესაბამისი გადაწყვეტილებით.

ქონების გადასახადისგან განსხვავებით, ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღებას უზრუნველყოფს გამგეობა/მერია. გამონაკლისია მხოლოდ „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი“, რომლის ამოღებას, ქონების გადასახადის მსგავსად, უზრუნველყოფს საგადასახადო სამსახური.

ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება ხდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად. გამგეობის/მერიის საამისოდ უფლებამოსილ სამსახურს შეუძლია ადგილობრივი მოსაკრებლების ამოსაღებად შესაბამის იურიდიულ პირებთან გააფორმოს ხელშეკრულება.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ადგილობრივი მოსაკრებლების შემდეგი სახეები:

1. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის;
2. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;
3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;
4. მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის;
5. კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი;
6. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი;
7. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი.

**ა) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი.** კანონის თანახმად, საკრებულო უფლებამოსილია შემოიღოს მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა). ეს არის სანებართვო სახის მოსაკრებელი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ნებართვის აღებამდე. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, ამ მოსაკრებლის გადახდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური, ან/და იურიდიული პირი. საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა ახალსაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს ერთ ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – ხუთ ლარს. საკრებულოს გადაწყვეტილებით, მოსაკრებლის გადახდისაგან შეიძლება განთავისუფლდეს ან შეღავათი დაუწესდეს სტიქიური უბე-დურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობას;

**ბ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.** 2011 წლის 24 ნოემბერს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონს დამატება 61-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურ მოსაკრებელს მშენებლობის სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების საკითხებზე აქტის გამოცემის ან მასში ცვლილების შეტანის დაჩქარებული მომსახურებისათვის. ამ მოსაკრებლის გადახდელია დასრულებული, ანუ აშენებული ობიექტის სამშენებლო დოკუ-

მენტაციით განსაზღვრული მშენებლობის დამკვეთი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან/და ამხანაგობა. დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი არ უნდა აღემატებოდეს 4500 ლარს;

**გ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი.** 2012 წლის 22 ივნისს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონში შეტანილი იქნა ცვლილება და კანონს დაემატა ახალი 62 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 251 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღებას. ამ მოსაკრებლის გადამხდელია ობიექტის სამშენებლო დოკუმენტაციით განსაზღვრული მშენებლობის დამკვეთი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან/და ამხანაგობა. სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება შენობა-ნაგებობის კლასის ან/და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით და იგი არ უნდა აღემატებოდეს 7 000 ლარს;

**დ) მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის.** კანონით განმარტებულია, რომ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვას ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად.

მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური, ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოქმნიან ნარჩენებს. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით. ფიზიკური პირებისათვის მოსაკრებლის ოდენობა დიფერენცირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვრის მაჩვენებლების შესაბამისად. მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირებისათვის საჭირო ხარჯებს.

ნარჩენების წარმომქმნელმა შეიძლება მოახდინოს მოსაკრებლის ოდენობის დიფერენცირება დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, აგრეთვე თავისი შემოსავლის, ქონების, მის მიერ დასაქმებული პერსონალის რაოდენობის ან/და საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც;

**ე) მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის.** მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით მიიღო სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომელიც განსაზღვრულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით. მოსაკრებელი გადაიხდევინება მშენებლობის ნებართვის გაცემისას და მისი ოდენობა ნამატი სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს.

**ვ) კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი.** მოსაკრებლის გადამხდელია კულტურული მემკვიდრეობის

სარეაბილიტაციო არეალში არსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) სარეაბილიტაციო არეალის განვითარების პროგრამის განხორციელების ვადით. მოსაკრებლის ოდენობა საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული შენობა-ნაგებობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე განისაზღვრება არა უმეტეს 1,5 ლარით თვეში. მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფ- ლდება:

- სარეაბილიტაციო არეალში განთავსებული ინფრასტრუქტურის მომსახურებისათვის განკუთვნილი ნაგებობები;
- სარეაბილიტაციო არეალში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, გარდა იმ შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

**ზ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.** ამ მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სპეციალური კანონით „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“. ამ კანონის თანახმად, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი ბიუჯეტში, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით და ასეთი საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტებია:

- სამორინეს მაგიდა, კლუბის მაგიდა და სათამაშო აპარატი;
- წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი;
- სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა;
- ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;
- აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება ხდება სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით და განისაზღვრება:

- თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – კვარტალში 15 000 ლარიდან 30 000 ლარის ჩათვლით;
- თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 1 500 ლარიდან 3 000 ლარის ჩათვლით;
- თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 30 000 ლარიდან 60 000 ლარის ჩათვლით;
- ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 20%-ისა;
- აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1 000 ლარიდან 15 000 ლარის ჩათვლით;
- თითოეულ კლუბის მაგიდაზე – კვარტალში 3 000 ლარიდან 10 000 ლარის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდას მხოლოდ აზარტული ტურნირის ჩატარებისათვის იყენებს.

„სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მიხედვით მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირება ევალებათ საგადასახადო ორგანოებს.

**2.3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართით დადგენილი შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის შემოსულობები**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართით დადგენილია შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის შემოსულობები შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით:

შემოსულობა	%
ა) საშემოსავლო გადასახადი მენარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; ბ) არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); გ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; დ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; ე) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; ვ) საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.	100
პროცენტები (სარგებელი) ცალკეული ხასიათის ფინანსური აქტივებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან (ფასიანი ქაღალდებიდან აქციების გარდა), სესხებიდან, დებიტორული დავალიანებიდან და სხვა შემოსავალი პროცენტებიდან, განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის	100
ადგილობრივი ხელისუფლების ნილობრივი მონაწილეობით მოქმედი სანარმოების და კერძო სანარმოების მოგებიდან დივიდენდები	100
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი რესურსებისათვის	100
შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და არ არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სარგებლობაში	35
შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების სარგებლობაში	100
შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული მიწის მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სხვა) გადაცემიდან	100
რენტა (გარდა მიწისა), გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
სანებართვო მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეობისა და ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხების განხილვისათვის	100



სახელმწიფო ბაჟი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით – ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი	100
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	10
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	100
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	100
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი	100
მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	100
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული და ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)	100
მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი	100
მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი	100
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემიდან	100
სხვა მოსაკრებელი, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსავალი მომსახურებიდან, რომელიც განუღებია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსავალი სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია	35
შემოსავალი სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაშია	100
შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	100
შემოსავალი სხვა სახელმწიფო ქონების (გარდა მიწისა) იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსავალი სხვადასხვა სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმებიდან	60
შემოსავალი გაცემული სესხის დაფარვის ვადის დარღვევისათვის გადახდილი საურავიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100

შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისათვის გადახდილი ჯარიმებიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსავალი სხვა ჯარიმებიდან და საურავებიდან, გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსავალი მიმდინარე ტრანსფერებიდან, შემონირულებებიდან და ქველმოქმედებიდან (გრანტების გარდა), განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის	100
შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან	100
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსავალი, მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ	100
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ტყის პრივატიზებისა, რომლიდან შემოსული თანხაც სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში) ტერიტორიაზე	35
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) სარგებლობაშია	100
შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	100
შემოსულობა სხვა მატერიალური მარაგების (ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი ნარმოება, მზა პროდუქცია და შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი) გაყიდვიდან, განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსულობა ფასეულობების გაყიდვიდან, განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსულობა არანარმოებული აქტივებიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	50
შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან	100
შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) ტერიტორიაზე	65
შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან	100
შემოსულობა არანარმოებული არამატერიალური აქტივებიდან (პატენტები, სალიზინგო ხელშეკრულებები და სხვა ანალოგიური კონტრაქტები, აგრეთვე შექმნილი გუფილი), გადახდევინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ	100
შემოსულობა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან	100
შემოსულობა ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან, განკუთვნილი ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის	100

## 2.4. არაფინანსური აქტივები

თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობაა არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები. თვითმმართველი ერთეულის არაფინანსურ აქტივებს წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში არსებული ის ობიექტები, რომელთა სარგებლობას ან შენახვას მოაქვს რეალური ან პოტენციური ეკონომიკური სარგებელი. არაფინანსური აქტივები და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“. ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკაციის მიხედვით, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია იყოფა 4 ძირითად ჯგუფად: ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები, ფასეულობები, არანარმოებული აქტივები.

**ძირითადი აქტივები** არის წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტილად გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს. ძირითად აქტივებს განეკუთვნება შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი და ა.შ. ძირითად აქტივებს განეკუთვნებიან, აგრეთვე კულტივირებული აქტივები (ცხოველები და მცენარეები, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად ან განუწყვეტილად ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, მათ შორის, სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველები) და არამატერიალური ძირითადი აქტივები (მაგ., ლიცენზიები 10 წლის და მეტი ვადით გამოყენების უფლებით, გარდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისა და სხვა არამატერიალური ხასიათის აქტივები).

**მატერიალური მარაგები** მოიცავს საქონელს, რომელიც ინახება შემდგომი გაყიდვის, საწარმოო პროცესში გამოყენების ან მომავალში მოხმარების მიზნით. მატერიალურ მარაგებს განეკუთვნება სტრატეგიული მარაგები (საქონელი, რომელიც ინახება სტრატეგიული მიზნებისათვის და საგანგებო შემთხვევებისათვის), ნედლეული და მასალები; დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი და ა.შ.

ფასეულობები მოიცავს იმ საქონელს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს. ისინი შექმნილია და ინახება, უპირველეს ყოვლისა, როგორც დაგროვების საშუალება და უმთავრესად არ გამოიყენება წარმოების ან მოხმარების მიზნით. მოსალოდნელია, რომ მათი რეალური ღირებულება დროთა განმავლობაში არ შემცირდება, ხოლო ხარისხი, სათანადო პირობებში შენახვისას, არ გაუარესდება. ფასეულობებს განეკუთვნება: ძვირფასი ქვები და ლითონები, ნახატები, ქანდაკებები და სხვა, რაც ხელოვნების ნიმუშად ან ანტიკვარიატადაა აღიარებული, ძვირფასი ქვებისა და ლითონებისაგან დამზადებული მაღალი ღირებულების საიუველირო ნაწარმი, კოლექციები და სხვა ფასეულობები.

**არანარმოებულ აქტივებს** განეკუთვნება ბუნებრივად წარმოქმნილი ან სამართლებრივი, თუ ბუღალტრული ოპერაციით შექმნილი აქტივები, რომელთა მიმართაც შესაძლებელია საკუთრების დაცვის უზრუნველყოფა.

## 2.5. ფინანსური აქტივები

თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობას წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური აქტივებით ოპერაციებით მიღებული

სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა. თვითმმართველი ერთეულის ფინანსურ აქტივებს ქმნის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების ერთობლიობა (საბანკო ანგარიშებზე რიცხული თანხა, ფასიანი ქაღალდები, აქციები და ა.შ.). ფინანსური აქტივები და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“. ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსურ მოთხოვნებს, მონეტარულ ოქროსა და ნასესხობის სპეციალურ უფლებებს. ფინანსური მოთხოვნა არის აქტივი, რომელიც ერთ ინსტიტუციონალურ ერთეულს – აქტივის მფლობელს (ანუ კრედიტორს) აძლევს უფლებას მიიღოს ერთი ან რამდენიმე გადახდა მეორე ერთეულისაგან (დებიტორისგან) მათ შორის გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებისა და დებულებების თანახმად.

## **2.6. გათანაბრებითი ტრანსფერი**

თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკუთარი საბიუჯეტო შემოსულობაა გათანაბრებითი ტრანსფერი. გათანაბრებითი ტრანსფერის მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად გათანაბრებითი ტრანსფერი არის საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კოდექსით დადგენილი ფორმულის შესაბამისად გამოყოფილი თანხები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიხედვით და იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა.

ყოველი მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშება ხდება საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ფორმულის მიხედვით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების (გრანტების გარდა) სხვაობის ტოლია. იმ მუნიციპალიტეტს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა. „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ასეთებია: ბოლნისის, ბორჯომის, მცხეთის მუნიციპალიტეტები და ქ. ფოთი.

„გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია“ დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის N904 ბრძანებით.

## **3. არასაკუთარი შემოსულობები**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება „გრანტების შესახებ“ კანონის შესაბამისად მიღებული შემოსავლები, მიზნობრივი ტრანსფერი, კაპიტალური ტრანსფერი და სპეციალური ტრანსფერი.

### 3.1. გრანტები

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის“.

კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული შეიძლება იყოს გრანტის მიმღები. რაც შეეხება გრანტის გამცემს (დონორს), ამავე კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს:

- საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, აგრეთვე უცხოეთის სამეწარმეო (თუ გრანტის მიმღები არის სახელმწიფო, ან საქართველოს მთავრობა), ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- საქართველოს ის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ძირითადი საწესდებო მიზანია ქონების დაგროვება საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობისათვის;
- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო გრანტების გაცემა;
- საქართველოს სამინისტრო.

გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს გრანტის გაცემის მიზანს, მოცულობას, სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებას, მათი ათვისების ვადებს და იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც გრანტის გამცემი (დონორი) უყენებს გრანტის მიმღებს. გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის. სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით.

### 3.2. მიზნობრივი ტრანსფერი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, მიზნობრივი ტრანსფერი არის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „მალალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და საქართველოს სხვა კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება“. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, კოდექსის ამავე მუხლის პირველი პუნქტით ყოველი მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია შესაბამისი ოდენობის მიზნობრივი ტრანსფერი.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 79-ე მუხლი ითვალისწინებს მიზნობრივი ტრანსფერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინების წესს. ამ წესის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს საკრებულოს დასამტკიცებლად.

### **3.3. სპეციალური ტრანსფერი**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, სპეციალური ტრანსფერი არის სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განეული ფინანსური დახმარება.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 791-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტს ტრანსფერი შესაძლებელია გამოეყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა. მაგრამ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 98-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ მუნიციპალიტეტს წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ღონისძიებების დასაფინანსებლად შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი საკმარისი არ არის.

### **3.4. კაპიტალური ტრანსფერი**

საბიუჯეტო კოდექსის მე-6 მუხლის „ჟ1“ ქვეპუნქტის და ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კაპიტალური ტრანსფერი არის კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის განუყოფელი ფინანსური დახმარება, რომელიც ზრდის ტრანსფერის მიმღების არაფინანსურ აქტივებს. ამდენად, მუნიციპალიტეტს კაპიტალური ტრანსფერი გამოეყოფა მხოლოდ კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად.

კაპიტალური ტრანსფერის მისაღებად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში უნდა აღინიშნოს კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

კაპიტალური ტრანსფერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავალს და იგი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ შესაბამისი მიზნით.

#### 4. თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო ფონდები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. სარეზერვო ფონდიდან თანხებს ქალაქის მერის ან გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას **წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი**, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

#### 5. პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები

საქართველოს საბიუჯეტო პროცესში ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბიუჯეტის პროგრამულ დაგეგმვაზე გადასვლა. 2009 წელს მიღებული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საკანონმდებლო დონეზე მოხდა აღნიშნული ვალდებულების აღიარება, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით მომზადების ვალდებულება წარმოიქმნა 2012 წლისთვის, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის – 2013 წლისათვის.

პროგრამული ბიუჯეტი არის მხარჯავი დაწესებულების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.

საბიუჯეტო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „პროგრამულ ბიუჯეტში

ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით“. ამავე მუხლის მიხედვით პროგრამული ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, ასევე ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ მისი დაფინანსებით გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში.

პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად უნდა გამოჩნდეს მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები, შესაბამისად პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილია დაგეგმვლ და მიღებულ შედეგს შორის არსებულ განსხვავებებზე და არა მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების და მისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის არსებულ განსხვავებებზე. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმასხორციელებლებზე განაწილებული რესურსები. შესაბამისად პარალელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი, ამავე დროს ითვლება შედეგის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები. ბიუჯეტის დაგეგმვისას ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდის პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტთან ერთად ცალკე დანართით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიას.

მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის პირველი ეტაპი იწყება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ამზადებს შესაბამის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.

პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ და მათ საფუძველზე იქმნება პროგრამები, რომლებიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას. პროგრამა ჯგუფდება მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

უმეტეს შემთხვევაში პროგრამები უნდა იყოს გრძელვადიანი და მუდმივი, თუმცა, შესაძლებელია, სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდეს პროგრამები,



რომლებიც განხორციელებენ კონკრეტული წლის განმავლობაში.

პროგრამა რამდენიმე ტიპის შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურება საერთო საბოლოო შედეგების მიღებას და მას უნდა ჰქონდეს მიზანი და ბიუჯეტი.

**პროგრამა შინაარსის მიხედვით შესაძლებელია იყოს:**

- მართვის და რეგულირების – პროგრამა განეკუთვნება ამ ტიპს, თუ იგი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამართულ ფუნქციონირებას. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება და აღნიშნული პროგრამის აღწერა სავალდებულო არ არის, ვინაიდან მასში უმეტეს შემთხვევებში ერთიანდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ხარჯები, სარეზერვო ფონდი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ასევე მსგავსი შინაარსის სხვა ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, სასურველია დანართში წარმოადგინო იყოს ინფორმაცია, ვის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვისაა გათვალისწინებული თანხები, რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იქნა აღებული სესხი, რომლის ფარგლებშიც წარმოქმნილია ვალდებულებები და სხვა;
- მომსახურების მიწოდების – ამ ტიპის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ გრძელვადიან შედეგებზე ან/და ემსახურება მუდმივ მიზანს. ასეთ პროგრამებში ერთიანდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს მის სუბსიდირებას. მისი ქვეპროგრამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა ბენეფიციარებიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია;
- სუბსიდირების – ასეთი ტიპის პროგრამების ქვეპროგრამები და ღონისძიებები მიზნად ისახავენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით;
- ინფრასტრუქტურული – ამ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ქვეპროგრამები ძირითად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი – ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა

ემსახურება. ასეთი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ მაჩვენებლებში.

**პროგრამა ხანგრძლივობის მიხედვით შესაძლებელია იყოს:**

- მიმდინარე (მუდმივი) – როდესაც მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება;
- მრავალწლიანი – როდესაც ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას და ა.შ. პროგრამების უმეტესობა მრავალწლიანი უნდა იყოს, ვინაიდან ის უნდა ემსახუროდეს გლობალური საბოლოო შედეგის მიღწევას, ისეთი ტიპის ღონისძიებებისთვის, რომელთა საბოლოო შედეგი მალევე მიიღწევა (ერთი წლის მანძილზე) შესაძლოა ჩამოყალიბდეს ქვეპროგრამების სახით, რომელიც, თავის მხრივ, პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება;
- ერთწლიანი (მოკლევადიანი) – იშვიათ სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, პროგრამა, შესაძლოა, მოკლევადიანიც იყოს. მოკლევადიანი პროგრამა შესაძლებელია იყოს იმ შემთხვევაში, თუ შედეგი, რომელიც პროგრამის დასრულების შედეგად მიიღწევა, საბოლოოა და იგი, თავის მხრივ, არ წამოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

**ყოველ პროგრამაზე წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- პროგრამული კლასიფიკაციის კოდი;
- პროგრამის დასახელება;
- პროგრამის აღწერა;
- პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების და ღონისძიებების აღწერა;
- პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო ან/და შუალედური შედეგი.

პროგრამების გამოკვეთის შემდეგ აუცილებელია მისი კვლავ დაყოფა ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ეყრდნობა შესაბამისი მხარჯავი დანებსებულების კონტროლს დაქვემდებარებული ერთი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია და იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იგივე ტიპებად, როგორც პროგრამები. ქვეპროგრამა გამიზნულია შუალედური შედეგების მისაღწევად, მისი განხორციელების შემდეგ უნდა წარმოიქმნას კონკრეტული მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაინეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით, მას უნდა ქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე.

**6. საბანგებო ბიუჯეტი**

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია დაამტკიცოს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობის ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის. საგანგებო

ბიუჯეტის დროს არ მოქმედებს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შექმნის პროცენტული შეზღუდვა.

## 7. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

მოიცავს შემოსავლების, ხარჯების, აგრეთვე პროგრამულ კლასიფიკაციებს. პროგრამული კლასიფიკაცია არის პრიორიტეტების, პროგრამების/ქვეპროგრამების ერთობლიობა და განისაზღვრება ბიუჯეტით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციას, გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კონსულტაციებისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. დღეისათვის მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაცია დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით.

## 8. სესხისა და გრანტის აღება

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველ ერთეულებს უფლება აქვთ, სესხი აიღონ საქართველოს მთავრობისაგან, ან/და სხვა წყაროებიდან მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის ნებართვით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და საკუთარი სახელით, კაპიტალური ინვესტიციის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულება იურიდიული პირისგან.

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს. ამ ოდენობაზე მეტი სესხის აღება მუნიციპალიტეტს შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მის მიერ კონტროლირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-100 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის ნებართვას საჭიროებს აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირის სასარგებლოდ თავდებობა ან რაიმე სხვა გარანტიის გაცემა.

მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის ნებართვით, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი წესით მიიღოს გრანტი. გრანტის მიღების ნებართვის მისაღებად საქართველოს მთავრობას შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. საქართველოს მთავრობის ნებართვა საჭირო არ არის, თუ:

- ა) გრანტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიიღება;
- ბ) გრანტის გამცემია საქართველოს სამინისტრო ან „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- გ) გრანტის მიმღებია თბილისი.

საქართველოს მთავრობის ნებართვა გაიცემა საქართველოს მთავრობის განკარგულებით.

## თავი V. საბიუჯეტო პროცესი

### 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა

ბიუჯეტის მომზადების პროცესი იწყება 1 მარტიდან აღმასრულებელი ორგანოს მიერ თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. ამ მიზნით, გამგებელი/მერი 1 მარტამდე გამოსცემს ბრძანებას, რომელშიც განისაზღვრება პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისათვის საჭირო ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით გამგებლის/მერიის საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები თვითმმართველობის ორგანოებს უნდა ეცნობოთ არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი უნდა მომზადდეს და თანდართულ მასალებთან ერთად, გამგებლის/მერიის მიერ განსახილველად უნდა წარედგინოს საკრებულოს არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.

ბიუჯეტის პროექტთან ერთად, საკრებულოს წარედგინება თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი.

ბიუჯეტის პროექტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დანესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;
- ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;
- სარეზერვო ფონდის მოცულობას;
- დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;
- პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯეტებს.

ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები მოიცავს: ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას.

## 2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

ბიუჯეტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის განხილვა უნდა წარიმართოს საჯაროდ. ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნები 25 ნომბრამდე წარედგინება გამგებელს/მერს. გამგებელი/მერი შესაბამის სამსახურებთან ერთად, იხილავს გამოთქმულ შენიშვნებს, ამზადებს შესაბამის დასკვნებს და ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს, არაუგვიანეს 10 დეკემბრისა, წარუდგენს საკრებულოს განსახილველად.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკრებულოში განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით.

თუ საკრებულომ არ დაამტკიცა გამგებლის/მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი ან გამგებლის/მერის მიერ საკრებულოს შენიშვნების გაუზიარებლობის შემთხვევაში – ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი რედაქცია, საკრებულო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედით დაამტკიცოს საკრებულოს ფრაქციის ან საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ გამგებლისთვის/მერისთვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი ნაწილი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში გამგებელი/მერი უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების ერთი მეთორმეტედისა. ხოლო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საკრებულოსა და გამგებელს/მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას.

## 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გამგებელი/მერი. გამგებლის/მერიის საფინანსო სამსახური ვალდებულია მოამზადოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური, ან/და ყოველთვიური განწერა საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

### **ბიუჯეტის შესრულების შედეგები**

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, რომ რაც შეიძლება კარგად იყოს წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური (output) და საბოლოო (outcome) შედეგები.

საბოლოო შედეგი შინაარსით სრულმასშტაბანია და ძირითადად პროგრამების ჯამს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს.

საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის პრიორიტეტებზე. საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა, ხშირ შემთხვევაში, გულისხმობს პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზეა მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა, ამ შემთხვევაში, ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

შუალედური შედეგი საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ლონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი. ის უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და, თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

საბოლოო შედეგები განისაზღვრება პროგრამისათვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის (ლონისძიებებისათვის). განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც. საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის შესრულებისთვის მისი დადგომის ვადა, უმეტეს შემთხვევაში, ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზეა მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული.

### **შესრულების შეფასების ინდიკატორები**

პროგრამების, ქვეპროგრამებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას. შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას და აჩვენებს თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და მისი ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევ შუალედურ შედეგებს შორის. პროგრამის საბოლოო შედეგი არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლითაც ფართო საზოგადოება ისარგებლებს, ხოლო ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღები შუალედური შედეგები წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემულ ინფორმაციას, როგორცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, განეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მისიის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდში შეუძლებელია. შესაბამისად, პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორი მრავალწლიანია ან მოიცავს პროგრამის განხორციელების მთელ ვადას და წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პროგრესის მაჩვენებლები, ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად განსახორციელებელ ღონისძიებათა რა ნაწილია შეს-

რეალური საანგარიშო პერიოდის ბოლოს. საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფვოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ. შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა. შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორისა.

შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი.

შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

- **სასარგებლო** – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;
- **შედეგზე ორიენტირებული** – უნდა გამოხატავდეს მიღწეული შედეგის დასახულ შედეგთან მიმართებას;
- **ნათელი და გაზომვადი** – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;
- **შესაბამისი და მიღწევადი** – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;
- **შედარებითი** – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი, ხარჯზე მიბმული, ხარისხობრივი, ეფექტიანობის ან/და ეფექტურობის და ყველა მათგანი უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს.

- **რაოდენობრივი ინდიკატორები** აღწერენ პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;
- **ხარისხობრივი ინდიკატორები** აფასებენ განეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;
- **ხარჯზე მიბმული ინდიკატორები** აფასებენ პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგს განეული ხარჯების მიმართ;
- **ეფექტიანობის ინდიკატორები** გვანვდიან ინფორმაციას მიღწეული შედეგის მიზანშეწონილობაზე დახარჯული რესურსების გათვალისწინებით;
- **ეფექტურობის ინდიკატორები** აფასებენ მიღწეული შედეგის გავლენის ზრდას/კლებას საანგარიშო პერიოდამდე მდგომარეობასთან შედარებით.

## თავი VI. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიში და აუდიტი

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კონტროლისა და აუდიტის საკითხები განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და საქართველოს კანონით „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

საბიუჯეტო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნი-

ციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის შესახებ ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ შესაბამის თვითმმართველ ერთეულს.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად, საფინანსო სამსახური ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განეული გადასახდელების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ, ამასთანავე, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს.

საფინანსო სამსახური ვალდებულია ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში მოამზადოს ანგარიში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში გამგებლის/მერის მიერ საკრებულოს უნდა წარედგინოს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს ამზადებს გამგეობის/მერიის შესაბამისი სამსახურები. ბიუჯეტის შესრულების ანგარიში გამგებლის/მერის მიერ წარედგინება საკრებულოს, საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში.

გამგებლის/მერის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

- ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- დ) პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;
- ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
- ვ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;
- ზ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.



საკრებულო საჯაროდ განიხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ფინანსების კონტროლის საკითხს ითვალისწინებს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის წესსა და პრინციპებს, აგრეთვე, შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შემუშავების, ჩამოყალიბებისა და განხორციელების სხვა საკითხებს.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად: ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

- დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან;
- ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგება;
- სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება;
- აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან ან მართვისაგან და დაზიანებისაგან.

ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობის როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით საკმაოდ დეტალურად არის განერილი ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტები, როგორებიცაა:

- კონტროლის გარემო;
- რისკის მართვა;
- კონტროლის ღონისძიებები;
- ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- მონიტორინგი და შეფასება.

**კონტროლის გარემოს ჩამოყალიბება და დახვეწა მოიცავს:**

- ა) ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა პირად და პროფესიულ პატიოსნებას და ეთიკურ ღირებულებებს;
- ბ) მართვის პროცესებსა და მეთოდებს;
- გ) დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას;
- დ) ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებას, ასევე ანგარიშგების საფეხურების

იერარქიულობას;

ე) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას;

ვ) დაწესებულების თანამშრომელთა კომპეტენტურობას.

რისკის მართვის სისტემა განსაზღვრავს იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს დაწესებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე და მოიცავს რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

**კონტროლის ღონისძიებები მოიცავს:**

ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს;

ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების მინიჭებაზე, ქმედების განხორციელებაზე და კონტროლზე;

გ) ხელმძღვანელის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღებას და გადახდის განხორციელებას დაწესებულების ხელმძღვანელისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ ერთდროულად ხელმძღვანელის გარეშე;

დ) აქტივებისა და ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესებს;

ე) წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებას;

ვ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას;

ზ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის, პროცესებისა და ქმედებების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებას;

თ) ზედამხედველობას;

ი) ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პროცედურების დამკვიდრებას;

კ) დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის დოკუმენტირებას და სხვა.

სანდო, სრულყოფილი და ხელმისაწვდომი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის დანერგვამ უნდა უზრუნველყოს:

ა) დაწესებულების საქმიანობის შესახებ უახლესი და სანდო ინფორმაციის სათანადო ხელმისაწვდომობა დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე;

ბ) დაწესებულების ყველა თანამშრომლის შესაძლებლობა თავიანთი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შესახებ სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის, მითითებებისა და ინსტრუქციების მიღების შესახებ.

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგისა და თვითშეფასების მეშვეობით, შიდა აუდიტის სუბიექტთან ერთად. მონიტორინგი უზრუნველყოფს ასევე შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

## თავი VII. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, ხორციელდება:

- ა) სახელმწიფო აუდიტი;
- ბ) დამოუკიდებელი აუდიტი;
- გ) შიდა აუდიტი.

მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები საფინანსო და ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტებზე, ასევე იმ პროგრამებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრების გამოყენება ან რომლებიც გავლენას ახდენს ამ სახსრების ფორმირებაზე. ამ მიზნით, კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებას და 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვისა და შესრულების აუდიტების ჩატარების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 139-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკრებულოს გადაწყვეტილებით, არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, მონვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი. საკრებულო დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ.

# პარტი IX

## მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

მმართველობითი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა მოიცავს:

- 1) მართვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნას;
- 2) მართვის საკადრო უზრუნველყოფას;
- 3) მართვის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

### თავი I. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მიერ თავისი ფუნქციების გამართულად შესრულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღმასრულებელი ორგანოს ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილი არიან განსაზღვრონ თავიანთი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი მისადაგება ადგილობრივ საჭიროებებთან და უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური მართვა“. ქარტიით გარანტირებული ეს უფლებამოსილება საშუალებას აძლევს თვითმმართველ ერთეულს ორგანიზაციული სტრუქტურა მიუსადაგოს ადგილობრივ პირობებს და უზრუნველყოს მართვის ეფექტურობა.

გამგეობის/მერიის ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას გასათვალისწინებელია, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტურობას განაპირობებს არა მხოლოდ ინსტიტუციის შინაგანი სტრუქტურა, არამედ ინსტიტუციის სტრუქტურულ ერთეულთა შორის ურთიერთკავშირი, მათი კოორდინაციის, კონტროლისა და შეფასების მექანიზმები. ამიტომ, ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას განმსაზღვრელია არა მხოლოდ ინსტიტუციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციითა სწორი განაწილება, არამედ მათ შორის კავშირისა და კოორდინაციის ქმედითი მექანიზმების არსებობა.

გამგეობის/მერიის ისეთი ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც თანაბრად გამოადგება ყველა მუნიციპალიტეტს არ არსებობს, რადგან ორგანიზაციული სტრუქტურის აგებას საფუძვლად ედება როგორც კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები (რაც ყველასთვის საერთოა), ისე მუნიციპალიტეტის სპეციფიკა (რაც ინდივიდუალურია ყოველი თვითმმართველი ერთეულისათვის).

ორგანიზაციულ სტრუქტურაზე ზემოქმედებს და ამიტომ სტრუქტურის აგებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორები. გარე ფაქტორებს განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის მიზნები, რომლის შესრულებასაც უნდა ემსახურობოდა ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციული სტრუქტურის მიმართ დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნები, თვითმმართველი ერთეულის თავისებურებები და ადგილობრივი პირობები, მოსახლეობის ინტერესები, მართვის პრინციპები. გარდა გარე ფაქტორებისა, ორგანიზაციულ სტრუქტურას, ასევე განაპირობებს შიდა ფაქტორებიც, როგორებიცაა: კადრების კომპეტენცია და ადამიანური რესურსების მართვა, შრომის ორგანიზაცია, მართვის პროცესის ავტომატიზაცია და ტექნოლოგიური დონე, მართვის ფორმები და მეთოდები.

## თავი II. გამგეობის/მერიის ორგანიზაციული სტრუქტურის აგება

გამგეობის/მერიის მიერ საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად შესრულები-სათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი სტრუქტურის ოპტიმალურ ფორმირებას. გამგეობის/მერიის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას განმსაზღვრელია არა მხოლოდ ფუნქციათა სწორი განაწილება, არა-მედ მათ შორის ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმების უზრუნველყოფა. ორ-განიზაციული სტრუქტურის აგებას საფუძვლად ედება არა მხოლოდ კანონმდებ-ლობით დადგენილი საერთო-სავალდებულო მოთხოვნები, არამედ ცალკეული თვითმმართველი ერთეულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

კანონმდებლობით განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის მიზნები და ფუნქციები. ეს არის ის სავალდებულო ბაზისი, რომელზედაც უნდა აიგოს ორგანიზაციული სტრუქტურა. ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია საკუ-თარ ორგანიზაციულ სტრუქტურაში გაითვალისწინოს კანონით დაკისრებული ფუნქციების განხორციელება, მაგრამ, ორგანიზაციული სტრუქტურის აგებას განაპირობებს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები, არამედ ადგილობრივი პირობები. მუნიციპალიტეტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტერიტორიის ფართობით, გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებით, მოსახლეო-ბის რაოდენობით, მოსახლეობის განსახლების კომპაქტურობით, სოციალური ინფრასტრუქტურით, დემოგრაფიული მდგომარეობით, ეკონომიკური პოტენ-ციალით, კომუნალური მეურნეობის მდგომარეობით, ინფრასტრუქტურის გან-ვითარების დონით და ა.შ. ორგანიზაციული ერთეულის შესასრულებელი ამო-ცანები და ფუნქციები გამომდინარეობს სწორედ თვითმმართველი ერთეულის სპეციფიკიდან, რაც განაპირობებს ადმინისტრაციული სტრუქტურის აგებულე-ბას. ამიტომ, ერთ თვითმმართველ ერთეულში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს გარკვეული დარგის მართვის სამსახურის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გამოყოფა, ხოლო მეორე ერთეულში, სადაც მოცემული მიმართულება ნაკლე-ბად აქტუალურია (არ წარმოადგენს პრობლემას ან არ გააჩნია განვითარების პოტენციალი), შესაძლებელია არ მოხდეს ანალოგიური სახის სამსახურის ცალ-კე გამოყოფა და კონკრეტული დარგის მართვა შეითავსოს სხვა სამსახურმა.

ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას, ცხადია სავალდებულოდ გასათ-ვალისწინებელია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვა. ამ მუხლის თანახმად, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები არიან:

- ა) გამგებელი/მერი;
- ბ) გამგებლის/მერის პირველი მოადგილე;
- გ) გამგებლის/მერის მოადგილე;
- დ) გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების რაოდენობა (გამგებლის/მერის ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს 13-ს. ამდენად, გამგებელმა/მერმა უნდა განსაზღვროს ამ რაოდენობაში მოადგილეებისა და სტრუქტურული ერ-თეულების ხელმძღვანელების (შესაბამისად გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების) რაოდენობის თანაფარდობა.

გამგეობის/მერიის ეფექტიანი სტრუქტურის აგების პროცესი შეიძლება თანმიმდევრულ და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ხუთ ეტაპად დაიყოს. ეს ეტაპებია:

1. სტრუქტურის მიზნების განსაზღვრა;
2. საერთო მიზნიდან გამომდინარე ძირითადი მიმართულებების განსაზ-


ღვრა და ამ მიმართულებების მიხედვით ფუნქციებისა და ამოცანების დაჯგუფება;

3. ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და სტრუქტურის ძირითადი რგოლების განსაზღვრა;
4. სტრუქტურაში თითოეული დანაყოფის ადგილის, მისი შიდა სტრუქტურის და საშტატო ოდენობის განსაზღვრა;
5. ორგანიზაციული სტრუქტურის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების (დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სამუშაო გეგმები და ა.შ.) მომზადება.

### 1. სტრუქტურის მიზნების განსაზღვრა

ორგანიზაციული სტრუქტურის პირველი ეტაპია სტრუქტურის მიზნების განსაზღვრა. ორგანიზაციული სტრუქტურის მიზნები გამომდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანული კანონით დადგენილი თვითმმართველობის საქმიანობის მიზნიდან. ეს არის მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ეს მიზანი, რა თქმა უნდა, საერთოა ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის.

სქემის სახით თვითმმართველობის საქმიანობის ძირითადი მიზნები შეიძლება ასე გამოვსახოთ:



## 2. ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ამ მიმართულებების მიხედვით ფუნქციებისა და ამოცანების დაჯგუფება

მეორე ეტაპზე ხდება მიზნის მიღწევისათვის საჭირო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. ეს ეტაპი ითვალისწინებს საერთო მიზნიდან გამომდინარე ქვემიზნების, შესაბამისი მიმართულებების და ამოცანების განსაზღვრას. ამ შემთხვევაშიც წამყვანია ორგანული კანონის მოთხოვნები, რომლებიც ადგენენ თვითმმართველობის უფლებამოსილებებს. იმის გათვალისწინებით, რომ კანონით დადგენილი ფუნქციების შესრულება სავალდებულოა ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის, შეიძლება გამოვყოთ გამგეობის/მერიის საქმიანობის, ყველასათვის საერთო, მთავარი მიმართულებები და ამოცანები:

<b>მოსახლეობის ცხოვრებისათვის სასიკეთო გარემოს შექმნა</b>		
<b>მიმართულება</b>	<b>მიზანი</b>	<b>ამოცანები</b>
ქალაქთმშენებლობა	მოსახლეობის ცხოვრებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა;</li> <li>2. მინათსარგებლობის დაგეგმვა;</li> <li>3. კეთილმოწყობა;</li> <li>4. გამწვანება;</li> <li>5. მშენებლობათა რეგულაცია;</li> <li>6. დასახლებებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება და ნუმერაცია</li> </ol>
კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა	მოსახლეობისათვის ხარისხიანი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მუნიციპალური ტრანსპორტი, სამგზავრო გადაყვანის რეგულირება, მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა;</li> <li>2. ვაჭრობა და ბაზრობების რეგულირება;</li> <li>3. კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემები;</li> <li>4. გარე განათება;</li> <li>5. დასუფთავება;</li> <li>6. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების მოვლა-პატრონობა</li> </ol>
უსაფრთხოება	მოსახლეობისათვის ცხოვრების უსაფრთხო პირობების შექმნა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საგზაო მოძრაობის დაგეგმვა</li> </ol>
<b>სოციალური პოლიტიკა</b>		
დასაქმება	მოსახლეობის შრომითი მონაწილისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ინვესტიციების მოზიდვა;</li> <li>2. მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;</li> <li>3. დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება</li> </ol>

კულტურა და განათლება	მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის, პროფესიული და დამატებითი განათლების მიღების, კულტურული ფასეულობების გაცნობისთვის სათანადო პირობების შექმნა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების საქმიანობის ორგანიზება;</li> <li>2. სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნა, პროფესიული სწავლების ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა</li> </ol>
ახალგაზრდობის საქმეები, სპორტი და დასვენება	ახალგაზრდობის თვითრეალიზაციისათვის და მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერა;</li> <li>2. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;</li> <li>3. რეკრეაციული ზონების შექმნა</li> </ol>
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დაავადებების გავრცელების პრევენციულ ღონისძიებათა გატარება;</li> <li>2. ცხოველების ვაქცინაცია ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით</li> </ol>

### 3. ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და სტრუქტურის ძირითადი რგოლების განსაზღვრა

მესამე ეტაპზე ხდება ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარჩოს შექმნა. ორგანიზაციული სტრუქტურის აგების პირველი და მეორე ეტაპი ემყარება კანონის მოთხოვნებს და შესაძლებელია ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის ერთნაირი ტიპობრივი სქემის შემუშავება, მესამე ეტაპზე უკვე განმსაზღვრელია თვითმმართველი ერთეულის სპეციფიკა, მისი პრიორიტეტები და სტრუქტურის აგების განმაპირობებელი გარე და შიდა ფაქტორები. ამავდროულად გასათვალისწინებელია ორგანული კანონით დადგენილი ზოგადი მოცემულობები, რომ აუცილებელია სტრუქტურაში ისეთი თანამდებობის პირების არსებობა, როგორცაა გამგებელი (მერი), გამგებლის (მერის) მოადგილე, სტრუქტურული ერთეულის და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი და ორგანიზაციული ერთეულები: სტრუქტურული ერთეული და ტერიტორიული ორგანოები.

ორგანიზაციული სტრუქტურის აგების მესამე ეტაპის მიზანია, მოხდეს ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და გამოიყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ერთეულები, ანუ უნდა მოხდეს თითოეული თვითმმართველი ერთეულის გამგეობის/მერიის ინდივიდუალური ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ფორმირება.

მეორე ეტაპით დადგენილი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები არის ის ბაზისი, რომელზეც ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით იგება ორგანიზაციული სტრუქტურა. ორგანიზაციული სტრუქტურის აგების მესამე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიასა და პრიორიტეტებს. სწორედ ამ დოკუმენტების მიხედვით უნდა მოხდეს ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება.

ფუნქციების რაოდენობრივი შეფასების დროს ხდება ამ ფუნქციის მნიშვნელობის, მოცულობისა და დატვირთვის ხარისხის (პროფილის) განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც მიიღება გადანყვეტილება აღნიშნული ფუნქცია წარ-



მოდგენილი იქნეს ცალკე სამსახურის, სამსახურის განყოფილების თუ მხოლოდ სამტაგო ერთეულის სახით.

ხოლო, ფუნქციის ხარისხობრივი შეფასების დროს ხდება ფუნქციის ტიპის განსაზღვრა თუ ორგანიზაციული სტრუქტურის რომელ რგოლში უნდა იქნეს ეს ფუნქცია შეტანილი.

ხარისხობრივი (პროფილის) ნიშნით ფუნქციები შეიძლება დალაგდეს შემდეგი სახით:

- 1) დარგობრივი ნიშნით – სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტული დარგის მართვას. მაგალითად, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახური და ა.შ.
- 2) ფუნქციური ნიშნით – სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული ხასიათის მმართველობითი ფუნქციის განხორციელებას. მაგალითად, ზედამხედველობის სამსახური, საფინანსო სამსახური, ქონების მართვის სამსახური და ა.შ.
- 3) საქმიანობის უზრუნველყოფის ნიშნით – ეს არის აპარატი ან ის სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამგეობის/მერიის ფუნქციონირებას. მაგალითად, საკადრო სამსახური, იურიდიული სამსახური, საქმისწარმოების სამსახური და ა.შ.
- 4) ტერიტორიული ნიშნით – გამგეობის/მერიის წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის ტერიტორიაზე საერთო კომპეტენციის მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას.

ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ძირითადი პრინციპები, ხოლო მეორე მხრივ, მართვის დიაპაზონი.

ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას ხდება გარკვეული, ერთგვაროვანი ფუნქციების დაჯგუფება. მაგრამ, მხოლოდ ფუნქციების ოპტიმალური დაჯგუფება არ არის საკმარისი ორგანიზაციული სტრუქტურის გამართული მუშაობისათვის. აუცილებლად გასათვალისწინებელია სტრუქტურულ რგოლებს შორის ურთიერთკავშირი, მათი საქმიანობის კოორდინაციის, კონტროლისა და შეფასების, შესაძლო ცვლილებებზე რეაგირების შესაძლებლობის საკითხები, მმართველობაზე განეული ხარჯები და ა.შ. ამიტომ, ფუნქციის შესრულების სრულყოფილებისა და ეფექტიანობისათვის საჭიროა ფუნქციების გადანაწილება დაეფუძნოს ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითად პრინციპებს.

#### 4. ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ძირითადი პრინციპები

1. **მიზანმიმართულობა** – ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს თვითმმართველი ერთეულის მიზნის მიღწევას. ეს გულისხმობს ამოცანის შესასრულებლად მართვის თითოეული რგოლის უფლებების და პასუხისმგებლობების განსაზღვრას, მართვის რგოლებს შორის ფუნქციების რაციონალურ განაწილებას მათი საქმიანობის ერთიანი კოორდინაციის გათვალისწინებით.
2. **პერსპექტიული განვითარება** – გამგეობის/მერიის ორგანიზაციულ ერთეულებს ძირითადად უწევთ ოპერატიული ხასიათის საკითხების გადაწყვეტა. მაგრამ, მათ ასევე ევალებათ იმუშაონ შესაბამისი დარგის განვითარების სტრატეგიაზეც. მართალია, თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა უშუალოდ საკრებულოს ფუნ-


ქციაა, მაგრამ გამგეობის/მერიის მოვალეობაა მოამზადოს სტრატეგიული განვითარების საკითხები. ამიტომ, გამგეობის/მერიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გარკვეული რგოლი და ერთეულები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება როგორც კონკრეტული სფეროს თუ ადმინისტრაციული ერთეულის (დასახლების, თემის) განვითარების სტრატეგიის, ისე მთლიანად მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვა.

3. **ადაპტირებულობა** – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურის აგებაზე მოქმედებს მრავალი (როგორც გარეგანი, ისე შინაგანი) ფაქტორი. მათი ცვლილება ოპერატიულად უნდა იქნეს ასახული. ეს საჭიროს ხდის, რომ ადმინისტრაციული სტრუქტურა იყოს რაც შეიძლება მოქნილი, ელასტიკური, რათა მან შეძლოს სწრაფი ადაპტაცია შეცვლილ პირობებთან. პრაქტიკაში ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც სტრუქტურული ცვლილებებით, ისე დროებითი კომისიების შექმნით, რაც გულისხმობს, რომ თუ საკითხი ატარებს დროებით ხასიათს, ან გარკვეულ პერიოდში შესაძლებელია მოხდეს მისი შეცვლა, ამ საკითხის მართვისათვის უფრო ოპტიმალურია არა სპეციალური სამსახურის, არამედ კომისიური ტიპის რგოლის შექმნა.
  4. **კომპლექსურობა** – ორგანიზაციული სტრუქტურის აგების დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სტრუქტურულად იყოს უზრუნველყოფილი მმართველობითი საქმიანობის ყველა ეტაპი, კერძოდ:
    - **ანალიტიკური ეტაპი** – პრობლემების ანალიზი და მათი გადაწყვეტის გზები;
    - **ამოცანის დასახვა** – საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა;
    - **მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება** – ტექნოლოგიისა და ამოცანის გადაწყვეტის ალგორითმის შერჩევა, საბოლოო და შუალედური შედეგების განსაზღვრა;
    - **გადაწყვეტილების შესრულება** – კონკრეტული საქმიანობა მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად;
    - **შედეგების შეფასება** – საქმიანობის შედეგების ანალიზი და მისგან გამომდინარე ახალი ანალიტიკური ეტაპის დაგეგმვა.
- სასურველია, რომ მმართველობითი საქმიანობის ყველა ეტაპი სრულად იქნეს მოცემული შესაბამის ერთეულში და არ ხდებოდეს მათი გაფანტვა სხვადასხვა ორგანიზაციულ რგოლებში.
5. **სპეციფიკურობა** – მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურების აგება უნდა ეფუძნებოდეს და ითვალისწინებდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის სპეციფიკას. სხვა თვითმმართველი ერთეულის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) ადმინისტრაციული სტრუქტურების პირდაპირი კოპირება, როგორც წესი, არ იძლევა სასურველ შედეგებს.
  6. **ეკონომიურობა** – ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს მართვის პროცესის ეფექტიან და რაციონალურ განხორციელებას, რათა მინიმალური შესაძლებელი დანახარჯებით მიღწეული იქნეს მაქსიმალური შედეგი. ამის გაკეთება შესაძლებელია როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციონირების პერიოდული ანალიზით, ისე მართვის პროცესების ავტომატიზაციითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით.
  7. **კოორდინირება** – ორგანიზაციული სტრუქტურის აგებულება უნდა იძლეოდეს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა საქმიანობის კოორდინირების შე-

სადღებლობას. ეს, ერთი მხრივ, გამოორიცხავს ფუნქციათა დუბლირებას, ხოლო მეორე მხრივ, მინიმუმამდე დაყავს „თეთრი ლაქების“ არსებობა, როცა არც ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი არ იღებს პასუხისმგებლობას მმართველობით უფლებამოსილებას მიკუთვნებული რომელიმე საკითხის გადაწყვეტაზე.

ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას, ძირითად პრინციპებთან ერთად ასევე გასათვალისწინებელია ე.წ. მართვის დიაპაზონი, რომელიც განსაზღვრავს როგორც სტრუქტურულ ერთეულში მომუშავე მოსამსახურეთა, ისე თავად სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც შეიძლება ეფექტიანად იმართებოდეს ერთი ხელმძღვანელის მიერ.

მართვის დიაპაზონის განმსაზღვრელი შიდა ფაქტორები




როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, მართვის დიაპაზონის განმსაზღვრელია როგორც ობიექტური (მაგალითად, საქმიანობის შინაარსი, შრომის ორგანიზაციის დონე, ურთიერთობის ინტენსივობის ხარისხი, საქმიანობის ერთგვაროვნება, ხელმძღვანელის თანამდებობრივი სტატუსი), ისე სუბიექტური ფაქტორები (ხელმძღვანელის და თანამშრომლების კვალიფიკაცია და გამოცდილება).

ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას, რა თქმა უნდა, ძნელია გათვალისწინებული იქნეს ყველა ეს ფაქტორი. ორგანიზაციული სტრუქტურის აგების მესამე ეტაპზე, როცა ხდება სტრუქტურის ძირითადი ჩარჩოს გამოკვეთა, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობის პროფილი (შინაარსი). სხვა ფაქტორების გათვალისწინება კი ხდება ორგანიზაციული სტრუქტურის

აგების მომდევნო ეტაპებზე, როცა ერთეულის შიდა სტრუქტურასა და საშტატო რაოდენობას განვსაზღვრავთ.

ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარჩოს განსაზღვრისას ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხდება თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით. ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს გამგეობის/მერიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და გათვალისწინებული იქნეს ისეთი გარე ფაქტორებიც, როგორცაა თვითმმართველი ერთეულის სპეციფიური ადგილობრივი პირობები და მართვის ობიექტების (კომუნალური მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, სოციალური სფერო) მდგომარეობა და მათი განვითარების პრიორიტეტები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის აგების განმაპირობებელი გარე ფაქტორები



## 5. სტრუქტურაში თითოეული დანაყოფის ადგილის, მისი შიდა სტრუქტურის და საშტატო ოდენობის განსაზღვრა

ადმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისას, გარდა გარე ფაქტორებისა, ასევე გასათვალისწინებელია შიდა ფაქტორები, როგორცაა კადრების კვალიფიკაცია, მართვის ავტომატიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების დონე, შრომის ორგანიზაცია. მათი გათვალისწინება უნდა მოხდეს ორგანიზაციული სტრუქტურის მეოთხე ეტაპზე, როცა ხდება სტრუქტურაში დანაყოფების ადგილის, მისი შიდა სტრუქტურისა და საშტატო ოდენობის განსაზღვრა. ამ საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მართვის დიაპაზონის განმსაზღვრელი როგორც ობიექტური (საქმიანობის მნიშვნელობა,

დატვირთვის ხარისხი), ასევე სუბიექტური (ხელმძღვანელისა და თანამშრომელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება) ფაქტორები.

ორგანიზაციულ სტრუქტურაში დანაყოფის ადგილის განსაზღვრა ხდება ამ ერთეულის შიდა კომუნიკაციის არეალის დადგენის გზით. ანუ განისაზღვრება ამ ერთეულის სხვა ერთეულებთან აუცილებელი კომუნიკაციის საჭიროება, რაც იძლევა ორგანიზაციულ სტრუქტურაში დანაყოფების ე.წ. ბლოკებად დაჯგუფების საშუალებას მათი საერთო ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით.

ორგანიზაციული ერთეულის შიდა სტრუქტურის განსაზღვრა ძირითადად ხდება ამ ერთეულის ფუნქციების რაოდენობრივი შეფასებით. ერთეულის ფუნქციები ჯგუფდება ერთგვაროვნების მიხედვით და ხდება მათი დამოუკიდებელი მართვის მიზანშეწონილობის შეფასება. მაგრამ, გარდა რაოდენობრივი შეფასებისა, ხშირ შემთხვევაში ერთეულის შიდა სტრუქტურას განსაზღვრავს ასევე ერთეულში შტატების რაოდენობა და მართვის დიაპაზონი. როგორც წესი, თუ ერთეული შედგება 10-ზე მეტი თანამშრომლისაგან, ხდება მისი დაყოფა განყოფილებებად ან სექტორებად.

ორგანიზაციული სტრუქტურის აგების მეოთხე ეტაპის მნიშვნელოვანი საკითხია საშტატო ოდენობის განსაზღვრა. საშტატო ოდენობის განსაზღვრა ხდება ფუნქციის განხორციელებისათვის საჭირო სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით.

## 6. ორგანიზაციული სტრუქტურის მარეგულირებადი დოკუმენტების (დეპულებაჰი, თანამდებობრივი ინსტრუქციები, საფუძვალ გეგმები და ა.შ.) მომზადება

ორგანიზაციული სტრუქტურის ბოლო, მეხუთე ეტაპია ორგანიზაციული სტრუქტურის რეგულირება. ეს ეტაპი მოიცავს:


ა) სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების ფუნქციების რეგულირებას და მათ ურთიერთკავშირის (დაქვემდებარებულობის, ურთიერთობის) დადგენას.

ბ) სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმების განსაზღვრას.

გ) ცალკეულ, სპეციფიურ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო პროცედურების განსაზღვრას. (მმართველობის საქმიანობიდან გამოიყოფა ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს სხვადასხვა სამსახურების ან სხვადასხვა ორგანოთა წარმომადგენლების ერთობლივ საქმიანობას მაგ. კომისიების შექმნა).

ამ ეტაპზე დოკუმენტურად ფორმდება ორგანიზაციის სტრუქტურა. ხდება დებულებების მომზადება, რომლითაც განისაზღვრება ერთეულების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, შიდა სტრუქტურა, უფლებები და მოვალეობები, ერთეულის მართვის, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები. ასევე დგება ყოველი საშტატო ერთეულის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომლითაც შესაბამისი სამსახურის დებულების მიხედვით დგინდება ამ თანამდებობის პირის საქმიანობის წრე, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების პროცესის სქემა



### თავი III. გაგვიჩინების/მერიის სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები) და მათი ფუნქციები

#### 1. დარგობრივი სამსახურები

დარგობრივი სამსახურების კომპეტენციას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის ცალკეული დარგების მართვა. თუ რა სფეროებში უნდა შეიქმნას დარგობრივი სამსახურები, გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებიდან. ეს სფეროებია:

1) კომუნალური მეურნეობა – დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობა, წყალმომარაგება და წყალარინება, ნარჩენების მართვა; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

2) ინფრასტრუქტურა – ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების (ხიდები, გვირაბები, გადასასვლელები და სხვ.) შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმვა. ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა. საინჟინრო ინფრასტრუქტუ-

რის განვითარების პროგრამების მომზადება და განხორციელება;

3) კეთილმოწყობა – თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების მომზადება, პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;

4) მშენებლობა და არქიტექტურა – მშენებლობის ნებართვის გაცემა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა;

5) ტრანსპორტი – ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის რეგულირება; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა და შესაბამისი ნებართვების გაცემა;

6) ვაჭრობა – გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

7) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებები – სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი საქმიანობის კოორდინაცია;

8) კულტურა – ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების საქმიანობის ორგანიზება;

9) სპორტი – სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ორგანიზება;

10) ჯანმრთელობის დაცვა – ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების დაზუსტება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება;

11) სოციალური უზრუნველყოფა – სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზება; მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება და განხორციელება;

12) დასაქმება – დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

13) მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და განვება – მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურში განვების და სამხედრო-სასწავლო შეკრებების ორგანიზება.

ყოველი ამ დარგის მიხედვით, მუნიციპალიტეტის სპეციფიკის და დარგის პრიორიტეტულობის მიხედვით, შეიძლება ჩამოყალიბდეს ცალკე სამსახური, ან მოხდეს მათი დაჯგუფება სამსახურების მიხედვით, სადაც ყოველი დარგი შეიძლება ჩამოყალიბდეს სამსახურის განყოფილების ან სამშტატო ერთეულის სახით.

მიუხედავად იმისა, დარგის მართვა მოცემული იქნება ცალკე სამსახურის, სამსახურის განყოფილების თუ სამშტატო ერთეულის სახით, საჭიროა ზუსტად იქნეს განსაზღვრული საქმიანობის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები.

დარგობრივი სამსახურის საქმიანობის მიზანი, ცხადია, არ არის შესაბამისი დარგის განვითარება. სამსახურის საქმიანობის მიზანი გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის მიზნიდან და გულისხმობს შესაბამისი სფეროს მართვას მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მოსახლეობისათვის ხარისხიანი საზოგადოებრივი მომსახურების მინოდებას.

რაც შეეხება დარგობრივი სამსახურის ამოცანებს, იგი გულისხმობს მიზნის მისაღწევად შესაბამისი დარგის მართვას და ამ სფეროში არსებული პრობლემე-

ბის გადაწყვეტას, საიდანაც გამომდინარეობს ამ სამსახურის ფუნქციები.

მაგალითად, კეთილმოწყობის სამსახურის (განყოფილების, საშტატო ერთეულის) საქმიანობის მიზანია მოსახლეობის ცხოვრებისათვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შექმნა. ამოცანები შეიძლება იყოს:

- ა) დასახლებების კეთილმოწყობა და გამწვანება;
- ბ) ტერიტორიის დასუფთავება, ნარჩენების გატანა;
- გ) გარე განათება;
- დ) პარკების, სკვერების მოწყობა;
- ე) სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

ამოცანების მიხედვით სამსახურის (განყოფილების, საშტატო ერთეულის) ფუნქციები შეიძლება იყოს:

ა) ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

ბ) წინადადებების შემუშავება ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე;

გ) წინადადებების შემუშავება სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზების საკითხებზე;

დ) წინადადებების შემუშავება დასუფთავების მოსაკრებლის შემოღება-გაუქმებისა და მისი ოდენობის განსაზღვრის, მოსაკრებლის ადმინისტრირების საკითხებზე;

ე) ტერიტორიის კეთილმოწყობისა და დასუფთავების წესების დარღვევის, ანუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პრევენცია და აღკვეთა, შესაბამის სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა.

## 2. ფუნქციური სამსახურები

ფუნქციური სამსახურების შექმნის მიზანია გამგეობის/მერიის საქმიანობის ცალკეული ფუნქციების გამოტანა დარგობრივი და ტერიტორიული ორგანოებიდან და სპეციალიზირებული სამსახურის (სამსახურების) შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია ამ ფუნქციის შესრულებაზე. ფუნქციური სამსახურის შექმნის მიზანია ამ ფუნქციის განხორციელება გაფხადოთ უფრო ეფექტიანი და შესაძლებელი იქნეს ამ ფუნქციის განხორციელებაში ყველა სხვა სამსახურის საქმიანობის კოორდინირება. ასეთი ფუნქციური სამსახურების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებზე. ამიტომ, ერთ მუნიციპალიტეტში შესაძლებელია არსებობდეს ფუნქციური სამსახური, ხოლო მეორე მუნიციპალიტეტში ამ ფუნქციის შესრულება დაევალოს არა სპეციალურ სამსახურს, არამედ მოექცეს დარგობრივი ორგანოების საქმიანობის სფეროში. ამასთან, არსებობს გარკვეული ფუნქციები, რომლებიც პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტში ყალიბდება ცალკე სამსახურის ან სამსახურის სპეციალური განყოფილებების სახით.

1. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც მოიცავს ერთიანი საფინანსო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფას, ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენას, დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას და საბიუჯეტო სახსრების მართვას; კონტროლს ფინანსური რესურსების რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე;
2. ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური, რომელიც მოიცავს მუნი-



- ციპალიტეტში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების უზრუნველყოფას, თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული პროგრამების პროექტების შემუშავებას და მისი განხორციელების კოორდინაციას;
3. მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის უზრუნველყოფას, მის მართვასა და ეფექტიან გამოყენებას;
  4. მუნიციპალური შესყიდვების სამსახური, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მუნიციპალური შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, შესყიდვის პროცედურების კანონიერების დაცვას, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, შესყიდვების პროცესში კონკურენტული გარემოს შექმნას და შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას;
  5. სივრცით-ტერიტორიული მონაცემებისა და ურბანული დაგეგმვის სამსახური, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული მონაცემებისა და დასახლებების დაგეგმვის უზრუნველყოფას, მშენებლობების კოორდინაციასა და ზედამხედველობას სამშენებლო ნორმების დაცვაზე;
  6. სტატისტიკის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;
  7. ზედამხედველობის სამსახური, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში მმართველობითი ფუნქციების აღსრულებაზე ზედამხედველობას.

როგორც ამ ჩამონათვალიდანაც ჩანს, ფუნქციური სამსახურები ახდენენ არა რომელიმე დარგის მართვას, არამედ გარკვეული მმართველობითი ფუნქციის ერთ სამსახურში კონცენტრირებას. მაგალითად, შესყიდვების სამსახურის არ არსებობის შემთხვევაში გამგეობის/მერიის ყველა სამსახური ინდივიდუალურად უნდა ახდენდეს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო შესყიდვებს. ასევე, ზედამხედველობის სამსახურის არარსებობის შემთხვევაში ყველა სამსახური ვალდებულია თავად განახორციელოს ზედამხედველობა მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე. ამ ორი მაგალითიდან აშკარად იკვეთება ფუნქციური სამსახურების შექმნის თავისებურება. თუ პირველ მაგალითზე (შესყიდვების სამსახურზე) აშკარაა, რომ ამ ფუნქციის დეცენტრალიზება და მისი განაწილება სამსახურებზე არ იქნება ოპტიმალური, მეორე მაგალითი – ერთიანი ზედამხედველობის სამსახურის შექმნა, პრაქტიკაში ოპტიმალური შეიძლება იყოს მხოლოდ კომპაქტურ მუნიციპალიტეტებში, მაგალითად თვითმმართველ ქალაქებში. ამდენად, თუ დარგობრივი სამსახურის ფორმირებისას მუნიციპალიტეტი გამოდის მისი უფლებამოსილებებიდან და ვალდებულია არ დატოვოს სფერო სტრუქტურული ერთეულის, განყოფილების ან სამტატო ერთეულის გარეშე, ფუნქციონალური სამსახურების შექმნისას მუნიციპალიტეტი უფრო მეტად არის დამოკიდებული ადგილობრივ პირობებსა და სპეციფიკაზე, რომელთა მიხედვითაც ხდება გადანყვეტილების მიღება გამოიყოს რომელიმე მმართველობითი ფუნქცია ცალკე სტრუქტურულ ერთეულად თუ მოხდეს ამ ფუნქციის დეცენტრალიზება და გადანაწილება სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

### 3. თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის უზრუნველყოფის სამსახურები (აპარატი)

დარგის მართვისა და ფუნქციური სამსახურებიდან ცალკე შეიძლება გამოიყოს ისეთი სამსახურები, რომლებიც იქმნება არა კონკრეტული დარგის მართვის ან მმართველობითი ფუნქციის შესასრულებლად, არამედ მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, საკადრო, საინფორმაციო თუ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით. ამ მხრივ საქმიანობის უზრუნველყოფი სამსახურები გარკვეულწილად გვანან ფუნქციონალურ სამსახურებს, ანუ ხდება გარკვეული ფუნქციის გამოტანა სხვა ერთეულებიდან. მაგალითად, იქმნება ერთიანი საკადრო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებული ადამიანური რესურსების მართვას და არ ხდება მისი დანაწილება სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. მაგრამ, ფუნქციური სამსახურებისგან განსხვავებით ეს სამსახურები უბრალოდ მმართველობით ფუნქციას კი არ განახორციელებენ, არამედ მათი საქმიანობა მიმართულია სხვა სამსახურებისა და ორგანოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად. როგორც წესი, ეს სამსახურები ერთიანდებიან ერთ ერთეულში – ადმინისტრაციულ სამსახურში, თუმცა, შესაძლებელია, ადგილობრივი სპეციფიკის მიხედვით ისინი წარმოდგენილი იქნენ ცალკე სამსახურების სახით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის უზრუნველყოფი სამსახურების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

**ორგანიზაციული უზრუნველყოფა.** ეს მიმართულება მოიცავს როგორც ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, მაგალითად თათბირების მომზადებას, მოწვეულ პირთა გაფრთხილებას, ოქმის წარმოებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების გაკონტროლებას, ისე – საქმის წარმოებას:

- შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას;
- შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციასა და ინდექსაციას;
- დოკუმენტების გადაცემას შემსრულებლისათვის;
- დავალებების სათანადოდ გაფორმებას;
- დოკუმენტების შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;
- გასული დოკუმენტების გაგზავნას;
- საქმეთა მომზადებას არქივისათვის ჩასაბარებლად;
- საქმეთა ნომენკლატურის შედგენას;
- ადმინისტრაციული წარმოების წესებისა და პროცედურების დაცვას;
- საქმისწარმოებაში ბეჭდების, შტამპების, ბლანკების სათანადო გამოყენებას;
- თვითმმართველობის მოხელეთათვის საქმისწარმოების წესის გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე.

**საინფორმაციო უზრუნველყოფა.** ეს მიმართულება მოიცავს ინფორმაციის გაცემისა და მიღების ორგანიზებას და მასთან დაკავშირებულ ისეთ საქმიანობას, როგორცაა:

- მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის წარმოება და ადმინისტრირება;
- საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება;
- საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობების გამოქვეყნება;

- გამგებლის/მერის საქმიანობის ანგარიშების გამოქვეყნება;
- მოქალაქეთა მისაღების მეშვეობით „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დაცვით მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურება;
- გამგებლის (მერის) პრეს-კონფერენციების ჩატარება, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრეს-დაიჯესტის მომზადება და გამოქვეყნება; მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ურთიერთობა საინფორმაციო საშუალებებთან;
- გამგეობაში/მერიაში ჟურნალისტების აკრედიტაცია;
- ელექტრონული საქმისწარმოება;
- მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირება;
- მუნიციპალური სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და სელექცია.

**სამართლებრივი უზრუნველყოფა.** ეს მიმართულება მოიცავს იმ სამსახურის (განყოფილების, სამტატო ერთეულის) საქმიანობას, რომელის ფუნქციაა მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადამწვეტილებების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი დაცვა:

- გამგებლის/მერის, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებისა და მუნიციპალური სამსახურების იურიდიული კონსულტირება, სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- გამგეობაში/მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობა, მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და თვითმმართველი ერთეულის ნორმატიულ აქტებთან;
- მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სასამართლოში;
- მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

**ადამიანური რესურსების მართვის უზრუნველყოფა.** ამ მიმართულებაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ვექტორი: ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზება.

პირველი ვექტორი მიმართულია ოპტიმალური ადგილობრივი საკადრო პოლიტიკის ფორმირებაზე და მოიცავს:

- საკადრო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავებასა და განხორციელების კოორდინაციას;
- გამგეობის/მერიის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციურ და მართვის პროცედურების ანალიზს, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების კონტროლს საკადრო პოლიტიკის განხორციელებისა და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;
- გამგეობის/მერიის სტრუქტურაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ წინადადებების შემუშავებას; გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების მომზადებას ამ ერთეულების ხელმძღვანელთა წინადადებების საფუძველზე;

- გამგეობის/მერიის სტრუქტურულ ერთეულთა საკადრო პოტენციალის ანალიზს, კადრების საჭიროებათა შესწავლას და საკადრო რესურსების გამოყენების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადებას;
- წინადადებების მომზადებას გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების მართვის სისტემის ოპტიმიზაციისა და სამტატო ნუსხების თაობაზე;
- მუნიციპალურ მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციების და სამუშაო აღწერილობების მომზადებას, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობებისა და სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმებისა და ანგარიშგების ფორმების დადგენას; კონტროლს მათ შესრულებაზე;
- მუნიციპალურ მოსამსახურეთათვის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების დადგენის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;
- საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის პირობების, ნახალისებისა და დისციპლინარული ზომების გამოყენების წესების განსაზღვრის შესახებ წინადადებების მომზადებას;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სტაბილურობის, სამსახურებრივი გადაადგილებისა და დენადობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შედგენას, პერიოდულ ანალიზსა და შეფასებას; მუნიციპალურ მოსამსახურეთა პროფესიული დონის ანალიზს;
- მუნიციპალურ მოსამსახურეთა რეზერვის ერთიანი ბანკის შექმნასა და რეზერვის მიზნობრივ გამოყენებას.

მეორე ვექტორი მიმართულია თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა მართვის ორგანიზებისაკენ და უზრუნველყოფს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების კონტროლს;
- მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოებას; შრომის წიგნაკების, ჩანართი ფურცლების აღრიცხვა-წარმოებას; სოციალური საკითხების გადაწყვეტას და საპენსიო საბუთების გაფორმებას წელთა ნამსახურობის მიხედვით;
- მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმებას;
- მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, გათავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების, შვებულებაში გასვლისა და მივლინების დოკუმენტურ გაფორმებას;
- შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას; აღრიცხვასა და კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვაზე;
- მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკის შედგენას;
- მოსამსახურეთა დისციპლინარული გადაცდომის შესახებ საკითხების განხილვას და დისციპლინარული ზომის გამოყენების თაობაზე შესაბამისი წინადადებების მომზადებას;
- მოსამსახურეთათვის საკლასო ჩინების მინიჭებისა და კანონით დადგენილი დანამატების განსაზღვრის საკითხების მომზადებას;

- მოსამსახურეთა მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვების დაცვის კონტროლს; საჯარო მოსამსახურეთა მიერ შეთავსებით სხვა სამუშაოს შესრულების გამო შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის საკითხების შესწავლას;
- კონტროლს მოსამსახურეთა მიერ კანონით დადგენილი დეკლარაციების წარდგენაზე;
- მოსამსახურეთა სამსახურეობრივი მოწმობების გაფორმებას და აღრიცხვას;
- გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტების მომზადებას, რეორგანიზების ჩატარების ორგანიზებას;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა წარდგენას სახელმწიფო ფილდოებზე; მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული საპატიო წოდებების და ფილდოების მინიჭების საკითხების მომზადებას; მუნიციპალურ მოსამსახურეთა ნახალისების შესახებ წინადადებების მომზადებას;
- საკონკურსო-საატესტაციო კომისიისათვის კონკურსისა და ატესტაციის ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმების წარმოებას და მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმებას;
- კვალიფიკაციის ასამაღლებელ მოსამსახურეთა სიის შედგენას; გადამზადების პროგრამათა განსაზღვრას; კონტროლს მუნიციპალურ მოსამსახურეთა მიერ სწავლების (კვალიფიკაციის) ამაღლების კურსების გავლაზე, სწავლების ეფექტიანობის შემოწმებას;
- წინადადებების შემუშავებას ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მუნიციპალურ მოსამსახურეთა სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების შესახებ;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციების და ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზებას;
- მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებას; სტაჟირების და პრაქტიკის გავლის საკითხების გადაწყვეტას; სასწავლო დაწესებულებების შერჩევასა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებას;
- მოსამსახურეთათვის კონსულტაციების განეგას მათი სამართლებრივი მდგომარეობის, შეზღუდვებისა და სამსახურის გავლის სხვა საკითხებზე.

**მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.** ეს მიმართულება მოიცავს როგორც სამეურნეო-ტექნიკურ, ისე საფინანსო-ბუღალტრული მომსახურების საკითხებს.

სამეურნეო-ტექნიკური მომსახურების მიმართულებით შესაბამისი სამსახური (განყოფილება, სამტატო ერთეული) უზრუნველყოფს:

- გამგეობის/მერიის სამსახურების სარგებლობაში არსებული ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობას, აღჭურვას, რემონტს, კეთილმოწყობას, დაგვა-დალაგებას, კომუნალურ მომსახურებასა და დაცვას;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ტექნიკურად გამართულ

ფუნქციონირებას;

- საოფისე ავეჯის, კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკის მოვლა-პატრონობას, რემონტს და ტექნიკურ მომსახურებას;
- გამგეობის/მერიის საოფისე მასალებით მომარაგებას;
- გამგეობის/მერიის ინვენტარის, ტექნიკისა და სხვა აღჭურვილობით სარგებლობის წესების დაცვას;
- გამგეობის/მერიის სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას.

ხოლო **საფინანსო-საბუღალტრო მომსახურების მიმართულებით** შესაბამისი სამსახური (განყოფილება, სამტაგო ერთეული) უზრუნველყოფს:

- საბუღალტრო აღრიცხვას;
- ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად ხარჯის განწესას, საფინანსო ოპერაციების წარმოებას;
- საბანკო ანგარიშების მართვას, ურთიერთობებს ხაზინასთან და საბანკო დანესებულებებთან;
- მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხების მართვას;
- გამგეობის/მერიის სარგებლობაში არსებული ქონების აღწერა-ინვენტარიზაციას;
- მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა ხელფასების, სამივლინებო ხარჯების და სხვა გადასახდელების გაცემას.

## **თავი IV. გამგეობის/მერიის მუშაობის ორგანიზება**

გამგეობის/მერიის რაციონალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა მართვის ეფექტიანობისათვის. სწორ ორგანიზაციულ სტრუქტურასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს საქმიანობის სწორ ორგანიზებას, რაც გამოიხატება საქმიანობის ზუსტ რეგლამენტირებასა და დაგეგმვაში.

დებულებები არის უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციული ერთეულის მიზნებს, ამოცანებს, ფუნქციებს, მის შიდა სტრუქტურას და ანგარიშვალდებულებებს. დებულებებთან ერთად მუშაობის სწორი ორგანიზებისათვის ასევე აუცილებელ დოკუმენტებს წარმოადგენს სამუშაოთა გეგმები და თანამდებობრივი ინსტრუქციები. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მუშაობის ორგანიზების ძირითადი ხარვეზებია ფუნქციების დუბლირება, თანამშრომელთა არათანაბარი დატვირთვა, სამსახურებს შორის სუსტი ჰორიზონტალური კავშირები. ამ ხარვეზების აღმოფხვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სამუშაო გეგმები, რომლებიც იძლევა ყველა სამსახურის ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის საშუალებას. როგორც წესი, უნდა დგებოდეს წლიური და კვარტალური სამუშაო გეგმები, ასევე ყოველკვირეული ოპერატიული გეგმები. სამუშაო გეგმები წარმოდგენილი, შეთანხმებული და დამტკიცებული უნდა იქნეს გამგებელთან (მერთან) ორგანიზებულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობას იღებენ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები (გამგებელი (მერი), მისი მოადგილეები, სამსახურის უფროსები და ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელები). სამუშაო გეგმების თავმოყრა და მათ შესრულებაზე კონტროლი ევალება აპარატს ან აპარატის ტიპის სამსახურს (მაგ. ადმინისტრაციულ სამსახურს). სამუშაო გეგმების არსებობა არა მხოლოდ

ურთიერთშეთანხმებულს და კოორდინირებულს ხდის სამსახურების საქმიანობას, არამედ გამოორიცხავს ფუნქციათა დუბლირებას და ამავდროულად საშუალებას იძლევა მომზადდეს სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო გეგმები და მოხდეს მათ შორის სამუშაო დატვირთვის თანაბარი განაწილება.

## 1. ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001:2008

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (International Organization for Standardization) 2009 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა დოკუმენტი IWA 4:2009 „ხარისხის მართვის სისტემა. სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ISO 9001:2008 გამოყენებისათვის“ (Quality management systems - Guidelines for the application of ISO 9001:2008 in local government). IWA – წარმოადგენს საერთაშორისო ტექნიკურ შეთანხმებას (International Workshop Agreement), რომელიც მომზადებული იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ხარისხის მართვის სისტემის დასაწერად. მისი მიზანია:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა;
- თვითმმართველობის მოხელეთა საქმიანობის ხარისხის ამაღლება;
- თვითმმართველობის მიერ მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის გაზრდა;
- თვითმმართველ ერთეულში ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება;
- თვითმმართველობის განვითარებისა და ადმინისტრაციული რეფორმის ჩატარების მხარდაჭერა;
- თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება და კარიერული ზრდა.

ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა თვითმმართველობის ორგანოებს საშუალებას აძლევს:

- მოახდინონ ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია და გააუმჯობესონ ურთიერთკავშირი სტრუქტურულ ერთეულებს შორის;
- ოპტიმალურად შეამცირონ სამუშაოს შესრულების ვადები;
- გაზარდონ საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხი;
- გაზარდონ თვითმმართველობის მოხელეთა სამემსრულებლო დისციპლინა და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

ხარისხის მართვის სისტემა არის ერთ-ერთი ის საშუალება, რომლის დახმარებითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ეფექტურად გეგმავენ და ახორციელებენ თავის საქმიანობას. ის აერთიანებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციულ სტრუქტურას, აგრეთვე დაგეგმვას, პროცედურებს, რესურსებს და დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად და საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად. სწორედ ამიტომ, ISO 9001:2008 დოკუმენტის შესავალში მითითებულია, რომ ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა უნდა წარმოადგენდეს ორგანიზაციის სტრატეგიულ გადაწყვეტილებას.

მართვის ხარისხის სისტემა ეფუძნება ISO 9001:2008 პრინციპებს, რომელიც საშუალებას იძლევა მართვის პროცესი განხილულ იქნას დინამიკაში, მოახდინოს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის თანმიმდევრულობის დაცვა და მუშაობის ოპტიმიზაცია.

ISO 9001:2008 -ის მიხედვით ხარისხის მართვის სისტემის დასაწერად უპირ-

ველეს ყოვლისა საჭიროა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები: გაანალიზდეს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის განმსაზღვრელი ნორმატიული ბაზა, რის შემდეგ უნდა მოხდეს მართვისა და ფუნქციების განხორციელების პროცესის დეტალური განერა. ამ მეთოდის მიზანია მართველობითი პროცესების ზუსტი განსაზღვრა და მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენა, რამაც უნდა უზრუნველყოს მართვის პროცესის ერთიანი კოორდინირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილია მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების საკმაოდ ვრცელი ნრე. ხარისხის მართვის სისტემის დასაწერგად აუცილებელია ყველა ამ უფლება-მოვალეობის (ფუნქციის) განხორციელების პროცესის ზუსტი და დეტალური განერა (დანყება და დამთავრება), მათ შორის ურთიერთკავშირის დადგენა, მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციული ერთეულების და საჭირო რესურსების (მატერიალური, ადამიანური, საინფორმაციო) განსაზღვრა, ასევე პროცესის კონტროლის და მიღებულ შედეგებზე ანგარიშგების პერიოდულობის დადგენა.

ISO 9001:2008-ში მოცემული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს მართვის უწყვეტ ხასიათში, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის ურთიერთკავშირს. ეს მეთოდოლოგია ეფუძნება «Plan — Do — Check - Act» (PDCA) სისტემის გამოყენებას:

- **დაგეგმვა (Plan):** მიზნისა და მიზნის მისაღწევი პროცესების განსაზღვრას;
- **ქმედება (Do):** პროცესის (ლონისძიებების) განხორციელებას;
- **კონტროლს (Check):** მიმდინარე პროცესსა და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგს, მიღწეული შედეგების შესაბამისობას დასახულ მიზანთან. ანგარიშგებას;
- **მოქმედება (Act):** შესრულების პროცესის მუდმივ სრულყოფას.


მუნიციპალიტეტის ორგანოებში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა ISO 9001:2008 მსოფლიოში აღიარებულია საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს მექანიზმად. ამ სისტემის დანერგვა შეიძლება გახდეს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების ახალი ეტაპის დასაწყისი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ინტეგრაციას ევროპის მოწინავე ქვეყნებში დანერგილ სტანდარტებთან.

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა აუცილებელი, ამავდროულად ხანგრძლივი პროცესია, რომლის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მთელ რიგ მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებაზე. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია თვითმმართველობის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი იმ ფაქტორების მეშვეობით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობაზე, კომპეტენტურობასა და მართვის პროცესის გამჭვირვალობაზე, სტრუქტურის ეფექტურობის შეფასება. ამ მიმართულებით შეიძლება გამოყენებული იქნეს მმართველობის სისტემის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ხარვეზები.



## 2. მუნიციპალური მართვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები

მუნიციპალური მართვის სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებლები:



მუნიციპალური მართვის სისტემის ეფექტიანობის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

- 1) **ქმედითობა** – განისაზღვრება მმართველობის სისტემის მიერ დასახული მიზნების მიღწევის დონით. მის გასაზომად ხდება თავდაპირველად დასახული მიზნების შეფარდება მიღებულ ფაქტობრივ შედეგთან. ეს კრიტერიუმი შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც მთლიანად მართვის სისტემის, ისე ცალკეული სამსახურის ან თანამშრომლის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად;
- 2) **ეკონომიურობა** – განისაზღვრება მიზნის მისაღწევად თავდაპირველად გათვალისწინებული ხარჯების შეფარდებით ფაქტიურად განეულ ხარჯებთან;
- 3) **ხარისხი** – განისაზღვრება მართვის არსებული სისტემის დონის შესაბამისობით მის მიმართ არსებულ მოთხოვნებთან და თავდაპირველ მოლოდინთან;
- 4) **მიღებული შედეგებისა და მასზე განეული ხარჯების თანაფარდობა** – განისაზღვრება განეული მომსახურებისა (ქმედითობის) და მასზე განეული ხარჯების (ეკონომიურობის) თანაფარდობით;
- 5) **სამუშაო პირობების დამაკმაყოფილებლობა** – განისაზღვრება მუნიციპალური სამსახურის პრესტიჟულობითა და სტაბილურობით;
- 6) **ინოვაციების დონე** – განისაზღვრება მართვის სისტემაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისა და მათი დანერგვის დონის მიხედვით.

მუნიციპალური მართვის სისტემის ეფექტიანობის საზომად გამოიყენება:

- ა) ზოგადი სოციალური ეფექტიანობა;
- ბ) მართვის ორგანიზაციის ეფექტიანობა;
- გ) მუნიციპალური მართვის სისტემის ეფექტიანობა.

ეფექტიანობის სახეები	ეფექტიანობის საზომი
ზოგადი სოციალური ეფექტიანობა	მოსახლეობის ცხოვრების დონე
მართვის ორგანიზაციის ეფექტიანობა	1. მართვის პროცესის ორგანიზება და მასზე განეული ხარჯები 2. ორგანიზაციული სტრუქტურის რაციონალურობა 3. მართვის სისტემის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე
მუნიციპალური მართვის სისტემის ეფექტიანობა	1. დასახული მიზნების შესრულების დონე 2. საჭიროებების, შედეგებისა და ხარჯების ურთიერთთანაფარდობა 3. მართვის თითოეული სტრუქტურული ერთეულის ეფექტიანობა

### 3. მართვის ორგანიზაციის ეფექტიანობა

მართვის ორგანიზაციის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის მაჩვენებლები შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად:

1. მართვის პროცესის ეფექტიანობის მაჩვენებლები;
2. ორგანიზაციული სისტემის რაციონალობის მაჩვენებლები;
3. მართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მაჩვენებლები.

#### 3.1 მართვის პროცესის ეფექტიანობის მაჩვენებლები:

- ა) **ოპერატიულობა** – განისაზღვრება გადანყვეტილების მიღების დროულობით, გადანყვეტილების მიღების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრით, ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნით;
- ბ) **ეკონომიურობა** – განისაზღვრება მმართველობით საქმიანობაზე განეული ხარჯების (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული შენობის მოწყობაზე განეული ხარჯები, ტრანსპორტირების ხარჯები, ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები) წილით ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ მთლიან ხარჯებთან;
- გ) **ადაპტაცია და მოქნილობა** – განისაზღვრება სტრუქტურის უნარით, თუ რამდენად სწრაფად შეუძლია მას შეცვლილ გარემოსთან სრულყოფილი შეგუება;
- დ) **საიმედოობა** – განისაზღვრება სტრუქტურის უნარით სხვადასხვა ხელისშემშლელი გარე ფაქტორის მიუხედავად შეუფერხებლად იმუშაოს და დადგენილ ვადაში შეასრულოს დაგეგმილი ღონისძიებები.

#### 3.2 ორგანიზაციული სისტემის რაციონალობის მაჩვენებლები:


- ა) მიზნებისა და ფუნქციების ურთიერთ შესაბამისობა;
- ბ) სამუშაოს მოცულობისა და სამტატო რაოდენობის ურთიერთ შესაბამისობა;

გ) მართვის პროცესის ავტომატიზაცია და მართვის პროცესის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის დონე.

### **3.3 მართვის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მაჩვენებლები:**

- ა) შრომის განაწილების დონე – განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციით მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- ბ) მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დონე – განისაზღვრება სტრუქტურის ინსტრუქციებით ან სხვა მეთოდოლოგიური მასალით უზრუნველყოფილი ფუნქციების შეფარდებით ამ სტრუქტურის საერთო ფუნქციებთან;
- გ) კონტროლის (ანგარიშგების) დონე – განისაზღვრება სისტემატურ კონტროლს დაქვემდებარებული მოქმედებების რაოდენობის შეფარდებით ამ სტრუქტურის მიერ შესრულებული მოქმედებების საერთო რაოდენობასთან;
- დ) დაგეგმვის დონე – განისაზღვრება წინასწარ შემუშავებული გეგმით მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- ე) შეფასების დონე – განისაზღვრება იმ თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით, რომელთა საქმიანობაც პერიოდულად ფასდება, თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- ვ) სტაბილურობის დონე – განისაზღვრება პროცენტულად. წლის განმავლობაში განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- ზ) დისციპლინის დონე – განისაზღვრება პროცენტულად წლის განმავლობაში დისციპლინარულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- თ) სამუშაო პირობების დონე – განისაზღვრება პროცენტულად იმ თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით, რომელთა სამუშაო პირობები საჭიროებს გაუმჯობესებას (განათება, გათბობა-კონდიციონერება, სამუშაო ფართობი, სამუშაო აღჭურვილობა და ა.შ.) თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- ი) ტექნიკური აღჭურვილობის დონე – განისაზღვრება პროცენტულად პერსონალური კომპიუტერით უზრუნველყოფილ თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- კ) კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციის დონე – განისაზღვრება პროცენტულად წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებ-გავლილ თანამშრომელთა რაოდენობის შეფარდებით თანამშრომელთა საერთო რაოდენობასთან;
- ლ) შემოსულ განცხადებებსა და მოთხოვნებზე რეაგირების დონე – განისაზღვრება პროცენტულად კანონით დადგენილ ვადებში მიღებული გადანყვეტილებებისა და პასუხების რაოდენობის შეფარდებით შემოსული განცხადებებისა და მიმართვების რაოდენობასთან;

მართვის ორგანიზაციის ეფექტიანობის სქემა



4. სამუშაოთა აღწერილობა

ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ერთდროულ და პარალელურ პროცესს წარმოადგენს სტრუქტურული ორგანოების ფუნქციების განსაზღვრა და განაწილება. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხური, როცა ხდება ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმების განსაზღვრა. ფუნქციების სწორად განაწილებამ უნდა გამოიწვიოს ფუნქციათა დუბლირება და არ დატოვოს „თეთრი ლაქები“ თვითმმართველობის კომპეტენციებში. ფუნქციათა განსაზღვრიდან გამომდინარეობს როგორც ცალკეული ერთეულის შიდა სტრუქტურული აგებულება და საშტატო რიცხოვნება, ისე თითოეული საშტატო ერთეულის სამუშაოთა აღწერილობა.

სამუშაოთა აღწერილობის შედგენას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მოხელესთვის სამუშაოთა აღწერილობა წარმოადგენს იმ ძირითად დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს არსი და მო-

ცულობა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება და ამ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამდენად, თუ სამუშაოთა აღწერილობა სწორად და სრულყოფილად არის შედგენილი, დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს განისაზღვროს ამ სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ცოდნა და უნარ-ჩვევები. საკვალიფიკაციო მოთხოვნები უშუალოდაა დაკავშირებული შესასრულებელ სამუშაოსთან. რაც უფრო რთული სამუშაოა შესასრულებელი, მით უფრო მეტი შეიძლება იყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნა. სამუშაოთა აღწერილობის გარეშე კი სრულიად გაურკვეველი ხდება რა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დაწესდეს ამა თუ იმ თანამდებობისათვის. სამუშაოთა აღწერის გარეშე საკვალიფიკაციო მოთხოვნები იღებს ზოგად ხასიათს და ვერ ასრულებს ამ მოთხოვნების შემოღების მიზანს. ასეთ დროს აქცენტი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ე.წ. სავალდებულო საკვალიფიკაციო მინიმუმზე, ანუ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე, რომელიც საერთოა ყველა მოხელესათვის განურჩევლად მისი თანამდებობისა და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკისა. ცხადია, ასეთი წესით შერჩევა ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს.

2012 წლის 20 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“. ამ დადგენილებით, ადამიანური რესურსების მართვის სხვა საკითხებთან ერთად, დარეგულირდა საჯარო დაწესებულებებში (მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში) თანამდებობის პირთა სამუშაოთა აღწერილობების შედგენის მინიმალური სტანდარტები.

მოხელის სამუშაოთა აღწერილობა არის მოხელის თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობების, თანამდებობრივი დაქვემდებარების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, მოხელის მიერ დაკავებული თანამდებობრივი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პროფესიული ცოდნის, ზოგადი და სპეციალური უნარ-ჩვევების განმსაზღვრელი დოკუმენტი.

სამუშაოთა აღწერილობის მიზანია:

- თვითმმართველობის მოხელის საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;
- თვითმმართველობის მოხელის საქმიანობის რეგლამენტირება;
- თვითმმართველობის მოხელეთა შორის თანამდებობრივი მოვალეობების განაწილების ოპტიმიზაცია და ფუნქციათა დუბლირების გამორიცხვა;
- თვითმმართველობის მოხელეთა მიერ თავისი საქმიანობით მიღებულ შედეგებზე პასუხისმგებლობის ამაღლება;
- ობიექტურობის უზრუნველყოფა თვითმმართველობის მოხელეთა ატესტაციის, მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების დროს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა აღწერილობით არა მხოლოდ დეტალურად გაიწერება თანამდებობის პირის მოქმედების ფარგლები, არამედ მასში აისახება თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების დოკუმენტის შესრულების მიზნით გასატარებელი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხები. ამიტომ, სამუშაოთა აღწერილობა ორგანიზაციულად დაკავშირებული და გამომდინარეობს თვითმმართველობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის მარეგლამენტირებელი დოკუმენტიდან.

## 5. მოხელეთა ღამათაგანითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა

საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ არ ითვალისწინებს სამუშაოთა აღწერილობისას დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენასაც. მინიმალური სტანდარტებით განსაზღვრულ სამუშაოთა აღწერილობის გრაფაში „სამუშაოს შესრულების ცოდნა/გამოცდილება“ მითითებაა მხოლოდ განათლებაზე, სფეროსა და სამუშაო გამოცდილებაზე, ასევე უცხო ენის, კომპიუტერის ცოდნასა და საკვანძო კომპეტენციებზე. ეს ფორმა, რა თქმა უნდა არ არის საკმარისი თვითმმართველობის მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასადგენად. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სამუშაოთა აღწერილობის ასეთი გამარტივებული ფორმის არსებობა სრულიად გასაგებია, რადგან იგი წარმოადგენს სწორედ მინიმალურ სტანდარტს, მაგრამ იგი შესაბამისი შევსების გარეშე ვერ გამოდგება თვითმმართველობის მოხელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასადგენად.

მოხელის სამუშაოთა აღწერილობის ფორმა არის ის ამოსავალი საიდანაც უნდა მოხდეს მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა. სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ფუნქციების შესრულების მიხედვით განისაზღვრება ის საჭირო ცოდნა და უნარები, რომელიც უნდა მოეთხოვებოდეს მოხელეს, რათა მან შეძლოს ამ ფუნქციების სრულყოფილი განხორციელება.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როგორც წესი, მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:

- ა) პროფესიული ცოდნის მოთხოვნებს;
- ბ) ზოგადი უნარების მოთხოვნებს;
- გ) პროფესიული უნარების მოთხოვნებს.

პროფესიული ცოდნის მოთხოვნებით განისაზღვრება სავალდებულო განათლების დონე (საშუალო განათლება, ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), სპეციალობა (სფერო/ფაკულტეტი) და იმ საკითხების (ძირითადად ნორმატიული აქტების) წრე, რომელთა ცოდნაც აუცილებელია შესაბამისი ფუნქციის შესასრულებლად.

ზოგადი უნარების მოთხოვნით განისაზღვრება ენის (სახელმწიფო და საჭიროების შემთხვევაში ასევე უცხო ენის) ცოდნა, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი.

პროფესიული უნარების მოთხოვნით განისაზღვრება სამუშაო გამოცდილება და ის აუცილებელი უნარები, რაც არის საჭირო ამ თანამდებობით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად მაგალითად: კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, სხვა საკვანძო კომპეტენციები – ლიდერობა, ინიციატივიანობა, ორიენტირება დეტალებზე და ა.შ.

ფორმის მიხედვით თვითმმართველობის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

- ა) მინიმალური (საერთო) საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც საერთოა თვითმმართველობის ყველა მოხელისათვის;
- ბ) სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დგინდება მოხელეთა თანამდებობრივი რანგებისა და სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად.

# ქარი X

## გამგეობის/მერიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები

### თავი I. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები და მათი საერთო ფუნქციები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებია: გამგებელი/მერი, გამგებლის/მერის პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები), გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები – სამსახურის უფროსები.

გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების უმთავრესი ფუნქციაა მათ დაქვემდებარებაში არსებული ერთეულის მართვა. აქედან გამომდინარე, თითოეული ეს თანამდებობის პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ახდენს იმ მოვლენათა აღბათობის იდენტიფიცირებას, შეფასებასა და მართვას, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე (რისკების მართვა);
- დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებს;
- განსაზღვრავს და მართავს მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად საჭირო რესურსებს;
- ხელს უწყობს ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;
- ხელს უწყობს მონაცემთა დაცვისა და მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას;
- შეიმუშავებს და აყალიბებს ერთეულის ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას;
- ანაწილებს ფუნქციებს დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის. კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას და აფასებს შესრულებულ სამუშაოს;
- უზრუნველყოფს ყველა შესრულებული ოპერაციის სრული, ზუსტი, დროული და რეგულარული აღრიცხვის პროცედურების დანერგვას;
- ახორციელებს და ხელს უწყობს ანტიკორუფციული ღონისძიებების პროცედურების დანერგვას.

### თავი II. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო – გამგებელი/მერი

#### 1. გამგებლის/მერის არჩევის და უნდობლობის გამოცხადების წესი

გამგებელი/მერი არის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თა-

ნასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გამგებელი/მერი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. გამგებლად/მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშნვის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში. საარჩევნო კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო. თუ გამგებლის/მერის არჩევნებში კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ ორზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა, ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღო, მეორე ტურში ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. თუ კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გააიარა რეგისტრაცია.

შესაბამისად, გამგებელი/მერი უპირველესად არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, ლიდერი, რომლის თანამდებობაზე ყოფნა დამოკიდებულია ნდობის ფაქტორზე. ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 51-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური პროცედურა გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

კანონის თანახმად, გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის წერილობითი ინიციატივა გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის წერილობითი ინიციატივა გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

თუ გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით, იქმნება საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა საინიციატივო ჯგუფმა კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს და განცხადება უნდა წარუდგინოს საკრებულოს.

საინიციატივო ჯგუფის განცხადებასა და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს აპარატი, რომლის შემდეგ, საინიციატივო ჯგუფი იწყებს ხელმოწერების შეგროვებას. ხელმოწერები გროვდება საკრებულოს მიერ დადგენილი ფორმის ფურცელზე.

საინიციატივო ჯგუფი განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი თვისა საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის თაობაზე განცხადებას და თანდართულ ხელმოწერებს, რომლებითაც დასტურდება, რომ ინიციატივას



მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას, განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 20 დღეში.

საკრებულოს წევრთა ინიციატივა განიხილება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღეში. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.

საკრებულოს მიერ გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხის დასმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება და უნდობლობის გამოცხადება გამგებლის/მერის არჩევიდან 6 თვის, აგრეთვე გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

გარდა უნდობლობის გამოცხადებისა, გამგებლის/მერის უფლებამოსილება ბათა ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) უფლებამოსილების ვადის ამონურვა;  
ბ) უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა;  
გ) საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლა;

დ) გარდაცვალება;

ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ზ) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება.

გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები ინიშნება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით, გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუადრეს 9 და არაუგვიანეს 11 დღეში. გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები იმართება გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 50 დღეში. რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში ახალარჩეული გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. თუ გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები, გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები არ იმართება. გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევებში მის მოვალეობას ასრულებს გამგებლის/მერის პირველი მოადგილე.

## 2. გამგებელი/მერი ანგარიში

გამგებელი/მერი ანგარიშვალდებულია როგორც საკრებულოს ისე მუნიციპალიტეტის ამომრჩევლების წინაშე და იგი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც ჩააბაროს ანგარიში განეული საქმიანობის თაობაზე.

გამგებლის/მერის წლიური ანგარიში უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან: ძირითადი ნაწილი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები და დასკვნითი ნაწილი, რომელშიც გაანალიზებული უნდა იყოს ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ფაქტიურად შესრულებულის აცდენა დაგეგმილთან. გამგებლის/მერის საქმიანობის ანგარიში დგება გამგებობის/მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის წლიური ანგარიშების საფუძველზე. მაგრამ გამგებლის/მერის საქმიანობის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს არა სტრუქტურული ერთეულების ან თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, არამედ ინფორმაცია აღმასრულებელი საქმიანობის – წლის მანძილზე დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შესახებ. აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ გამგებელი/მერი არჩეულია უშუალოდ მოსახლეობის მიერ და იგი ანგარიშვალდებულია როგორც საკრებულოს, ისე მოსახლეობის წინაშე. ამიტომ, საკრებულოსადმი წარდგენილი მისი ანგარიში აუცილებელია გამოქვეყნდეს და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოეწყოს მისი საჯარო განხილვა. გამგებელმა/მერმა, როგორც არჩეულმა პირმა, წლიურ ანგარიშში უნდა ასახოს თავისი წინასაარჩევნო დაპირებები და მოახდინოს საარჩევნო პროგრამის (წინასაარჩევნო დაპირების) შესრულების შეფასება (რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რატომ).

გამგებლის/მერის საქმიანობის წლიური ანგარიშის ძირითადი ნაწილი ცხრილის სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

N	პრიორიტეტების დოკუმენტით დადგენილი ამოცანები	წინასაარჩევნო დაპირება	დაგეგმილი ღონისძიებები	ფაქტიური შესრულება
	დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა			
	მინათსარგებლობის დაგეგმვა			
	თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვა			
	კეთილმოწყობა			
	გამწვანება			
	რეკრეაციული ზონების მოვლა-პატრონობა			
	მშენებლობათა რეგულაცია			
	მუნიციპალური ტრანსპორტი, სამგზავრო გადაყვანის რეგულირება			

	ვაჭრობა და ბაზრობების რეგულირება			
	წყალმომარაგება და წყალარინება			
	გარე განათება			
	დასუფთავება და ნარჩენების მართვა			
	ადგილობრივი მნიშვნელობის გზები			
	საგზაო მოძრაობის დაგეგმვა			
	ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის ობიექტები			
	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა			
	ინვესტიციების მოზიდვა			
	მცირე ბიზნესის ხელშეწყობა			
	სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამები			
	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების საქმიანობის ორგანიზება			
	სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებები; პროფესიული სწავლების ცენტრები			
	სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები			
	ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა			

### თავი III. გამგებლის/მერის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

#### 1. გამგებელი/მერი, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

გამგებელი/მერი, არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომლის საქმიანობა ეყრდნობა მისადმი გამოცხადებულ ნდობას. საარჩევნო კამპანიის დროს მის მიერ წამოყენებული პოლიტიკური პლატფორმა და დასახული მიზნები, რომელმაც დაიმსახურა ამომრჩეველთა მხარდაჭერა, არის ის ძირითადი

ორიენტირი, რომელთა შესრულება და დაცვა ქმნის ამ ნდობის შენარჩუნების პირობას. ამავდროულად, გამგებელი/მერი მუდმივად უნდა აკვირდებოდეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რათა ყოველი, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება გაითვალისწინოს თავის საქმიანობაში და ოპერატიულად მოახდინოს მასზე რეაგირება. გამგებელი/მერი არჩეულია თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ მოქალაქეთა მიერ, შესაბამისად იგი თავის საქმიანობაში მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებას და ინტერესებს, რისთვისაც აუცილებელია მას ჰქონდეს ინტენსიური კავშირი ამომრჩევლებთან. ეს ურთიერთობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მოქალაქეთა მიღებით. აუცილებელია გამგებელი/მერი პერიოდულად ატარებდეს საჯარო შეხვედრებს მოსახლეობასთან. ასევე მნიშვნელოვანი იქნება თუ გამგებელი/მერი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შექმნის სპეციალურ საკონსულტაციო ორგანოებს სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისაგან, სადაც პერიოდულად განხილული იქნება მუნიციპალიტეტის პრობლემური საკითხები.

გარდა მოსახლეობის ნდობისა, გამგებელი/მერი უნდა სარგებლობდეს საკრებულოს უმრავლესობის ნდობითაც. თვითმმართველობის შესახებ კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, საკრებულო უფლებამოსილია გამოუცხადოს უნდობლობა და თანამდებობიდან გადააყენოს მერი თუ ამ წინადადებას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

იმის გამო, რომ გამგებელი/მერი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, კოდექსი არ ადგენს სპეციალურ მოთხოვნებს თუ რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოცხადებული უნდობლობა. ამიტომ, გამგებელი/მერი მოვალეა ზრუნავდეს საკრებულოში უმრავლესობის ნდობის შენარჩუნებაზე. ამ მიზნით, გამგებელი/მერი სისტემატიურად უნდა ხვდებოდეს საკრებულოს ფრაქციებსა და საკრებულოს წევრებს, მათთან ერთად იხილავდეს მუნიციპალიტეტის საჭირობო საკითხებს, ცდილობდეს, რომ მაქსიმალურად ჩართოს საკრებულოს წევრები, კომისიები და ფრაქციები საკითხის მომზადების პროცესში, სისტემატიურად აწვდიდეს ინფორმაციას აღსრულებითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

## 2. ბაზემოვის/მერიის, როგორც აღმასრულებელი ორბანოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

გამგებელი/მერი, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირისა, წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს და შეიძლება ითქვას, მისი საქმიანობის შეფასებაც სწორედ მისი, როგორც აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის მიხედვით ხდება. ამ მხრივ, გამგებლის/მერის უმთავრესი ფუნქციაა აღსრულებითი პროცესის მართვა და შესაბამისად, გამგებლის/მერიის გამართული ფუნქციონირება. შეიძლება გამოიყოს გამგებლის/მერის, როგორც მმართველის (მენეჯერის) საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულება:

- 1) აღმასრულებელი საქმიანობის სტრატეგიული მართვა;
- 2) აღმასრულებელი საქმიანობის ოპერატიული მართვა.

### 2.1 აღმასრულებელი საქმიანობის სტრატეგიული მართვა

გამგებლის/მერიის საქმიანობის სტრატეგიული მართვა მოიცავს როგორც თვითმმართველი ერთეულის განვითარების დაგეგმვას, ისე – თვითმმართველი ერთეულის განვითარების მიზნით აღსრულების პროცესის მართვის

ძირეული მექანიზმების ჩამოყალიბებას და გამგეობის/მერიის საერთო ხელმძღვანელობასა და საქმიანობის კოორდინაციას. საქმიანობის ყველა ეს მიმართულება ურთიერთგანმაპირობებელია, რადგან თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების განსაზღვრა შესაბამისად აისახება გამგეობის/მერიის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, თავად ორგანიზაციული სტრუქტურის გამართულობა განაპირობებს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, ასევე საერთო ხელმძღვანელობისა და სამსახურების კოორდინაციის ეფექტურობას.

სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტების თაობაზე გადაწყვეტილება, როგორც წესი, არის ნორმატიული ხასიათისა და მიიღება საკრებულოს მიერ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების პროექტის მომზადება გამგებლის/მერიის პრეზოგატივია. კოდექსის თანახმად სწორედ გამგებელი/მერი არის უფლებამოსილი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სტრატეგიული დაგეგმვის განმსაზღვრელი ისეთი პროექტები, როგორცაა თვითმმართველი ერთეულის განვითარების სტრატეგია, თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტი. ასევე – სტრატეგიული მართვის განმსაზღვრელი ისეთი დოკუმენტები, როგორცაა: გამგეობის/მერიის დებულება, რომლითაც განისაზღვრება გამგეობის/მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა და გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლითაც ხდება ამ ერთეულთა ფუნქციების განსაზღვრა.

## **2.2 გამგეობის/მერიის საერთო ხელმძღვანელობა. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია**

გამგებლის/მერიის მიერ გამგეობის/მერიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა ეფუძნება მის მიერ გამგეობის/მერიის საქმიანობის დაგეგმვას, სტრუქტურულ ერთეულთა სამუშაო გეგმების დამტკიცებას, თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა ვადების განსაზღვრას, რამაც უნდა უზრუნველყოს აღსრულების პროცესის კოორდინირება და თანმიმდევრული განხორციელება. მუნიციპალური მართვა წარმოადგენს საქმიანობის ერთიან კომპლექსს, სადაც ყოველი რგოლის მოქმედება ზემოქმედებს და განაპირობებს ორგანიზაციის სხვა რგოლების საქმიანობის წარმატება-წარუმატებლობას. ამიტომ, გამგეობის/მერიის საქმიანობის კოორდინაციას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. კოდექსით გათვალისწინებული შესაძლებლობა, რომ მოხდეს გამგებლის/მერიის ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება მოადგილეებსა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე აუცილებელს ხდის ერთიანი ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის ეფექტური მექანიზმების შექმნას. საერთო ხელმძღვანელობა და საქმიანობის კოორდინაცია მოიცავს, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე – გადაწყვეტილების მომზადებისა და აღსრულების პროცესის მართვასა და კოორდინაციას. ამ პროცესების წარმართვისათვის ოპტიმალური იქნება გამგებელმა/მერმა გამოიყენოს პერიოდული თათბირების მექანიზმი, რითაც მოხდება სხვადასხვა ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდული ინფორმაციის მიღება და მოქმედებათა შეთანხმება. ორგანიზაციის ერთეულთა საქმიანობის პერმანენტული კოორდინაციის მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს გამგებლის/მერიის მოადგილეთა ინსტიტუტიც, რომლებიც გამგებლის/მერიის მიერ ფუნქციების განაწილების შესაბამისად პასუხისმგებლები არიან ერთგვაროვანი (ერთი მიმართულების, ერთ ბლოკში შემავალი) სამსახურების საქმიანობის კოორდინაციაზე.

გამგეობის/მერიის საერთო ხელმძღვანელობა მხოლოდ კოორდინაციით არ შემოიფარგლება. იგი მოიცავს ასევე საქმიანობის კონტროლს, ანგარიშგებას და საქმიანობის შეფასებას. საქმიანობის კონტროლი გულისხმობს ერთეულთა საქმიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემთა შესაბამისობას დადგენილ (გეგმით, დავალებით, ნორმატიული აქტით) მოთხოვნებთან. კონტროლის მიზანია აღმოფხვრას აცდენა დაგეგმილსა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის. კონტროლის დროს ხდება სრული ინფორმაციის მიღება ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, ხდება მისი შედარება დაგეგმილ შედეგებთან და ვლინდება ხარვეზები, რომელიც შეიძლება მდგომარეობდეს არა მხოლოდ არაჯეროვან მოქმედებაში, არამედ მოითხოვდეს თავად გადაწყვეტილების კორექტირებასაც. კონტროლის განხორციელება არის როგორც სტრატეგიული, ისე ოპერატიული მართვის მექანიზმიც, რომელიც საშუალებას იძლევა დროულად შეფასდეს არსებული მდგომარეობა და მოხდეს შესაბამისი კორექტირება როგორც სტრატეგიული მიმართულების, ისე მიმდინარე დავალებების შესრულების პროცესში.

### **2.3 აღმასრულებელი საქმიანობის ოპერატიული მართვა**

აღმასრულებელი საქმიანობის ოპერატიული მართვა გამომდინარეობს სტრატეგიული მართვიდან და გულისხმობს:

- ა) აღსრულების პროცესის მიმდინარეობის წარმართვას.
- ბ) აღსრულების პროცესის კორექტირებას.

აღსრულების პროცესის წარმართვის მიზნით გამგებელი/მერი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს (მაგ. სამუშაო გეგმების დამტკიცება, ფინანსური ოპერაციების წარმოება, შტატიტ გათვალისწინებულ თანამდებობებზე პირების დანიშვნა-გათავისუფლება, კომისიების შექმნა და ა.შ.), აგრეთვე საკრებულოს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებსა და ინფორმაციებს.

აღსრულების პროცესის კორექტირების მიზანია უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულება და გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის კორექტირება. ამ შემთხვევაში გამგებლის/მერიის მიერ ხდება დამატებითი დავალებების მიცემა გამგეობის/მერიის შესაბამისი სამსახურების ან ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებისათვის.

ოპერატიულ მართვას გამგებელი ახორციელებს უშუალოდ ან მისადმი დაქვემდებარებული თანამდებობის პირების მეშვეობით. კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ გამგებელს/მერს მიეცა უფლება მოახდინოს კანონით მასზე დაკისრებული ცალკეული უფლებამოსილების დელეგირება გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებზე. უფლებამოსილების გადანაწილება აძლევს გამგებელს/მერს საშუალებას მოახდინოს შესაბამისად პასუხისმგებლობათა გადანაწილებაც გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებზე. ასეთ შემთხვევაში გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები აღარ არიან მხოლოდ დავალების შემსრულებლები, რა დროსაც სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ პირზე – გამგებელზე/მერზე მოდიოდა. უფლებამოსილებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის განაწილება, ცხადია არ ნიშნავს, რომ გამგებელს/მერს ეხსნება ამ საკითხებზე პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში ყალიბდება ე.წ. გუნდური პასუხისმგებლობა. კოდექსის თანახმად, გამგებელი/მერი უფლებამოსილია კონკურსის გარეშე, ერთპიროვნულად თანამდებობაზე დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირი. ასეთი

ფორმა საშუალებას აძლევს გამგებელს ჩამოაყალიბოს საკუთარი გუნდი, რომელიც მთლიანობაში იღებს პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტის მართვაზე. ამიტომაცაა, რომ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები ინიშნებიან გამგებლის/მერიის უფლებამოსილების ვადით და გამგებლის/მერიის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მათაც უწყდებათ უფლებამოსილება ახალი გამგებლის/მერიის არჩევისთანავე.

კოდექსი, გამგებლის/მერიის უფლებამოსილების განსაზღვრისას ადგენს გამგებლის/მერიის იმ განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, რომელთა დელეგირებაც არ შეძლება. ესენია:

- გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია;
- გამგეობის/მერიის და გამგეობის/მერიის სამსახურების დებულებების დასამტკიცებლად წარდგენა საკრებულოში;
- გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება; საკრებულოსთვის ანგარიშის წარდგენა;
- საკრებულოში დასამტკიცებლად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების წარდგენა;
- რიგგარეშე სხდომის მოწვევის ინიციატივა;
- საკრებულოს სხდომაზე დამატებითი საკითხის შეტანა;
- მონიტორინგის განხორციელება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და სარგებლობის წესების დაცვაზე;
- სათათბირო ორგანოების – საბჭოებისა და სამუშაო ჯგუფების შექმნა და პირებისათვის მუნიციპალიტეტის საპატიო ნოდებებისა და ჯილდოების მინიჭება.

კოდექსით დადგენილი გამგებლის/მერიის ყველა სხვა უფლებამოსილება შეიძლება დელეგირებული იქნეს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებზე. მათ შორისაა ისეთი უფლება-მოვალეობები, როგორიცაა:

- გამგეობის/მერიის თანამშრომელთა დანიშვნა-განთავისუფლება, მათთვის ფუნქციებისა და დავალებების განაწილება, ანგარიშების მოსმენა, ნახალისება და დისციპლინური ზომების გამოყენება;
- საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები (ბიუჯეტის, გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ პროექტების მომზადება და საკრებულოში წარდგენა);
- ქონების მართვასა და განკარგვის სფეროს მიკუთვნებული უფლება-მოვალეობები (გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალური ქონების მართვასა და განკარგვაზე, გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის მიერ იურიდიული პირების დაფუძნება-რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე);
- მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შემუშავება და საკრებულოსთვის წარდგენა და ა.შ.);
- აღმასრულებელ სფეროს მიკუთვნებული სხვა უფლება-მოვალეობები, როგორცაა ხელშეკრულებების დადება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების, სივრცითი მოწყობის დოკუმენტების პროექტების მომზადება და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა და სხვ.

გამგებლის/მერიის მიერ ამ უფლება-მოვალეობათა სწორი გადანაწილე-

ბა, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს გამგებელს/მერს უპირატესი ყურადღება დაუთმოს სტრატეგიული მართვის საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ, მოადგილეებსა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე ოპერატიული მართვის ნაწილის დელეგირებით, შესაძლებელი ხდება ამ უფლება-მოვალეობათა უფრო ეფექტური განხორციელება და მერიის თანამდებობის პირებზე ცალკეული სფეროების ეფექტურ მართვაზე პასუხისმგებლობის გადანაწილება.

## **თავი IV. გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის სტატუსი და უფლებამოსილება**

გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს (მოადგილეებს) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი. გამგებლის/მერის პირველი მოადგილე და მოადგილე წარმოადგენენ საჯარო მოსამსახურეებს, თუმცა მათზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის უმთავრესი ნორმები. გამგებლის/მერის პირველი მოადგილე და მოადგილე ინიშნებიან გამგებლის/მერის მიერ გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადით. ამდენად, მათზე, როგორც განსაზღვრული ვადით დანიშნულ საჯარო მოსამსახურეებზე არ ვრცელდება არც კონკურსის და არც ატესტაციის წესები. ამ სტატუსით გამგებლის/მერის პირველი მოადგილე და მოადგილეები უთანაბრდებიან პოლიტიკური თანამდებობის პირებს. მათი უფლებამოსილების ვადა უშუალოდაა დაკავშირებული გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადასთან. გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადადღე შეწყვეტის შემთხვევაში გამგებლის/მერის პირველი მოადგილე და მოადგილე უფლებამოსილებას ახორციელებენ ახალი გამგებლის/მერის არჩევამდე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 57-ე მუხლი ადგენს მხოლოდ გამგებლის/მერის ზოგად უფლებამოსილებას და პირდაპირ არ არის მითითება გამგებლის/მერის პირველი მოადგილის უფლებამოსილებაზე. ამ საკითხს გარკვეულწილად ავსებს კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც მიუთითებს, რომ გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს პირველი მოადგილე. აქედან გამომდინარე, პირველი მოადგილის კანონით დადგენილი ფუნქციაა შეასრულოს გამგებლის/მერის მოვალეობები მისი არ ყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში. რაც შეეხება გამგებლის მოადგილეს (მოადგილეებს), კოდექსის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, გამგებლის/მერის მოადგილე ფუნქციათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობს გამგებლის/მერიის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ დარგს (დარგებს), ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და გამგებლის/მერის დავალებების შესრულებას, გამგებლის/მერიის დებულების შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. კანონის ამ ჩანაწერით, გამგებლის/მერის მოადგილის უმთავრესი ფუნქციაა დახმარება გაუწიოს გამგებელს/მერს ოპერატიული მართვის განხორციელებაში, რაც გულისხმობს შესაბამისი სამსახურების საქმიანობის პერმანენტულ კოორდინაციასა და კონტროლს, მათთვის დავალებათა მიცემას და დავალებათა შესრულების კონტროლს. გარდა კანონით მიცემული ამ უფლება-მოვალეობებისა, გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოად-



გილის დამატებითი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება გამგეობის/მერიის დებულებით, ასევე გამგებლის/მერის სამართლებრივი აქტებით, რომლითაც შეიძლება მოხდეს გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილეები-სათვის გამგებლის/მერის ცალკეულ უფლება-მოვალეობათა დელეგირება.

## **თავი V. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სტატუსი და უფლებაგამოსილება**

გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსის სტატუსი მსგავსია გამგებლის/მერის მოადგილის სტატუსისა. იგი არის გამგეობის/მერიის თანამდებობის პირი, რომელსაც, როგორც გამგებლის/მერის მოადგილეს, ერთპიროვნულად ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი/მერი. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, თუმცა მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის უმთავრესი ნორმები. იგი, ისევე როგორც გამგებლის/მერის მოადგილე, ინიშნება გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადით. მასზე არ ვრცელდება არც კონკურსის და არც ატესტაციის წესები. შესაბამისად, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, გამგებლის/მერის მოადგილის მსგავსად, უთანაბრდება პოლიტიკური თანამდებობის პირს. მისი უფლებამოსილების ვადა უშუალოდაა დაკავშირებული გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადასთან. გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უფლებამოსილებას ახორციელებს ახალი გამგებლის/მერის არჩევამდე.

კოდექსის თანახმად, სამსახურის უფროსი წარმართავს ამ სტრუქტურული ერთეულის (სამსახურის) საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ ერთეულისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე. ამდენად, სამსახურის უფროსი არის გამგეობის/მერიის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის საქმიანობაზე დამოკიდებულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულება. სამსახურის უფროსის მოვალეობაში შედის, როგორც შესაბამისი ერთეულის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის პროექტების მომზადება, ისე ამ ერთეულის ოპერატიული მართვა.

სამსახურის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა მოიცავს გამგებლის/მერისათვის წინადადებების და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტების მომზადებას:

- ა) სამსახურის ფუნქციებისა და სამსახურის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ.** სამსახურის უფროსი ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს სამსახურის მიზნები და ამოცანები, სამსახურის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა და სამსახურის საშტატო ოდენობა. შესაბამისად, მოამზადოს და გამგებელს/მერს წარუდგინოს სამსახურის დებულების პროექტი და სავარაუდო საშტატო ნუსხა. დამტკიცებული დებულებიდან და საშტატო ნუსხიდან გამომდინარე გაანაწილოს ფუნქციები სამსახურის თანამშრომელთა შორის.
- ბ) სამსახურის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ.** სამსახურის უფროსი ვალდებულია შეადგინოს და გამგებელს/მერს დასამტკიცებლად წარუდგინოს სამსახურის წლიური და ყოველკვარტალური სამუშაო

გეგმა. მოახდინოს სამსახურის საქმიანობის დაგეგმვა და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს წინადადებები დამტკიცებულ სამუშაო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. ეს არის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც იქმნება სამსახურის მიზნების, შესაბამის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზის, პრობლემათა გადანყვევების გზების, თვითმმართველი ერთეულის განვითარების გეგმისა და პრიორიტეტების დოკუმენტით ამ სფეროში გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის საფუძველზე.

**გ) სამსახურის საქმიანობის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ.** სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და სამსახურის საშტატო ერთეულის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტების მომზადებას. წარმოადგენს წინადადებებს სამსახურში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, სამსახურის თანამშრომელთა ატესტაციის გავლის, სამსახურის თანამშრომელთა ნახალისების, დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შევებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების თაობაზე.

**დ) სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.** სამსახურის უფროსი სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით ამზადებს ყოველკვარტალურ და წლიურ ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ. ანგარიშში მიეთითება დაგეგმილი და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები, მათ შორის აცდენის მიზეზები და ხარვეზების აღმოფხვრის გზები.

სამსახურის საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვასთან ერთად, სამსახურის უფროსის ძირითადი მოვალეობაა სამსახურის საქმიანობის ოპერატიული მართვა, რომელიც მოიცავს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის კოორდინაციას, მათთვის დავალებების მიცემას და დავალებების დროული და ჯეროვანი შესრულების კონტროლს, სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით, გამგეობის/მერიის შინაგანაწესით და თანამდებობრივი ინსტრუქციით დადგენილი წესების დაცვას, სამსახურის თანამშრომელთა ყოველკვარტალური და წლიური სამუშაო გეგმების შეთანხმებას, თანამშრომელთა პერიოდული ანგარიშების მოსმენას და შეფასებას, სამსახურის მიერ სამართლებრივი აქტების პროექტების, დასკვნების რეკომენდაციების მომზადების კოორდინაციას და გამგებლისათვის/მერისათვის მათ წარდგენას.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსმა მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანა გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა უფლებამოსილებების საკითხში. კოდექსის თანახმად, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უფლებამოსილი გახდა გამოსცეს სამართლებრივი აქტი. ამ უფლებით, გამგებელმა/მერმა მიიღო შესაძლებლობა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს გადასცეს ცალკეული უფლებამოსილებები (მაგ. სამსახურის თანამშრომელთა დანიშვნა-განთავისუფლების, შესაბამის სფეროში გადანყვევტილების მიღებისა და სამართლებრივი აქტის გამოცემის) და შესაბამისად გაზარდოს მისი პასუხისმგებლობა სამსახურის საქმიანობაზე.

## თავი VI. გამგეობის/მერის წარმომადგენელი

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსით გაუქმდა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოები და შემოღებული იქნა სრულიად ახალი ინსტიტუტი გამგებლის/მერის წარმომადგენელი. კოდექსი არ განსაზღვრავს თუ რა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები უნდა ჰქონდეს გამგებლის/მერის წარმომადგენელს. მითითებაა მხოლოდ იმის თაობაზე, რომ გამგებლის/მერის წარმომადგენელი ინიშნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება გამგეობის/მერიის დებულებით. ასევე ხაზგასასმელია, რომ გამგებლის/მერის წარმომადგენელი არ განეკუთვნება იმ თანამდებობის პირებს (გამგებლის/მერის მოადგილეები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები), რომელთა მიმართ კოდექსიც და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონიც აყენებს განსხვავებულ მოთხოვნებს. გამგებლის/მერის წარმომადგენლის მიმართ კოდექსით მოცემული დებულებებიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

ა) გამგებლის/მერის წარმომადგენელი არის საჯარო მოხელე, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით. მიუხედავად იმისა, რომ ამ თანამდებობას ეწოდება გამგებლის/მერის წარმომადგენელი, მისი უფლებამოსილების ვადა არ არის დაკავშირებული გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადასთან. გამგებლის/მერის წარმომადგენელი ინიშნება კონკურსის საფუძველზე განუსაზღვრელი ვადით;

ბ) გამგებლის/მერის წარმომადგენელი ინიშნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი განმარტავს, რომ „მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. თვითმმართველ თემში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე დასახლების ტერიტორიას ემთხვევა. თვითმმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული დასახლების ნაწილია“. კოდექსის ამ განმარტებიდან ყურადსაღებია, რომ 1) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა არ წარმოადგენს სავალდებულოს. შესაბამისად, თუ მუნიციპალიტეტი არ დაიყო ადმინისტრაციულ ერთეულებად, გამგებლის/მერის წარმომადგენლის თანამდებობა ამ მუნიციპალიტეტში შემოღებული ვერ იქნება; 2) ადმინისტრაციული ერთეული შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე დასახლება. დაუშვებელია დასახლების (მიუხედავად მასში მოსახლეობის რაოდენობისა) დაყოფა რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად, გამონაკლისია მხოლოდ თვითმმართველი ქალაქი, რომელიც შეიძლება დაიყოს რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, დადგენილებით იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო“;

გ) კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის მიზანია მართვის ოპტიმიზაცია. ამდენად, გამგებლის/მერის წარმო-

მადგენლის უფლებამოსილების განსაზღვრის ამოსავალი პრინციპიც სწორედ ადმინისტრაციული ერთეულის მართვის ოპტიმიზაცია უნდა იყოს. შესაბამისად, საჭიროა გამგებლის/მერის დებულებაში, რომლითაც განისაზღვრება გამგებლის/მერის წარმომადგენლის უფლებამოსილება, აისახოს ეს პრინციპი და წარმომადგენელს მიენიჭოს ის უფლებამოსილება, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მართვის ოპტიმიზაციას. ასეთი უფლებამოსილება არის ზოგადი კომპეტენციის (და არა დარგობრივი კომპეტენციის) უფლებამოსილება, რაც უპირველეს ყოვლისა ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფით უნდა გამოიხატოს. ასევე, წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს სპეციალური უფლებამოსილება გააკონტროლოს და გამგებელს/მერს პერიოდულად წარუდგინოს ინფორმაცია შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. შესაბამისად, წარმომადგენლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს ადმინისტრაციული ერთეულის პრობლემების შესწავლა, მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების მოძიება და გამგებლისათვის/მერისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება.

ზემოთქმულის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ გამგებლის/მერის წარმომადგენლის უფლებამოსილების სამი ძირითადი მიმართულება:

**1) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის კავშირის უზრუნველყოფა.** ეს მიმართულება მოიცავს:

- მოსახლეობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გაცნობის უზრუნველყოფას;
- მოსახლეობასთან თვითმმართველობის თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრების ორგანიზებას;
- მოსახლეობის წინადადებების, შენიშვნებისა და განცხადებების აღრიცხვასა და თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის მისი მიწოდების უზრუნველყოფას;
- მოსახლეობისათვის კონსულტაციების განწევას;
- მოსახლეობის გამოკითხვას.

**2) კონტროლი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე.** ეს მიმართულება გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებიდან და მოიცავს:

- ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობის კონტროლს;
- ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვას, მათ აღრიცხვასა და კონტროლს ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე;
- წინადადებების შემუშავებას ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე;
- კონტროლს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე თვით-

მმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გამოყენებასა და დაცვაზე;

- კონტროლს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის დადგენილი წესების დაცვაზე;
- კონტროლს ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, გამწვანების, გარე განათებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებზე;
- ზედამხედველობას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობაზე;
- კონტროლს ბუნების, კულტურის და ისტორიულ ძეგლთა დაცვაზე.

**3) ადმინისტრაციული ერთეულის პრობლემების შესწავლა, მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების მოძიება.** ეს მიმართულება გულისხმობს წარმომადგენლის მონაწილეობას ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების მომზადებასა და განხორციელებაში; ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მდგომარეობის შესწავლას, რეკომენდაციების მომზადებას ამ პრობლემათა გადასაწყვეტად და მათ ასახვას ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაბამისად ეს მიმართულება მოიცავს:

- ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადებას;
- მონაწილეობის მიღებას ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების პროექტების შემუშავებაში და კონტროლს ამ პროგრამების განხორციელებაზე;
- წინადადებების მომზადებას ადმინისტრაციულ ერთეულში ინვესტირების მიმართულებების და მიზნობრივი პროგრამების შესახებ, მათი განხორციელების კოორდინაციას;
- მონაწილეობას თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში;
- წინადადებების მომზადებას ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ;
- ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობისათვის ბიუჯეტის პროექტის გაცნობასა და საჯარო განხილვების ორგანიზებას; ბიუჯეტის პროექტზე მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაციას;
- მონაწილეობის მიღებას ადმინისტრაციული ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვაში; ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამათა პროექტების მომზადებასა და მათი განხორციელებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;
- წინადადებების შემუშავებას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;
- იმ პირობა აღრიცხვის ორგანიზებას, რომელთა დახმარებაც ხდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;
- სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებას;
- მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის და სამხედრო სავალდებუ-

ლო სამსახურში განწვევის, სამხედრო სასწავლო შეკრებების ჩატარების, დაწყებითი სამხედრო სწავლების, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზების საკითხებში მონაწილეობას;

- კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და ეპიდემიების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა გატარებაში მონაწილეობას.

წარმომადგენელს, როგორც გამგებლის/მერის, ანუ თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში შეიძლება დაეკისროს აღსრულების პროცესში გარკვეული უფლებამოსილება. ამასთან, დაუშვებელია წარმომადგენელზე გამგებლის/მერის მიერ კოდექსის 54-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების დელეგირება, რადგან კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელს/მერს უფლებამოსილების დელეგირება შეუძლია მხოლოდ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებზე, წარმომადგენელი კი ამ თანამდებობის პირთა ჩამონათვალში არ შედის. განსაკუთრებით პრობლემურია გამგებლის/მერის წარმომადგენლის მიერ სხვადასხვა სახის ცნობების გაცემის საკითხი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დოკუმენტი, რომელიც „ანესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს“, ასევე ყველა ის გაცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამომწურავად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის იმ თანამდებობის პირებს, ვისაც აქვთ უფლება გამოსცენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამ თანამდებობათა ჩამონათვალში არ შედის გამგებლის/მერის წარმომადგენელი და მასზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ უფლებამოსილების დელეგირებაც არ დაიშვება. შესაბამისად, გამგებლის/მერის წარმომადგენელი არ არის უფლებამოსილი გასცეს ისეთი დოკუმენტი, რომელიც ანესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს ან რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. გამგებლის/მერის წარმომადგენელს უფლება აქვს მხოლოდ მოამზადოს საკითხი, ხოლო დოკუმენტი გაცემული უნდა იქნეს კოდექსით დადგენილი თანამდებობის პირის მიერ.

# ქარი XI

## ადგილობრივი თვითმმართველობის საკადრო უზრუნველყოფა

მუნიციპალური მმართველობის განხორციელების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ელემენტია მუნიციპალური კადრები, საჯარო მოსამსახურეები, რომელთა კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული თვითმმართველობის ორგანოთა მიერ კანონით დაკისრებულ ფუნქციათა განხორციელება. მუნიციპალური მართვის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორია კადრების კვალიფიკაცია, პროფესიული უნარები და მათ მიერ შესასრულებელ ამოცანათა ცოდნა. მუნიციპალური მმართველობა პრინციპულად განსხვავდება როგორც სახელმწიფო მმართველობისაგან, ისე კერძო სტრუქტურების საქმიანობისაგან. მუნიციპალური მმართველობის განხორციელება საჭიროებს სპეციალური ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილ მოხელეებს, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი სწავლებისა და კვალიფიკაციის სისტემის ფორმირება და შესაბამისი საკადრო პოლიტიკა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თვითმმართველობის ორგანოებში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დამაგრებას.

2015 წლის 25 ოქტომბერს მიღებული იქნა ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან. კანონის მიზანია, უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად კანონი ახლებურად განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, პროფესიონალი საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს, აწესრიგებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს.

### თავი I. საჯარო სამსახურის ცნება და საჯარო მოსამსახურეთა სახეები

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურად ითვლება პირის საქმიანობა სახელმწიფო სამსახურში და მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დანესებულებებში) საქმიანობა. კანონის ამავე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დანესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დანესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის

შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები.

კანონით დადგენილია საჯარო მოსამსახურეთა შემდეგი სახეები:

- **სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი** – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები;
- **პოლიტიკური თანამდებობის პირი** – სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი და მისი მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, გამგებლის/მერის მოადგილე;
- **პროფესიული საჯარო მოხელე** (შემდგომ – მოხელე) – პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს;
- **დამხმარე მოსამსახურე** – შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დანესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება;
- **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი** – პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია ამ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის გათვალისწინებული თანამდებობები.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირსა და პოლიტიკური თანამდებობის პირზე.

როგორც ვხედავთ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ადგენს დღეს მოქმედი კანონისგან განსხვავებულ საჯარო მოსამსახურეთა სახეებს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კანონმა აღიარა თვითმმართველობის დონეზე პოლიტიკურ თანამდებობის პირთა არსებობა. დღეს მოქმედი კანონით ეს საკითხი იყო მოუგვარებელი და კანონი მხოლოდ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის სახეს იცნობდა. ახალმა კანონმა ცალ-ცალკე განსაზღვრა სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირები, რაც მართებული და მნიშ-



ვნელოვანი სიახლეა. თუმცა, გაურკვეველობას იწვევს, რატომ არის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი პოლიტიკური და არა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მაშინ, როცა კანონი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირად მიიჩნევს მინისტრის მოადგილეს. სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი არის საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი თანამდებობა, რომელსაც პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს მთავრობა. ხოლო „საქართველოს მთავრობის სტრუქტურისა და უფლებამოსილების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეს მინისტრის წარდგინებით ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ამდენად, თავის სტატუსით სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი უფრო მაღალი თანამდებობის პირია, ვიდრე მინისტრის მოადგილე. სამწუხაროდ, კვლავინდებურად გაურკვეველი რჩება საკრებულოს წევრის მდგომარეობა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი პოლიტიკური თანამდებობის პირად მიიჩნევს მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირებს (საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს ფრაქციების ხელმძღვანელები) და არაფერს ამბობს საკრებულოს წევრზე, მაშინ როცა სახელმწიფოს უმაღლესი და ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები კანონით აღიარებულნი არიან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებად. ამ მხრივ, ლოგიკური იქნებოდა საკრებულოს წევრი მოქცეულიყო პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩამონათვალში.

მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ თანამდებობის პირად კანონი არ აღიარებს გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს. იმედია, ეს პირები არ მოექცევიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კატეგორიაში და მომავალში მათი დანიშვნა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კანონით საჯარო მოსამსახურის ახალი სახეა (თუმცა უფრო ტერმინოლოგიურად) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. ეს სახე შეესაბამება დღეს მოქმედ კანონში დამხმარე მოსამსახურის სახეს, რომელიც საჯარო დაწესებულებაში მიიღება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ თუ დღეს მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა კონკურსის საფუძველზე ამ პირთა მიღების სავალდებულობას, ახალი კანონის 83-ე მუხლის თანახმად „პირის შრომითი ხელშეკრულებით საჯარო სამსახურში მიღებისათვის ცხადდება გამარტივებული საჯარო კონკურსი ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე. ამ შემთხვევაში განაცხადების წარდგენისათვის განისაზღვრება 10 სამუშაო დღის ვადა, ხოლო გადანყვეტილებას იღებს უფლებამოსილი პირი მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების საფუძველზე“.

კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა საჯარო მოსამსახურის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების სახე. თუმცა საჯარო მოსამსახურის ეს სახე გარკვეულ კითხვებს ბადებს. კანონის მე-3 მუხლის განმარტებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი არის ის პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების განწვევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია ამ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის გათვალისწინებული თანამდებობები. ეს სახე გასაგები იქნებოდა, რომ არ იყოს

ისეთ ფუნქციაზე მითითება, როგორც არის ორგანიზაციულ-მენეჯერული. ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქცია არის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში, ამ სახეში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი (განყოფილების, სამსახურის, დეპარტამენტის, სამმართველოს ხელმძღვანელი). თუმცა კანონის 78-ე მუხლი ახდენს იმ თანამდებობათა დაკონკრეტებას, რომელ თანამდებობაზეც ხდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით პირის მიღება. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით საჯარო სამსახურში მიიღებიან:

- ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის თანამდებობა;
- ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მრჩეველი;
- გ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უშუალო აპარატის/სამდივნოს/ბიუროს თანამშრომელი.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით საჯარო სამსახურში, როგორც წესი, უკონკურსოდ მიიღება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადას“. როგორც ვხედავთ, ეს არის ე.წ. საპატრონაჟო თანამდებობის პირი, რომლის ფუნქციაა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისათვის რჩევების მიცემა, კონსულტაციების გაწევა, ასევე ტექნიკური დახმარება, მაგრამ არა ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულება.

საჯარო მოსამსახურის ამ სახის სტატუსი გაურკვევლობას და კითხვებს ბადებს, კერძოდ, რატომ შემოიფარგლება კანონი მხოლოდ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მითითებით. ანალოგიური ფუნქციების შესრულების საჭიროება არსებობს მუნიციპალურ დონეზეც, მაგრამ კანონის ამ ჩანაწერით მუნიციპალიტეტებში გამოირიცხება საჯარო მოსამსახურეთა ამ სახის არსებობა.

საჯარო სამსახურის ძირითადი და უმთავრესი ფიგურაა მოხელე. მოხელე ასრულებს წამყვან და მთავარ როლს საჯარო სამსახურში. სწორედ მოხელის პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული საჯარო დაწესებულების გამართული მუშაობა. შესაბამისად, კანონმდებლობისა და საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა და მათი შენარჩუნება. ამ მიმართულებით ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ ნოვაციებს.

## **თავი II. პროფესიული მოხელის სამსახურში მიღების წესი**

### **1. პროფესიული მოხელის ძირითადი, სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის 27-ე მუხლით დადგენილია მოხელის ძირითადი მოთხოვნები. კანონის თანახმად, მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) იცის სახელმწიფო ენა;
- ბ) მიაღწია 18 წელს;

გ) აქვს ამ კანონით გათვალისწინებული მოხელის სერტიფიკატი.

როგორც ვხედავთ, კანონმა, დღეს მოქმედი კანონისგან განსხვავებით ერთიანი ძირითადი მოთხოვნები დაადგინა როგორც სახელმწიფო ისე თვითმმართველობის მოხელეთათვის, რაც ნამდვილად სწორი მიდგომაა. მოხელის ძირითადი მოთხოვნის უმნიშვნელოვანესი სიახლეა მოხელის სერტიფიკატი. კანონის 28-ე მუხლის თანახმად, მოხელის სერტიფიკატი არის საჯარო სამსახურში მოხელის თანამდებობაზე დასაქმების მსურველისათვის აუცილებელი ზოგადი უნარებისა და ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სერტიფიცირების წარმატებით გავლის შედეგად. მსურველთა სერტიფიცირებას უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის ბიურო. სერტიფიცირება ტარდება ტესტირების ფორმით სახელმწიფო ენაზე, 6 თვეში ერთხელ მაინც. მოხელის სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 5 წელი. პირი, რომელსაც არ ექნება მოხელის სერტიფიკატი, ვერ მიიღებს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას. კანონის თანახმად, კონკურსში მონაწილეობისათვის მოხელის სერტიფიკატი არ მოეთხოვება:

ა) მოქმედ მოხელეს;

ბ) ყოფილ მოხელეს.

კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი მოხელედ არ მიიღება, თუ:

ა) იგი ნასამართლევა განზრახი დანაშაულისათვის;

ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ არის გასული;

გ) მან სამსახურში მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიღებად ცნო, თუ სასამართლოს გადწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

კანონით ასევე დადგენილია საჯარო სამსახურში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირის მიღების საკითხი. კანონის თანახმად უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 18 წელს და იცის სახელმწიფო ენა, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

გარდა ძირითადი მოთხოვნებისა, კანონი ადგენს სპეციალური მოთხოვნებისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის წესს.

კანონის 28-ე მუხლის თანახმად, მოხელის თანამდებობების ყოველი იერარქიული რანგისათვის დგინდება შესაბამისი სპეციალური მოთხოვნები, რომლებითაც განისაზღვრება ამ რანგისათვის აუცილებელი სათანადო ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება. ეს სპეციალური მოთხოვნები უნდა განისაზღვროს „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

რაც შეეხება დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ ადგენს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით, თითოეული თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით.

## 2. კონკურსის სახეები და ჩატარების წესი

კანონი ცალსახად ადგენს, რომ პირი მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ კონკურსის საფუძველზე. ამ წესიდან გამონაკლისია მხოლოდ მოხელის გადაყვანა და მობილობა.

კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა „ღია“ და „დახურული“ კონკურსის სახეების შემოღება. კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირი მეოთხე რანგის (დამწყები მოხელე) მოხელის თანამდებობაზე ინიშნება ღია კონკურსის საფუძველზე. ხოლო მოხელე ზემდგომი (მესამე, მეორე ან პირველი) რანგის მოხელის თანამდებობაზე ინიშნება დახურული კონკურსის საფუძველზე.

კანონით განმარტებულია „დახურული კონკურსის“ ფორმა. დახურული კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით და გულისხმობს შესაფერისი კანდიდატის შერჩევას მოქმედი მოხელეებისაგან, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხული მოხელეებისაგან და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისაგან; ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დახურულ კონკურსში, თუ იგი არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში.

კანონის თანახმად, მესამე, მეორე ან პირველი რანგის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად პირის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევა შესაძლებელია, თუ:

- ა) დახურული კონკურსის საფუძველზე შესაფერისი კანდიდატი ვერ შეირჩა;
- ბ) არსებობს საჯარო სამსახურის ბიუროს დასაბუთებული რეკომენდაცია, რომ მოხელის შესაბამისი ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით დახურული კონკურსის საფუძველზე შესაფერისი კანდიდატი ვერ შეირჩევა. საჯარო სამსახურის ბიურო ამ რეკომენდაციას გასცემს შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიმართვის შემთხვევაში, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების გადამოწმების საფუძველზე.

კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი და მოხელის გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებული საკითხები უნდა განისაზღვროს „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით. მთავრობის მიერ 2014 წლის 18 ივნისს №412 დადგენილებით დამტკიცებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი“, რომელიც, ცხადია, უნდა შეიცვალოს.

## 3. საკონკურსო კომისია და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში ღია ან დახურული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფ-

ფად იქმნება საკონკურსო კომისია. ახალმა კანონმა გაითვალისწინა მოქმედი კანონის ის ხარვეზი, რომლის თანახმად საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, კანონის მიხედვით, როგორც წესი, იყო დანესებულების ხელმძღვანელი. ახალი კანონის მიხედვით, საჯარო დანესებულების ხელმძღვანელი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ ნიშნავს ამ საჯარო დანესებულებაში პირველი ან მეორე რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელეს. საჯარო დანესებულების ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე აუცილებელი საჭიროების გათვალისწინებით. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში უნდა იყვნენ შესაბამისი საჯარო დანესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელი, საჯარო დანესებულების იმ სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი, რომელშიც არის შესაბამისი ვაკანტური თანამდებობა, მოხელეთა დარგობრივი პროფესიული კავშირის (მისი არსებობის შემთხვევაში) წარმომადგენელი და დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელიც სამსახურებრივად დაკავშირებული არ არის ამ საჯარო დანესებულებასთან.

კანონის 39-ე მუხლის თანახმად, კონკურსის ეტაპებია:

- ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- ბ) კანდიდატის შეფასება;
- გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

კონკურსის უმთავრესი ეტაპია კანდიდატის შეფასება. კანონის 41-ე მუხლის თანახმად, შეფასება ნიშნავს კანდიდატის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. კანონი მოითხოვს, რომ კანდიდატის შეფასება იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანამიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი შერჩევისა და სამსახურში მიღების პროცესის ყველა ეტაპზე. კანდიდატის შეფასება უნდა ემყარებოდეს კანდიდატის სამუშაო გამოცდილების, მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის და მისი პროფესიული ცოდნის ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილ სამუშაო აღწერილობას, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან და კვალიფიკაციასთან შესაბამისობას.

კანდიდატის შეფასება ხდება:

- ა) წერიით ან/და ზეპირი დავალების შესრულების შეფასებით;
- ბ) გასაუბრებით;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეფასების სხვა ფორმების გამოყენებით.

კანდიდატთა შეფასების შემდეგ საკონკურსო კომისია მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე. კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ კანდიდატს მოხელის თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამისი საჯარო დანესებულების ხელმძღვანელი ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირი. ეს ჩანაწერი განსაზღვრავს, რომ კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატი აუცილებლად უნდა დაინიშნოს და დანესებულების ხელმძღვანელს უფლება არ აქვს რაიმე საბაბით უარი განაცხადოს პირის თანამდებობაზე დანიშვნაზე.

კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ კანონი იმპერატიულად მოითხოვს ღია კონკურსით მიღებული პირის თანამდებობაზე დანიშვნას 12 თვიანი გამოსაცდელი ვადით. აქამდე კანონი მხოლოდ პირის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობას უშვებდა.

#### 4. მოხელეთა თანამდებობების რანბირება და მოხელის კლასი

ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით მნიშვნელოვნად წესრიგდება მოხელის თანამდებობრივი რანგები და საკლასო ჩინები. კანონის 25-ე მუხლის თანახმად, მოხელის თითოეული თანამდებობა შეესაბამება თითო კარიერულ საფეხურს და ნაწილდება შემდეგ იერარქიულ რანგებში:

- ა) პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე;
- ბ) მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე;
- გ) მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე;
- დ) მეოთხე რანგი – უმცროსი სპეციალისტის დონე.

პირველი რანგი არის ყველაზე მაღალი იერარქიული რანგი, ხოლო მეოთხე რანგი – ყველაზე დაბალი იერარქიული რანგი. იერარქიულ რანგებში მოხელეთა თანამდებობები ნაწილდება თითოეული თანამდებობის ფუნქციების შესაბამისი შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- ა) პასუხისმგებლობა;
- ბ) მოვალეობათა შესრულების სირთულე;
- გ) კომპეტენციები;
- დ) აუცილებელი კვალიფიკაცია;
- ე) სამუშაო გამოცდილება.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს მოხელეთა თანამდებობების დასახელებები, იერარქიულ რანგებში განაწილების უნიფიცირებული წესი და შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალი.

კანონის 26-ე მუხლი ადგენს მოხელის კლასს. კანონის თანახმად, მოხელეს კლასი ენიჭება მოხელეს შეფასების შედეგებისა და სამსახურის სტაჟის მიხედვით. კანონით დადგენილია მოხელის 12 კლასი. კანონით, მოხელეს კლასი მუდმივად უნარჩუნდება და მისი ჩამორთმევა დაუშვებელია. მოხელეს კლასის შესაბამისად ეძლევა თანამდებობრივი სარგოს დანამატი, რომელიც მას უნარჩუნდება სხვა საჯარო დაწესებულებაში ან/და იმავე საჯარო დაწესებულებაში სხვა თანამდებობაზე გადასვლის, აგრეთვე საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო დაბალი იერარქიული რანგის თანამდებობაზე გადაყვანის შემთხვევაშიც. მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესი და პირობები უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

#### 5. მოხელის კარიერის მართვა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა მოხელის კარიერის მართვის საკითხების მონესრიგება. მოხელის კარიერის მართვა მოიცავს:

- მოხელის კარიერულ და პროფესიულ განვითარებას;
- მოხელის გადაყვანასა და მობილობის საკითხებს;
- მოხელის შეფასებას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის თანახმად, მოხელის კარიერული განვითარება ხდება:

- ა) ქვედა იერარქიული რანგის თანამდებობიდან ზედა იერარქიული რანგის თანამდებობაზე გადასვლისას;
- ბ) დაბალი თანამდებობიდან იმავე იერარქიული რანგის მაღალ თანამდებობაზე გადასვლისას.

კანონის მიხედვით, მოხელის კარიერული განვითარება ხორციელდება დახურული კონკურსის საფუძველზე.

მოხელის კარიერის მართვა უშუალოდ არის დაკავშირებული მოხელის პროფესიულ განვითარებასთან, რასაც ეხება კანონის 54-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად, მოხელის პროფესიული განვითარების მიზანია მისი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და საჯარო დაწესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამიტომ, კანონი ავალდებულებს მოხელეს, საჯარო სამსახურის მიზნების გათვალისწინებით, განავითაროს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები საჯარო სამსახურის მიერ შეთავაზებულ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობით.

კანონი ითვალისწინებს საჯარო დაწესებულების ვალდებულებასაც იზრუნოს მოხელის პროფესიულ განვითარებაზე. კანონის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საჯარო დაწესებულება, საჯარო დაწესებულების მიზნების მიხედვით, უზრუნველყოფს მოხელის პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამებში მონაწილეობას და ხელს უწყობს მის საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობას“.

მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროება განისაზღვრება საჯარო დაწესებულების მიერ ყოველი წლის დასაწყისში დაწესებულების საჭიროებების ანალიზისა და მოხელეთა შეფასების შედეგების შესაბამისად და პროფესიული განვითარების სტანდარტის საფუძველზე. პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესი და მოხელის პროფესიული განვითარების სტანდარტი უნდა იქნეს დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ.

გარდა საჯარო დაწესებულების მიერ მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროების განსაზღვრისა, მოხელესაც აქვს უფლება, დამატებით თავადაც განსაზღვროს მისი პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი სასწავლო პროგრამის საჭიროება და საჯარო დაწესებულებასთან შეთანხმებით მოითხოვოს შესაბამისი შვებულება. პროფესიული განვითარებისათვის შვებულება გათვალისწინებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 63-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, მოხელეს პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამაში მონაწილეობისათვის ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობით. მოხელეს უფლება აქვს, საჯარო სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის 5 წელიწადში ერთხელ ისარგებლოს შვებულებით არაუმეტეს 3 თვისა, შრომითი გასამრჯელოს შენარჩუნებით, ან/და შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, შრომითი გასამრჯელოს შენარჩუნების გარეშე. მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის წესი და პირობები უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

კანონი ითვალისწინებს, რომ თუ პროფესიული განვითარების პროგრამის ხანგრძლივობა 3 თვეს აღემატება და ეს პროგრამა საჯარო დაწესებულების

მიერ ფინანსდება, მოხელესა და საჯარო დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოხელეს უფლება არა აქვს, საკუთარი ინიციატივით გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ პროგრამის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში. მაგრამ, ეს წესი შეიძლება დაირღვეს იმ შემთხვევაში, თუ მოხელე საჯარო დაწესებულებას აუნაზღაურებს მისი პროფესიული განვითარებისათვის განუღებლ ხარჯებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონით მონესრიგებულია მოხელის გადაყვანისა და მობილობის საკითხი, რაც დღეს მოქმედი კანონით საკმაოდ ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებული.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის თანახმად, მოხელის გადაყვანა ნიშნავს მოხელისათვის იმავე იერარქიული რანგისა და თანამდებობის შესაბამისი სხვა ან/და ფუნქციურად მსგავსი უფლებამოსილებების მინიჭებას იმავე საჯარო დაწესებულებაში ან მის სისტემაში (ჰორიზონტალური გადაყვანა).

მოხელის გადაყვანა დასაშვებია:

ა) მოხელის ინიციატივით;

ბ) საჯარო ინტერესების გამო, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის დასაბუთებული გადაწყვეტილებითა და მოხელის თანხმობით.

ამასთან, დაუშვებელია მოხელის გადაყვანა იმ თანამდებობაზე, რომელიც ფუნქციურად არ შეესაბამება მის კომპეტენციას.

კანონის 48-ე მუხლით განსაზღვრულია მოხელის გადაყვანის წესი. ამ წესის თანახმად, საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეული გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად ამ საჯარო დაწესებულების ოფიციალურ შიდა ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის შესახებ და განაცხადის წარსადგენად განსაზღვრავს 2 სამუშაო დღის ვადას. ამ ვადაში განაცხადის დარეგისტრირების შემთხვევაში საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი კანდიდატთან ატარებს გასაუბრებას და მოხელის შეფასების შედეგებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის გადაყვანის შესახებ. თუ განსაზღვრულ ვადაში წარდგენილი არ იქნა არცერთი განაცხადი ან თუ ვერ შეირჩა შესაბამისი კანდიდატი, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება კანონის შესაბამისად აცხადებს „ღია“ ან „დახურულ“ კონკურსს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 52-ე მუხლით მონესრიგებულია მობილობის საკითხი, რომლის მიხედვით, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას შესაბამისი მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით გადაყვანილ იქნეს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. ამასთან, მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის მნიშვნელოვანი ნოვაციაა საჯარო სამსახურში მოხელეთა ატესტაციის გაუქმება და მისი შეცვლა შეფასების სისტემით. კანონის 53-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყველა იერარქიული რანგის თანამდებობაზე მომუშავე მოხელე შეაფასოს წელიწადში ერთხელ. შეფასება უნდა მოხდეს პროფესიული საჯარო



მოხელის შეფასების წესით, რომელიც უნდა დაამტკიცოს საქართველოს მთავრობამ დადგენილებით.

კანონის თანახმად მოხელის შეფასების პროცესი უნდა წარიმართოს გამჭვირვალედ, მოხელის უშუალო ხელმძღვანელისა და შესაბამისი საჯარო დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენლის მიერ. მოხელის ინიციატივით მოხელის შეფასების პროცესს შეიძლება დაესწროს შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

მოხელის შეფასებისათვის გამოიყენება ოთხდონიანი შეფასების სისტემა:

- ა) **საუკეთესო შეფასება** – მოვალეობა ან/და მოსალოდნელზე მეტი სამუშაო საუკეთესოდ შესრულდა, მოხელე მკვეთრად გამოირჩევა შედეგებით ან/და პროფესიული უნარ-ჩვევებით;
- ბ) **კარგი შეფასება** – მოვალეობა კარგად შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები სტაბილურად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს;
- გ) **დამაკმაყოფილებელი შეფასება** – მოვალეობა ნაწილობრივ კარგად შესრულდა და გაუმჯობესებას საჭიროებს, მოხელე არსებითად არ გამოირჩევა პროფესიული უნარ-ჩვევებით;
- დ) **არადამაკმაყოფილებელი შეფასება** – მოვალეობა არ შესრულდა, მოხელის შედეგები ან/და პროფესიული უნარ-ჩვევები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

მოხელე ექვემდებარება შეფასებას, თუ იგი შესაბამის თანამდებობაზე სამსახურებრივ მოვალეობებს არანაკლებ 3 თვე ასრულებს. მოხელის შეფასება ხდება დოკუმენტური მასალების შეფასებით და მოხელესთან გასაუბრებით. შესაფასებელი მოხელის მიერ შეფასებაზე უარის თქმა მძიმე დისციპლინურ გადაცდომად ითვლება.

კანონით, მოხელის გამოსაცდელი ვადით მიღებული პირი მოხელის შეფასებას ექვემდებარება კვარტალში ერთხელ.

### **თავი III. საჯარო მოსამსახურის უფლებები და მოვალეობები**

#### **1. მოხელის უფლებები და გარანტიები**

**შრომის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნის უფლება.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები. შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების მოთხოვნის უფლება ნიშნავს სათანადო სამუშაო პირობების შექმნის მოთხოვნას. ყველა საჯარო მოსამსახურეს, დაკისრებული უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისი ისეთი მინიმალური სამუშაო პირობები მაინც უნდა ჰქონდეს, რომ ზიანი არ მიადგეს და საფრთხე არ შეექმნას მის ჯანმრთელობას. უპირველეს ყოვლისა, ეს არის დაწესებულებაში საჭირო ჰაერის, ტემპერატურის, განათებისა და სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების დაცვა. ამ პირობების შექმნა არის დაწესებულების ადმინისტრაციის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა.

**შრომის ანაზღაურების მიღების უფლება.** მოხელეს უფლება აქვს, სამ-

სახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. მოხელის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და კანონით გათვალისწინებულ დანამატს. კანონის 58-ე მუხლის მიხედვით, მოხელეს სახელფასო დანამატი ეძლევა:

- ა) მოხელის კლასის გათვალისწინებით;
- ბ) ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებით შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს შესაბამისად;
- გ) დამატებითი ფუნქციების დაკისრებისას, მათ შორის, ლამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო.

კანონის 57-ე მუხლის თანახმად, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოხელის თანამდებობრივი სარგოს შემცირების საფუძველი.

მოხელეთა ანაზღაურების სისტემა უნდა დაემყაროს გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას. მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული თანამდებობების თანამდებობრივი სარგოების ოდენობები უნდა განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

**თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის მოთხოვნის უფლება.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მოხელეების მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, კარიერული წინსვლის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებში.

**თანამდებობრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებებით და პირობებით სარგებლობის უფლება.** საჯარო მოსამსახურის მიერ დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ხელთ არსებულ ტექნიკურ აღჭურვილობაზე, რომელიც საშუალებას აძლევს საჯარო მოსამსახურეს ოპერატიულად მიიღოს და გასცეს ინფორმაცია, გაანალიზოს ეს ინფორმაცია, ჰქონდეს მუდმივი კავშირი მის სამსახურებრივ სფეროში შემავალ დაწესებულებებთან, თუ თანამდებობის პირებთან. თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება იძლევა ამ ფუნქციების სწრაფად და ხარისხიანად შესრულების შესაძლებლობას. ამიტომაც, დაწესებულების ადმინისტრაციის ერთ-ერთი უპირველესი ზრუნვის საგანი უნდა იყოს მოსამსახურეთა უზრუნველყოფა მუშაობის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

**სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 66-ე მუხლის თანახმად, მოხელეს აუნაზღაურდება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები და ამ პერიოდში უნარჩუნდება თანამდებობა და შრომითი გასამრჯელო.

**დასვენების უფლება.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-60 მუხლის თანახმად, მოხელისათვის დადგენილია 5-დღიანი სამუშაო კვირა. მოხელის სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს. მოხელის დასვენების დრო და უქმე დღეები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“.

**შვებულებით სარგებლობის უფლება.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 62-ე მუხლით, მოხელისათვის დადგენილია ყოველწლიური ანაზღაურებადი

შვებულება 24 სამუშაო დღის ოდენობით. მოხელეს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა თანამდებობაზე დანიშნვიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. უფლებამოსილი პირის თანხმობით მოხელეს შვებულება შეიძლება ამ ვადის გასვლამდეც მიეცეს. თანამდებობაზე დანიშვნის მეორე წლიდან მოხელეს შვებულება სამუშაო წლის ნებისმიერ დროს მიეცემა. მოხელეს უფლება აქვს შვებულება გამოიყენოს ნაწილ-ნაწილ. ასევე, მოხელეს უფლება აქვს, კალენდარული წლის განმავლობაში გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით მომდევნო კალენდარულ წელს ისარგებლოს. ამ შემთხვევაში შვებულების გამოყენების დრო საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელთან უნდა შეთანხმდეს.

კანონის 64-ე მუხლით რეგულირდება მოხელის შვებულებები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო. ამ მუხლის თანახმად, მოხელეს მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით. მოხელეს უფლება აქვს ეს შვებულება თავისი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი საჯარო დაწესებულების ბიუჯეტიდან, მოხელის შრომითი გასამრჯელოს ოდენობით. მოხელეს, რომელმაც 1 წლამდე ასაკის ბავშვი იშვილა, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

გარდა ანაზღაურებადი შვებულებისა, მოხელეს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საჯარო დაწესებულების ინტერესებს.

**ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე გადაყვანის მოთხოვნის უფლება.** თუ მოხელის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, არ იძლევა დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს იმავე საჯარო დაწესებულებაში ან მის სისტემაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე გადაყვანა.

**კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების უფლება.** საჯარო მოსამსახურის მოვალეობა იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უფლება აქვს 5 წელიწადში ერთხელ, თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით ისარგებლოს არა უმეტეს 3-თვიანი დამატებითი სასწავლო შვებულებით. სამწუხაროდ, კანონის ეს მუხლი ეხება მხოლოდ სახელმწიფო მოსამსახურეს და კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე თვითმმართველობის მოხელე ამ უფლებით ვერ ისარგებლებს.

**საზოგადოებრივ და პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება.** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 67-ე მუხლის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, საჯარო სამსახურში საკუთარი უფლებების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირი ან იყოს მისი წევრი. მოხელეს უფლება აქვს, არჩეულ იქნეს პროფესიული კავშირის მართვის ორგანოებში და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე,

სამსახურისაგან თავისუფალ დროს.

**მოხელის პოლიტიკური უფლებები.** მოხელის პოლიტიკური უფლებები დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

## 2. მოხელის მოვალეობები

**მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება და სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვის ვალდებულება.** მოხელე ვალდებულია:

- დაიცვას კანონით განსაზღვრული საჯარო სამსახურის პრინციპები და თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საჯარო სამსახურის რეპუტაციას;
- სპეციალური მითითების გარეშე შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაოს აღწერილობით;
- პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ემსახუროს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

მოხელეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებისთვის.

**მოხელის მიერ განკარგულების შესრულების ვალდებულება.** მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა მოხელის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს.

კანონის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს, უარი განაცხადოს განკარგულების შესრულებაზე, თუ:

- ა) განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- ბ) განკარგულების გაცემა სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს;
- გ) განკარგულების შესრულება საჭიროებს განსხვავებულ კომპეტენციასა და პროფესიულ უნარებს, რომლებიც მას არ აქვს;
- დ) განკარგულების შესრულება საზიანოა მისი ჯანმრთელობისათვის;
- ე) განკარგულება მიმართულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ;
- ვ) განკარგულების შესრულება გამოიწვევს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას.

ამ შემთხვევებში მოხელე ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ წერილობით შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს და შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს. ასეთ შემთხვევაში განკარგულების შესრულება არ შეიძლება გახდეს მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

მოხელის მიერ გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის დაცვის ვალდებულება. მოხელე ვალდებულია:

ა) საქმიანობა გამჭვირვალედ და ღიად განახორციელოს;

ბ) უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის დაინტერესებულ პირზე გაცემა ან/და ხელი შეუწყოს მის გაცემას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) გამჟღავნებისგან დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, რომლებიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა ცნობილი;

დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს.

**მოხელის მიერ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ვალდებულება.** მოხელე ვალდებულია როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებები, სხვა პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი.

**მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ეკონომიურად და ეფექტიანად განხორციელების ვალდებულება.** მოხელე ვალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილება რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით განახორციელოს და რაციონალურად გამოიყენოს საჯარო დაწესებულების ქონება, რომელიც დაწესებულების გამართულ საქმიანობას ემსახურება. მოხელე ვალდებულია სამუშაო დრო ეფექტიანად და მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოიყენოს. დაუშვებელია მოხელის მიერ საჯარო დაწესებულების ქონებისა და სხვა რესურსების პირადი მიზნით გამოყენება.

**შინაგანაწესის დაცვის ვალდებულება.** მოხელემ თავისი სამსახურებრივი მოვალეობები უნდა შეასრულოს დაწესებულებაში დადგენილი წესრიგისა და შრომის ორგანიზაციის შესაბამისად. შინაგანაწესით განისაზღვრება:

- სამუშაო დროს დასაწყისი და დასასრული;
- დღის განმავლობაში შესვენების დრო;
- დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე სამუშაო დროს დამთავრების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის პირობები და წესი;
- დავალებათა და განკარგულებათა მოსამსახურეებისათვის გაცნობის წესი;
- ხელფასის გაცემის დრო და ადგილი;
- შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები;
- სამსახურში არყოფნის შეტყობინების წესი.
- სამსახურში მიღებისას მოსამსახურეს უნდა გაეცნოს შინაგანაწესი და უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერ დროს მისი გაცნობის შესაძლებლობა.

## თავი IV. საჯარო მოსამსახურის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები

### 1. წახალისება და მისი ფორმები

წახალისების, როგორც საჯარო სამსახურში საკადრო პოლიტიკის ინსტრუმენტის, უმთავრესი დანიშნულება მოსამსახურის კეთილსინდისიერი შრომის ღირსეული დაფასება და ასეთი შრომისათვის აუცილებელი მოტივაციის შექმნაა. საჯარო სამსახურში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამსახურის კეთილსინდისიერება, მისი წარმატებული საქმიანობა შეუმჩნეველი და შეუფასებელი არ დარჩეს. ამიტომ ითვალისწინებს კანონი მოხელის წახალისებას სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, როგორც წახალისების, ისე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება არის საჯარო მოხელის თანამდებობაზე დამნიშნავი პირის უფლება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლით განსაზღვრულია მოხელის წახალისების ფორმები, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ მოხელის შეფასების შედეგების შესაბამისად. მოხელის წახალისების ფორმებია:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა;
- გ) ფასიანი საჩუქრის მიცემა.

კანონის თანახმად, მოხელის წახალისების წესი უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით. ასევე მოხელის ფულადი ჯილდოს ზედა ზღვარი უნდა იქნეს განსაზღვრული „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით.

- **მადლობის გამოცხადება** – წახალისების ის ფორმაა, რომელიც კეთილსინდისიერი შრომის მორალურ მხარდაჭერას გულისხმობს. თუ მოსამსახურე კეთილსინდისიერად მსახურობს და ხშირად იმსახურებს მადლობას, ეს ადეკვატურადაც უნდა აისახოს მის კარიერაზე.
- **ფულადი ჯილდო** – აქ, გარდა მორალური მხარდაჭერისა, საქმე გვაქვს კეთილსინდისიერი შრომის მატერიალურ დაფასებასთანაც. როგორც წესი, ფულადი ჯილდო პრემიის სახით გაიცემა. პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია წესი, როდესაც დაწესებულების ყველა მოსამსახურე იღებს ან არ იღებს პრემიას, ხოლო პრემიის ოდენობა თანამდებობრივი სარგოს პროპორციულია და ყველა თანამშრომლისათვის ეს პროპორცია თანაბარია. ასეთი პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არასწორი და კანონსაწინააღმდეგოა. პრემია არის წახალისების ფორმა, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალური წესით და შესაბამისი დამსახურებისათვის უნდა გაიცემოდეს.
- **ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება** – პრაქტიკაში ეს ფორმა გამოიყენება არა როგორც მატერიალური წახალისება, არამედ როგორც განსაკუთრებული მორალური მხარდაჭერა. როგორც წესი, მოსამსახურეს ფასიანი საჩუქარს უძღვნებენ ხანგრძლივი სამსახურისათვის განსაკუთრებული თარიღის აღსანიშნავად ან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

## 2. დისციპლინური პასუხისმგებლობა

საჯარო სამსახურში აუცილებელია მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის მკაფიოდ განსაზღვრა. საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაწესება არა მარტო საკანონმდებლო პოლიტიკის ინსტრუმენტია, არამედ საჯარო სამსახურის მონელების ერთ-ერთი ფუნქციონირების პრინციპიც არის. რისთვის, რა წესით და რა ზომით აგებს პასუხს საჯარო მოსამსახურე? ამ კითხვას კანონმდებლობამ ნათელი და ამომწურავი პასუხი უნდა გასცეს. დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის ბუნდოვანება იყო დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი. ახალი კანონით ეს საკითხები უკვე დეტალურადაა მოცემული.

საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობის დაწესება რამდენიმე მიზანს ისახავს. კერძოდ:

- სამართალდარღვევათა პრევენციას საჯარო სამსახურში;
- სამართალდარღვევათა აღკვეთას;
- საჯარო სამსახურის კადრების სწორად მართვას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 85-ე მუხლის მიხედვით, მოხელის დისციპლინარულ გადაცდომას წარმოადგენს:

ა) სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა;

ბ) საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა;

გ) ეთიკის ნორმების, ქვეყნის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ.

კანონი იძლევა მძიმე დისციპლინური გადაცდომის განმარტებას. კანონის თანახმად, დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, თუ:

ა) დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას;

ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას;

გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებას;

დ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს;

ე) მოხელემ უარი თქვა ამ კანონით გათვალისწინებულ შეფასებაზე;

ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.

კანონის 96-ე მუხლის მიხედვით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტიდან 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით;

დ) სამსახურიდან გათავისუფლება.

კანონით, მოხელის მიერ ერთდროულად რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მას დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება უფრო მძიმე დისციპლინური გადაცდომისათვის, 1 დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებით.

კანონი ადგენს, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს. ამასთან, მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) დისციპლინური გადაცდომა ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით;

ბ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის სიმძიმე;

გ) მოქმედებს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობა;

დ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის შეფასების შედეგები;

ე) სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის მიზეზი;

ვ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა;

ზ) დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მცდელობა, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა დისციპლინური გადაცდომის ჩადენით დამდგარი შედეგი;

თ) სხვა გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრაზე.

კანონის 98-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის განზრახ ჩადენის შემთხვევაში.

## თავი V. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა

### 1. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება

მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება ნიშნავს მის დროებით გათავისუფლებას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისაგან. მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება:

ა) მოხელის შვებულების დროს;

ბ) მოხელის დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც დასტურდება შესაბამისი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე;

გ) დისციპლინური წარმოებისას მოხელის სამსახურიდან ჩამოშორების პერიოდში;

დ) საქართველოს პრეზიდენტის, წარმომადგენლობითი ორგანოს ან მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის არჩევნებში მოხელის კანდიდატად წარდგენისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ე) მოხელის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში განვევისას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა მობილიზაციის დროს, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება;



- ვ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოხელის მოთავსებისას, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, მაგრამ წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში შესაბამისი საჯარო დაწესებულებისათვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება მოხელისათვის მომსახურების გამწვევ ორგანიზაციას;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხელის დაკავების, მისი ადმინისტრაციული პატიმრობის ან მისთვის ისეთი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში, რომელიც გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას;
- თ) კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე მოხელის დროებით გათავისუფლების სხვა შემთხვევაში.

სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში მოხელეს უნარჩუნდება შრომითი გასამრჯელო, გარდა არჩევნებში მოხელის კანდიდატად წარდგენისა და მოხელის სამხედრო სავალდებულო სამსახურში ან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში განწვევისას.

## 2. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 107-ე მუხლით დადგენილია მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძველები. ეს არის ის შემთხვევები, როცა მოხელე „ავტომატურად“ თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების სავალდებულო საფუძველებია:

- ა) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
- გ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადანყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- დ) მოხელის მიმართ სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- ე) მძიმე დისციპლინური გადაცდომის განზრახ ჩადენა, თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად სამსახურიდან გათავისუფლება განისაზღვრა;
- ვ) ამ კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედეგით ზედიზედ ორჯერ შეფასება;
- ზ) მოხელის გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არაადამაკმაყოფილებლად ორჯერ შეფასება;
- თ) სახელმწიფო სამსახურში ან საჯარო სამსახურში სხვა თანამდებობაზე დანიშვნა;
- ი) პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემონმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადასტურება, გარდა მოხელის მიერ მისი სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა, აგრეთვე ასეთი შემონმებისთვის თავის არიდება;
- კ) გარდაცვალება.

სავალდებულო საფუძვლებით მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება შესაბამისი გარემოების გამოვლენის დღიდან.

გარდა სავალდებულო საფუძვლებისა, კანონით დადგენილია მოხელის განთავისუფლების სხვა საფუძვლებიც, რომელთა დადგომის შემთხვევაში მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის თანახმად, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირების გამო;
- გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო;
- დ) მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის დროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, თუ არსებობს მოხელის კანონიერი ნდობის გამომორიცხველი გარემოება;
- ე) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

## **2.1 მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება პირადი განცხადების საფუძველზე**

თუ მოხელე პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდება სამსახურიდან, სამსახურიდან გათავისუფლებაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოიცეს განცხადების რეგისტრაციიდან 14 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოხელე სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს და მისი გათავისუფლება საფრთხეს არ უქმნის საჯარო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების რეგისტრაციიდან სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე მოხელეს უფლება აქვს, მოითხოვოს განცხადების განუხილველად დატოვება, რაც კანონის თანახმად სავალდებულოა რომ დაკმაყოფილდეს.

## **2.2 მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით**

მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება არ იწვევს მოხელის სტატუსის შეწყვეტას მოხელეთა რეზერვში ყოფნის ვადის გასვლამდე.

## **2.3 მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო**

მოხელე შეიძლება სამსახურიდან გათავისუფლდეს შესაბამისი სამედიცინო დასკვნით დადასტურებული ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო სამსახურში ზედიზედ 4 თვის ან კალენდარული წლის განმავლობაში 6 თვის გამოუცხა-

დებლობის შემთხვევაში. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ასევე იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე არ იძლევა დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას და შეუძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე გადაყვანა.

**2.4 მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება მოხელის თანამდებობაზე და-ნიშვნის დროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში**

მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს, თუ:

- ა) დარღვეულია საჯარო სამსახურში მიღებისათვის ამ კანონით დადგენილი წესი ან მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება, თუ მას საფუძვლად უდევს მოხელის უკანონო ქმედება;
- ბ) მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

კანონის თანახმად, თუ ეს დარღვევები იქნა აღმოფხვრილი, დაუშვებელია ამ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება.

**2.5 მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში**

საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა შესაძლებელია გახდეს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

**3. სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში მოხელის ბაზრითილება და განთავისუფლების შემთხვევაში**

შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განთავისუფლებისას მოხელეს ეძლევა კომპენსაცია 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ამ საფუძველით განთავისუფლებისას მოხელეს წერილობით უნდა ეცნობოს გათავისუფლებამდე 1 თვით ადრე. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში მოხელეს, გარდა კუთვნილი კომპენსაციისა, დამატებით უნდა მიეცეს 1 თვის თანამდებობრივი სარგო.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 116-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მოხელე ქალი არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის, ან მოხელის შეფასების შედეგების გამო.

## თავი VI. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე განსაკორცინებული ღონისძიებები

„საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან. კანონის ამოქმედებით პრინციპულად იცვლება საჯარო სამსახურის არსებული სისტემა. შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედება დაკავშირებულია მთელი რიგი ღონისძიებების გატარებასთან. უპირველესად ეს არის კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება. კანონის გარდამავალი დებულებებით: 125-ე და 126-ე მუხლებით დადგენილია ის ვადები, რის შესაბამისადაც უნდა მოხდეს ამ აქტების მომზადება და მიღება.

კანონის 125-ე მუხლი ავალებს საქართველოს მთავრობას:

ა) 2016 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს საჯარო დაწესებულებებში არსებული თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილება, აგრეთვე საჯარო დაწესებულებებში მომუშავე პირების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა საჯარო მოსამსახურის სახეების შესაბამისად;

ბ) 2016 წლის 1 სექტემბრამდე მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონების პროექტები სპეციალურ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

დ) 2016 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიებად დაყოფა, მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიებად დაყოფის გათვალისწინებით.

კანონის 126-ე მუხლი კი განსაზღვრავს იმ ნორმატიულ აქტებს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ამ მუხლის თანახმად, 2016 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს შემდეგი დადგენილებები:

ა) „პროფესიულ საჯარო მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესის, სტანდარტისა და თემატიკის განსაზღვრის შესახებ“;

ბ) „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“;

გ) „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.

ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს შემდეგი დადგენილებები:

ა) „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“;

ბ) „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების შესახებ“;

გ) „პროფესიული საჯარო მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შევსებული სარგებლობის წესისა და პირობების შესახებ“;

დ) „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და

კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;

ე) „საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენების და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესის შესახებ“;

ვ) „ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმების დამტკიცების შესახებ“;

ზ) „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება;

თ) „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ“;

ი) „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“;

კ) „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის შესახებ“.

ამ ნორმატიული აქტების მიღებით შეიქმნება საჭირო ნორმატიული საფუძველი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ასამოქმედებლად და კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური საჯარო სამსახურის ჩამოსაყალიბებლად.

ISBN 978-9941-0-9321-0



978 9941 0 9321 0

თბილისი 2016